ნუგზარ ბარდაველიძე

საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ნარკვევები

უახლესი პერიოდი

ISBN 978-9941-8-1389-4

ნუგზარ ბარდაველიძე

საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ნარკვევები

უახლესი პერიოდი

The essence of the history of the Catholic Church in Georgia, the modern period

თბილისი 2018

UDC (უაკ) 32+327+27+008+821+.353.1+070+94(100)

ბ-264

რელიგიათმცოდნის ბიბლიოთეკა

ყველა უფლება დაცულია

All rights reserved

©ნ.ბარდაველიძე

ISBN 978-9941-8-1388-7(PDF)

ISSS1987-6505

E-mail Religion.ge@yahoo.com

რედაქტორი: გაბრიელე ბრაგანტინი

თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

ნანა ხაზარაძე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;

მურმან პაპაშვილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის პროფესორი;

მამა პიერ დიუმულენი თეოლოგიის დოქტორი, ლოზანის უნივერსიტეტის პროფესორი (საფრანგეთი).

რელიგიათმცოდნეთა ბიბლიოთეკის სარედაქციო კოლეგია:

ლევან აბაშიძე, ნუგზარ ბარდაველიძე, გაბრიელე ბრაგანტინი, ზურაბ გამეზარდაშვილი, ლეონ გელოვანი, ნები გუმუში, ვაჟა ვარდიძე, ვასილ კაჭარავა, მაჩეი მამაი, ლევან მათეშვილი, ელისაბედ მაჩიტიძე, პაატა ნაცვლიშვილი, ოლივერ რაიზნერი, მანანა ჯავახიშვილი

საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ნარკვევები

წიგნი ეძღვნება საქართველოში ლათინური წესის კათოლიკური ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრაციის დაფუძნების 25–ე წლისთავს

უბრალოდ კათოლიკური

დღეისათვის მსოფლიოში კათოლიკეთა საერთო რაოდენობა 1,3 მილიარდს აჭარბებს, რაც მსოფლიო მოსახლეობის საერთო რაოდენობის 15 პროცენტს შეადგენს. კონტინენტების მიხედვით ყველაზე მეტი კათილიკე ამერიკაში ცხოვრობს, კონტინენტის მოსახლეობის 65 პროცენტი. მეორე ადგილზე ევროპაა სადაც კათოლიკენი მთელი მოსახლეობის 42 პროცენტს შეადგენენ. შეერთებულ შტატებში კათოლიკენი უმრავლესობას წარმოადგეგნენ 65 მილიონი, მთელი მოსახლეობის 25 პროცენტი. ამ მხრივ საქართველოში კათოლიკეთა რაოდენობა ერთობ მოკრძალებულია. 1898 წლის აღრიცხვით ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში 20 ათასი ქართველი კათოლიკე სახლობდა (უნდა ვიფიქროდ რომ „ქართველში"- ლათინური წესის კათოლიკეები იგულისხმება), 1912 წლის აღრიცხვით კათოლიკეთა რაოდენობა 30 ათასს აღწევდა. 1990 წლისათვის საქართველოში 50 ათასი ლათინური წესის კათოლიკე ცხოვრობდა მოსახლეობის საერთო რაოდენობა კი 5,5 მილიონს შეადგენდა.

2002 წლის ქვეყნის მოსახლეობამ 1.1 მილიონით იკლო, ლათინური წესის კათოლიკეთა რაოდენობამ კი 35 ათასი შეადგინა. გარდა ამისა საქართველოში აღმოსავლური წესის კათოლიკეებიც სახლობენ, მათგან 20 ათასი სომხურ-კათოლიკური წესის მიმდევარია, დაახლოებით 1.5 ათასი ასირიულ-ქალდეური წესისა, რამდენიმე ათეული კი უნიატია ანუ ბერძნულ-კათოლიკური წესის აღმსარებელი.

სარწმუნოების წყაროდ კათოლიკეებს ისევე როგორც მართლმადიდებლებს სწამთ წმინდა წერილი და წმინდა გადმოცემები, ეკლესიის ტრადიცია. გარეგნული განსხვავებები რომის იმპერიის ვრცელ ტერიტორიაზე არსებულ ადგილობრივ ეკლესიებში ყოველთვის არსებობდა და რაც ხალხთა ტრადიციებით იყო განპირობებული. ადრეულ საუკუნეებში ამ მრავალფეროვნებას ყურადღებას არ აქცევდნენ. მაგრამ ენობრივი ფაქტორი მაინც მნიშვნელოვანი გახლდათ. IV საუკუნის ბოლოს რომის იმპერიაში შემავალი ადგილობრივი ეკლესიები პენტარქიის ანუ რომის, ანტიოქიის, ალექსანდრიის, იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსების (პატრიარქების) სულიერი ხელმძღვანელობის ქვეშ იყვნენ.ერთიანი იმპერიის გაყოფის შემდგომ აღმოსავლეთ რომის (შემდგომში ბიზანტიის იმპერიის სახელითაც რომ მოვიხსენიებთ) იურისდიქციაში ოთხი საპატრიარქო მოექცა და აქ სახელმწიფო და ლიტურგიულ ენად ბერძნული დამკვიდრდა, ხოლო დასავლეთ რომის იმპერიის ადგილობრივ ეკლესიათა ერთადერთ ლიტურგიულ და საერთოდ საკომუნიკაციო ენად ლათინური იქცა, დროთა განმავლობაში ლათინური ევროპის საერთაშრისო ენის ფუნქციასაც ინარჩუნებდა.

ენობრივი და პოლიტიკური გაყოფა ცხადია როდესღაც ლიტურგიულ სეპარაციასაც გამოიწვევდა. მართლაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის უთანხმოებები რამდენჯერმე მოხდა. ერთ-ერთი სერიოზული განხეთქილება, ბიზანტიაში ხატმებრძოლეობის გამარჯვებამ წარმოშვა, თუმცა ამ ერესის დაგმობის შემდგომ რომმა აღადგინა კონსტანტინოპოლთან თანაზიარება.

აღმოსავლეთისა და რომის ეკლესიებს შორის დაპირისპირების მთავარი მიზეზსს პირველობისათვის ბრძოლა წარმოადგენდა. საბაბად კი ბერძნებმა ლათინების მიერ ნიკეო-კონსტანტინოპოლის მრწამსში ფილიოკვეს დამატება მოიმიზეზეს.

არა და XI საუკუნეში კონსტანტინოპოლში არნახულად პოპულარული ხდებოდა ლათინური წესი და მრავალი ტაძარი მსახურებას ამ წესის მიხედვით აღასრულებდა.

სასულიერო საკითხებისადმი მიძღვნილი კამათი, რომელსაც 1054 წელს კონსტანტინოპოლში მივლინებული პაპის ლეგატი, გერმანელი ეპისკოპოსი ჰუმბერტი აწარმოებდა პატრიარქ კერულარიოსთან, პირად შეურაცყოფებში გადაიზარდა ურთიერთ შეჩვენებებით დასრულდა (ეკლესიები მათ არ შეუჩვენებიათ, როგორადაც ამ ფაქტს ხშირად წარმოაჩენენ ხოლმე). და მაინც 1054 წლის 16 ივლისი ისტორიკოსების მიერ მიჩნეულია ეკლესიის გაყოფის ოფიციალურ თარიღად და აღმოსავლეთის მართლმადიდებლური და დასავლეთის კათოლიკური ეკლესიების წარმოქმნის საწყისად. თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ლათინური წესის მიმდევრები არ თვლიდნენ თავიანთ თავს მართლმადიდებლებად, არც მართლმადიდებლებს არასდროს არ უთქვამთ უარი თავიანთი ეკლესიის კათუოლიკურობაზე(საყოველთაოობაზე).

ვატიკანის II კრების შემდგომ რომის ეკლესიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ეკლესიათა დაახლოებისაკენ. 1965წ. 7 დეკემბერს ვატიკანში საეკლესიო სხდომაზე რომის პაპმა და მსოფლიო პატრიარქმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება 1054 წლის ანათემაზე ორივე მხარის მიერ უარის თქმის შესახებ. რომის ეკლესიაში გაერთიანებულ (უნიატურ) ეკლესიებში ყოველთვის ითქმებოდა და დღესაც ასე რჩება, მრწამსი „ფილიოკვეს" გარეშე და პაპიც აღმოსავლურ ეკლესიებში ლიტურგიის დროს მრწამს მართლმადიდებლური ტრადიციით, ფილიოკვეს გარეშე წარმოთქვამს.

ეს გარემოება არანაირ წინააღმდეგობას არ იწვევს, დიდ ქინააღმდეგობას არც პაპის შეუმცდარობის(როდესაც პონტიფექსი კათედრიდან რწმენის საკითხებს ქადაგებს) დოგმატი უნდა იწვევდეს, რადგან დე ფაქტო, ნებისმიერ რელიგიაში უზენაეს სასულიერო პირს როცა იგი რწმენის საკითხებზე ქადაგებს, არა მგონია მორწმუნეები უნდობლად ეკიდებოდნენ. მაგრამ რომის პაპის პრიმატეს აღიარება ეს კი უმთავრესი პირობაა რომის ეკლესიასთან გაერთიანებისა თუნდაც უნიის საფუძველზე. **და 1054 წელსაც კონსტანტინეპოლში პაპის მიერ ლეგატის გაგზავნისა გახლდათ ერტად-ერტი მიზეზი არსებობდა—ბერძნებმა ლიტურგიის დროს საერთოდ შეწყვიტეს რომის პაპის მოხსენიება, ეკლესიის ერთიანობეს შემთხვევაში პაპი პირველ რიგში მოიხსენიებოდა**.

რომაული ლიტურგიის ჩამოყალიბებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რომის პაპმა გრიგოლ დიდმა (590-604წ.) სწორედ მისს სახელს უკავშირდება სახელწოდება „გრიგორიანული ლიტურგია" (ქართული ვერსიით „გრიგოლ დიდის წირვა"), და „გრიგორიანული გალობა". შესამოსი რომელიც გამოიყენება საეკლესიო მსახურების დროს თავდაპირველად რომაელთა ჩვეულებრივ სამოსს წარმოადგენდა. გრიგოლ დიდს ეკუთვნის შუასაუკუნეების კათოლიკური ეკლესიის დოქტრინის ჩამოყალიბება. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს გრიგოლ დიდის წიგნი „დიალოგები" რომელიც აგიოგრაფიული ლიტერატურის მსოფლიო

კლასიკას წარმოადგენს. ასევე დიდი კვალი დაამჩნია კათოლიკური საეკლესიო სკოლის განვითარებას ისიდორე სეველიელმა (570-636წ.) მისი კრებული „ეტიმოლოგია" წარმოადგენს იმ დროის საეკლესიო სკოლის ენციკლოპედიას. გამოჩენილი ღვთისმეტყველი გახლდათ კენტებნერიის არქიეპისკოპოსი ანსელმი. რომელიც სქოლასტიკის მამად არის აღიარებული და მის ნაშრომებში განხილულია არსობის, ყოფიერებისა და ღვთაებრიობის პრობლემები. ანსელმმა უდიდესი წვლილი შეიტანა შუასაუკუნეების ევროპული ფილოსოფიის განვითარებაში. მის მიერ შექმნილ თეორიას ღმერთის არსებობის შესახებ კანტმა უწოდა ონტოლოგიური. უდიდესი კვალი დასტოვეს შუასაუკენეების თეოლოგიისა და ფილოსოფიის განვითარებაში ალბერტ დიდმა და ბონავენტურამ. მაგრამ ყველაზე დიდი ღვაწლი თეოლოგიის განვითარებაში ეკლესიის მეხუთე მასწავლებლად და წმინდანად შერაცხულმა დომინიკელთა ორდენის ბერმა თომა აქვინელმა შეიტანა. თომა აქვინელის თეორიებს დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა და XX საუკუნეში ჩამოყალიბებული ფილოსოფიური მიმდინარეობა – ნეოთომიზმი მყარ იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე დასავლური ფილოსოფიისა და თეოლოგიისათვის.

კათოლიკე ეკლესიის სოციალური დოქტრინა

მეტად მნიშვნელოვანი იყო კათოლიკე ეკლესიის ისტორიაში პაპ ლეო XIII მიერ 1891 წელს გამოქვეყნებული ენციკლიკა „რერუმ ნოვარუმ". ამ ენციკლიკით საფუძველი ჩაეყარა ეკლესიის სოციალურ დოქტრინას რომელმაც პირველად კაცობრიობის ისტორიაში რელიგიური და სახელმწიფო ორგანიზაციების მხრიდან წამოყრა მშრომელთა საკითხები. ლეო XIII-მ მოითხოვა მშრომელთა, ეკონომიურად გაწირვებულთა პრობლემებს მისდგომოდნენ სამართლიანობისა და სიყვარულის შესახებ არსებული ქრისტიანული იდეალების პოზიციიდან. პაპმა მოითხოვა მშრომელთა პირობების გაუმჯობესება, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში საფუძველი ჩაუყარა ეკლესიის მხრიდან საქველმოქმედო საქმიანობას. ენციკლიკაში გაცხადებულ იყო ეკლესიის მზაობის შესახებ დახმარებოდა მშრომელებს ყოფითი პირობების გაუმჯობესებაში, სასიცოცხლო მინიმუმის გაზრდაში, ქალთა შრომის პირობების დაცვაში, სამუშაო დღის ხანგძლიობის შემცირებაში. გააკრიტიკა კაპიტალიზმის მანკიერებანი. ასევე ენციკლიკამ პირადი საკუთრება გამოაცხადა საზოგადოების ხელუხლებელ ფასეულობად, ბუნებრივ უფლებად.

ენციკლიკამ მოუწოდა თავი შეეკავებინათ კლასობრივი ბრძოლისაგან, პაპის წინასწარმეტყველური მოწოდება მარქსისტების მხრიდან მძაფრი გაღიზიანების საბაბად იქცა, და მათ მიერ XX საუკუნის პირველ ნახევარში ატეხილმა კლასობრივმა ომებმა და რევოლუციებმა ათეულობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს.

მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა თანამედროვეობის პრობლემებთან ეკლესიის დამოკიდებულებაში პაპმა იოანე XXIII-მ. თავის ენციკლიკებში მან მოუწოდა სამყაროს მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ. მის მიერ მოწვეულმა ვატიკანის II კრებამ წინა პლანზე წამოსწია ახალი სოციალური დოქტრინა, განსაკუთრებით ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ. კრებამ

მოახდინა საფუძვლიანი ცვლილებები ეკლესიის ყველა სფეროში. თუმცა ამ რეფორმების დასრულება უკვე შემდგომ პაპს პავლე VI ერგო წილად.

პავლე VI-მ თავის ენციკლიკებში ძირითადი ყურადღება დაუთმო ქრისტიანულ ჰუმანიზმზე, სოციალური თანასწორობის პრინციპებზე და მსოფლმხედველობით პლურალიზმზე დაფუძნებულ საზოგადოების მოდელს. პავლე VI-მ XX საუკუნის ცნობილი ქრისტიანი ფილოსოფოსის ჟან მარიტენის თეორიაზე დაყრდნობით საზოგადოებას შესთავაზა ჰუმანიზმის ახალი მოდელი, რომლის თანახმად ერთადერთი სრულყოფილი ჰუმანიზმი არის ღმერთისკენ ორიენტირებული ჰუმანიზმი. თუ ჰუმანიზმი არ არის გახსნილი ღმერთისათვის მაშინ ის არ არის ჭეშმარიტი ჰუმანიზმი. ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტი უნდა ეფუძნებოდეს პიროვნებებს მაგრამ ეს როდი ნიშნავს ზღვარგადასულ ინდივიდუალიზმს. სოციალურ დოქტრინაში ხაზგასმულია, რომ ადამიანი ერთდროულად არის ინდივიდუალურიც და სოციალური არსებაც, ყოველი ადამიანი უნიკალურია და განუმეორებელი თავის ინდივიდუალურობაში, მაგრამ პიროვნებასა და საზოგადოებას შორის უნდა სუფევდეს სოლიდარობა.

ადამიანს როგორც სოციალურ არსებას აქვს პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, ხოლო საზოგადოებას კი პიროვნების მიმართ.

იოანე-პავლე II თავის ენციკლიკებში დიდ როლს უთმობდა სოციალურ საკითხებს. მან გაამახვილა ეკლესიის ყურადღება ადამიანის უფლებების დაცვაზე. ეკლესიის ყველა გზა მიდის ადამიანისაკენ და ქრისტეს ერთგული ეკლესია ეს ღატაკთა ეკლესიაა. პაპი „სიღატაკეს" ანიჭებდა როგორც რელიგიურ-ეთიკურ გააზრებას. საზოგადოებრივი მანკიერებები თავს იჩენენ ეგოისტურ-ლიბერალური კაპიტალიზმის, ტოტალიტარულ-სოციალისტური კოლექტივიზმის და მილიტარისტულ-ტოტალიტარული სისტემების დროსაც. ადამიანის მიერ თავისუფლების ბოროტად გამოყენების საფუძველი კი ათეიზმიდან და მატერიალიზმიდან არის აღმოცენებული. აპ ფრანცისკესათვის პრიორიტეტი უპოვართა დახმარება და გარემოს დაცვაა.

პაპი

ლათინური ტერმინი „პაპა", მომდინარეობს ბერძნული სიტყვა „პაპას"-გან და „მამას" აღნინავს. ადრე ქრისტიანულ ხანაში მორწმუნეები ასე მიმართავდნენ მღვდლებს, ეპისკოპოსებს. აღმოსავლეთ ქრისტიანულ ეკლესიებში „პაპის" ტიტული მინიჭებული ჰქონდა ალექსანდრიის პატრიარქს, ხოლო დასავლეთის ეკლესიაში პაპის ტიტულს რომისა და კართაგენის ეპისკოპოსები ატარებდნენ. IV საუკუნიდან პაპის ტიტულს მხოლოდ რომის ეპისკოპოსი ატარებს. კათოლიკურ საეკლესიო სამართალში მიღებული ნომენკლატურა დღემდე არ ხმარობს ტერმინს „პაპა". ამას ცვლის გამოთქმა –რომის პონტიფექსი. პონტიფექსის ტიტულს ატარებდნენ რომის უზენაესი ქურუმები., იმპერატორები, მათ შორის კონსტანტინე დიდი. პონტიფექსი – ხიდების მშენებელს ნიშნავს ლათინურად და რაც ამქვეყნიური სამყაროსა და ღმერთს შორის დამაკავშირებელის სინონიმს წარმოადგენს.

პაპის მთავარი წოდება—რომის ეპისკოპოსია. სრული ტიტული კი არის – ქრისტეს ვიკარიუსი, მოციქულთა მთავარის მემკვიდრე, მსოფლიო ეკლესიის

უზენაესი პონტიფექსი, დასავლეთის პატრიარქი, იტალიის პრიმასი, რომის ოლქის არქიეპისკოპოსი და მიტრიპოლიტი, ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანის მეთაური, ღვთის მსახურთა მსახური. პაპი სწორედ ამ უკანასკნელი ტიტულით აწერს ხელს დოკუმენტებს.

თუ წმ. პეტრე მოციქულს ჩავთვლით რომის პირველ პაპად, მაშინ ამჟამინდელი პაპი ბენედიქტე XVI რიგით 264-ე პონტიფექსია.
70 წელს იერუსალიმის დანგრევის შემდეგ სხვა ქრისტიანულ თემებს შორის პრიორიტეტი რომის, როგორც იმპერიის დედაქალაქის, თემმა და ცხადია მისმა ეპისკოპოსმა მოიპოვა. კათოლიკე ეკლესიის ტრადიციის თანახმდ პაპის პრიმატი იესო ქრისტეს ნება-სურვილით არის დაკანონებული: „ რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამასა კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას.”(მათ. 16:18). IV საუკუნეში რომის ეპისკოპოსის საეკლესიო იურისდიქციის პრიმატი დამტკიცებულ იქნა სახელმწიფო სამართლითაც. პაპობის ავტორიტეტის განმტკიცებაში უდიდესი როლი ითამაშა ლეო დიდის პონტიფიკატმა, განსაკუთრებით კი ატილას ურდოსაგან მარადიული ქალაქის გადარჩენამ. ამ სასწაულში ღვთის წყალობასთან ერთად პაპ ლეო I-ის დიდი პიროვნული თვისებებიც ირწმუნეს

რომის ეკლესიის გამორჩეულობაში, ლათინური ენის საერთო ლიტურგიულ ენად დამკვიდრებამაც ითამაშა უდიდესი როლი. მთელ ტერიტირიაზე სადაც კი რომის პაპების იურისდიქცია ვრცელდებოდა, ლათინური ენა ერთადერთ ლიტურგიულ და საეკლესიო კულტურულ-საგანმანათლებლო, საკომუნიკაციო ენად იქცა. ამ ფაქტორმა უდიდესი დადებითი რილი ითამაშა დასავლეთ ევროპის -- როგორც ერთიანი კულტურული სივრცის ჩამოყალიბებაში.

პაპობის, როგორც უზენაესი ძალაუფლების მქონე ინსტიტურის ავტორიტეტის დამკვიდრებაში გარკვეული როლი ითამაშა პაპ ლეო III მიერ კარლოს დიდის იმპერატორად კურთხევამ. ამ ფაქტმა ერთის მხრივ დაძაბა ბიზანტიასთან პოლიტიკური ურთიერთობა, რაც შემდგომ მთავარ მაგრამ შეფარულ მიზეზად იქცა აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკლესიათა შორის განხეთქილებისა, სამაგიეროდ გაზარდა პაპების ავტორიტეტი დასავლეთ ევროპის მონარქებზე. განსაკუთრებულ ძლიერებას პაპებმა ევროპის მონარქებთან ინვესტიტურისათვის წარმოებულ ბრძოლაში მიაღწიეს.

უდიდეს ძლიერებას პაპებმა ინოკენტი III-ის პონტიფიკობის დროს მიაღწიეს. თვით პაპობის ინსტიტუტის წანააღმდეგ აშკარად უარყოფითად განწყობილი პროტესტანტი ისტირიკოსებიც აღიარებენ, რომ კაცობრიობის ისტორიაში არც-ერთ ადამიანს არ ჰქონია ისეთი დიდი ძალაუფლება, როგორც --ინოკენტი III-ს. (1198-1216 წ.წ.) სწორედ ამ პაპის პონტიფიკობის დროს დასავლეთთან პოლიტიკური კეთილმეზობლობის გამოყენებით შესძლო თამარ მეფემ ტრაპიზონის იმპერიაზე საქართველოს იურისდიქციის განვრცობა. აი ეს გახლავთ ერთ-ერთი საუკეთესო ისტორიული რეალობა საქართველოსა და დასავლეთის კათოლიკურ სამყაროს შორის საერთო ინტერესების არსებობაზე, ბიზანტიისა და რუსეთისაგან განსხვავებით.

„ქება-დიდებას ამბობენ შენზე, ღვთის ქალაქო”
ანუ ყველა გზა რომში მიდის

თავის არსებობის 28 საუკუნის მანძილზე რომი ყოველთვის მსოფლიოს ყურადღების ცენტრში რჩებოდა. ჯერ როგორც მსოფლიო იმპერიის დედაქალაქი, შემდეგ კი დასავლური ქრისტიანული სამყაროს ცენტრი, წმინდა ქალაქი სადაც განისვენებენ წმინდა პეტრე და პავლე მოციქულები, სადაც მთელი მსოფლიოდან იქნა შეკრებილი მრავალი ქრისტიანული სიწმინდეები. რომი პირველი მილიონერი ქალაქი, სადაც თავმოყრილია ანტიკური, შუა საუკუნეების, აღორძინებისა და ახალი დროის კულტურისა და ხელოვნების უთვალავი შედევრი, ჭეშმარიტი ქალაქი-მუზეუმი. ქალაქი სადაც დაიდგა ქართველი მეფის პირველი ძეგლი და ქალაქი სადაც პირველი ქართული წაგნი დაიბეჭდა..

რომი – ქალაქი სადაც აღმოცენებულია მდოგვის მარცვალივით მცირე და ლიბანის კედარივით მძლავრი(ვინაიდან მის ქვეშემრდომად თავს თვლის მსოფლიოს თითქმის ყოველი მეექვსე ადამიანი), ქალაქი-სახელმწაფო –ვატიკანი.

რომი ქალაქი რომელიც მილიონობით ადამიანმა შეიყვარა ფელინისა და როსელინის ფილმებითა თუ ალბერთო მორავიას „რომაული მოთხრობებით, რომელსაც ასე კარგად იცნობენ 60 წლის მაგრამ უბერებელი ფილმით „რომაული არდადეგები” და რა თქმა უნდა თავისი პაპით, რომელიც ამავ დროულად მთელი სამყაროს პაპიცაა.

რომში პაპის საკათედრო ტაძარად - 313 წელს იმპერატორ კონსტანტინე დიდისა და პაპ მელკიადეს ძალისხმევით ლატერანის ბორცვზე აგებული წმ. იოანეს ბაზილიკა იქცა. ეს გახლავთ ქრისტიანთა დათმენის შემდგომ აგებული პირველი ტაძარი, რომელიც იმ ადგილზე იქნა აღმართული სადაც ერთი ცნობილი რომაელი ქრისტიანის სახლში მოწყობილი ეკლესია მდებარეობდა. IV საუკუნეშივე პეტრე და პავლე მოციქულთა დაკრძალვის ადგილებზეც აიგო გრანდიოზული ბაზილიკები. ვატიკანის ბორცვზე 1500 წლიდან თითქმის ხელახლა აგებული წმ. პეტრეს ბაზილიკა იქცა პაპების მთავარ რეზიდენციად. ეს არის მსოფლიოში უდიდესი ტაძარი, მისი სიგრძე 187 მეტრს, მოცულობა 21477 კვ.მ. ტრანსეპტის სიმაღლე 98 მ. ხოლო გუმბათის სიმაღლე 132,5 მ. შეადგენს. ტაძარში 44 საკურთხეველია აგებული (თითოეული ცალკე ეკლესიას წარმოადგენს). მთავარი საკურთხეველი კი თავად წმ. პეტრეს აკლდამაზე იმყოფება.

ქველმოქმედება

საბჭოთა რეჟიმის პირიბებში კათოლიკური საბერ-მონაზვნო ორდენების საქმიანობა მთელს საბჭოთა კავშირში მკაცრად იყო აკრძალული. ბერ-მონაზვნებს აპატიმრებდნენ ან ასახლებდნენ, თუმცა სამოქალაქო სამოსში ჩაცმული კათოლიკე მონაზვნები არალეგალურად აგრძელებდნენ სასულიერო მისიას, მათ შორის თბილისშიც.

1989 წლის ივნისში ზურაბ წერეთლის დიდი ძალისხმევით, თბილისს ეწვია სათნოების ორდენის დამაარსებელი,იმ დროს უკვე ცოცხალ ლეგენდად ქცეული დედა ტერეზა. ამ ვიზიტის მიზანი 9 აპრილს მოწამლულთა დახმარება და საერთოდ დამოუკიდებლობის გზაზე მყოფი საქართველოს თანადგომა იყო. დედა ტერეზამ თბილისში სათნოების სახლი დააფუძნა და ორდენის ოთხი წევრიც დატოვა. აქედან დაიწყო საბჭოური სინამდვილისთვის მანამდე უცნობი საეკლესიო ქველმოქმედების ხანა.

1992 წლიდან კათოლიკური საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია კარიტასი იწყებს საქართველოსათვის მრავალმილიონიანი დახმარების პროექტების განხორციელებას, რომელსაც დღესაც წარმატებით აგრძელებენ თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში დაარსებული კარიტასის ადგილობრივი ორგანიზაციები.

1996 წლიდან თბილისში , ნაძალადევის რაიონში წმ. კამილო ლილესის საქველმოქმედო ორდენი აგებს პოლიკლინიკას, რომელიც უფასოდ ემსახურება რაიონის გაჭირვებულ მოსახლეობას.

1999 წელს ავლაბარში იხსნება დედა ტერეზას ორდენის დაარსებული მიუსაფართა ცენტრი, რომელიც საქართველოში ვიზიტად მყოფმა იოანე-პავლე II-მ აკურთხა. მიუსაფართა ცენტრი გასულ წელს ბათუმშიც გაიხსნა. საქართველოში გარდა საქველმოქმედო საქმიანობისა კათოლიკე ეკლესია ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობითაც არის დაკავებული აფინანსებს სამეცნიერო სიმპოზიუმებს, ახალგაზრდობის საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამებს, საზაფხულო ბანაკებს, გახსნილი აქვს სემინარია, გამოსცემს სასულიერო და სამეცნიერო ლიტერატურას, ყოველთვიურ ილუსტრირებულ ჟურნალს „საბა", თეოლგიურ ალმანახს - „დიალოგი", ეწევა ფართო მთარგმნელობით საქმიანობას, მატერიალურად ეხმარება თეოლოგიისა და ფილოსაოფიის ინსტიტუტს, აფინანსებს საისტორიო ტელეფილმებს და სხვა მრავალი საქართველოსათვის სასარგებლო წამოწყებებს, თუმცა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის უქონლობა, სტატუსის არაღიარება, საქველმოქმედო გრანტების დაბეგვრა, გარკვეული წრეების მხრიდან ანტიკათოლიკური ისტერიის აგორების მცდელობები ხელს უშლის ეკლესიას სრულად მოახმაროს თავისი მდიდარი გამოცდილება და ძლიერი შესაძლებლობები მთლიანად ქვეყნისა და მთელი მოსახლეობის ასევე კონკრეტულად საკუთარი მრევლის ინტერესებს.

საქართველოში ლათინური წესის კათოლიკე ეკლესია, მისი სამოციქულო ადმინისტრატორი ეპისკოპოსი იოსებ (ჯუზეპე) პაზოტო აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ და ინტერკომფესიურ საქმეებში. ეკლესია არის სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსა და საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ეკლესიათშორისოი საბჭოს წევრი. ერთ-ერთი დამფუძნებელია ქრისტიანულ ეკლესიათა სამუშაო ჯგუფისა, ინტენსიურად მონაწილეობს სხადასხვა სახისა და ფორმატის საერთაშორისო სამშვიდობო და ჰუმანიტარულ ინიციატივებში.

10 წელია რაც საქართველოში მოქმედ კათოლიკურ ეკლესიას მჭიდრო ორმხრივი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებ აშშ-ის ჯორჯიის შტატის კათოლიკეებთან. თანამშრომლობის ხარისხისა და მასშტაბის სრული განსაზღვრა შეუძლებელია ჩაჯდეს იმ მატერიალური თუ ფინანსური დახმარების ჩარჩოებში რაც ამერიკელმა ჯორჯიელებმა გაუწიეს თავიანთ სულიერ ძმებს ევროპის

ჯორჯიაში. რადგან მეგობრობა ეს ცალმხრივი მოძრაობის გზა არ არის, ქართველი კათოლიკეებიც ცდილობენ ვალში არ დარჩნენ ჯორჯიელებთან. საქართველო-ამერიკის ეკლესიათშორის ურთიერთობებში უკეთ გარკვევისათვის სამაგალითოდ მოვიყვან ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს ერთ გამონათქვამს, სადაც ნათლად არის ახსნილი რელიგიათშორისი თანანშრომლობის არსი:

ჩვენი ვიზიტები ეს არის ქრისტიანული თანამშრომლობის გამოხატულება, ეს ძმური შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია ორივე მხარისათვის. ქრისტიანებისთვის მთავარი ურთიერთსიყვარული, თანადგომა და სულიერი ძმობის გამოხატულებაა. ამერიკაში მწვავედ დგას ოჯახური პრობლემები, პრობლემები ახალგაზრდებსა და ხანდაზმულ თაობას შორის. ქართული უჯახური ტრადიციები, ასევე სულიერი სისუფთავე, ძალიან კარგი მაგალითია ჯორჯიელებისთვის. მთავარი ჩვენს ურთიერთობებში არის ქრისტესმიერი სიყვარული, რომელიც ლოცვით მყარდება, ეს სიყვარული გამოიხატება ერთურთისადმი აღვლენილი ლოცვებით. როდესაც გიყვარს ადამიანი და მასზე ზრუნავ ეს კიდევ უფრო გაძლიერებს შენ.

.P.S.დღეისათვის საქართველოში 30 ლათინური წესის საკრებულო ფუნქციონირებს, თუმცა ყველა მათგანს როდი გააჩნია თავისი ტაძარი. კახეთში, იმერეთში, გურიაში, მესხეთში 20-მდე საკრებულოს არ გააჩნია საეკლესიო ნაგებობა და იძულებულნი არიან პირველი ქრისტიანებივით მრევლის წევრთა ბინებში შეიკრიბონ. საკრებულოებს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში მიწის ფართობიც გააჩნიათ, ადგილობრივი ხელისუფლება სრულიად არამოტივირებულად, უზღუდავს მორწმუნეებს ტაძრების აგებას. ისტორიულად კათოლიკურ სოფლებში ხშირად არის შემთხვევები როდესაც კათოლიკე მოზარდებს სკოლებში პედაგოგები სხვადასხვა შეზღუდვებს უწესებან. თუმცა სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ მრავალი ასეთი დარღვევა აღმოფხვრილ იქნა.

მ. თამარაშვილი და საქართველოში რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის მრევლის პოპულაციის კვლევა

შესავალი

დიდი მეცნიერისა და სასულიერო მოღვაწის მიხეილ თამარაშვილის ღვაწლის კვლევას მის სამშობლოში, გარკვეული პოლიტიკური ვითარების გამო თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ტაბუ ედო და თუ არ ჩავთვლით სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს, ფართო საზოგადოება ამ გამორჩეულ მკვლევარსა და ტრაგიკული ბედის მქონე მამულიშვილს, საერთოდ არ იცნობდა. მართალია იყო ცალკეული გამონაკლისებიც, მაგ. 1958 წელს მაშინდელი ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტში მოეწყო მ. თამარაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია სადაც კათოლიკე მღვდელი და მ. თამარაშვილის მოწაფე პატრი კონსტანტინე საფარიშვილი მონაწილეობდა, მაგრამ საერთო ჯამში მ. თამარაშვილის ღვაწლზე ოფიციალურ დონეზე არ საუბრობდნენ[1].

1978 წელს, დიდი მამულიშვილის სამშობლოში გადმოსვენების დროდან მოყოლებული, საქართველომ მეორედ აღმოაჩინა მ. თამარაშვილი. ამ პერიოდიდან მ. თამარაშვილზე და მისი სამეცნიერო საქმიანობის შესახებ მრავალი პუბლიკაცია გამოქვეყნდა და წიგნიც გამოიცა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ამ მკვლევარის მრავალმხრივი სამეცნიერო მიმართულება და ინტერესი ჯეროვნად შესწავლილი არ არის. სრულად არ არის გაანალიზებული მისი სამეცნიერო და სასულიერო მოღვაწეობის წინააღმდეგობებით აღსავსე ხასიათი და მოტივები. დღეს, როცა იდეოლოგიური ბარიერები მოხსნილია, მ. თამარაშვილის მემკვიდრეობა ელის მის მიუკერძოებელ და ანალიტიკურ გამოკვლევებს.

მ. თამარაშვილი მეტად საინტერესო მეცნიერია. იგი არა მხოლოდ საქართველოში კათოლიკობის ისტორიის მკვლევარია, არამედ მისი ნაშრომები მნიშვნელოვანია სხვადასხვა მიმართებითაც. მაგ. პოლიტოლოგიური კვლევების მხრივადაც, რამეთუ მ. თამარაშვილს თავის წიგნებში აქვს გამოთქმული მოსაზრებები სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე და ამას ოფიციალური დოკუმენტების ანალიზით ასაბუთებს. მაგალითისათვის კავკასიასთან მიმართებაში, ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის კურსის ანალიზიც კმარა. დიპლომატიური პერიპეტიების განვითარების ვექტორების განსაზღვრა ოსმალეთის, რუსეთის, ავსტრიის იმპერიებს შორის და ამ დაპირისპირებების გავლენა XVIII საუკუნეში კავკასიაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზე, ამ საკითხზე მ. თამარაშვილისეული მოსაზრებები, თანამედროვე კვლევებისათვის ცალკე თემაა.

მეორე უმნიშვნელოვანეს მიმართულებას მ. თამარაშვილის ნაშრომებში ვხედავთ შუა საუკუნეების სოციოლოგიური სურათის შექმნაში. მართალია, მისთვის საქართველოს სამეფო-სამთავროების სოციალურ-ეკონომიკური ფონის ჩვენება არ წარმოადგენდა კვლევის ძირითად მიზანს, მაგრამ ზოგადი ფონის წარმოსადგენად ცდილობს, საკმაოდ ზუსტი სურათი შექმნას, იმ ჟამინდელი საქართველოს სოციალური მდგომარეობის შესახებ და მიგვანიშნოს ამ ვითარების გამომწვევ მიზეზებსა თუ მოსალოდნელ შედეგებზე.

მ. თამარაშვილი ასევე კათოლიკური ეკლესიის სასულიერო მისიონერული ორდენების საქმიანობის, მათ შორის სოციალურ სფეროში განხორციელებული აქტიობების ყოვლისმომცველ ანალიზსაც აკეთებს და საკმაოდ ზუსტ და კრიტიკულ დასკვნებსაც სთავაზობს მის მკითხველს. ამ დასკვნების გაანალიზება დღესაც სასიკეთოდ წაადგებოდა კათოლიკურ ეკლესიას, რომელიც კავკასიაში ამჟამადაც საკმაო პრობლემებს აწყდება.

ძალზე საყურადღებოა აგრეთვე მ. თამარაშვილის, როგორც მეცნიერისა და მამულიშვილის მოქალაქეობრივი პოზიცია, რომელსაც (განსაკუთრებით სასულიერო წრეებში), ასევე ნაკლებად ეხებიან: რა იყო უფრო მნიშვნელოვანი მ. თამარაშვილისთვის - მისი სარწმუნოებითი მრწამსი თუ მამულიშვილური მოვალეობა, ან მეცნიერის პოზიცია? ეს მეტად ფაქიზი და სათუთი სფეროა, მასზე შესაძლოა ისტორიული ვითარება და იმჟამინდელი პოლიტიკურ-კონფესიური დაპირისპირებები ახდენდა გავლენას. ამ ფაქტორთა გათვალისწინება აუცილებელია XIX ისტორიული სურათის აღდგენისას და მ. თამარაშვილის სამეცნიერო თუ სასულიერო მოღვაწეობის ანალიზისას, იმ ეპოქის ზოგ მომენტზე ღირს აქცენტის გაკეთება.

პირველი და უმთავრესი, რასაც მ. თამარაშვილის მოღვაწეობის შემსწავლელი მკვლევრები განსახვავებულად წარმოადგენენ, არის ის კონფრონტაცია, რაც გაჩნდა მღვდელ მიქაელ თამარაშვილსა და კავკასიის ლათინური წესი კათოლიკეთა ვიზიტატორს პრელატ მ. ორლოვსკის შორის. სწორედ ამ დაპირისპირების გამო მოუხდა მ. თამარაშვილს საქართველოს დატოვება. ეს დაპირისპირება არ მოხდებოდა მ. თამარაშვილი, რომ რიგითი სამრევლო მღვდელმსახური ყოფილიყო, რომელიც განუხრელად იცავს იერარქიულ დამოკიდებულებებსა და ეკლესიის მოთხოვნებს, ასევე მუდმივად ითვალისწინებს კონფესიის შიდა კოლეგიალურობას. პროფესორი შ. ლომსაძე, რომელმაც შესანიშნავი ნაშრომი მიუძღვნა მ. თამარაშვილს და საერთოდ ქართველ კათოლიკეებს, (ამ წიგნსაც ასე ეწოდება „მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი”), არა ერთ საქებარი სიტყვითა და ეპითეტით ამკობს მ. თამარაშვილს. თუმცა კომუნისტური ეპოქის ნორმათა გათვალისწინებით შედარებით ნაკლებ აქცენტს აკეთებს წმინდა კონფესიურ მომენტებზე, რომელთა გათვალისწინება უფრო ამძაფრებს მ. თამარაშვილის გაბედულებასა და და მოქალაქეობრივ პოზიციებს.

მართლაც, ერთის შეხედვით მ. თამარაშვილი მხოლოდ ერის კაცი რომ ყოფილიყო, მისი თავგანწირვა შეიძლება ასე ამაღელვებელი არც გამხდარიყო. სამშობლოსთვის თავდადება ნებისმიერი მოქალაქის მოვალეობაა, მაგრამ მ. თამარაშვილი როგორც კათოლიკე მოძღვარი, რომლის უმთავრესი მოვალეობა და პასუხისმებლობა ეკლესიის ინტერესები, კონფესიური და იერარქიულ მსახურებაა, სინამდვილეში აღმაფრთოვანებელი თავდადების მაგალითს აძლევს შთამომავლობას.

მღვდლობის აღთქმიდან გამომდინარე მ. თამარაშვილი უნდა დამორჩილებოდა პრელატ მ. ორლოვსკის, რომელიც თავის მხრივ მართალი იყო. მას როგორც ვიზიტატორსა და პრელატს, უნდა განუხრელად დაეცვა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის 1844 წლის N105 ბრძანება, რომელიც ზღუდავდა კათოლიკური ეკლესიის ქართულ ენაზე მსახურებასა და ზოგადად მოღვაწეობას[2].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველ კათოლიკეთა შეზღუდვის მიზნით, რამდენიმე სამართლებრივი დოკუმენტი გამოიცა, რომლებმაც ფაქტიურად აკრძალეს და სრულად გამოდევნეს ქართველ კათოლიკეთა საღვთომსახურებიდან მშობლიური ენა. ამიტომ ქართულ ენაზე მსახურება ძვირად დაუჯდათ მ. თამარაშვილსაც, ალფონს ხითარიშვილსაც, დომენიკე პაწაძესაც და სხვა პატრიოტ ქართველ კათოლიკე მოძღვრებს. ცარიზმის ხელისუფლების სამართლებრივი შეზღუდვები და აქედან გამომდინარე ტირასპოლის კათოლიკური ეპარქიის ხელისუფლების ადეკვატური ნაბიჯები, თავისი არასასურველი შედეგებით, ისტორიული დოკუმენტების დამოწმებით სრულად აქვს გაანალიზებული მ. ჯავახიშვილს თავის წიგნში „მონტობანის ქართველ კათოლიკეთა სავანე". ავტორი გვთავაზობს ზუსტ თეზას რომლის თანახმად „ რუსეთის მხრიდან კათოლიკეებისადმი მტრული დამოკიდებულების ერთ-ერთი მთავრი მიზეზი ისიც იყო, რომ მას არ აწყობდა პროდასავლური ორიენტაციის კათოლიკე მრევლის არსებობა იმპერიის ფარგლებში"[3].

პროდასავლურ ორიენტაციასთან ერთად, რუსეთის იმპერიის კათოლიკური ეკლესიისადმი აგრესიული დამოკიდებულება, ისევე როგორც შემდგომ საბჭოთა რეჟიმის ანტიკათოლიკური რეპრესიები და სტალინის აშკარად გამოხატული ანტიპათიები ვატიკანის მიმართ, ნაკარნახევი იყო იმ გარემოებითაც, რომ ამ ეკლესიის ცენტრი უცხოეთში მდებარეობდა. ამიტომ მასზე უშუალო გავლენას რუსი ხელისუფლები ვერ ანხორციელებდნენ. სომხური ეკლესია, როგორც სამოციქულო ასევე კათოლიკური, ბევრად ლოიალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა რუსეთის ხელისუფლებასთან. ამ ფაქტორთა გათვალისწინებით ნათლად იხატება მ. თამარაშვილისა და ქართული ენის დამცველ სხვა კათოლიკეთა მტკიცე და მოტივირებული მამულიშვილური პოზიცია.

ერთი შეხედვით მ. თამარაშვილს, როგორც მორჩილ კათოლიკე მოძღვარს, არ უნდა გაეპროტესტებინა კავკასიის ვიზიტატორისა და ტირასპოლის ეპისკოპოსის მოთხოვნა. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეთნიკურად პოლონელი მ. ორლოვსკი, რომელსაც ისევე როგორც ტფილისის გუბერნიაში გადმოსახლებულ

ანტირუსულად განწყობილ პოლონელ ემიგრანტებს, გულზე არ ეხატებოდათ ცარიზმი, მაგრამ კათოლიკური ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ ხელისუფლებას. (მ. ორლოვსკის საფლავი დღემდე რჩება პოლონელთა მხრიდან პატივმიგების ადგილად).

ამიერკავკასიის რუსული იმპერიული მმართველობა ისედაც მოწადინებული იყო კათოლიკეთა ეკლესიის შეზღუდვით და საბაბს ეძებდა თავისი რეპრესიების გასატარებლად. ამგვარ ვითარებაში გასაგებია კავკასიის კათოლიკური ეკლესიის ადგილობრივი მმართველების პოზიციაც და ასევე ორმაგად დასაფასებელია მღვდელ მ. თამარაშვილის ეროვნული თავგანწირვაც.

კოლეგიალური თვალსაზრისითაც მ. თამარაშვილი შეუდარებელ თავგანწირვასა და პრინციპულობას იჩენს, როცა უპირისპირდება კავკასიაში მოქმედ სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას. არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ XIX საუკუნეში სამხრეთ საქართველოში ისევ ქართველთა უპრინციპობით, სომხური-კათოლიკური წესი დამკვიდრდა. სამხრეთ საქართველოშო მოქმედი მღვდლების საკმაოდ დიდი ნაწილი მიუხედავათ იმისა, რომ ეთნიკურად ქართველი იყო, სომხურ ტიპიკონზე იყო გადასული. ეს მღვდლები ვიწრო კონფესიური თვალსაზრისით თავიანთ საქმეს პირნათლად აკეთებდნენ. მათი უმრავლესობა ალბათ მეგობრობდა მ. თამარაშვილთან და შესაძლებელია ნათესაური კავშირებიც გააჩნდათ მასთან. მ. თამარაშვილის მასწავლებელი და მოძღვარი პეტრე ხარისჭირაშვილი საქართველოდან წასვლის შემდეგ, წლების მანძილზე ცხოვრობდა ვენეციის სომეხ კათოლიკეთა წმ. ლაზარეს მონასტერში. სწორედ ამ მონასტრის საძმო დაეხმარა მას ქართულ ენაზე წიგნების გამოცემის დაწყებაში. ერთი სიტყვით სომეხ და ქართველ კათოლიკეებს შორის პირადი მეგობრობა უდავოდ არსებობდა. ის კი არა და ეთნიკურად ქართველი კათოლიკე სამღვდელოების უმრავლესობა საფრანგეთშიც კი, სადაც მათ ქართულ წესს არავინ ზღუდავდა, ოფიციალურად სომხური რიტის მიმდევარად რჩებოდა. სომხური რიტის მიმდევარი ქართველი სამღვდელოების მათი ერთი ნაწილი, მონტობანის ქართულ მონასტერშიც კი ცდილობდა დაეცვა თავისთი კონფესიურობა. ამგვარ აღმაშფოთებელ ანტიქართულ მცდელობას პატრიოტმა ქართველმა კათოლიკე მოძღვრებმა გაუწიეს წინააღმდეგობადა და დასახმარებლად მ. თამარაშვილს მიმართეს. ამ მრავლისმეტყველ ფაქტს ყურადღება დაუთმო მ. ჯავახიშვილმა, როდესაც თავის წიგნში გამოაქვეყნა მონტობანის მონასტრიდან მღვდელ დომენიკე მუღაშაშვილის (პაწაძე) მიერ მ. თამარაშვილისადმი გაგზავნილი წერილის ფრაგმენტი. საიდანაც ვიგებთ, რომ **„ თუ ამ საქმეს (იგულისმება ქართული ენის დაცვა ნ.ბ.) ყურადღება არ მოვაქციეთ, მაშინ ჩვენი მთელი მონასტერი სომხის რიტზე დარჩება, რადგან თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენ ყველას დედმამა სომხის რიტზე არიან მონათლულნი[4].**

ეს მცირე დოკუმენტი კიდევ ერთხელ თვალნათლივ ადასტურებს, რომ ქართველი კათოლიკეების ეროვნულობის დაცვისა ერთად-ერთი იმედი სწორედ მ. თამარაშვილი გახლდათ. მ. თამარაშვილმა დროულად დაინახა და გაანალიზა ის

საფრთხეები, რასაც ქართულ ეროვნულ თვითმყოფადობას უქმნიდა სომხური წესის კათოლიკეთა მიერ დომინანტური მდგომარეობის მოპოვება.[1] ამიტომ იგი პრინციპულად დაუპირისპირდა ყველას, ვინც უარყოფდა ქართველთა კათოლიკობას, თორემ ოფიციალური ვატიკანი ვერანაირად ვერ გამოხატავდა თავის პოზიციას რომელიმე ტიპიკონის მიკერძოებულად მხარდაჭერაში. და სწორედ ეროვნულობის პრიორიტეტმა და საქართველოსადმი თავდადებამ აქცია სამშობლოდან დევნილად მ. თამარაშვილი.

ქართველ კათოლიკეთა ეროვნულ მოღვაწეობის ანალიზისას ერთი ფაქტორიც არის გასათვალისწინებელი. ქართული წესის კათოლიკობა, რაზეც ხშირად წერენ ქართველი მკვლევარები, ოფიციალური დოკუმენტებით არ დასტურდება. უბრალოდ ლათინური წესის ქართულ მრევლში დაშვებული იყო ეროვნულ ენებზე, მსახურების გარკვეული ნაწილის ჩატარება და რაც სავარაუდოდ „პროპაგანდა ფიდეს" მიერ იყო გამონაკლისის სახით დაშვებული.

ოფიციალურად ქართულ ენოვანი მსახურების წესი მხოლოდ 1994 წელს იქნა ვატიკანის მიერ დამტკიცებული. მას შემდეგ რაც საქართველომ მიიღო დამოუკიდებლობა და ჩვენს ქვეყანაში ვატიკანის სადესპანო და სამოციქულო ადმისტრაცია დაფუძნდა. ასე რომ 1888 წელს თბილისის წმ. მარიამის მიძინების კათოლიკური ტაძრის მღვდლის მ. თამარაშვილის პროტესტი ქართული ენის მსახურებიდან ამოღების გამო, არის იმ პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის მიმართული მისაბაძი მაგალითი.

მ. თამარაშვილის თავგანწირვა და დაუღალავი შრომა მიმართული იყო ცარიზმის ასიმილატორული პოლიტიკის წინაარმდეგ. ეს იმპერიული პოლიტიკა ერთნაირად ებრძოდა კათოლიკურ ეკლესიასაც, ქართველობასაც და სომხებსაც. რუსეთის ხელისუფლება ამ ბრძოლაში ეფექტურად იყენებდა „გათიშე და იბატონეს" მეთოდს. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ის პრობლემა რასაც ესოდენი თავგანწირვით უპირისპირდებოდა მ. თამარაშვილი, ვატიკანმა სწრაფად და უმტკივნეულოდ გადაჭრა. მკაცრად გამიჯნა რა ერთმანეთისაგან ლათინური და სომხური საკრებულოები და ის პრობლემა, რაც კოლონიურ პერიოდში დაუძლეველად არსებობდა, უმალ მოგვარდა. ამის განხორციელებისათვის კი საქართველოში აუცილებელი იყო რუსეთის დიქტატის გადაგდება და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. იმ ბედუკუღმართ XIX საუკუნეში კი, რომ არა ქართველი მამულიშვილების - ილია ჭავჭავაძისა და მისი მიმდევრების, მათ შორის მ. თამარაშვილის (რომელიც კათოლიკე ქართველთა თვითმყოფადობის შენარჩუნების ლამის ერთად-ერთ მებრძოლს წარმოადგენდა), ივანე გვარამაძის თავგანწირვა, ალბათ ძალზე ძნელი იქნებოდა მესხეთში მცხოვრები იმ ათასობით კათოლიკური აღმსარებლობის ეთნიკურად ქართველის შენარჩუნება. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ მესხეთის მკვიდრ ქართველ

[1] თუმცა კონფესიური თვალსაზრისით, ისიც ცხადია, რომ XIX საუკუნეში სწორედ სომხურმა წესის ქართველმა პატრებმა შეინარჩუნეს მესხეთის კათოლიკური თემი.

კათოლიკეებში სომხური წესის გავრცელება არც მთლად დაძალების ფაქტორით უნდა აიხსნას. ჩანს ვაჭრობაში ჩაბმულ მესხი კათოლიკეებისათვის სომხური წესი უფრო მომგებიანი და კომფორტული იყო და ამ გარემოების გამო მავანნი ნებაყოფლობით გადადიოდნენ სომხურ რიტზე. ზუსტად ისევე, როგორც ოსმალეთის ბატონობის დამყარების შემდგომ მესხი დიდებულები მამულების შენარჩუნების მიზნით ხდებოდნენ ისლამის მიმდევრები[5].

რელიგიურმა პროზელიტიზმმა განსაკუთრებით აგრესიული სახე XIX საუკუნის პირველ ნახევარში მიიღო, როდესაც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ქალაქებში მცხოვრები ეთნიკური ქართველების კონფესიური „გასომხება" დაიწყო. კათოლიკეები, რომელთა საქმიანობაც ვაჭრობა და ხელოსნობა იყო, ცხადია მძლავრ კონკურენციას განიდიდნენ სომხური დიასპორისაგან. ამიტომ მათი საკმაო ნაწილი იძულებული იქნებოდა სომხურ კათოლიკურ რიტზე გადასულიყო, ისევე როგორც ქალაქში დამკვიდრებული ქართველი მართლმადიდებლები ხდებოდნენ სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლის წევრები. „ეს არ იყო უბრალო რელიგიური ან სავაჭრო კომბინაცია, რადგან მაშინ რელიგია და ეროვნება ჯერ კიდევ განუყოფელი მცნებები იყო. რომელ სარწმუნოებასაც აღიარებდი, იმ ერის კაციც იყავი"[6].

ეროვნული სახელმწოფოების არქონის და რუსული ცარიზმის გეგმაზომიერი ასიმილატორული პოლიტიკის ვითრებაში, მართლაც დიდი თავგანწირვა იყო ეროვნულობაზე გულაცრუებულ თანამემამულეებში ნაციონალური თვითშეგნებისა შენარჩუნება. ტყუილად კი არ უწოდა ი. ჭავჭავაძემ „მეორე ქართლის ცხოვრება", 1902 წელს გამოცემულ მ. თამარაშვილის პირველ წიგნს.[2] იძულებითი პროზელიტიზმის გავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანების გაგება შეიძლება მაგრამ მოწონება და შეგუება არა. ამიტომ მ. თამარაშვილიცა და მისი გარშემო დარაზმული რამოდენიმე კათოლიკე სასულიერო პირის საქციელი მაგალითად იქცა მთელი ქართველობისათვის. საუბედუროდ 900-იანი წლების პირველ ათწლეულში როგორც ილია ჭავჭავაძე, მიხეილ თამარაშვილიცა და დომენიკე პაწაძეც ტრაგიკულ ვითარებაში დაიღუპნენ.[3]

როდესაც მესხეთში და ასევე როგორც მთელ საქართველოში, XIII- XIX საუკუნებში მაცხოვრებელი კათოლიკობის აღმსარებელი მოსახლეობის სოციალური სურათის წარმოდგენა გვჭირდება, ამ კუთხით მ. თამარაშვილის კვლევები შეუდარებელი და ფასდაუდებელი მასალაა. ლაკონურ და პირველად დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით, წარმოდგენილი და გაანალიზებულია

[2] მ. თამარაშვილის პირველი, 844 გვერდიანი წიგნი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილი საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე" ტფილისი 1902 წ.

[3] მ. თამარაშვილის თანამოაზრე, ქართული კათოლიკურ-მართლმადიდებლური ჟურნალის „ჯვარი ვაზისას" დამფუძნებელი დონ დომენიკე პაწაძე, ვერაგულად იქნა მოკლული თავის ბინაში სოფ ახალხიზაში, გორის მაზრა. არსებობს მოარული ვერსიაც, რომ მორიგი მამხილებელი წიგნის გამოცემის წინ მ. თამარაშვილი სანტა-მარინელასთან შეგნებულად გათამაშებული ინციდენტის მსხვერპლი შეიქმნა.

საუკუნეების მანძილზე კათოლიკური მრევლის პოპულაციის ცვლილებები და თავისებურებები.

ლეოპოლდ რანკესა და იპოლიტ ტენის მიერ დახასიათებული ისტორიკოსის პოზიციებზე მყოფ ლიბერალური იდეებით გატაცებულ თანამედროვე მკვლევართ, რომელებიც უარყოფენ პატრიოტულ მოტივებს, ზოგჯერ მ. თამარაშვილის ტექსტებში ტენდენციურობის გამოვლენაც შეიძლება მოეჩვენოთ. მაგრამ უნდა დააგვავიწყდეს, რომ ლ. რანკეცა და იპ. ტენიც დამოუკიდებელი და იმ დროინდელი მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების წარმომადგენლები იყვნენ. სახელმწიფოებისა, რომლებიც არა თუ დაპყრობილი და გადაშენების პირას მისულნი, არამედ თავად იყვნენ კოლონიური იმპერიები.

მ. თამარაშვილის როგორც ისტორიკოსის კვლევებზე საუბრისა და შეფასებისას თვალში საცემია იაკობ გოგებაშვილის მიერ 1903 წელს ადვოკატური ისტორიის შესახებ გამოქვეყნებული ნააზრევის გათვალისწინება

„ბოლო ხანებში ყველა პატარა ერი, დიდ სახელმწიფოებთან შეერთებული, ცდილობს დამტკიცოს, რომ იგი ღირსია დაცულ იქნას თავისი ენით, ლიტარატურით . . . საუკეთესო ღონისძიებად ამ წადილის მისაღწევად მათ მიაჩნიათ გამორკვევა და გამოაშკარავება თავისი წარსული ცხოვრების ღირსებისა, ღვაწლისა, თავისებურებისა. ხშირად ამ გმაოკვლევას აქვს ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი: ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულებანი მცირდებიან, მაგრამ მათ სარჩულად უდევს უწმინდესი გრძნობა – მამულის სიყვარული და უზენაესი მიზანი – დაცვა თავისი ერის სიცოცხლისა”[7].

კათოლიკური მრევლი საქართველოში

ქრისტიანულ სამყაროში საქართველო იმ ქვეყნების რიგს მიეკუთვნება სადაც ქრისტიანული სწავლება პირველ საუკუნეში იქნა ნაქადაგები, ხოლო IV საუკუნეში რომის იმპერიის კვალდაკვალ ქართლის სამეფოში, შემდგომ კი ეგრისშიც, ქრისტიანობა უკვე სახელმწიფო რელიგიის სტატუსს იძენს.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდგომ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ საქართველომ ცალსახად ევროპული ორიენტაცია აირჩია და გაემიჯნა აღმოსავლურ ორიენტაციას.

პირველი საუკუნეებიდანვე ქართული სამეფო-სამთავროების საეკლესიო იერარქიის წარმომადგენლები მჭიდროდ იყვნენ ჩაბმულნი ქრისტიანული სამყაროს საეკლესიო ცხოვრებაში. უკვე ნიკეი-კონსტანტინოპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელიც 325 წელს გაიმართა და უდიდესი როლი შეასრულა ახალი

რელიგიის ორგანიზაციულ და დოგმატურ ფორმირებაში, დელეგატად მონაწილეობდა პიტიუნტის ეპისკოპოსი სტრატოფილე[8].

საქართველოდან წარგზავნილი მღვდელმთავრები, ასევე შემდგომ მსოფლიო საეკლესიო კრებებშიც იღებდნენ მონაწილეობას და რაზეც თავის კვლევებში, ვატიკანის არქივებში დაცული წყაროებზე დაყრდნობით არაერთგზის მიუთითებს მ. თამარაშვილი.

საქართველოს საერო თუ სასულიერო წრეების წარმომადგენლები ქვეყნის საერთაშორისო ინტერესებისა და ასევე ქრისტიანობის რელიგიურ-დოგმატური მოთხოვნების გათვალისწინებით ცდილობდნენ წარემართათ თავიანთი მოღვაწეობა და საერთაშორისო და ეკლესიათშორისი ურთიერთობანი. ეს ურთიერთობანი კი მსოფლიოში არსებული პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე საკმაოდ რთული იყო.

XX საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი და სასულიერო პირი, ეკლესიის ისტორიის მკვლევარი ივ კონგარი 1959 წელს, თავის წიგნში „დანაწევრებული ქრისტიანობა" აღნიშნავს, რომ 323 წლიდან 787 წლამდე, ანუ 464 წლის განმავლოვაში, ბერძენ-ლათინთა განხეთქილება 203 წელს გრძელდებოდა. სხვა მკვლევართა გაანგარიშებით 506 წლის განმავლობაში, 217 წელი სქიზმა იყო ბერძნებსა და ლათინებს შორის. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ სქიზმების მიუხედავად ისინი ერთმანეთს ეკლესიებად განიხილავდნენ, ანუ იყვნენ და-ეკლესიები. ორივე მხარე ცდილობდა ერთიანობის აღდგენას. ბერძენთა და ლათინთა რწმენით იმის მიუხედავად, რომ არსებობდნენ და-ეკლესიები, ქრისტეს ეკლესია ერთი მთლიანი სხეული იყო და ამ ერთიან სხეულს ხუთი თავი ანუ საპატრიარქო განაგებდა[9].

მეორე ათასწლეულში რომსა და კონსტანტინოპოლს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო მძიმდება. მართალია ამის მთავარი მიზეზი აღმავლობის გზაზე მყოფი რომის საღვთო იმპერიისა და საერთო კრიზისის გამო დასუსტებული აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტია) პოლიტიკური დაპირისპირება გახლდათ.

1054 წლის განხეთქილების, განსაკუთრებით კი 1204 წლის IV ჯვაროსნული ლაშქრობისა და 1263 წელს კონსტანტინოპოლიდან ლათინთა განდევნის შემდგომ აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიები დასავლეთის ანუ ლათინურ ეკლესიას მართლმადიდებლურად აღარ აღიქვამენ. მაგრამ საერთაშორისო ვითარება, კერძოდ კი, თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლა, შემდგომ კი მონღოლთა ფართო მასშტაბიანი ექსპანსია, აიძულებდა აღმოსავლეთის სახელმწიფოებს დახმარება ეძებნათ შედარებით ძლიერ დასავლეთ ევროპის მონარქებთან. ეს დახმარება კი დასავლეთ სამყაროს ერთპიროვნული სულიერი ლიდერის რომის პაპების მორალური მხარდაჭერის გარეშე შუა საუკენეების პოლიტიკოსებისათვის წარმოუდგენელი იყო [10].

სწორედ ამ საერთაშორისო ვითარების გათვალისწინების და არა რელიგიურ-დოგმატური მოსაზრების გამო. საქართველოს მეფე რუსუდანი რომის

პაპს ჰონორიუს III-ს, შემდგომ კი გრიგოლ IX-ს მიმართავს თხოვნებით აღმოუჩინოს დახმარება[11].

საქართველოს მეფის თხოვნა რომს უპასუხოდ არ დაუტოვებია და 1240 წლიდან თბილისში წმ. მარტინის სახელობის მონასტერიც დაუარსებია. დღეს ამ მონატრის მდებარეობის დაახლოებითი მიკვლევაც კი შეუძლებელია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მისი დაარსების მიზანი და ფუნქციაც არა იმდენად რელიგიური, არამედ უფრო დიპლომატიური გახლდათ. იმხანად ისევე როგორც დღეს, წმინდა საყდრის სადესპანოები ერთგვარ მონასტრებადაც შეგვიძლია განვიხილოთ. ადრეულ შუა საუკუნეებში ადვილი შესაძლებელია, რომ ვატიკანის დესპანების რეზიდენციებიც ერთგვარ მონასტრებსაც მივიჩნიოთ, ოღონდ მათ უმთავრესი მისია დიპლომატიური საქმიანობა გახლდათ. ეს რომ სწორედ ასე უნდა ყოფილიყო, ამის მტკიცების უფლებას გვაძლევს მკვლევარისა და სასულიერო პირის მიხეილ თამარაშვილის ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოქვეყნებული ნაშრომები, რომლებიც ვატიკანის არქივების დეტალური შესწავლისა და სათანადო გაანალიზების შედეგადაა შექმნილი.

არც მ. თამარაშვილის და არც სხვა მკვლევართა ნაშრომებში არსად არ ჩანს კვალი, რომ XIII საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე ლათინური წესის სასულიერო პირები, რაიმე სახის მისიონერულ საქმიანობას ეწეოდნენ.

ასევე, ქართულ-რომაულ ურთიერთობათა მკვლევარი მ. პაპაშვილი თავის წიგნში „საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს", მ. თამარაშვილის კვლევებზე დაყრდობით აღნიშნავს, რომ „ჩვენ არ ვიცით, რამდენად შესძლეს ამ მისიონერებმა თავიანთი ამოცანის შესრულება. . . წყაროთა უქონლობის გამო ძნელია, ითქვას, თუ რა შედეგს აღწევენ კათოლიკე მისიონერები საქართველოში, ან ქართველი პოლიტიკოსები როგორ პოზიციას იჩენდნენ ვატიკანის რელიგიური პოლიტიკის მიმართ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დრო გამოშვებით, მაგრამ მაინც აგზავნიდნენ პაპები საქართველოში მისიონერებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მონღოლთა უღელქვეშ მოქცეული ქართველი მესვეურები რომის სახით შესაძლებელ მოკავშირეს ხედავდნენ და ამ იმედით მისიონერთა საქმიანობას, შეძლებისდაგვარად, ხელსაყრელ პირობებს უქმნიდნენ. რაც შეეხება ეკლესიათა გაერთიანების საქმეს, მასზე ქართველ პოლიტიკოსებს აღარ უზრუნიათ[12].

მ. პაპაშვილი თავის მოსაზრებას ამყარებს ივ. ჯავახიშვილის იმ თეზისით, რომ „საქართველოს მმართველი წრეებისათვის რომის ეკლესიასთან შეერთების საკითხს უფრო პილიტიკური მიზანი ჰქონდა, ვიდრე სარწმუნოებრივი"[13].

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას კიდევ ერთხელ ამყარებენ საქართველოს უახლესი ისტორიის ფაქტები. 1999 წელს, პოლიტიკური მოსაზრების გამო, საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი დიდი ძალისხმევის ფასად ახერხებს თბილისში ვიზიტებით გადაღლილი პაპის იოანე-პავლე II-ს მოწვევას. მის პოზიტიურ შედეგებზე ძნელია საუბარი, რადგან სწორედ ამ ვიზიტის შემდგომ სერიოზულად დაიძაბა ვითარება საქართველოსა და ვატიკანს შორის ჩვენს

ქვეყანაში აგორებული მძლავრი ანტიკათოლიკური განწყობის გამო. შემდგომ წლებში მიუხედავათ იმისა, რომ ქართული სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები არა-ერთი თხოვნით მიმართავდნენ ვატიკანს და კათოლიკური ეკლესიის მესვეურებიც დადებითად ეხმაურებოდა ამ თხოვნებს, ქვეყნის შიგნით ანტიკათოლიკური ტალღა არ შესუსტებულა. პირიქით, საქართველოში ვიზიტით მყოფ ვატიკანის მაღალ იერარქებს, ასევე კავკასიაში სამოციქულო დესპანს არაერთხელ მიაყენეს შეურაწყოფა რადიკალურად განწყობილმა მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა და მრევლის წევრებმა. მასალები ამ ინციდენტებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია ჟურნალ „საბას" 2001-2008 წლის ნომრებში.

ვატიკანთან სახელმწიფოებრივ დონეზე ურთიერთობის დათბობა რომის პაპის ვიზიტიდან ზუსტად 10 წლის შემდეგ იწყება, როცა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საშობაო წირვაზე ეწვია თბილისის კათოლიკურ კათედრალს და ვრცელი სიტყვით მიმართა იქ შეკრებილ მრევლსა და ვატიკანის სადესპანოს წარმომადგენლებს. 2010 წლის მაისში კი მოხდა საქართველოს პრეზიდენტის პირველი შეხვედრა რომის პაპთან, რომლის დროსაც აქცენტი გაკეთდა ქართველი კათოლიკეების დიდ როლზე ქვეყნის ისტორიაში. 2010-2011 წლებში საქართველოს პრეზიდენტი კვლავ სტუმრობდა თბილისის კათოლიკურ კათედრალს, სადაც ქვეყნის პრეზიდენტს ვატიკანის ელჩმა პაპის მილოცვა და სურვილი გადასცა, რომელშიც კათოლიკური ეკლესიისადმი შეპირებული იურიდიული სტატუსის მინიჭების შესახებ იყო მოკრძალებული თხოვნა (უფრო სწორედ შეხსენება) გაჟღერებული. 2011 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი რელიგიური გაერთიანებებისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ, რაც თავის მხრივ სამართლებრივი კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა საქართველოში ათწლეულების მანძილზე დაგროვილ იმ პრობლემების გადაჭრას, რაც აღელვებს კათოლიკურ ეკლესიას, კიდევ დიდი დრო დასჭირდება. ეს კი დამოკიდებული იქნება იმაზე თუ რამდენად ნაყოფიერი მხარდაჭერა ექნება საქართველოს ვატიკანისაგან, ჩვენი ქვეყნის წინაშე დაგროვილ საერთაშორისო პრობლემათა წარმატებით გადაჭრის საქმეში. საქართველოსათვის კი ოფიციალური ვატიკანის მხარდაჭერას ცალსახად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით.

XIV საუკუნეშიც, ზუსტად მსგავსი საერთშორისო პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, გიორგი V-მ დიდი ძალისხმევის ფასად შესძლო დაერწმუნებინა პაპი იოანე XXII ქ. სმირნიდან თბილისში გადმოეტანა საარქიეპისკოპოსო კათედრა. მან თითქმის 150 წელი იარსება. როგორც ჩანს ვატიკანისათვის თბილისში მოქმედი ლათინური წესის კათედრა სასურველი შედეგის მომტან საქმიანობას ვერ ახორციელებდა, რადგან იგი შემდგომში სხვაგან იქნა გადატანილი. კათედრის გადატანა და მითუმეტეს საერთოდ გაუქმება ეს ეკლესიის პრაქტიკაში არ ხდება. ყოველი ეკლესია ცდილობს უკანასკნელი რესურსების გამოყენებითაც

შეინარჩუნოს არსებული დიოცეზები და კათედრები. ამიტომ ვფიქრობთ, რომ XIII-XV საუკუნეებში თბილისში, ასევე ცხუმში არსებული ლათინური წესის კათედრები თუ მონასტრები, მხოლოდ ვატიკანის დიპლომატიურ მისიებს წარმოადგენდნენ და არა პირდაპირი გაგებით ეკლესიურ-სამისიონერო ცენტრებს.

ვითარება კარდინალურად იცვლება XVI საუკუნეში, რომში პროპაგანდა ფიდეს (რწმენის გავრცელების კონგრეგაციის) დაფუძნების შემდგომ. სწორედ ამ დროიდან საქართველოში პერიოდულად მოღვაწეობენ პროპაგანდა ფიდეს მიერ გამოგზავნილი, სხვადასხვა ბერ-მონაზვნული ორდენის წარმომადგენელი მისიონერი მღვდელმსახურები.

სწორედ XVI საუკუნიდან ქართულ სამეფო-სამთავროებში ჩნდებიან ლათინური წესის მიმდევართა შედარებით მრავალრიცხოვანი ჯგუფები და კათოლიკე მორწმუნეთა ქართული თემიც სერიოზულ კულტურულ და ასევე სავაჭრო-საფინანსო როლს თამაშობს.

XVI საუკუნეში მისიონერთა მიერ საქართველოდან რომში გაგზავნილ რელაციებში უკვე ფიქსირდება მათ მიერ ლათინური წესით მონათლულ ადამიანთა რიცხვი.

კათოლიკეთა თემის ფორმირება

ერთი ნახევრად სერიოზული გამონათქვამი გვამცნობს, რომ არსებობს ტყუილი, დიდი ტყუილი და სტატისტიკა. და თუ სტატისტიკა პოლიტიკას ან რელიგიის სფეროს ეხება, სინამდვილის დოზა კიდევ უფრო მცირდება. გავიხსენოთ ერთი ფაქტი, არც თუ შორეული წარსულიდან. მავანნი მედიის საშუალებით აფრთხილებდნენ საზოგადოებას, არიქა, იეღოველების რიცხვი 100 ათასს აჭარბებსო, სინამდვილეში კი იეჰოვას მოწმეთა რაოდენობა საქართველოში 6 ათასს არასდროს ასცილებია. ერთ–ერთ ინგლისურ ცნობარში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ბრიტანეთში ებრაელების რაოდენობა 350 ათასია. მაგრამ იქვე იყო მინიშნება, რომ ეს რაოდენობა ბევრად მრავალრიცხოვანია. უბრალოდ, სხვადასხვა მოსაზრებების გათვალისწინებით, აღნიშნული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები არ აფიქსირებენ ოფიციალურ გამოკითხვაში თავიანთ ეთნო-რელიგიურ წარმომავლობას. მაგალითად, საბჭოთა კავშირში შემცირებული იყო პოლონელთა და გერმანელთა რაოდენობა, ხოლო აფხაზეთის ასსრ-ში გაზრდილი იყო ზოგიერთი ეთნოსის პროცენტული რიცხვი. რაც შეეხება კონფესიურ მხარეს, რელიგიური კუთხით მოსახლეობის აღრიცხვა ოფიციალურად საერთოდაც არ წარმოებდა. ერთი სიტყვით, სტატისტიკა პოლიტიკის მსახურს წარმოადგენს, ისევე, როგორც შუა საუკუნეებში ფილოსოფია იყო თეოლოგიის მსახური. და თუ გურამ დოჩანაშვილის ლიტერატურაზე უსაზღვროდ შეყვარებულ გმირსაც

გავიხსენებთ, რომელსაც არ უყვარდა უბრალო არითმეტიკული სტატისტიკა, შეიძლება ერთგვარი დილემის წინაშე აღმოვჩნდეთ – ვენდოთ თუ არა? და მაინც, პოსტმოდერნისტულ ეპოქასა და ურბანისტულ გარემოში მცხოვრებისათვის, სტატისტიკა და ინფორმაცია ლამის „ალმა მატერზე" მეტად ფასობს. ამიტომ მეტი თვალსაჩინოებისათვის სტატისტიკურ მონაცემებს მოვიშველიებ.

კათოლიკე ეკლესიის მიმდევარნი, ისინი, ვინც თანაზიარებაში იმყოფებიან რომის ეპისკოპოსთან, დედამიწაზე არსებულ კონფესიათა შორის, ყველაზე მრავალრიცხოვან აღმსარებლობას წარმოადგენენ.

1990 წლისათვის მსოფლიოში დაახლოებით მილიარდი კათოლიკე ცხოვრობდა (ანუ ვინც დააფიქსირა თავისი რელიგიურობა, სსრკ-სა და ჩინეთში მცხოვრები კათოლიკენი ამ რაოდენობაში გათვალისწინებული არ ყოფილან), ეს ციფრი პლანეტის იმდროინდეილი მოსახლეობის 17.5 % -ს შეადგენდა, ანუ მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ყოველი მე-5 ადამიანი ფორმალურად მაინც, კათოლიკე იყო[14].

დღეისათვის კათოლიკეთა საერთო რაოდენობა, 1.1 მილიარდს აჭარბებს, რაც მსოფლიო მოსახლეობის საერთო რაოდენობის 17%ს შეადგენს. კონტინენტების მიხედვით ყველაზე მეტი კათოლიკე ამერიკაში ცხოვრობს, კონტინენტის მოსახლეობის 65%. მეორე ადგილზე ევროპაა, სადაც კათოლიკენი მთელი მოსახლეობის 42%ს შეადგენენ. შეერთებულ შტატებში კათოლიკენი უმრავლესობას წარმოადგენენ - 65 მილიონი, მთელი ქვეყნის მოსახლეობის 25%. ამ მხრივ საქართვლოში კათოლიკეთა რაოდენობა ერთობ მოკრძალებულია, დაახლოებით 1%. 1898 წლის აღრიცხვით ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში 20 ათასი ქართველი კათოლიკე სახლობდა (უნდა ვიფიქროთ, რომ "ქართველში" – ლათინური წესის კათოლიკეები იგულისხმება), 1912 წლის აღრიცხვით კათოლიკეთა რაოდენობა 30 ათასს აღწევდა [15].

***

ისტორიული წყაროების თანახმად ლათინური წესის კათოლიკე მორწმუნეები საქართველოს ტერიტორიაზე XIII საუკუნიდან ცხოვრობდნენ, თუმცა ზუსტი სტატისტიკური მონაცემები მათი რაოდენობის შესახებ არ მოიპოვება. არსებობს სხვადასხვა ისტორიული წყაროები, რომლებიც გვაწვდიან მწირ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ საქართველოს სამეფო-სამთავროების სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში, სხვადასხვა დროს, რამდენი კომლი ლათინური წესის მიმდევარი მორწმუნე სახლობდა. მაგალითად, კათოლიკური მისიონის არსებობის შემთხვევაში კონკრეტულ ქალაქში თბილისი იქნებოდა, ცხუმი, გრემი, ცხინვალი, გორი თუ ონი, სწრაფად ფორმირდებოდა ლათინური წესის მორწმუნეთა საკრებულოები, მაგრამ ისტორიულ-პოლიტიკური კატაკლიზმებისა და პოლიტიკურ ორიენტაციათა რყევების გამო, ეს საკრებულოები კათოლიკური მისიის გაუქმებისა

და მოძღვრის გარეშე დარჩენის შემთხვევაში სწრაფადვე უბრუნდებოდნენ საქართველოს ან სომხეთის საკათალიკოსოთა წიაღს.

საქართველოს ქალაქებში უკვე შუა საუკუნიდან საკმაოდ ძლიერი სომხური ექსპანსია დაიწყო და ეს ექსპანსია არა მხოლოდ სომხური სამოციქულო ეკლესიის მხრიდან წარმოებდა, არამედ სომხური წესის კათოლიკეთა მხრიდანაც. მაგალითისთვის 1546 წელს საქართველოს ტერიტორიაზე 102 სომეხი უნიატი ბერი შემოვიდა და მისიონერული საქმიანობა გააჩაღა, ძირითადად სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე. (აქაც და შემდგომაც სტატისტიკური მონაცემები ამოღებულია მ. თამარაშვილის წიგნიდან „ისტორია კათოლიკობისა საქართველოში"). ცხადია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ მცდელობას საკმაო შედეგებიც მოჰყვებოდა, ვინაიდან ისინი საკმაოდ ძლიერ მხარდაჭერას გრძნობდნენ უცხოეთიდან. სწორედ ამ პერიოდში ქართველი კათოლიკეების ძირითადი, თუ სრულად არა, ნაწილი დაუბრუნდა ქართულ ეკლესიას. მოვლენის ერთადერთი მიზეზი საეკლესიო მსახურებაში სომხური ენის შემოტანა გახლდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ვატიკანი საქართველოში XIII საუკუნიდანვე რომი საქართველოში მხოლოდ ლათინური წესის მღვდლებს აგზავნის (ცხადია ქართველ მეფე-მთავართა დაჟინებილი თხოვნის საფუძველზე), რომლებიც ქართულად ატარებდნენ მსახურებას, ხოლო ოდიშის სამთავროში კი – მეგრულად ქადაგებდნენ. სომეხმა უნიატებმა შესძლეს ქართული ეთნოსით დასახლებულ ტერიტორიებზე თავიანთი მისიონერული საქმიანობის საკმაოდ ნაყოფიერი წარმართვა. მათ უმთავრეს ასპარეზად ოსმალეთის იმპერიაში იძულებით შეყვანილი და რამოდენიმე საფაშოდ დაყოფილი სამცხე-საათაბაგო იქცა..

XVII საუკუნის პირველი ნახევრიდან, მას შედეგ რაც საქართველოს სამეფო სამთავროებში აღორძინდა კათოლიკური მისიები, ლათინური წესის ქართველ მორწმუნეთა რაოდენობა შედარებით სწრაფად იზრდება. 1667 წელს თბილისში კათოლიკეთა რვა ოჯახი ცხოვრობდა. თუმცა წყაროებიდან სჩანს, რომ კათოლიკე მღვდლებთან აღსარებას ბევრი სხვა მორწმუნეც ამბობდა, მისიონის სკოლაში კი 25 მოსწავლეს უსწავლია.

1676 წელს თბილისის კათოლიკური სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა უკვე 50 აღწევდა. ამავე პერიოდში ლათინური წესის კათოლიკური ეკლესიები არსებობდა გორსა და ქუთაისში. ქუთაისის გარდა, იმერეთის სამეფოში კათოლიკური მრევლი ონშიც ყოფილა. 1751 წელს ონში დაახლოებით 35 კათოლიკეს უცხოვრია. თუმცა 1754 წლიდან ეს მისიონი აღარ არსებობს ოსმალეთიდან შემოგზავნილი ბერძენი მღვდლების აქტიური ზეწოლის გამო[16].

ოსმალეთიც, ირანიც და შემდგომ რუსეთიც ჩვენს ქვეყანაში ლათინური წესისადამი ქართველთა სიმპათიებში საქართველოს დამოუკიდებლობისა და ევროპისაკენ სწრაფვას ხედავდნენ.

ისტორიული წყაროები იმასაც გვატყობინებენ, რომ ამ პერიოდში გორში ორი ეკლესია ყოფილა, რომელიც მართმადიდებელთა ხელში იყო გადასული და რომელთაგან ერთი მეფე ვახტანგ V შაჰნავაზს კათოლიკეებისათვის დაუბრუნებია.

ისტორიული წყაროების თანახმად, 1669 წელს გორში კაპუცინებს 300 მეტი ბავშვი მოუნათლავთ. ეს საკმაოდ დიდი ციფრია (ცხადია, თუ სიმართლეს შეეფერება) ისეთი პატარა ქალაქისათვის როგორიც იმხანად გორი იყო.

შედარებით ზუსტი მონაცემები კათოლიკე მორწმუნეთა რაოდენობის შესახებ XIX საუკუნიდან შეიძლება მოვიძიოთ. მართალია, არც ეს რაოდენობაა სრული სახით წარმოდგენილი, თუმცა იმ ხანად საერთოდ არც სხვა რელიგიათა და კონფესიათა მიმდევრების შესახებ არსებობს დაზუსტებული ინფორმაცია. და მაინც, 1802 წლისათვის ცხინვალში, სადაც კათოლიკური ეკლესიის ნაგებობაც კი არ იყო, 30 კათოლიკე სახლობდა, მათ სურვილიც ჰქონიათ ტაძრის აგებისა, მაგრამ რუსეთის მმართველობას ნება არ მიუცია. ამავე პერიოდში თბილისის კათოლიკურ სკოლაში 12 მოსწავლეს უსწავლია.

1814 წლის მონაცემებით თბილისში 55 კათოლიკური ოჯახი სახლობდა, ხოლო 1830 წლისათვის კათოლიკურ ოჯახთა რაოდენობამ 92 ოჯახს მიაღწია. XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში გორში 30 კომლი კათოლიკე ცხოვრობდა, რომლებმაც იმ პერიოდში დაიწყეს ახალი ტაძრის მშენებლობა. შედარებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონიათ კათოლიკეებს იმერეთში, სადაც უკანასკნელმა ქართველმა მეფემ სოლომონ II-მ კათოლიკეებს მიწის ნაკვეთიც უბოძა ეკლესიის ასაშენებლად და ერთი პატარა სოფელიც თავის გამოსაკვებად. რაც შეეხება ახალციხეს XIX საუკუნის დასაწყისში 450 კომლი კათოლიკე სახლობდა.

1818 წელს საქართველოში (იგულისხმება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სამხრეთ საქართველო იმხანად ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო ნ.ბ.) ლათინური წესის კათოლიკეთა რაოდენობა 9 000 ყოფილა. ამ ინფორმაციას აწვდის კაპუცინი მღვდელ-მონაზონი ამადე პიემონტელი პროპაგანდა ფიდეს[17].

XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსათვის, საქართველოს ტერიტორიაზე სწრაფად იზრდება კათოლიკეთა რაოდენობა, რაც ჩვენის აზრით, ორი მიზეზით არის განპირობებული. პირველი - ეს გახლავთ 1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ სამხრეთ საქართველოს შემოერთება; ოსმალეთისათვის წართმეულ ამ ტერიტორიაზე რამდენიმე ათასი ქართველი და სომეხი კათოლიკე სახლობდა. მეორე მიზეზი კი – საქართველოში ევროპელების ჩამოსახლებაა. ვარშავის აჯანყების შემდგომ ცარიზმმა 1830 წელს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რამდენიმე ათასი პოლონელები კავკასიაში გადმოასახლა.

კათოლიკეების მასობრივი ჩამოსახლება მოხდა XX საუკუნეშიც. I მსოფლიო ომის შემდგომ ასეულობით ასირიელმა ოჯახმა შეაფარა თავი თბილისს. მათ შორის მრავალი ასირიულ-ქალდეური წესის კათოლიკე იყო.

1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარდა მოსახლეობის აღწერა, რომლის თანახმადაც ვიგებთ, რომ იმჟამად ტფილისსა და ქუთაისის გუბერნიებში, სოხუმისა და ბათუმის ოლქების ჩათვლით 20 ათასს ქართველ კათოლიკეს უცხოვრია (მოსახლეობის საერთო რაოდენობა 1,9%). მონაცემები ამოღებულია 1921

წელს გამოცემული საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოდან და საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებიდან. თუმცა აქ ერთი გაუგებრობა იჩენს თავს, თუ ქართველ კათოლიკეში იგულიხმება ლათინური წესის მიმდევრები, მაშინ ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში მცხოვრები კათოლიკე მორწმუნეები ამ ციფრში არ უნდა იყოს ნაგულისხმევი, ვინაიდან მათი უმრავლესობა იმჟამად ეროვნების მიუხედავად, სომხური ტიპიკონის მიმდევარი იყო. ანუ სამცხეში მკვიდრი ათასობით ეთნიკური ქართველი, სომხურ კათოლიკური წესის მიმდევარი გახლდათ. ხოლო თბილისში ქართველთა გარდა, ლათინური წესის მიმდევარი სხვადასხვა ეროვნების მრავალი კათოლიკე ცხოვრობდა. ასე რომ 20 ათასი ქართველი კათოლიკე არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს.

გამოდის 1921 წელს გამოცემულ საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოში აშკარა უზუსტობა არის დაფიქსირებული. თუ არა და სად არიან ათასობით პოლონელი, გერმანელი, ფრანგი, სომეხი კათოლიკეები, ისინიც ხომ უნდა ყოფილიყვნენ აღრიცხულნი და დაფიქსირებული?

1913 წელს კვლავ ჩატარდა მოსახლეობის აღწერა და აღმოჩნდა, რომ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში კათოლიკეების რაოდენობა 10 ათასით გაიზარდა და 30 ათასს მიუღწევია (მოსახლეობის საერთო რაოდნობა 2.6 მილიონი ადამიანი). ოღონდ სტატისტიკურ გრაფაში, ისევ ქართველი კათოლიკები არიან მითითებული და არა ზოგადად რომის კათოლიკები. თუმცა არაქართველ კათოლიკეთა რაოდენობა საკმაოდ მაღალი იყო.

თუ დაახლოებით 15 წელიწადში კათოლიკეების რაოდენობა 10 ათასით გაიზარდა და ეს ნამატი პროპორციულია იმ პერიოდის მოსახლეობის ზრდის საერთო ნამატისა, კათოლიკეთა რაოდენობა 1897 და 1913 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ორივე გუბერნიის მოსახლეობის 1,5 %-ს შეადგენდა [18].

კათოლიკეთა თემის დაფუძნება სამცხე-ჯავახეთში

სამცხე-საათაბაგოს, ანუ ოსმალეთის მიერ მიტაცებულ ქართულ ტერიტორიებზე, განსხვავებით სხვა ქართული სამეფო-სამთავროებისა, კათოლიკურ თემს განვითარების თავისი განსხვავებული ისტორია გააჩნია. ოსმალეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ყველა ქრისტიანი თავიდან კონსტანტინოპოლის პატრიარქს დაუქვემდებარეს, მაგრამ XVII საუკუნიდან ოსმალეთის იმპერიის დასუსტება იწყება და ამ საერთო პოლიტიკური კრიზისის ფონზე ოსმალეთის სულთანი იძულებული ხდება გაითვალისწინოს ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს საფრანგეთის ინტერესები. საფრანგეთი XVII-XVIII საუკუნეებიდან

იქცა ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანთა, კერძოდ ლათინური წესის კათოლიკე მორწმუნეთა რელიგიური თავისუფლების გარანტად.

XVII საუკუნე მნიშვნელოვანი ეპოქაა საქართველოში რომის კათოლიკე ეკლესიის გააქტიურების კუთხით. ქართველთა ელჩობები წმინდა საყდარში, ლათინური წესის მისიონების ამოქმედება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების გამოცემანი და სხვა მრავალი კულტურული სახის აქტიობები, ნათელ კვალად გასდევს „ვერცხლის ხანად" და „ქართულ ბაროკოდ" მონათლულ მთელ XVII საუკუნეს.

მართალია XVI საუკუნეში ქართლში, იმერეთში, ოდიშსა და გურიაში მოქმედებდნენ თეატინელთა, ავგუსტინელთა, კარმელიტთა, იეზუიტთა, კაპუჩინთა ორდენის წარმომადგენელი ბერ-მონაზვნები და მათ მიერ სამრევლოებიც არსდებოდა, მაგრამ კათოლიკე მისიების მოღვაწეობა სისტემურ ხასიათს არ ატარებდა. ამიტომ, როდესაც კი მთავრდებოდა რომელიმე კონკრეტულ ადგილზე კათოლიკეთა მისიონერთა ფუნქციონირება, კათოლიკე ანუ ლათინური წესის და ბერძნულ-კათოლიკური ანუ უნიატურ-ბასილიანური წესის მიმდევრები, ისევ ბერძნულ-მართლმადიდებლურ ანუ აღმოსავლური წესს უბრუნდებოდნენ.

XVIII საუკუნიდან სერიოზული და სისტემური ფუნქციონირება დაიწყო კათოლიკურმა მისიამ ოსმალეთის მფლობელობაში შემავალ სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე. სამცხე-ჯავახეთში კაპუჩინთა ორდენის მისია დაფუძნდა და 1845 წლამდე იარსება, სანამ რუსეთის მთავრობამ პოლიტიკური მოსაზრებების გამო ოსმალეთში არ გააძევა კაპუცინები.

1710 წ. პროპაგანდა ფიდემ დაადგინა ახალციხეში მისიონის დაფუძნება. 1715 წელს კაპუჩინები უკვე მოღვაწეობდნენ ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე. 1748 წლისათვიას ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე კათოლიკეთა რაოდენობა უკვე 15 ათასს შეადგენდა. „ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ნაყოფიერი ნიადაგი დახვდებოდა კათოლიკე პატრებს უხვი მოსავლის მოსამკელად. ძნელია, დასახელებული რიცხვიდან ვთქვათ, დაახლოებით რამდენი იყო ქართულ ტიპიკონზე მდგარი კათოლიკეები, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ"[19].

კაპუჩინებთან ერთად ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე სომხური ტიპიკონის მღვდლების მოქმედებდნენ და ამ ორი ტიპიკონის მღვდელმსახურებს შორის საკმაოდ მძლავრი კონკურენცია სუფევდა. საყურადღებო ის გარემოებაა, რომ ლათინური და სომხური წესის მღვდლებს შორის, უცხოელებთან ერთად მრავლად იყვნენ ეთნიკურად ქართველი სასულიერო პირები, რომლებიც კონფესიური კონკურენციის დუელში იყვნენ აქტიურად ჩაბმულნი. ეს კონკურენცია კი თავის მხრივ ხელს უწყობდა სასულიერო პირების განათლების, საერთო მომზადებისა და პროფესიონალიზმის ზრდას, რაც უდავოდ სასიკეთოდ მუშაობდა მათი მისიის ნაყოფიერებაზე. ასე რომ კონკურენცია, რაც ბიზნესის სფეროს განვითარებისათვის აუცილებელ ფაქტორად არის მიჩნეული, სასულიერო

სფეროშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. მსგავსი ტენდენცია დღესაც აღინიშნება, ოღონდ ბევრად ფართო და შეუწყნარებელი მასშტაბებით.

ახალციხეში კონფესიურ კონკურენციაში აქტიურად ჩაებნენ სომხური სამოციქულო ეკლესიის მღვდელმსახურებიც, რომლებიც არაკეთილსინდისიერი საშუალებებით უპირისპირებოდნენ კათოლიკე სამღვდელოებას და ამ ქმედებაში ოსმალო ხელისუფლების მოქრთამვასაც არ ერიდებოდნენ. მაგ. სომეხთა კათალიკოსი სიმონი „წინასწარ მოელაპარაკა ახალციხის ნომან ფაშას, გაარკვია თავისი უფლებები, მისცა დიდძალი ქრთამი (15 ქისა თეთრი) და 1769 წლის ივლისში ქართველ კათოლიკეთა მონასტერი ჯერ ააკლებინა შემდეგ დაალუქინა და ქართველიო ხუცები დააპატიმრებინა". შემდგომ ახალმა ფაშამ 12 ქისის საფასურად დაპატიმრებული პატრები გამოაშვებინა, *(ქრისტიანულ კონფესიათა კონკურენციის პირობებში მუსლიმი მოხელეები საკმაოდ კარგ შემოსავალს იძენდნენ, ისევე როგორც დღეს ისრაელის ხელისუფლება მილიონებს იხვეჭს ქრისტიანი მომლოცველების ხარჯზე).* რომლებმაც საფრანგეთის ელჩის თანადგომის გამოყენებით ფართოდ გაშალეს საქმიანობა. მსგავსი დაპირისპირების მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ეკლესიის ფაქტორის აქტიურ გამოყენებას პოლიტიკურ პროცესებში [20].

ამ ფაქტებიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, „კათოლიკობის შესანარჩუნებლად თუ რა შიშისა და ტანჯვის გადატანა უხდებოდათ სამცხის ქართველებს. იგი მუდამ ხდებოდა ვაებისა და მწუხარების მიზეზი, მაგრამ ქართველობა ამას არ თმობდა, რადგან აქ ქრისტიანობის შენარჩუნება მხოლოდ კათოლიკობით იყო შესაძლებელი. სამცხელი პატრიოტებისათვის კი ეს ქართველობის ტოლფასი კატეგორია იყო"[21].

აქ ვერ დავეთანხმებით ზევით მოყვანილი სტრიქონების ავტორს, ცნობილ მეცნიერს ს. ლომსაძეს. სხვადასხვა უცხოური წყარობის მიხედვით ირკვევა, რომ ოსმალეთის იმპერიაში მართლმადიდებელი ან სხვა კონფესიის ქრისტიანების დევნის შესახებ ცნობები ერთობ გაზვიადებულია.[4] პირიქით ოსმალებმა კონსტანტინოპოლის ბერძენ პატრიარქს დაუმორჩილეს ყველა სხვა ქრისტიანული აღმსარებლობის მღვდელმსახურები და ბერძნები საკმაოდ კარგად აკონტროლებდნენ ხელყოფისაგან ოსმალეთსა და საქართველოშიც კი, მართლმადიდებელ საკრებულოებს[22].

ისევ ამ ავტორის წიგნიდანაც ნათლად ჩანს, რომ ბერძენი სასულიერო პირები ქართლშიც საკმაოდ აქტიურად ებრძოდნენ და ამარცხებდნენ კათოლიკე

[4]კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდგომ მართლმადიდებელი პატრიარქისათვის სულთნების მიერ ბოძებული დიდი უფლებების შესახებ არაერთგზის წერდნენ სტივენ რანსიმენი, შარლ დილი, ჯოზეფ გილი, ჯოვანი გუაიტა. ანთიმოზ ივერიელის დასჯაც სწორედ კონსტანტინოპოლელი ბერძენი სასულიერო პირების კატეგორიული მოთხოვნით განხორციელდა. ქრისტიანობისადმი ოტომანთა იმპერიის დამოკიდებულებაზე თვალნათლივ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დღეისათვის თურქეთის ტერიტორიაზე არსებული თითქმის უკლებრივ ყველა ქრისტიანული ტაძარი, სულთნების დროსაა აგებული და არა რესპუბლიკის პერიოდში.

მისიონერებს. უბრალოდ, სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ვილაიეთებში მკვიდრი სომეხი კათოლიკე სასულიერო პირები, ახალციხის ქართველ მრევლთან ურთიერთობისა და მსახურებისათვის ქართულ ენას იყენებდნენ. გარდა ამისა, თურქებისაგან მიტაცებულ ტერიტორიაზე ქართველი მართლმადიდებელი მღვდლების ნაკლებობის გამო მესხეთის მოსახლეობის ნაწილი კათოლიკე გახდა. ალბათ ადგილობრივ მუსლიმებს ნაკლებად აღიზიანებდათ კათოლიკეები, ვიდრე ბერძნული ეკლესიის მიმდევრები. XVIII საუკუნეში რუსეთის აშკარა ანტიოსმალური პოლიტიკის გამო, ეს თურქების და ზოგადად მუსლიმების მხრიდან ეს სრულიად ბუნებრივი რეაქცია იყო.

კონფესიური დაპირისპირების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი კონკურენცია პირიქით, მასტიმულირებელ ფაქტორსაც წარმოადგენდა, რადგან სამცხე-ჯავახეთში კათოლიკე თემი XVIII საუკუნიდან სულ უფრო მრავლდება და საკმაო გავლენას იხვეჭს.

ვატიკანის არქივებში დაცულია კონსტანტინოპოლის ლათინური წესის კათოლიკეთა ეპისკოპოსის ფრანჩისკე იერონიმეს მიერ გაგზავნილი რელაცია, რომელიც მეტნაკლებად მიახლოებულ ინფორმაციას გვაძლევს „ოსმალეთის საქართველოში" მაცხოვრებელ კათოლიკე თემის რიცხოვნობის შესახებ. 1748 წლის 18 აგვისტოთი დათარიღებულ ამ დოკუმენტის თანახმად „ახალციხის კათოლიკები 10,000 არიან, ივლიტას 500; ახალციხეს გარეშე სოფლებში, უდეს, არალს და ვალეს, 600; ახალქალაქსა 1,000; შავშეთსა, 1,000 და ორი მღვდელი; სათლელსა, 500 და ერთი მღვდელი; არტანუჯისა 100; ართვინისა 2,000 და ორი მღვდელი"[23].

არსებობს თბილისელი მღვდლის კაპუჩინთა ორდენის წევრის შარიანთ ფრანჩესკეს მიერ რომში გაგზავნილი, 1766 წლის 16 ნოემბრით დათარიღებული რელაცია, რომლის თანახმადაც ვიგებთ, რომ „ხიზაბავრას კათოლიკების რიცხვი ყოფილა 176, იმათში 24 ლათინის ტიპიკონისა ყოფილა. იმედს აძლევს, რომ კათოლიკეთა რისხვი მალე გამრავლდებაო." [24].

როდესაც ეს ფრაზა მოჰყავს მ. თამარაშვილს თან დასძენს, რომ „დღეს იმ სოფელში 1790 სულზე მეტი კათოლიკეაო." მ. თამარაშვილის წიგნი 1902 გამოიცა და სავარაუდოთ 1898 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებს უნდა ეყრდნობოდეს.

შარიანთ ფრანჩესკეს მონაცემებით ხერთვისში მხოლოდ 46 კათოლიკეა და მათ ეკლესია არ გააჩნიათ. 1900 წლებისათვის ხერთვისში არც ერთი კათოლიკე აღარ სახლობდა, მოსახლეობა მთლიანად მუსლიმებისაგან შედგებოდა.

პატრი ლეონარდო 1766 წელს შემდეგ ცნობებს აწვდის ვატიკანს, რომ ახალციხეში „ყოფილა 6 მღვდელი, იმათგან სამსა ჰყოლია მრევლი, ისინი არიან; ეპისკოპოსი ასლანოვი, მისი მრევლი 387 სული; მღვდელი ივანე ბარბრიანთი, მისი მრევლი 264 სული; მესამე მღვდელი სტეფანე აღამალიანითი თბილელი, მისი მრევლი 284 სული; მეორე ეკლესიაში ყოფილა ექვსი მღვდელი, რომელთაგან სამს ყოლია მრევლი: „კირაკოზა მღვდელს 19 - სული, არაქელა მღვდელს 229 სული;

იაკობ მღვდელს 222 სული; ახალციხის სკოლაში ყოფილა 70 მოსწავლე, ხოლო მასწავლებლად სამი მღვდელი: ყორღანაანი, ავთანდილაანი, და მაქანდარიანთი". თავად მ. თამარაშვილიც გაკვირვებულია სხვადასხვა რელაციებში დაფიქსირებული კათოლიკე მრევლის სულადობას შორის მკვეთრი განსხვავების გამო [25].

თუ გავაანალიზებთ ამ მონაცემებს, რომელთაგან ერთი ახალციხელი მისიონერების მიერაა გაგზავნილი, მეორე კი თბილისელი მღვდლის მიერ, რომელსაც პირადი დაინტერესება არ უნდა ჰქონოდა, აშკარა შეუსაბამობა გვეცემა თვალში. ისეთ დიდ და მრავალრიცხოვან სოფელში, როგორიც იყო ხიზაბავრა 1766 წელს, მხოლოდ 176 კათოლიკე მორწმუნეა, მათ შორის მხოლოდ 24 არის ლათინური წესის, ხოლო 152 კი სომხური ტიპიკონისაა. ასევე საეჭვოა, რომ 1748 წელს ახალციხეში 15 ათას კათოლიკეს ეცხოვრა. მითუმეტეს ისეთ მცირერიცხოვან სოფელში, როგორიც ივლიტაა. XIX საუკუნეში ამ სოფლების მოსახლეობა უკვე სომხური ტიპიკონს იყენებდა.

სავარაუდოა, რომ ვატიკანში გაგზავნილ რელაციებში ადგილობრივი მისიონერები თავიანთი როლის გაზვიადების მიზნით სტატისტიკურ მონაცემებს ზრდიდნენ, ხოლო თბილისელ პატრს კი არავითარი ინტერესი არ უნდა ჰქონოდა გაეზარდა მესხეთის მრევლის რაოდენობა. პირიქით იგი შეიძლება რაღაც მოსაზრებით ამცირებს კიდეც სამცხე-ჯავახეთის კათოლიკე მრევლის რაოდენობას. მრევლის გაზრდის, მძიმე ყოფა-ცხოვრების აღწერით და სხვა კონფესიებთან დაპირისპირების ფაქტების უტრირებით, მისიონერები ცდილობდნენ თავიანთი ღვაწლის უკეთ წარმოჩენას. წარჩინებულ და გამორჩეულ მისიონერებს კი მეტი დახმარების მიღების, ასევე დაწინაურების მეტი შანსი ჰქონდათ. დაწინაურება და სამშობლოში დაბრუნება, მითუმეტეს ვატიკანში კარიერის გაგრძლება, ყველაზე სანუკვარი ოცნება უნდა ყოფილიყო ოსმალეთის მივარდნილ პროვინციაში მყოფი ბევრი მისიონერისათვის.

კათოლიკეთა თემი XX –XXI საუკუნეებში

არაოფიციალური წყაროების თანახმად, უნდა ვივარაუდოთ, რომ 1990 წლისათვის საქართველოში ნომინალურ კათოლიკეთა რაოდენობა 60-70 ათასი უნდა ყოფილიყო.

1989 წლის ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვით საქართველოს სსრ-ში 5,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. ცხადია, საბჭოთა პერიოდში სტატისტიკური აღრიცხვის დროს ყველაფერს ითვალისწინებდნენ და აფიქსირებდნენ, გარდა მოსახლეობის რელიგიურობისა, ვინაიდან მიჩნეული იყო, რომ სსრკ-ში

მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ათეისტი თუ არა არარელიგიური იყო (და ეს მართლაც შესაბამებიდა სინამდვილეს).

თუმცა ისიც ფაქტია, რომ კათოლიკეები ყველაზე რელიგიურ მორწმუნეთა თემს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირში. ასე რომ, ჩვენ არ გვაქვს რელიგიურ-კონფესიური მიკუთვნების არანაირი სტატისტუკური მონაცემები. რაც შეეხება კათოლიკეთა რელიგიურ განწყობას, ამას ადასტურებს სტატისტიკური მომაცემები. მაგალითად გასული საუკუნის 70-80-იან წლებში სადღესასწაულო წირვას თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში 500-მდე მორწმუნე ესწრებოდა. ერთი ტაძარი მეტ ადამიანს პრაქტიკულად ვერც დაიტევდა, ხოლო რიგით საკვირაო წირვებს 200-ზე მეტი მორწმუნე ესწრებოდა და რომელთაგან ზიარებას 99% იღებდა. მაგრამ მარტო ეს რაოდენობაც, რომ გავითვალისწინოთ საკმაოდ შთამბეჭდავი ციფრია [26].

თუ გავითვალისწინებთ 80-იან წლებში კონფესიების მიხედვით სამლოცველო ადგილებში მორწმუნეთა სისტემატური დასწრების სტატისტიკას, ადვილად დავრწმუნდებით კათოლიკეთა მრევლის აქტიურობასა და რელიგიურ დისციპლინირებულობაში. მაგალითად, სომხური სამოციქულო ეკლესიის საკათედრო ტაძარში საკვირაო წირვებს 40-50 ადამიანი ესწრებოდა, ხოლო მეორე, ავლაბრში მდებარე სურპ გეორქის ტაძარში წირვაზე მორწმუნეთა რაოდენობა 15 კაცს არ აჭარბებდა. ლიტურგიაზე დამსწრეთაგან, ზიარებას 50 %-ც კი არ ღებულობდა, თავად ამ ეკლესიის დიაკონი კი კათოლიკურ ტაძარში ეზიარებოდა. . . და ეს მაშინ როდესაც სომხური მოსახლეობის რაოდენობა თბილისში რამდენიმე ათეულ ათასს შეადგენდა.

იმ ხანად მრევლის მრავალრიცხოვნობით არც სხვა კონფესიები გამოირჩეოდნენ.

2002 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა მილიონ ასი ათასით შემცირდა და 4,4 მილიონი ადამიანი შეადგინა. თუმცა ეს შემცირება მარტო ემიგრაციის ხარჯზე არ მომხდარა. მოსახლეობის აღწერა გასაგები მიზეზების გამო ვერ ჩატარდა აფხაზეთისა და ცხინვალი რეგიონის ტერიტორიაზე. 4,4 მილიონი მოსახლიდან თავი სხვადასხვა რელიგიისა და კონფესიის მიმდევრად ჩათვალა მოსახლეობის 99,4%. 0,6 პროცენტი კი თავს არც ერთ რელიგიის მიმდევრად მიიჩნევს. 0,8 % თავს ისეთ რელიგიებს მიაკუთვნებს, რომლებიც თავიანთი ეგზოტიკურობის გამო სააღრიცხვო ბიულეტინებში არ შეიტანეს. იუდევლების რაოდენობა 0.1 %-თ ყველაზე მცირე რიცხოვანი აღმოჩნდა.

მუსლიმების რაოდენობით საქართველო აშკარად უსწრებს ევროპის ქვეყნებს. ჩვენთან მოსახლეობის 10%, ანუ ყოველი მეათე, ისლამის სუნიტურ ან შიიტურ (არიან ცალკეული ვაჰაბიტებიც) აღმსარებლობის მიმდევარია. 434 ათას მუსლიმს შორის აზერბაიჯანელებთან და სხვადასხვა მცირე რიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან ერთად, საკმაოდ მრავალი ეთნიკური ქართველიც არის.

საქართველოს მოსახლეობის 89% თავს ქრისტიანად მიიჩნევს. ქრისტიანთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვან კონფესიას მართლმადიდებლები წარმოადგენენ, დაახლოებით 84 %. მართლმადიდებლებში ყველაზე მრავალრიცხოვანი ქართველები არიან, თუმცა, ქართველთა გარდა, ამ 84 %-ში შედიან: რუსები, ოსები, ბერძნები, უკრაინელები, აფხაზები და სხვა ერების წარმომადგენელთა მცირერიცხოვანი ჯგუფები.

სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრად 3,9 %-ს მიიჩნია თავი[27].

კათოლიკე ეკლესიის აღმსარებელთა რაოდენობამ 35 ათასი შეადგინაროგორც ავღნიშნეთ, აქ არ შედის აფხაზეთში მაცხოვრებელ კათოლიკეთა რაოდენობა.[5] კათოლიკეთა რაოდენობის შემცირება გამოიწვია ბოლო წლების მასობრივმა ემიგრაციამ (თითქმის სრულად წავიდნენ სამშობლოში გერმანელი კათოლიკეები), ასევე მრავალი პოლონელი, ასირიელი, სომეხი და უკრაინელი კათოლიკე გადასახლდა ისტორიულ სამშობლოში. მრავალი ქართველი კათოლიკე გაემგზავრა უცხოეთში უკეთესი ცხოვრების საძიებლად. ამას გარდა, კათოლიკეების საკმაოდ მრავალრიცხოვანმა ნაწილმა გასული საუკუნის 90-იან წლებში, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ სოფელში, სხვადასხვა მიზეზით, უმთავრესად კი საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის გამო, შეიცვალა აღმსარებლობა. ეს პროცესი ბოლო წლებში შეჩერდა. ასევე ქალაქებში მაცხოვრებელი ლათინური წესის კათოლიკეთა ეთნიკური ჯგუფებმა (სომხებმა, ასირიელებმა) საკუთარი საკრებულოები შექმნეს.

არის ცალკეული შემთხვევები როდესაც სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები (არაქართულენოვანი მოქალაქეები), ლათინური წესის საკრებულოებში ერთიანდებიან. მათთვის თბილისის პეტრე და პავლე მოციქულთა ტაძარში რუსულენოვანი მსახურება ტარდება. მრევლის ამგვარი დინამიკა ჩველებრივ მოვლენად უნდა აღიქმება. სტატისტიკური დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ თბილისში არაქართველი მოსახლეობა რელიგიურ კონფესიაზე მეტად, ენობრივ ფაქტორებს ანიჭებენ უპირატესობას და იმ საკრებულოში არჩევს სიარულს სადაც მისი მშობლიური ენაზე ხდება მსახურება.

საქართველოში გარდა ლათინური წესის კათოლიკეებისა, რომლებიც მსახურებაში ქართულ ენას იყენებდნენ, საქართველოში ამჟამად სომხური წესის 20 ათასამდე და ასირიულ-ქალდეური წესის 1,5 ათასი კათოლიკე ცხოვრობს, რომლებიც თავიანთ მშობლიურ ენებზე აღასრულებენ საეკლესიო მსახურებას. ტაძრებისა და სამლოცველო სახლების რაოდებობა 30 აჭარბებს[28].

[5] დღეისთვის სოხუმში მოქმედებს ლათინური წესის საკრებულო, რომელიც საქართველოს სამოციქულო ადმინისტრაციის იურისდიქციაში შემოდის.

დასკვნა

კათოლიკურ ეკლესიას არ სურს ვინმეს წაართვას მორწმუნეები; მას უნდა მხოლოდ თავისი მრევლის შენარჩუნება. ვატიკანის ეს პოზიცია ნათლად ჩამოაყალიბა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში წმინდა საყდრის ელჩმა კავკასიაში არქიეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ, „ჩვენ გვსურს, რომ ყველას ჰქონდეს საშუალება ემსახუროს თავის ეკლესიას. სწორედ ეს ფაქტორი განასხვავებს კათოლიკეებს სხვა კონფესიებისაგან. ფულით ნაყიდი სული ეს არ არის სახარებისეული სულისკვეთება. ფულით შეძენილი სიყვარული, ფულით ნაყიდი რწმენა, ზნეობრივი მანკიერების ყველაზე მახინჯი გამოვლინებაა. კათოლიკურ ეკლესიას არ სჭირდება ეს. უკანასკნელ წლებში საქართველოში კათოლიკურმა ეკლესიამ დაკარგა მორწმუნეთა რაოდენობა, მას რომ სდომოდა ხალხის, მორწმუნეების სულების ყიდვა, დამერწმუნეთ კათოლიკური ეკლესია ფულს როგორმე გამოძებნიდა.

ჩვენ გვწამს, რომ კავშირი მართლმადიდებლებთან, ეს ძლიერი კავშირია. ჩვენ ამასთანავე მოვითხოვთ, რომ უმცირესობის უფლებები იყოს სათანადოდ დაცული. ჩვენ არ ვითხოვთ იგივე უფლებებს, რაც მართლმადიდებლებს გააჩნიათ. რომის პაპებს ასეთი დამოკიდებულება აქვთ, განსაკუთრებით კი იოანე-პავლე II-ს, მას საქართველოს მიმართ ღრმა სიყვარული ჰქონდა. ასევე კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის მიმართ, პაპს სულიერი კავშირი და პიროვნული მეგობრობა აკავშირებდა. მსგავსი სულისკვეთებითაა გამსჭვალული პაპი ბენედიქტე XVI, რომელმაც აგვისტოში, (იგულისხმება 2008 წელი ნ.ბ.), ერთი კვირის განმავლობაში სამი მიმართვა გააჟღერა. პაპი სერიოზულად იყო შეშფოთებული საქართველოში შექმნილი ვითარებით. დარწმუნებული ვარ ეს სამი მიმართვა ხელს შეუწყობს მდგომარეობის ნორმალიზაციისაკენ მიმართულ რთულ პროცესს[29].

რაც შეეხება იმ განცხადებას რომ ვითომც კათოლიკეები საქართველოს იმიტომ ეხმარებიან რომ პროზელიტიზმი ამოძრავებთ, ოფიციალური ფაქტით არ დასტურდება, ბოლო 15 წლის მანძილზე ანუ იმ პერიოდში, რაც კათოლიკური ორგანიზაციების მიერ ჰუმანიტარული დახმარებები და პროექტები ხორციელდება, დაახლოებით 15 ათასი მორწმუნით შემცირდა ქართველ კათოლიკეთა რაოდენობა[29].

და ბოლოს, მიმდინარე პროცესების ანალიზისას, ყოვლად წარმოუდგენელია წარსული ისტორიული პანორამის გარეშე სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების გამოტანა. ჩვენთვის საინტერესო კუთხით კი, ფასდაუდებელია მიხეილ თამარაშვილის ნაშრომები, რომელშიც გატარებული აზრები, დღესაც ამოსავალ პრინციპად რჩება აღნიშნული თემის კვლევისას. შეიძლება ითქვას, რომ ის პირველი მკვლევარია, რომელიც შეეცადა საფუძველი ჩაეყარა ისტორიული კვლევების დროს სტატისტიკური ფაქტების, სოციო-ეკონომიკური მასალების

მიზანდასახულ გამოყენებას. ისევე როგორც სულხან საბა ორბელიანი, რომელმაც თანამედროვე ევროპული გამოცდილება და მეთოდოლოგიები გამოიყენა თავის ნაშრომებში. ასევე მ. თამარაშვილი, რომელმაც მანამდე უცნობი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტური მასალები შეისწავლა და თანემემამულეთათვის ხელმისაწვდომი გახადა, ამდიდრებს ქართულ ისტორიულ კვლევას ევროპული მეცნიერული მიდგომისადმი დამახასიათებელი მეთოდოლოგიით. ეს კი ნათლად ავლენს, მის როგორც მეცნიერისა, მკვლევარისა და მოქალაქის მრავალმხრივ ნიჭს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კ. საფარიშვილის პირადი არქივი. 01.34.
2. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბილისი 1902. გვ. 524.
3. მ. ჯავახიშვილი, მონტობანის ქართველ კათოლიკეთა სავანე, თბილისი, 2009, გვ. 15-17.
4. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მ. თამარაშვილის ფონდი, 2618.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 4. თბილისი, 1973, გვ.152.
6. ა. სონღულაშვილი, ისტორიული ნარკვევები, თბილისი 2010. გვ. 215.
7. ი. გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, თბილისი, 1903. გვ.3.
8. საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1975 წ. გვ.9.
9. ი. კონგარი, დანაწევრებული ქრისტიანობა, ჟურ. „დიალოგი", 2009. გვ.148.
10. ნ. ბარდაველიძე, რომისა და კონსტანტინოპოლის დაპირისპირების პოლიტიკური მიზეზები, კრებული „რელიგიათმცოდნეობითი ძიებანი". N1-2, თბილისი, 2010. გვ. 211.
11. მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა, თბილისი, 1995. გვ.86.
12. მ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ.86.
13. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბილისი, 1966,გვ.111.
14. გ. ბრაგანტინი, კათოლიკე ეკლესიის რიცხობრივი რაოდენობა მსოფლიოში, 2007. ნ.4. გვ. 12.
15. ნ. ბარდაველიძე, კათოლიკური სტატისტიკა ანუ მშრალი ციფრების მიღმა დანახული სამყარო. ჟურ. „საბა",2007. ნ.4. გვ.12.
16. მ. პაპაშვილი, დასახ.ნაშრ. გვ.267.
17. AKTI.t. II, c.283.
18. ნ. ბარდაველიძე, კათოლიკური ეკლესია საქართველოში, ქრონოლოგიური ცნობები. რელიგია და საზოგადოება,N.3. 2005, გვ.65.
19. მ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 131.
20. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 226.
21. შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან (ახალციხური ქრონიკები), თბილისი, 1979, გვ. 60.
22. ჯ. გუაიტა, 1700 წელი ერთგულებისა, მოსკოვი, 2002. გვ. 170. (რუს.ენაზე).
23. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ. 228.
24. იქვე, 229.
25. იქვე. 229.
26. ნ. ბარდაველიძე ეკუმენიზმის საზღვრები, ჟურ. „დიალოგი" ნ.4.2006.გვ.128.
27. საქართველო ციფრებში, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2010. გვ.8.
28. კ. გუჯეროტი, ინტერვიუ. ჟურნ. „საბა", N,3 2009. გვ.21.
29. იქვე. გვ. 22.

საქართველო-რომის ურთიერთობათა მატიანის უცნობი ფურცლები ანუ ერეკლე II და კათოლიკური მისიის აღდგენა თბილისში

მეცნიერთა შორის არანაირ დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს ისტორიის, კერძოდ კი ქართულ-ევროპული ურთიერთობების კვლევისათვის, კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენელთა (დესპანები, მისიონერები, თუ უბრალო მოგზაურები), მიერ აღწერილი და ვატიკანის არქივში დაცული მასალები ყველაზე მნიშვნელოვან, სანდო და ამ მხრივ ფასდაუდებელ ისტორიული წყაროს წარმოადგენენ.

საუკუნეზე მეტია ქართველი მეცნიერები, (მიხეილ თამარაშვილიდან დაწყებული, რომელმაც თავის 900 გვერდიანი ფუნდამეტალური ნაშრომით სათავე დაუდო ვატიკანის არქივებში დაცულ საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული დოკუმენტების კვლევას, ვიდრე ჩვენი თანამედროვე ეპოქის მაგისტრანტებით დამთავრებული, რომლებიც ახლა იწყებენ თავიანთ სამეცნიერო კარიერას), ეცნობიან, ეძებენ, იკვლევენ და თანამედროვე გამოწვევათა შუქზე აანალიზებენ თითქმის რვა საუკუნის მანძილზე დაგროვილ უამრავ ფაქტობრივ მასალას.

ვატიკანის არქივებში დაცული დოკუმენტების და ზოგადად რომის კათოლიკე ეკლესიისა და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების კვლევების კერას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ევროინტეგრაციის ცენტრი ასრულებს. აქ თავმოყრილი არიან საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ისტორიის წამყვანი სპეციალისტები და რაც მთავარია ამ ცენტრის ხელმძღვანელის პროფესორ ზურაბ გამეზარდაშვილის მიერ იტალიაში ხანგძლივი დიპლომატიური სამსახურის დროს მოპოვებულ და საქართველოში ჩამოტანილ იქნა ყველა ის დოკუმენტური მასალა, რომელიც ეხება საქართველო-რომის ურთიერთობას და რომელიც არ არის შესული მიხეილ თამარაშვილის, მიხეილ თარხნიშვილის, ილია ტაბაღუას და სხვა ცნობილ მეცნიერთა ისტორიულ ნაშრომებში.

დღეს, ამ მდიდარი, დღემდე უცნობი და შეუსწავლელი საარქივო მასალების კვლევა აქტიურად ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში. ვატიკანში არქივებში მოძიებულ დიკუმენტების თარგმანზე და კომენტარებზე მუშაობენ პროფესორები მ. პაპაშვილი, ზ. გამეზარდაშვილი, ბ. ჯავახია. უკვე გამოიცა პირველი ბროშურა, (რეცენზენტი აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე), რომელშიც იტალიური და ლათინური ენებიდან აქამდე უცნობი ცხრა დოკუმენტია გამოქვეყნებული. „ეს მასალები ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება. აღნიშნული წყაროები სამ ასპექტში გვარკვევენ სხვადასხვა პერიოდში საქართველოს ურთიერთობას წმინდა ტახტთან. კერძოდ, ფერარა-

ფლორენციის კრებაზე ქართველ სასულიერო პირთა ერთ-ერთ სხდომაში მონაწილეობისას გამართულ დიალოგს. მეორე წყარო აზუსტებს თუ როგორი პატივით მიიღეს ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის ელჩი ნიკიფორე ირბახი მადრიდში 1628 წლის მარტის დასაწყისში" აღნიშნულია ამ კრებულის წინასიტყვაობაში. კრებულში გამოქვეყნებული დანარჩენი ექვსი წყარო კარგად წარმოაჩენს კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობის სხვადასხვა ეპიზოდებს XVII-XVIII საუკუნეებში. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს 1761 წლის 21 აპრილს, ერეკლე II-ის მიერ ახალციხის კათოლიკური თემის უფროსის, ეპისკოპოსის ვიკარიუსის მამა ლეონარდო ვიტერბოელისადმი გაგზავნილი წერილი. სადაც ერეკლე მეფე სთხოვს კაპუცინთა მისიის უფროსს მამა ლეონარდოს, რომ ეწვიოს სამეფო კარზე, ვინაიდან თბილისიდან კათოლიკე მამების ახალციხეში გადასვლის შემდეგ, სამეფო კარი ექიმის გარეშე დარჩენილა. 1761 წლის გაზაფხულზე დედოფალი ავად გამხდარა და მის სამკურნალოდ ერეკლე II-ს ახალციხიდან კაპუცინთა უფროსი მამა ლეონარდო მოუწვევია. წერილიდან რომელიც მეფის ბეჭდით არის დაბეჭდილი, და რევაზ ეშიკაღაბაშს (საპოლიციო-ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი), პირადად გადაუცია ადრესატისათვის, ირკვევა, რომ ერეკლე II, პატრ ლეონარდოს უგზავნის თავის ცხენს, ჯორს, 60 ოქროს - წამლებისათვის. მეფის წერილში არის საყურადღებო და მრავალმნიშვნელოვანი ფრაზა, რომლის მსგავსსაც მონარქები და დიდებულები იშვიათად იყენებენ, კერძო კი „მაგ გზაზე მშვიდობა არის და კარგად წამოხვალთ და როდესაც წასვლა გინდოდეთ ღვთით კარგად მშვიდობით გაგისტუმრებთ. **ეს რევაზ ეშიგაღას ბაში რომ გამოგვიგზავნია თუნდა ჩვენ მოვსულვართ მანდ**".

ერეკლე მეფის თხოვნა კაპუცინებმა გულთან ახლოს მიიტანეს და მალე თბილისსი კათოლიკური მისია, რომელიც რუსეთის გულის მოგების მიზნით თეიმურაზ II-მ გააუქმა კვლავ აღდგა. კაპუცინთა ორდენის თბილისის მისია 1844 წლამდე საკმაოდ ნაყოფიერად მოღვაწეობდა. მას შედეგ რაც 1811 წელს ცარიზმმა საქართველოს სამოციქულო ეკლესია გააუქმა და ქართულ ენაზე ღვთისმსახურება აკრძალა, ლათინური წესის კათოლიკური ეკლესია რჩებოდა ერთადერთ ინსტიტუტად რომელიც ქართულ ენაზე აგრძელებდა საქმიანობას. სწორედ იმიტომ, რომ ვერ შესძლო თბილისის კაპუცინთა მისიის დაქვემდებარება, რუსეთის ხელისუფლებამ საერთოდ გააძევა ისინი საქართველოს ტერიტორიიდან. 1844 წელს, კაპუცინები იძულებულები გახდნენ რუსეთის საქართველოდან კვლავ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე დარჩენილ საქართველოში, კერძოდ კი ბათუმში გადასულიყვნენ.

ერეკლე II-მიერ ვიტერბოელისადმი გაგზავნილი ეს წერილი, რომელიც ქართულ ენაზეა დაწერილი, სრული სახით პირველად გამოქვეყნდა.

მიხეილ თამარაშვილმა ქართულ ორგინალს ვერ მიაკვლია და აღნიშნავს კიდეც „ეს წიგნი ვერ ვიპოვეთ. მარტო მისი იტალიური თარგმანი გვაქვს". (ქართული

ორგინალს ვატიკანის არქივში გასული საუკუნის 80-იან წლებში მიაკვლია პროფ. ზ. გამეზარდაშვილმა). თავის წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" მ. თამარაშვილი ამ წერილობითი დოკუმენტის იტალიურ თარგმანს იყენებს. (სრულად წერილი გამოქვეყნებული არ ყოფილა). იტალიური თარგმანი როგორც სჩანს თავად ლეონარდომ შეასრულა ვინაიდან მან ქართული ენა კარგად იცოდა. შემდგომ ციტირების სახით ეს ინფორმაცია საქართველოს ისტორიის ნარკვევებშიც მოხვდა. ახლა კი ქართველ მკითხველს საშუალება ეძლევა ორგინალში გაეცნოს ერეკლე II მიერ შედგენილ წერილს. ტექსტი საყურადღებოა თავისი ორგინალური ენის და კიდევ დიპლომატიური ნიუანსების გამო. უმნიშვნელო, შეფარულ დეტალებს კი საერთაშორისო მიმოწერაში უდიდესი დატვირთვა ეკისრება.

აღნიშნული წერილიდან ირკვევა ისიც, რომ ერეკლე მეფეს ქონდა მიწერ-მოწერა მამა ლეონარდოსთან. და კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი, ქართლ-კახეთის მეფე პირადად კაპუცინთა მისიის ხელმძღვანელს სთხოვს ჩასვლას, არა და მკურნალობა და წამლების დამზადება ყველა კაპუცინ მამას შეეძლო. ვინაიდან ამ სასულიერო ორდენის ერთ-ერთი მოწოდება სწორედ მკურნალობაც იყო. წერილში ასეთი ფრაზაა, **„ღვთის მოწყალებით მაგისთანა სნეულება არ არის** (დედოფალს ხველა-სურდო შეყრია ნ.ბ.), **მაგრამ თქვენი მოსვლა მუნასიბი ვნახეთ"** აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დედოფლის ავადმყოფობა, რომელსაც მეფე დიდ სნეულებად არ თვლის, მხოლოდ საბაბია კათოლიური მისიის ხელმძრვანელის თბილისში მოსაწვევად. მიზეზი კი უდავოდ კათოლიკური მისიის აღდგენა იყო და რაც სინამდვილეშიც ასეც მოხდა.

ჩნდება კითხვა, რა საჭირო იყო ერეკლე მეფისაგან ამგვარი შეფარული მოწვევა კათოლიკური მისიისა? პირდაპირ რომ ეთხოვა კათოლიკეთა ჩამოსვლა და მისიის აღდგენა რა კაპუცინები უარს ეტყოდნენ? სრულიადაც არა, პირიქით სიხარულით დაუბრუნდებოდნენ თავიანთ ძველ მისიას. პატრი ლეონარდო თავიდან საქართველოში ეწეოდა მსსხურებას და ვიცე-პრეფექტის თანამდებობაც ეკავა. მ. პაპაშვილი საფუძვლიანად გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მამა ლეონარდო ანტონ კათალიკოსსაც იცნობდა და სწორედ მასთან გორის მისიაში აღიარა ანტონ კათალიკოსმა კათოლიკობა. თუმცა გასათვალისწინებელია რამდენიმე საშინაო და საგარეო ფაქტორი. წინდახედულმა ერეკლე II-მ კარგად იცოდა რომ უამრავი მსტოვარით იყო გარშემორტყმული. ქართულად შედგენილ მისი წერილის შინაარსი ცნობილი გახდებოდა პრორუსულად და ანტიდასავლურად განწყობილი ქართველებისათვის, რომლებიც მის შინაარსს სავარაუდოდ რუსებსაც გააცნობდნენ და მეფის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ. განსაკუთრებით კი ანტიკათოლიკურად განწყობილი ბერძენი და ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირები. ბერძენი მართლმადიდებლები კი ოსმალეთის სულთანის მხარდაჭერას სარგებლობდნენ და შეეძლოთ საქართველოს წინააღმდეგ

ოსმალეთის ხელისუფლება გამოეყენებინად. სხვათაშორის ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ვლახეთის ეპისკოპოსი წარმოშობით ქართველი, ანთომოზ ივერიელი, ვლახეთის ეკლესიაში რუმინული ენის შემოღების გამო, ბერძენი მღვდლების მოთხოვნის შემდეგ დააპატიმრეს და დასაჯეს ოსმალებმა. ხოლო ანტონ კათალიკოსის დასმენის და გადაყენების ინიციატორი დეკანოზი ზაქარია გაბაშვილი, როდესაც დასავლური ორიენტაციის გამტარებელმა ერეკლე II-მ საქართველოდან გააძევა, სწორედ მოსკოვს აფარებს თავს და იქიდან უპირისპირდება ქართლ-კახეთის მეფეს.

თბილისში კათოლიკური მისიის აღდგენა არც ახალციხის ფაშას და არც ოსმალეთის ხელისუფლების მიზნებში არ ჯდებოდა. კათოლიკური მისიის წინააღმდეგ გამოდიოდა სომხური ეკლესიაც, რომელიც ასევე ოსმალეთისა და სპარსეთის ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობდა. ერეკლე II-ის გაძლიერებას შიშით უყურებდნენ ქართლ-კახეთის უშუალო მეზობელი სახანოები და თვით იმერეთის მეფეც. კათოლიკური მისიის აღდგენა, მისი ეფექტური საქმიანობა და ამ გზით წმინდა ტახტის მხარდაჭერა, ისლამურ იზოლაციაში მყოფი ერეკლეს უპირველესად ევროპასთან დაახლოებისა და მხარდაჭერისათვის სჭირდებოდა. მრავალრიცხოვანი საგარეო მტრით გარშემოტყმული, გაბედული, ამავე დროს წინდახედული და ფრთხილი ერეკლე II, პირდაპირ, ოფიციალურად ვერ მოიწვევდა და ვერ აღადგენდა კათოლიკური ეკლესიის მისიას თავის ახალ სატახტო ქალაქში. აქ ადგილობრივი ეკლესიის პოზიციაც იყო გასათვალისწინებელი. როდესაც თეიმურაზ II-მ კათოლიკე მამები თბილისიდან გააძევა, მათი ტაძარი და მისიონის შენობა მართლმადიდებლებს გადასცა. კათოლიკეთა უბანი თბილისში საკმაოდ პრესტიჟულ ადგილზე, კოჯრის კართან ახლოს მდებარეობდა. ეს ადგილი ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ რუკაზე არის აღნიშნული და „ლათინთა უბანი" ჰქვია. შედგომ ამ ქუჩას კათოლიკეთა ქუჩა დაერქვა, საბჭოთა ხელისუფლების დროს კი პირველი მაისის სახელი ეწოდა. სწორედ ამ ქუჩაზე 1804 წელს ქალწულ მარიამის სახელობის ტაძარს ჩაიყარა საფუძველი. ამჟამინდელი კათედრალური ტაძარი.

ცხადია შორსმჭვრეტელი ერეკლე II იმ გარემოებასაც გაითვალისწინებდა, რომ ოფიციალურ დობეზე კათოლიკური მისიის დაბრუნების შემთხვევაში, მას კათოლიკეები კანონიერად მოსთხოვდნენ რამოდენიმე წლის წინ წართმეული სატაძრო ნაგებობის დაბრუნება. ქართლ-კახეთის მეფე კი ვერ დაუპირისპირდებოდა დომინანტ ეკლესიას და ვერ მოსთხოვდა თეიმურაზ II-ის ნებით გადაცემული ტაძრის განთავისუფლებას. ამას რა შედეგი მოჰყვებოდა ადვილი წარმოსადგენია. მითუმეტეს ერეკლესთვის ქართლის ტახტის მოცილე პაატა ბატონიშვილი და სხვა ქართლელი დიდებულები მიზეზს ეძებდნენ პატარა კახის ქართლიდან გაძევებისათვის. ამ ოპოზიციური ძალების აზრით ერეკლე კახეთის მეფე იყო და ქართლისათვის ის უზურპატორს წარმოადგენდა.

ასე რომ 1761 წლის აპრილში ერეკლე II-ს საკმაოდ ძლიერი და მრავალრიცხოვნი შინა და გარეშე მოწინააღმდგეები ჰყავდა რომლებიც ერთ მცდარ ნაბიჯსაც კი სიცოცხლის ფასად დაუჯენდნენ. მეფის გაძლიერება მის გარდა არც არავის უნდოდა, რადგან მეფის სიძლიერე ფეოდალთა უფლებების შეკვეცას გამოიწვევდა, საგარეო ურთიერთობების კუთხით კი ოსმალეთის, სპარსეთისა და რუსეთისათვის, მიუღებელი იყო საქართველოს ევროპულ ორბიტაზე გასვლა. რაც ფაქტიურად რუსეთმა 200 წლით შეაჩერა კიდეც.

ერეკლე II-ის მიერ ვიტერბოელისადმი 1761 წელს მიწერილი წერილის გამოქვეყნებას ის დატვირთვაც გააჩნია, რომ გააბათილოს მავანთა მცარი მოსაზრება, თითქოს ერეკლე II რუსოფილობით გამოირჩეოდა და დასავლური კურსი არ აინტერესებდა.

მეფე ერეკლე, XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან, ანუ მას შემდეგ რაც, შესძლო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმართვა, იწყებს ევროპულ კურსს. და ამ რთულ წინააღმდეგობრივ გზაზე, პირველ რეალურ ნაბიჯად კათოლიკური მისიონის აღდგენას სახავს. ოღონდ დიდი სიფრთხილით და წინდახედულობით დგავს ამ ნაბიჯს, ყოველივე ამის თვალსაჩინოდ კი გვესახება მისი წერილი ლეონარდო ვიტერბოელისადმი.

სტამბულის ქართული სავანე ანუ „პატარა საქართველო” უცხოეთში

1844 წელს რუსეთის თვითმპყრობელობამ საქართველოში მოქმედ რომის კათოლიკურ ეკლესიის მღვდელმსახურებსაც აუკრძალა ქართულ ენაზე მსახურება. ვინაიდან ქართული კათოლიკური მისიონი არ დაემორჩილა რუსი მოხელეების ბრძანებას 1845 წელს კაპუცინთა ორდენის კათოლიკე პატრები გააძევეს საქართველოდან, სამშობლოდან იძულებით ემიგრაციაში წავიდა აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, რომელმაც მთელი თავისი ძალისხმევა მიმართა უცხოეთში ქართული სავანის დაარსებას.

1861 წლის 10 თებერვალს ვატიკანმა პეტრე ხარისჭირაშვილს ნება დართო სტამბულში აეგო მონასტერი და სამშობლოდან დევნილ კათოლიკეებს დაეარსებინათ კონგრეგაცია, სადაც საშუალება ექნებოდათ ქართული ენა და ტიპიკონი გამოეყენებინათ. XIX საუკუნის 60-იან წლებში ოსმალეთში სულთან აბდულ-აზიზის პროევროპული პოლიტიკის პირობებში შესაძლებელი გახდა სტამბულის გარეუბან ფეიქოიში მიწის ნაკვეთის შეძენა და იქ ქართული მონასტრის დაარსება. სულთან აბდულ აზიზის დროს 1862-1868 წლებში არის აგებული კათოლიკური და ბერძნულ მართლმადიდებლური ათეულობით ქრისტიანული სატაძრო ნაგებობა, ბათუმის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრიდან დაწყებული სტამბულის ქართული კათოლიკური სავანით დასრულებული. მათ შორის ტრაპზონის, სამსუნის, სტამბულის, კონიის და სხვ. დღემდე მოქმედი ტაძრები. შემდგომ პერიოდში, დღევანდელი დღის ჩათვლით, თურქეთის ტერიტორიაზე ქრისტიანული ტაძრები აღარ აგებულა. განსაკუთრებულ შეზღუდვას ქრისტიანები XX საუკენის 20-იანი წლებიდან განიცდიან.

ქართველმა პატრებმა გონივრულად და მიზანდასახულად გამოიყენეს იმჟამად ოსმალეთის იმპერიაში შექმნილი ტოლერანტული ვითარება და სულ რამდენიმე წელიწადში სტამბოლის მონასტერი მნიშვნელოვან ქართულ სავანედ გადაიქცა. 1870 წლიდან აქვე ამოქმედდა სტამბა, რომელმაც 60 წელი იარსება და 200-მდე წიგნი გამოიცა ქართულ, ფრანგულ, თურქულ გერმანულ, ინგლისურ ბერძნულ ენებზე. მონასტეში იყო ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი.. ამ ბიბლიოთეკის ფონდებში 80 ათასზე მეტი წიგნი და ისტორიული დოკუმენტია დაცული. ამ მონასტერთან დაარსდა სასულიერო სემინარია, სადაც სხვადასხვა დროს აღიზარდნენ და განათლება მიიღეს მიხეილ თამარაშვილმა, დომენიკე პაწაძემ, ივანე გვარამაძემ, ანდრია წინამძღვრიშვილმა, კონსტანტინე საფარიშვილმა, შალვა ვარდიძემ, მიხეილ თარხნიშვილმა

სტამბულის ქართული სავანე დაარსებიდანვე ქართული კულტურის მძლავრ კერად იქცა. იქ მოღვაწე სასულიერო პირები მხოლოდ რელიგიური

საქმიანობით როდი შემოიფარგლებოდნენ. „რუსიფიკატორული პოლიტიკით შევიწროებული ქართველი ინტელიგენციისა და სასულიერო პირების ერონულ-სამეცნიერო მოღვაწეობა ფართოდ გაიშალა. მიუხედავად იმისა, რომ იგი კათოლიკურ სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენდა, ადგილი არ ჰქონია სარწმუნოებრივ შეზღუდვას მაჰმადიანი თუ მართლმადიდებელი ქართველებისათვის".

სტამბულში მოღვაწე მამები უყურადღებოდ არ ტოვებდნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. უფრო მეტიც, ცდილობდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ ქვეყნის წარმატების საქმეში. სტამბოლის ქართველი მამების საქართველოსთან, ქართველ ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია მათი დამოკიდებულება აკაკი წერეთელთან, რაც მონასტერში აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის დაარსებით გამოიხატა. გაზეთი „დროება" 1909 წელს ქართველ საზოგადოებას შეახსენებდა, რომ სტამბულში მრავალი ქართველი ცხოვრობდა. ამასთანავე ამცნობდა მათ გადაწყვეტილებას: „იქაურ ქართველობას გადაუწყვეია მგოსნის აკაკი წერეთლის სახელობაზე დაარსოს საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველო. სამკითხველოს დამაარსებლები სთხოვენ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" გაუგზავნოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს წიგნები, საზოგადო მოღვაწეთა და მწერლების სურათები და ჟურნალ-გაზეთები. კარგი იქნება ყველა ჩვენი ქართული გამოცემის თითო ცალს დაუთმობდეს სტამბულის ბიბლიოთეკას".

სტამბოლის ქართულ სავანეში ბიბლიოთეკის მოწყობის პერიოდს უკავშირდება პირველად **ექვთიმე თაყაიშვილის** სახელი. ტაძრის წინამძღვარს პიო ბალიძეს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილთან. ცდილობდა რა გაეზარდა აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, მამა პიო ბალიძე ღონეს არ უშურებდა, რათა საქართველოდან შემოეტანათ ქართული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები. მისი თხოვნით საქართველოში მყოფი კათოლიკე სასულიერო პირები უკავშირდებოდნენ გამოცემლებს, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს და მათ მიერ შემოწირულ ბაჭვდით მასალას აგზავნიდნენ სტამბულში. პიო ბალიძესადმი გაგზავნილ მარკოზ ხითარიშვილის წერილში ვკითხულობთ: „გიგზავნი ფოშტით ბატონ თაყაიშვილის მიერ გამოცემულ წიგნებს პალეოგრაფიული ალბომითურთ „ძველი საქართველო" ყოველ წელს გამოდის. ბატონ თაყაიშვილს ვთხოვე თქვენის სახელით და დაუთმო ეს წიგნები მონასტრის ბიბლიოთეკას".

სტამბოლის ქართული სავანიდან სამშობლოში დაბრუნებული პატრები სასულიერო საქმიანობასთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩაბმული ეროვნულ და საგანმანათლებლო საქმიანობაში რაც ხელს უწყობდა მათ კიდევ უფრო დაახლოებას ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან. ექვთიმე თაყაიშვილს დიდი

მეგობრობა ჰქონდა სტამბოლის სავანის ერთ-ერთ ამაგდარ მამასთან ივანე გვარამაძესთან.

1902-1910 წლებში ექვთიმე თაყაიშვილმა სამი სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო სამხრეთ საქართველოში, კერძოდ ახალციხეში, ახალქალქში, ტაოსა და ოლთისში. ახალციხეში სტუმრობისას, ექვთიმე თაყაიშვილი და მისი ექსპედიციის წევრი არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი, ყოველთვის ივანე გვარამიძის სახლში ბინავდებოდნენ. ივანე გვარამაძე, რომელიც გარდა იმისა რომ სასულიერო პირი იყო, ფართო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასაც ეწეოდა და სამცხე-ჯავახეთის ექსპედიციებში დიდ დახმარებას უწევდა ექვთიმე თაყაიშვილს. ივანე გვარამაძისა მეშვეობით კი ექვთიმე თაყაიშვილი სტამბოლის სხვა ქართველ მამებთანაც იწყებს საქმიან ურთიერთობასა და მეგობრობას.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე სტამბოლის ქართული სავანე გადაიქცა ქართული განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ -ერთ მნიშვნელოვან ცენტრად. ქართველი ეროვნულ-დემოკრატები, სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ სტამბოლის ქართული სავანის მესვეურთა დახმარებით ცდილობდნენ გამოეყენებინათ წმინდა საყდრის გავლენა და ამით ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობისა და მხარდაჭერის მოპოვებისათვის.

საზღვარგარეთ გადახვეწილ მამულიშვილთათვის სტამბოლის ქართული კათოლიკური სავანე „მიჩნეული იქნა როგორც ქართული კულტურის კერა უცხოეთში, რომელსაც დიდ ეკონომიკურ დახმარებას უწევდა ვატიკანი. პირველი მსოფლიო ომის დროს აქ ბინა დაიდო „ქართული ლეგიონის კომიტეტმა", მიხაკო წერეთლის მეთაურობით, რომელიც ისახავდა „საქართველოს განთავისუფლებას" მეფის თვითმპყრობელობისაგან. . . 600 ლტოლვილმა ქართველმა მონასტერს მიაშურა და „საქართველოს დემოკრატიული მთავრობა" პარიზში გადასვლამდე აქ იმყოფებოდა . . სტამბოლის ქართული მონასტერი იყო 1924 წლის აგვისტოს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, მისი დამარცხების შემდეგაც ემიგანტულ მთავრობას არ შეუწყვეტია კავშირი ვატიკანთან და მთელ იმედებს პაპზე ამყარებდა. ".

სწორედ სტამბულის ქართული სავანე გახდა თავშესაფარი საქართველოდან 1921 წლის მარტში გადახვეწილი მთავრობისა, რომელთა შორისაც იყო ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც ბედმა არგუნა გამხდარიყო ქართული ეროვნული საგანძურის გადამრჩენი. იმხანად მთელი სავანე ბოლშევიკებისაგან დევნილ ქართველთა თავშესაფრად იყო ქცეული. ყოველ ოთახში სამი-ოთხი საწოლი იყო განთავსებული, სარდაფში კი საქართველოს საგანძური გადამალული. ევროპაში გადასვლის შემდეგ არც ექვთიმე თაყაიშვილს არც სხვა ქართველებას კავშირი არ გაუწყვეტია სტამბოლის ქართველ კათოლიკეებთან 1924 წელს ლონდონში მცხოვრებმა მიხაკო წერეთელმა სწორედ სტამბოლის ქართული მონასტრის

სტამბაში გამოსცა მის მიერ თარგმნილი „გილგამეშიანი". თავის მემუარებში განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს სტამბოლის ქართულ სავანეს ნიკო მიწიშვილი.

ემიგრაციაში ყოფნისას ლტოლვილი მთავრობის წევრები განაგრძობდნენ წმინდა საყდართან ურთიერთობას და ცდილობდნენ კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერის მოპოვებას, რაც ევროპის სახელმწიფოთა დახმარების მტკიცე გარანტად მიაჩნდათ. საქართველოს პარტიულ არქივში დაცულია მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნ. რამიშვილის მიერ საქართველოში არალეგალურად მოქმედი მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი გამოგზავნილი დირექტივა საიდანაც ირკვევა, რომ პარიზში მყოფი მენშევიკი ლიდერები, კერძოდ კი ემიგრანტული მთავრობის წევრები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ვატიკანთან. მათ რომის პაპთანაც ჰქონდათ მიმოწერა და საკუთარი წარმომადგენელიც კი ჰყოლიათ. საარქივო მასალიდან ირკვევა, რომ „ნ. რამიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართული ეკლესიის მეთაურები ფიქრობდნენ რომთან კავშირზე. იგი (ნ. რამიშვილი, ნ.ბ.) თხოულობდა ყოველნაირი ცნობის მიწოდებას, რაც ეკლესიას შეეხებოდა და მიიჩნევდა, რომ ევროპაში ამას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა".

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჰქონდა თუ არა ურთიერთობა ექვთიმე თაყაიშვილს სტამბულის ქართულ სავანესთან, ამის შესახებ ისტორიული წყაროები არ არსებობას. მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმხანად თბილისის კათოლიკური ტაძრის წინამძღვარ იმანუელ ვარდიძესთან, რომელსაც სტამბულიდან იცნობდა ექვთიმე თაყაიშვილი და რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყო ოფიციალური არხების გვერდის ავლით უცხოეთში მცხოვრებ ემიგრაციასთან დაკავშირება, მეგობრობა გრძელდებოდა. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ თბილისის კათოლიკური ტაძრის წინ ცხოვრობდა ივანე ჯავახიშვილი და იმანუელ ვარდიძესთან ღამ-ღამობით ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები. ზეპირი გადმოცემის თანახმად ერთხანობას, როდესაც ივანე ჯავახიშვილს შინიდან გაუსვლელობა ჰქონდა მისჯილი, მის საპატივცემულოდ ზაქარია ფალიაშვილი მთელი დღე საეკლესიო ორგანს უკრავდა, ხოლო გაღებული სარკმელთან მჯდომი ივანე ჯავახიშვილი საეკლესიო ჰანგების ფონზე აგრძელებდა თავის სამეცნიერო მუშაობას.

დღეისთვის სტამბულის ქართულ სავანეში საკვირაო წირვები ფრანგულ და თურქულ ენებზე აღევლინება. წმ. სამების სტამბოლის კათედრალის ფრანგი მღვდელი მ. ივ პლუმანი ყოველ კვირას ატარებს მსახურებას უმანკო ჩასახვის სახელზე აგებულ ქართულ კათოლიკურ ტაძარში. წირვებს სტამბულში მცხოვრები ქართველი, ასევე სომეხი კათოლიკეები ესწრებიან. დღეისათვის სტამბოლში დაუზუსტებელი მონაცემებით 100-300 ქართველი კათოლიკე ცხოვრობს.

ალბათ კარგი იქნებოდა დიდ ქართველ მამულიშვილისა და წმინდანის საიუბილეოდ სტამბოლის ქართულ სავანეში მემორიალური დაფა გახსნილიყო. ექვთიმე თაყაიშვილი სწორედ ის პიროვნება გახლდათ რომელიც იმ ღვაწლთან ერთად რასაც ეროვნული საგანძურის გადარჩენა ჰქვია, ასევე ქართული ეროვნული და კონფესიური ერთიანობის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს ყოველი ჩვენთაგანისათვის. ზუსტად ისევე, როგორც ყოველი ქართველის ქრისტიანი იქნება თუ მუსლიმი, მართლმადიდებელი თუ კათოლიკე, ეროვნული ერთიანობის სიმბოლოდ აღიქმება უცხოეთში „პატარა საქართველოდ" წოდებული სტამბოლის ქართული სავანე. ასევე მნიშვნელოვანი იქნებოდა თუ ქართველ კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა ერთიანი მომლოცველობა განხორციელდებოდა ამ სავანეში. ეს იქნებოდა უცხოეთში მოღვაწე დიდი ქართველი მამულიშვილების ხსოვნისადმი საუკეთოსო პატივის მიგება.

კათოლიკური ეკლესია 1921-1991 წლებში

"საქართველოს პატარა და ძვირფასო მრევლო, მუდამ
ქველმოქმედებასა და აღზრდა-განათლებაზე მზრუნველო, ისმინე
კეთილი მწყემსის გამამხნევებელი მოწოდება, მიენდე მას, ვინც
მხრებით გატარებს და ნუგეშს გცემს."
პაპი ფრანცისკეს ქადაგებიდან
01.10.2016, თბილისი

საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ახალი ისტორია პირობითად ოთხ ეტაპს მოიცავს. ყოველი ეს ეტაპი ერთმანეთისაგან განსხვავდება და დროის ყოველ ამ პერიოდში, საქართველოში, კათოლიკური თემის ცხოვრება ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე რჩებოდა.

პირველ ეტაპი, პირობითად, 1845 წლიდან იწყება, როდესაც რუსეთის ცარისტულმა ხელისუფლებამ თბილისში კაპუცინების მისიონი გააუქმა, ხოლო შემდეგ საეკლესიო მსახურებისას ქართული ენის გამოყენება აკრძალა. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამრევლოთა მღვდელმსახურები ლათინური წესზე იდგნენ - წირვის წესი ლათინურ ენაზე სრულდებოდა. მაგრამ დამკვიდრებული ტრადიციის მრევლი, ლოცვისას, ქართულ ენას გამოიყენებდა და ქადაგებანიც ქართულად სრულდებოდა. რუსეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ ქართული ენის გამოყენება ჯერ მართლმადიდებლურ სამრევლოებში აკრძალა. ქართული ენის გამოყენება კი 1848 წლიდან კათოლიკურ სამრევლოებშიც აიკრძალა. ქართველი კათოლიკე სამღვდელოების ნაწილი იძულებული გახდა მეზობელ ოსმალეთის იმპერიაში გახიზნულიყო და აღმოსავლური წესის ქართული კათოლიკური სასულიერო ცენტრი იქ დაეფუძნებინათ.

პაპი პიუს მეცხრეს თანხმობით და უშუალო მხარდაჭერით, კონსტანტინოპოლში, 1861 წელს, ლურდის ღვთისმშობლის სახელზე, აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი ქართულ კათოლიკურ მონასტერს აარსებს. აქვე, სემინარია იხსნება, სადაც საქართველოდან ჩასული ახალგაზრდები სწავლობენ, რათა მერე, სამშობლოში გააგრძელონ სასულიერო მსახურება. მონასტერთან გაიხსნა სტამბა, ბიბლიოთეკა და მალე, ეს მონასტერი მნიშვნელოვან ქართულ კათოლიკურ სასულიერო ცეტრად გადაიქცა, სადაც კათოლიკეებთან ერთად ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანები და ქართველი მუსლიმებიც დაწყებით განათლებას მშობლიურ ენაზე ეუფლებოდნენ. ასე რომ, ვიდრე 1918 წელს საქართველო დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, კონსტანტინოპოლის ქართული კათოლიკური სავანე უცხოეთში ეროვნულობის მთავარი კერა იყო. პირველი მსოფლიო ომის დროს, კონსტანტინოპოლის კათოლიკურ სავანეს, ქართული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის შტაბიც აფარებდა თავს. XIX

საუკუნის 80-იან წლებში საქართველოდან გახიზნულმა კათოლიკე სასულიერო პირებმა მონასტერი და სკოლა დააარსეს მონტობანში, (საფრანგეთი), რომელმაც 1907 წლამდე იფუნქციონირა.

მეორე ეტაპი - ეს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წლებია. 1918-1921 წლების პერიოდი დიდი პოლიტიკური აღმავლობით, მემარცხენე ტიპის დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობით ხასიათდება. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ჯერ კიდევ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებამდე, 1917 წელს გამოაცხადა ავტოკეფალიის აღდგენა. იმავე წლის 1 ოქტომბერს, ჩატარდა კათალიკოს-პატრიარქის ინტრონიზაცია. ახლად არჩეულმა პატრიარქმა - კირიონ II-მ თანადგომისათვის მაშინვე მიმართა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებს, ასევე რომის პაპ ბენედიქტე XV-ს და სთხოვა თანადგომა და საქართველოს ავტოკეფალიის ცნობა. პატრიარქი პაპს თავის ხელდასხმას აუწყებდა, ორ ეკლესიას შორის არსებულ ძველ მეგობრულ ურთიერთობებს შეახსენებდა და საქართველოში მცხოვრებ კათოლიკეთა პატივისცემას აღუთქვამდა. წმინდა საყდრის თანადგომის იმედი კირიონ II-ის შემდგომ პატრიარქებსაც ჰქონდათ, თუმცა, სამწუხაროდ, საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მიერ 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია-ოკუპაციისა და 1922 წელს საბჭოთა კავშირში იძულებითი გაერთიანების შემდგომ – საერთოდ, ეს კავშირი შეუძლებელი გახდა.

კათოლიკური თემისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობის ეს პერიოდი, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებით, აქტიურობით (მათ შორის, პოლიტიკურითაც) ხასიათდება. უკვე 1917 წელს, ქ. ბათუმში ქართველი კათოლიკეები, ატარებენ ყრილობას, რომელიც საერო და სასულიერო პირების მჭიდრო თანამშრომლობით და აქტიურობით გამოირჩევა. ქართველ კათოლიკეთა ყრილობამ ისტორიული დადგენილება მიიღო, რამაც, ფაქტიურად, შემდგომ ათწლეულებში, როდესაც ბოლშევიკური ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა კათოლიკური ეკლესიის განადგურებას, საქართველოში კათოლიკური მრევლის ერთიანობის შენარჩუნებას და შეკავშირებას შეუწყო ხელი. კათოლიკეთა 1917 წლის ყრილობას (სადაც უცხოეთიდან, უმთავრესად კონსტანტინოპოლის ქართული მონასტრიდან ჩამოსული დელეგატები იღებდნენ მონაწილეობას) დიდი ვნებათა ღელვა ახლდა. ამ ფორუმის კათოლიკეთა ნაწილი წინა საუკუნეებში დამტკიცებული ქართული რიტის აღდგენის მომხრე იყო, მღვდლების ნაწილი კი სხვა აღმოსავლური რიტის მიმდევრები იყვნენ. მაგრამ ქართველი კათოლიკე სასულიერო პირების და მონაწილე ინტელიგენციის გონივრულმა, თანმიმდევრულმა და ერთადერთმა სწორმა პოზიციამ - ეკლესიის ერთიანობის იდეამ - გაიმარჯვა. ათწლეულების მანძილზე, ქართველი კათოლიკეების წინააღმდეგ რუსული ასიმილატორული პოლიტიკით შეწუხებული მრევლის ნაწილი, ქართული რიტის აღდგენის მოსურნე იყო. სასულიერო პირების ერთიანობის აღდგენის შორსმჭვრეტელურმა ხედვამ სხვადასხვა აღმოსავლური

რიტის კათოლიკეთა მცირე ჯგუფების ლათინურ წესში გაერთიანება გახადა შესაძლებელი. ამან შეაკავშირა და გააერთიანა მცირე, მაგრამ მრავალეთნიკური კათოლიკური მრევლი. ამ ერთიანობას, ყველა სხვა ფაქტორთან ერთად, ეკონომიური მნიშვნელობაც გააჩნდა: დანაწევრებულ მცირე საკრებულოებს ტაძრებისა და სამლოცველოების მოვლა-პატრონობა გაუჭირდებოდათ. ეს შემდგომმა ათწლეულებმა რეალურად კიდეც დაადასტურა.

ამასობაში, წმინდა საყდარი დემოკრატიული საქართველოს კათოლიკეთათვის პასტორალური მზრუნველობის აღმოსაჩენად საფუძვლიანად ემზადებოდა. 1920 წლის ივნისში, იეზუიტთა ორდენის მდივანმა - მამა პიეტრი ტაჩი ვენტურიმ საქართველოში წარმოსაგზავნი მამები შეარჩია, რომლებიც 1920 წლის ბოლოს, პაპმა სპეციალურ აუდიენციაზე მიიღო და მათ მისიას გზა დაულოცა. 1921 წელს მისია თბილისისკენ გამოემგზავრა, მაგრამ გზაში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შესახებ შეიტყვეს და იძულებულები გახდნენ, უკეთესი დროის მოლოდინში, უკან გაბრუნებულიყვნენ [პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა, 1995. 336].

მესამე ეტაპი საბჭოთა პერიოდს მოიცავს, როდესაც ათეისტური იდეოლოგიის მატარებელი ხელისუფლება მკაცრი კონტროლის ქვეშ ამყოფებდა ნებისმიერ რელიგიურ ორგანიზაციას. ეს პერიოდი კიდევ შეიძლება სამ ქვეეტაპადაც დაიყოს: 1921-1945 წლები, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან ტოტალური რეპრესიები ხორციელდებოდა და ეკლესიებს ხურავდნენ, სასულიერო პირებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ. 1945-1985 წლები როდესაც სახელმწიფო მკაცრ რეპრესიები აღარ იყენებდა, თუმცა რელიგიური ცხოვრება შეზღუდული და მკაცრად კონტროლირებული გახლდათ. და ბოლო 1985-1990 წლები, ე.წ. „პერესტროიკის" ეპოქა, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან გატარებული დათმობის პოლიტიკის შედეგად დაიწყო რელიგიურ ორგანიზაციათა გააქტიურება.

მეოთხე პერიოდი 1992 წლებიდან იწყება. საქართველოში კათოლიკური ეკლესიის უახლესი ისტორიის ამ ბოლო ეტაპს, წინ დიდი ისტორიული პროცესები უძღოდა. 1991 წლის 9 აპრილს ცხადდება საქართველოს დამოუკიდებლობა, ხოლო იმავე წლის 26 დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაიშალა. 1992 წელს წმინდა საყდარსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. 1993 წლის აღდგა სამოციქულო ადმინისტრაცია.

როგორც ავღნიშნეთ, 1921 წლის მარტში, ბოლშევიკური რუსეთის წითელმა არმიამ, თითქმის ერთთვიანი სასტიკი ბრძოლების შედეგად, სრულად მოახდინა საქართველოს ოკუპაცია. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა გამოცხადდა, რომელიც ფაქტიურად რუსული საოკუპაციო არმიის ხელმძღვანელობის მიერ იმართებოდა. ეს ფსევდო-დამოუკიდებელი რესპუბლიკა 1922 წლის დეკემბერში ახლად შექმნილ საბჭოთა კავშირში ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის სახით გაერთიანდა (1936 წლის რეფორმის შემდგომ - 1992 წლამდე, ანუ სსრკ-ს დაშლამდე, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა).

გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე, იდეურ მოწინააღმდეგეებს საბჭოთა ხელისუფლება მკაცრ ბრძოლას უცხადებს. თუმცა, ითვალისწინებს რა მოსახლეობის ეროვნულ განწყობას, "რაღაც თავისუფლებებს" ბოლომდე არ აუქმებს. მაგ: ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, 26 მაისს, კიდევ 4 წლის მანძილზე აღნიშნავენ, ოღონდ, სულ უფრო ნაკლები მასშტაბით. 1924 წლიდან კი რეპრესიები იწყება ყველა მათ წინააღმდეგ ვინ არ იზიარებდა საბჭოურ პოლიტიკას. რომელიც თავის პიკს 1937 წელს მიაღწევს.

საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ ცალსახა იყო: დროთა განმავლობაში, მორწმუნათა სიმცირის გამო ეკლესია, თითქოს, უნდა გამქრალიყო. რწმენის წინააღმდეგ ბრძოლა - სამღვდელოების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლით დაიწყო. ეკლესიის მიმართ კი საბჭოთა ხელისუფლებას მკვეთრად ჩამოყალიბებული და მიზანმიმართული დამოკიდებულება გააჩნდა. იმ ეკლესიების იერარქების კონტროლი უფრო ადვილი იყო, რომელთა ცენტრიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იმყოფებოდა ვიდრე ეკლესიებისა, რომელთა ცენტრი საზღვარგარეთ მდებარეობდა. განსაკუთრებული სტატუსი სომხურ სამოციქულო ეკლესიას გააჩნდა, რადგანაც - მისი ცენტრი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იყო, მაგრამ მრევლის დიდი ნაწილი უცხოეთში ცხოვრობდა. ყოველივე ეს განაპირობებდა ხელისუფლების არაერთგვაროვან დამოკიდებულებას ამ ეკლესიების მიმართ. მაგალითად: ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა კათოლიკე ეკლესია, ვინაიდან მისი ცენტრი უცხოეთში მდებარეობდა. ეპისკოპოსების დანიშვნაზეც, რასაკვირველია, ხელისუფლებას ხელი არ მიუწვდებოდა და კიდევ ერთი ფაქტორი: კათოლიკეთა დიდი ნაწილი ეთნიკურ პოლონელებს შეადგენდნენ. საბჭოთა პოლიტ-ელიტა პოლონეთს მტრულ სახელწიფოდ განიხილავდა. ანუ, თუ კათოლიკე იყავი, განათლებული, შეძლებული და თან პოლონელი – დაუყოვნებელი რეპრესიისათვის ეს სავსებით საკმარისი არგუმენტი იყო. თუმცა, ერთი რომელიმე არგუმენტიც სავსებით საკმარისი იყო, რათა შავ სიაში აღმოჩენილიყავი.

დემოგრაფიული მდგომარეობა

კათოლიკეების საქართველო ყოველთვის უმცირესობას წარმოადგენდა. მათი რაოდენობა, საშუალოდ, 1%-ზე მეტი არასდროს ყოფილა. სამხრეთ საქართველოში კათოლიკეები კომპაქტურად სახლობდნენ და მათი რაოდენობა საერთო მოსახლეობის 10% შეადგენდა. 1944 წელს საქართველოს სამხრეთ რეგიონიდან ყაზახეთში მუსლიმი ქართველების გასახლების შემდგომ, სავარაუდოდ, პროცენტული რაოდენობა ოდნავ გაიზრდებოდა, თუმცა უკვე ამ პერიოდში, რელიგიურობის კუთხით აღრიცხვა აღარ ხდებოდა.

დემოგრაფიული აღრიცხვა პირველად 1898 წელს ჩატარდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში. მისი მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე (მაშინ ეს ორ, თბილისის და ქუთაისის გუბერნიას მოიცავდა) 20 ათასი ლათინური წესის კათოლიკე სახლობდა. კათოლიკეთა რაოდენობა, 1912 წლისათვის, უკვე 30 ათასს აღწევდა.

რევოლუციების, მსოფლიო და სამოქალაქო ომების შედეგად დამყარებულ საშინელ ანარქიას რუსეთიდან ათასობით ადამიანი გამოექცა და მათ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შეაფარეს თავი. პატრი კონსტანტინე საფარიშვილი, რომელიც ამ პერიოდში თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის მღვდელმსახური იყო, იგონებდა, რომ იმ ხანად, ვოლგისპირეთიდან იმდენი გერმანელი ლტოლვილი იყო თბილისში და მის შემოგარენში, რომ, როდესაც გერმანულ ენაზე ატარებდა წირვას, მორწმუნეები ტაძარში ვეღარ ეტეოდნენ და ტაძრის წინა ქუჩა ხალხით სავსე იყო. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ, ოსმალეთის იმპერიიდან ათასობით ქრისტიანმა ასირიელმა ლტოლვილმა საქართველოს შეაფარა თავი და თბილისის სიახლოვეს რამდენიმე სოფელიც დააფუძნეს.

ასირიელთა შორის - მრავალი კათოლიკე იყო. მათი შთამომავლები, დღესაც საქართველოში ცხოვრობენ და საშუალება აქვთ ასირიულ ენაზე აღავლინონ მსახურება.

შემთხვევითი არ არის, რომ 2016 წლის ოქტომბერში, თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფი პაპი ფრანცისკე ასირიულ-ქალდეურ ტაძარსაც ესტუმრა, სადაც პაპისა და სპეციალურად ამ შეხვედრისთვის, ერაყიდან ჩამოსული ქალდეველ კათოლიკეთა პატრიარქის გულისამაჩუყებელი შეხვედრა შედგა.

მაშინ, როდესაც 1921 წელს ბოლშევიკებმა საქართველოს ოკუპაცია განახორციელეს, აქ 50 ათასზე მეტი კათოლიკე სახლობდა. მათ შორის უმრავლესობა, ლათინური წესის მიმდევრები იყვნენ. დაახლოებით ერთი მესამედს კი სომხურ-კათოლიკური და ასირიულ-ქალდეური წესის კათოლიკეები შეადგენდნენ. ლათინური წესი კათოლიკეებს სხვადასხვა კუთხეში 30 ტაძარი გააჩნდათ. რაც შეეხება სომხური წესის კათოლიკეებს, სამხრეთ საქართველოს რაიონებში, XIX საუკუნეში აგებული დაახლოებით 15-მდე ტაძარი გააჩნდათ. ახალჩამოსულ ასირიელებს თავისი სამლოცველოები არ ჰქონდათ, ამიტომ თბილისის ყველაზე დიდ - წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში ესწრებოდნენ ღვთისმსახურებას.

ლათინური წესის ტაძრებიდან, თავის ისტორიულ-მხატვრული ღირებულებით, მნიშვნელოვანი გახლდათ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორის და ასევე სამხრეთ საქართველოს სოფელ უდეში აგებული ტაძრები. ეს უკანასკნელი გამორჩეულია იმით, რომ იგი არის იშვიათი ძეგლი ქრისტიანთა და მუსლიმთა კეთილმეზობლობისა. უდეს ტაძარი 1904-1906 წლებში შენდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის შემოწირულობით. როგორც ამ ტაძრის კედელში ჩაყოლებული ფილის ლაპიდარული წარწერა გვამცნობს: **„უდეს არის კათოლიკენი 2120 სული**

მშენებელი ამა საყდრისა მაჰმადიანები 520 სული ტომით ქართველნი. ღვთისმშობელო შენ გწირამთ ჩვენ შრომასა“ [ბარდაველიძე ნ. არ ინდომო შენი თვისტომის სახლი, ჟურ. „სოლიდარობა”, N3 (12) 07, 2007,. 36].

სისხლიანი 20 და 30-იანი წლები

წითელი არმიის მიერ თბილისის აღება 1921 წლის 25 თებერვალს, კათოლიკეებისათვის მძიმედ დაიწყო. დაიღუპა წმ. პეტრე და წმ.პავლე მოციქულთა ტაძრის წინამძღვარი, კავკასიის ვიზიტატორი, სარატოვის ეპარქიის მმართველისაგან დანიშნული დროებითი წარმომადგენელი - მიხეილ ანტონაშვილი (1854-1921წ.წ.). კათოლიკე სამღვდელოება ოკუპაციასა და რეპრესიებს არ ეპუებოდა. 1921 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, პატრი კონსტანტინე საფარიშვილი, რომელიც იმ დროისათვის, სასულიერო და საგანმანათლებლო საქმიანობას უკვე ქ. გორში ეწეოდა, თავის მოსწავლეებს საქართველოს ეროვნული დროშით გაუძღვა და ქალაქის ცენტრში, ანტიბოლშევიკურ მანიფესტაციას შეუერთდა. საბჭოთა ხელისუფლებისადმი შეურიგებლობით გამოირჩეოდა კათოლიკური ეკლესიის ყველა სხვა მღვდელმსახური, ამიტომაც რეპრესიებმა, რომლებიც 1924 წლიდან დაიწყო, ყველა მათგანი შეიწირა [ბარდაველიძე ნ., უბრალოდ კათოლიკე, ჟურ. „სოლიდარობა”, №3 (12) 07., 2007,. 37].

საარქივო დოკუმენტების მიხედვით, კათოლიკურ ეკლესიასთან, კერძოდ კი წმინდა საყდართან მჭიდრო ურთიერთობების დამყარების მომხრე, საფრანგეთში იძულებით ემიგრაციაში წასული, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკური ფრთის) ლიდერებიც იყვნენ. მთავრობის თავჯდომარის ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, თითქმის მთელი მთავრობა თავისი ოჯახებით, დაახლოებით ექვსასამდე ადამიანი, ჯერ სტამბულში, ქართულ კათოლიკურ მონასტერში, აფარებდა თავს, შემდგომ კი კი პარიზში დაფუძნდნენ, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების იმედი არ შეუწყვეტიათ და მუდამ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ.

ჯერ კიდევ 1918 წლის მარტში, ვატიკანთან ურთიერთობების დამყარებასა და გაღრმავებას საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიაც ინტენსიურად ცდილობდა. „ქართველი სამღვდლოების ზედაფენის ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა რომთან მოლაპარაკების გამართვა, რასაც კეთილი თვალით უყურებდა საქართველოს მენშევიკური მთავრობაც. ისინი ცდილობდნენ მოსახლეობაში პოპულარული გაეხადათ ის აზრი, რომ რუს და ქართველ ხალხებს შორის არავითარი საერთო არ იყო, გარდა მართლმადიდებლობისა, და რომ ამ ურთიერთობის შედეგი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა” [კვესელავა ი. XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის ფურცლები, „მეცნიერება”, 1990., 96].

ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდგომ წლებში წმინდა საყდარი ცდილობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის დახმარება

აღმოეჩინა; ასევე ზრუნავდა ადგილობრივ კათოლიკურ საკრებულოებზეც. **გაწითლებული რაც არის ამოვიღოთ?**

გასაბჭოების შემდგომ, უცხოეთში ემიგრირებული ქართველი პოლიტიკოსები საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ვატიკანთან ურთიერთობების გაგრძელებას და კათოლიკური ეკლესიის დიდი ავტორიტეტის გამოყენებას ცდილობდნენ. ქართველი პატრიოტებისათვის ერთ-ერთ ასეთ ცენტრს სტამბოლის ფერიქოის უბანში არსებული ქართველ კათოლიკეთა მონასტერი წარმოადგენდა. საზღვარგარეთ გადახვეწილ მამულიშვილთათვის სტამბოლის ქართული კათოლიკური სავანე „მიჩნეული იქნა როგორც ქართული კულტურის კერა უცხოეთში, რომელსაც დიდ ეკონომიკურ დახმარებას უწევდა ვატიკანი. პირველი მსოფლიო ომის დროს აქ ბინა დაიდო „ქართული ლეგიონის კომიტეტმა", მიხაკო წერეთლის მეთაურობით, რომელიც ისახავდა „საქართველოს განთავისუფლებას" მეფის თვითმპყრობელობისაგან. . . 600 ლტოლვილმა ქართველმა მონასტერს მიაშურა. „საქართველოს დემოკრატიული მთავრობა" პარიზში გადასვლამდე აქ იმყოფებოდა . . . სტამბოლის ქართული მონასტერი იყო 1924 წლის აგვისტოს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, მისი დამარცხების შემდეგაც ემიგანტულ მთავრობას არ შეუწყვეტია კავშირი ვატიკანთან და მთელ იმედებს პაპზე ამყარებდა" [კვესელავა ი., 1990., 98].

ლტოლვილი მთავრობის წევრები, ემიგრაციაში ყოფნისას, წმინდა საყდართან ურთიერთობას განაგრძობდნენ და კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდნენ, რაც ევროპის სახელმწიფოთა დახმარების მტკიცე გარანტად მიაჩნდათ. საქართველოს პარტიულ არქივში დაცულია მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ყოფილი თავდაცვის მინისტრის ნოე რამიშვილის მიერ საქართველოში არალეგალურად მოქმედი მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი გამოგზავნილი დირექტივა, საიდანაც ირკვევა, რომ პარიზში მყოფი მენშევიკი ლიდერები, კერძოდ კი ემიგრანტული მთავრობის წევრები, ვატიკანთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული და რომში საკუთარი წარმომადგენელიც კი ჰყოლიათ. თუმცა კონსპირაციის მოთხოვნიდან გამომინარე ნ. რამიშვილი საქართველოში მყოფ ადრესატებს, მათ ვინაობას არ უმხელს .[ჩანს ზოგადად წმინდა საყდართან ქონდათ ურთიერთობა]. [საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის პარტიული არქივი(თბილისი), ფ.13, აღწ.1,ნაწ.II,ს.2305, ფ.70.]

საარქივო მასალიდან ირკვევა, რომ „ნ. რამიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართული ეკლესიის მეთაურები ფიქრობდნენ რომთან კავშირზე. იგი თხოულობდა ყოველნაირი ცნობის მიწოდებას, რაც ეკლესიას შეეხებოდა და მიიჩნევდა, რომ ევროპაში ამას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა" [პარტიული არქივი(თბილისი), ფ.13, აღწ.1,ნაწ.II,ს.2305, ფ. 70].

გასაბჭოების შემდგომ, ანტირელიგიური კამპანიის გაფართოებისა და უცხოეთთან კონფრონტაციის პირობებში, პოლიტიკური ვითარება ისე შეიცვალა,

რომ წმინდა საყდარმა ვეღარ შეძლო სამოციქულო ადმინისტრატორის მოვლინება. ეს მაღალი ფუნქცია ფარულად მღვდელ იმანუელ ვარდიძეს დაეკისრა, რომელიც წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულების სახელობის თბილისის ტაძრის წინამძღვარი გახლდათ. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ „ვარდიძე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამერიკის, გერმანიის და იტალიის საკონსულოებთან თბილისში. მათი დახმარებით მან შესძლო საქველმოქმედო საქმიანობის გაშლა, სკოლების, ბავშვთა სახლებისა და უსახლკაროთა თავშესაფრების გახსნა". [იქვე, ფ.67].

ცხადია 20-იან წლებში **მღვდელ ემანუელ ვარდიძის** 1886-1966წ.წ.). იგი 1921 წლიდან 1966 წლამდე, გარკვეული ინტერვალებით, თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის წინამძღვარი იყო, აქტიური საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩებოდა და მალე, მას საერთოდ აუკრძალეს საქველმოქმედო საქმიანობა. შემდგომ კი დააპატიმრეს კიდეც. საერთო ჯამში, მ. იმანუელ ვარდიძე, სხვადასხვა ვადით, 1921-1946 წლებში რელიგიური მოღვაწეობისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი არალოიალური დამოკიდებულების გამო 6-ჯერ იყო დაპატიმრებული და გადასახლებული.

პატრ კონსტანტინე საფარიშვილს, 1927-1936 წლებში, სოლოვკების მკაცრი რეჟიმის ბანაკში მოუწია გადასახლება. ეს იყო ყოფილი მონასტრების ტერიტორიაზე შექმნილი მკაცრი რეჟიმის ბანაკების სისტემა, სადაც როგორც მისი უფროსობა ხუმრობდა - „აქ არა საბჭოთა, არამედ სოლოვკური ხელისუფლებაა". [Д/Ф „Власть Соловецкая - Свидетельства и документы – 1988".]

1927 წელს, პატრმა შიო ბათმანიშვილმა საქართველოს მაშინდელ ხელისუფლების მეთაურს ფილიპე მახარაძეს თხოვნით მიმართა. გააცნო კონსტანტინოპოლის კათოლიკური სავანიდან მიღებული წერილი, აუხსნა საქმის ვითარება და სთხოვა, ნებართვა მიეცათ მისთვის აერჩია ათიოდე ნიჭიერი ახალგაზრდა მორწმუნე, ვისაც სურვილი ექნებოდა მიეღო სასულიერო განათლება და ამ მონასტერში დარჩებოდა, რათა უცხოეთში არსებული ქართული სულიერებისა და კულტურის კერა მომავალში უპატრონოდ არ ყოფილიყო. ფილიპე მახარაძე დაეთანხმა პატრ შიოს ამ თხოვნას. დაიწყო სასულიერი სასწავლებელში სწავლის მსურველთა შეკრება და როდესაც დადგა ჟამი გამგზავრებისა, ადგილობრივი „ჩეკას" უფროსის ლავრენტი ბერიას ბრძანებით, რომელიც როგორც ამბობდნენ, პირადად დაპირისპირებული იყო ხელისუფლების პირველ პირთან, ვიზისთვის მისული დელეგაცია თურქეთის ნაცვლად გაურკვეველი მიმართულებით გააქრო, თან სამუდამოდ [საფარიშვილი კ. პირადი დღიური, 27].

კათოლიკური ეკლესიის ყველა სასულიერი პირი, 30-იან წლების რეპრესიებს ემსხვერპლა, გარდა ემანუელ ვარდიძისა და კონსტანტინე საფარიშვილისა. მათ უბრალოდ, "გაუმართლათ"; ისინი უკვე სოლოვკაში იყვნენ გადასახლებულნი და მღვდემსახურებას არც ჩრდილოეთის შრომით-გამოსასწორებელ ბანაკში ანებებდნენ თავს. პატრ კონსტანტინეს მოგონებიდან ირკვევა, რომ ბარაკების სიახლოვეს, ხის ფუღუროში დამალული ქონდათ ჯამი და თეფში, სამუშაოდ

გასვლამდე ერთი საათით ადრე იპარებოდნენ და ფარულად ატარებდნენ წმინდა წირვას. როცა ბანაკი მოწყობაზე დგებოდა, ისინი უკვე ზიარებამიღებულები - პირველები იდგნენ მწყობრში.

საბჭოთა კავშირში რეპრესიები 1937 წელს პიკს აღწევს. ევროპაში ფაშიზმი ბატონობს; ესპანეთში სამოქალაქო ომია; მილიტარისტული ქვეყნები ახალი განაწილების პროცესში ჩაებნენ; საბჭოთა კავშირში ძალაუფლება მცირე ჯგუფის ხელში იყრის თავს; ყოველგვარი ოპოზიციური აზრი განდევნილია. ამ ფონზე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს რეპრესიების მოწყობაში ეჯიბრებიან, რათა თავისი მონური ერთგულება დაუმტკიცონ მაღალ ხელისუფალს. ასეთი ისტერიის ფონზე "მათ"გადაწყვიტეს - საბოლოოდ გაეტეხათ ეკლესიის წინააღმდეგობა. მთავარი დარტყმა - მატერიალური ფრონტიდან დაიყო. 1937 წელს, ახალი საბჭოთა კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ითხოვენ, რომ რელიგიურმა გაერთიანებებმა მიწის ფართის გაზრდილი გადასახადი სრულად და გადავადების გარეშე დაფარონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ჩამოერთმევათ უძრავი ქონება, ანუ ტაძარ-მონასტრები. და ეს ეკონომიკური სანქციები, საშინელი რეპრესიებისა და ტოტალური აგიტაცია-პროპაგანდის ფონზე მიმდინარეობს. მოსახლეობის დიდი ნაწილი დაშინებულია, ნაწილმაც სხვადასხვა მიზეზთა გამო რელიგიაზე გული აიცრუა. რეპრესიები განსაკუთრებული სისასტიკით კი კათოლიკე ეკლესიის, როგორც „იმპერიალიზმის მსახურის" წინააღმდეგ არის მიმართული. ამ მძიმე ვითარებაში საქართველოს კათოლიკურმა ეკლესიამ მაინც შეძლო თავის გადარჩენა. თითქმის ყველა ტაძარი დაიხურა. მხოლოდ თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარი დარჩა მოქმედი, რომლის მრევლმა მართლაც გმირობა გამოიჩინა: გერმანული მრევლის წევრებმა ძროხები გაყიდეს, რათა გადასახადის დასაფარი თანხა შეეგროვებინათ. შემდგომ წლებში, მართალია, გადასახადი თითქოს შემცირდა, მაგრამ მცირერიცხოვანი მრევლისათვის მაინც საკმაოდ მაღალი იყო, ისინი ვეღარ ერეოდნენ ამ გადასახადს. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისა და გერმანელთა გადასახლების შემდგომ, ასირიელმა მრევლმა გადასახადის გადახდის „ლომის წილი" თავის თავზე იტვირთა.

1937 წლიდან 1990 წლამდე, მთელ კავკასიაში, თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარი ერთადერთ მოქმედ ლათინური წესის კათოლიკურ ტაძრად რჩებოდა. მეორე ტაძარი, რომელიც თუმცა მღვდლის გარეშე იყო და მაინც არ დაიხურა, გადარჩა, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა უვლიდა და პატრონობდა ტაძარს. იგი საზღვრისპირა პატარა სოფელ სხვილისში მდებარეობდა, სადაც სასაზღვრო კონტროლის პირობებში გარეშა ვერც ვერავინ ჩავიდოდა. დანარჩენი კათოლიკური ტაძრები დაიკეტა. ზოგან სოფლის საწყობი მოეწყო, სადაც ხორბალს ინახავდნენ. თბილისის წმ. მარიამის ამაღლების ტაძარში ფიზკულტურის დარბაზი გახსნეს. ქ. გორის ტაძარშიც საწყობი იყო, ხოლო XX ს-ის 70-იან წლებში ადგილობრივი უნივერსიტეტის ახალგაზრდებმა დროს აუწყვეს მხარი და სტუდენტური დისკოტეკა მოაწყეს. ბათუმის ტაძარში

1990 წლამდე საკვლევი ლაბორატორის მოქმედებდა. ქუთაისის ტაძარს შედარებით გაუმართლა - ის ჯერ საწყობად გამოიყენეს, შემდეგ ფილარმონიას გადასცეს, გაარემონტეს და საორგანო მუსიკის დარბაზად გადააკეთეს [ბარდაველიძე ნ., №3 (12) 07., 2007,. 38]

დაკეტილ და ჩამორთმეულ ტაძრებში ქონებას ანადგურებდნენ. თუმცა, მორწმუნეთა ნაწილმა, სოფლად, საეკლესიო ქონების გადამალვა და დაცვა მაინც შეძლო. მიუხედავათ 1937 წლის რეპრესიებისა, საეკლესიო ცხოვრება არ შემწყდარა. მორწმუნენი, შეძლებისდაგვარად, სისტემატურად ტაძრებში დადიოდნენ, ეზიარებოდნენ, ბავშვები ფარულად, მაგრამ კატეხიზაციის კურსს გადიოდნენ. თბილისის წმ. მარიამის ზეცად აყვანების ტაძართან 1937 წლამდე საკვირაო სკოლა მოქმედებდა, სადაც კათოლიკეებთან ერთად მრავალი მართლმადიდებელი მოზარდიც სწავლობდა, რადგან საღვთო რჯულის შესწავლა სხვაგან უკვე შეუძლებელი იყო და თან, კათოლიკურ საკვირაო სკოლაში სწავლის მთავრი მიზეზი არსებობდა - მუსიკასა და გალობას ცნობილი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი ასწავლიდა. ფალიაშვილების მთელი ოჯახი კათოლიკური მრევლის აქტიური წევრები იყვნენ. იმ დროისათვის დიდი კომპოზიტორი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორიც გახლდათ. კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში კონსტანტინოპოლის კათოლიკური ქართული სავანეც იყო ჩართული [პაპუაშვილი ნ. მიხეილ თარხნიშვილი და მისი „საქართველოს ეკლესიის ისტორია",. 2014. 46].

ბოლშევიკებს გარიდებულნი და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში პოლიტიკურ ემიგრაციაში წასული ქართველი მეცნიერები მონასტრის სტამბაში ბეჭდავდენენ თავიანთ ნაშრომებს. აღსანიშნავია, კათოლიკე მღვდლის, საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და სასულიერო ლიტერატურის ცნობილი მკვლევრის, პაპის აღმოსავლეთის ინსტიტუტის პროფესორის მიხეილ თარხნიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა გერმანიასა და ვატიკანში. სწორედ მან შეისწავლა 1946 წელს პალესტინაში ვირჯილიო კორბოს მიერ აღმოჩენილი ქართული წარწერები. [ბარდაველიძე ნ. სიკეთის მოტანა შეუძლია,. გაზ. „თბილისი", 1989 7დეკ. 7].

მიუხედავად მძიმე წლებისა და მუდმივი თვალთვალისა, ადამიანები არ კარგავდნენ ურთიერთნდობასა და თანადგომას. არსებობს ერთი საინტერესო მოგონება 30-იანი წლების პერიოდზე, რომელიც იმ შავბნელი წლების თანადგომის მზაობას კარგად ახასიათებს:

კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილს დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდა ცნობილ მეცნიერთან, საქართველოს ისტორიის მკვლევართან და თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელ ივანე ჯავახიშვილთან. კომუნისტური ხელმძღვანელობისათვის 30-იანი წლების დასაწყისში, ივ. ჯავახიშვილის ეროვნული პოზიცია მიუღებელი გახდა. მას რექტორობა ჩამოართვეს და ლექციების კითხვაც აუკრძალეს. რამდენიმე წელი იგი, ფაქტიურად, შინაპატიმრობაში იმყოფებოდა; კოლეგები გაურბოდნენ მასთან სტუმრობას. მეცნიერი წმ. პატრე და წმ. პავლე მოციქუთა ტაძრის მოპირდაპირე მხარეს

ცხოვრობდა. მისი სამუშაო კაბინეტის ფანჯრები ქუჩისაკენ გადიოდა, ზუსტად ტაძრის დასავლეთ კარიბჭისაკენ. კარიბჭის თავზე განლაგებულია ქორო და საეკლესიო ორგანი. ზაქარია ფალიაშვილი ხშირად სტუმრობდა კათოლიკურ ტაძარს და წირვა–ლოცვის დასრულების შემდეგ, ნახავდა რა ივანე ჯავახიშვილის ბინაში გამოღებულ ფანჯრებს, თავადაც გამოაღებდა ტაძრის ლუნეტის სარკმელს, რათა ორგანის ხმა კარგად გაეგონათ მოპირდაპირე სახლში. უდიდესი ქართველი კომპოზიტორი თავდავიწყებით ასრულებდა საკუთარ თუ კლასიკოსთა საორგანო ნაწარმოებებს. ტაძრის მსახურები და მრევლის წევრებიც ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი დიდი მაესტროს ამ იმპროვიზაციებით არაერთხელ მოხიბლულან. საღამოობით დიდ მეცნიერს კათოლიკური ტაძრის სამრევლო საბჭოს თავჯდომარე, ცნობილი ინჟინერი და საბჭოთა კავშირის შრომის გმირობის ორდენის კავალერი, გიორგი თუმანიშვილი სტუმრობდა და მხიარული საუბრით ცდილობდა მის გამხნევებას. ჭეშმარიტად, ორი უდიდესი პიროვნების სულიერი მეგობრობისა და თანადგომის ეს გამოვლენა გახლდათ იმ ძნელბედითი ეპოქის, ქრისტიანული იმედით და სიყვარულით აღსავსე ადამიანების ურთიერთთანადგომის ერთ-ერთი მაგალითი, თუ როგორ ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ სულიერება და ერთმანეთისათვის სითბო, სიყვარული გაენაწილებინათ [ბარდაველიძე ნ. ივანე ჯავახიშვილი და ქართველი კათოლიკეები, ჟურ.„საბა”, 01(253),. 2016,. 18].

მეორე მსოფლიო ომი

მეორე მსოფლიო ომი მძიმე ტვირთად დააწვა ყველას. გამონაკლისი არც კათოლიკური თემი გახლდათ. მრავალი ადამიანი ომის ფრონტზე გაიწვიეს. გამარჯვებას, შინ დარჩენილებიც მძიმე შრომით ჭედდნენ. კათოლიკური ეკლესიაც და მრევლის წევრებიც თანხებით ეხმარებოდნენ ფრონტს. ომის პერიოდში, ანტირელიგიური პროპაგანდის, ტაძრების დახურვისა და რეპრესიების გამო უკვე ისედაც შეთხელებული საკრებულოები მკვეთრად შემცირდა. მრევლის რაოდენობის შემცირება, შორეულ ყაზახეთში, გერმანული მოსახლეობის დეპორტაციითაც იყო გამოწვეული. ეთნიკურ გერმანელებთან ერთად შერეული ოჯახებიც გადაასახლეს – ყველა, ვინც გერმანულ გვარს ატარებდა.

მეორე მსოფლიო ომში, 3 მილიონიანი ქვეყნიდან 700 ათასი ადამიანი იყო გაწვეული. მათგან, 300 ათასი უკან ვეღარ დაბრუნდა. გადასახლება ყველა სამხედრო მოსამსახურეს შეეხო, ვინც ომის დროს ტყვედ ჩავარდა; მათ შორის იმათაც, ვინც ტყვეობიდან გაიქცა და საფრანგეთის, იტალიის ანტიფაშისტური წინააღმდეგობის, ან პარტიზანთა რიგებში იბრძოდა. ტყვედ მოხვედრილთა ნაწილმა შეძლო დასავლეთ ევროპაში დარჩენა. შემდგომ, მათ, მუდმივი ნოსტალგიის ტყვეობაში, მოუწია ცხოვრება.

ემიგრაციის მეორე ტალღა

ომის დასრულების შემდეგ, მთელი ევროპის ტერიტორიაზე ინტენსიურად ეძებდნენ და აპატიმრებდნენ ყოფილ საბჭოთა ტყვეებს. მათთვის ერთადერთი თავშესაფარი და შემწე კათოლიკე ეკლესია გამოჩნდა. ამ ფაქტის შესახებ ერთ-ერთ ემიგრანტულ ჟურნალის - „მამული" (ჟურნალი ბუენოს-აირესში იბეჭდებოდა) ფურცლებზე, 1951 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, ცნობილი მეცნიერი და ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი ლიდერი ვიქტორ ნოზაძე (1893-1975) „მამა ფილიპე დე რეჟის" წერს: "ეს სახელი ფართო საზოგადოებისათვის უცნობია, მაგრამ მას იცნობს ყველა ქართველი, ვინც ომის ნგრევათა შედეგად იტალიაში მოხვდა და საშინელ პირობებში ჩაცვივდა, როგორც ნივთიერად ისე განსაკუთრებით იმ ნადირობის გამო, რომელიც წითლებმა გამართეს ემიგრანტების შესაპყრობად".

ვინ იყო მხსნელი? ვინ იყო დამხმარე? არავინ იცოდა, გარდა რომის ეკლესიისა და მონასტერისა, ბერებისა და მონაზონებისა. ისინი იფარავდნენ და ეხმარებოდნენ მათ, ვისაც "წითლების კლანჭებში" ჩავარდნა მოელოდათ. მრავალი და მრავალი განწირული გადაარჩინა რომაულმა მონასტერმა" დასავლეთ ევროპაში კათოლიკურმა ეკლესიამ მრავალი ქართველი ტყვე გადაარჩინა საბჭოეთში დაბრუნებას, სადაც მათ სასტიკი სასჯელი არ აცდებოდათ. „რომაულ მონასტერში" ვიქტორ ნოზაძე კრებითად მთელ კათოლიკურ ეკლესიას გულისხმობს. [მარჯანიშვილი მ. ჯანესი-ქართველი ემიგრანტი. თბილისი, 2016,. 16].

წმინდა საყდარმა ნიკოლოზ ჯანელიძეც სწორედ ამ დევნისაგან იხსნა. რომში მოღვაწე მეცნიერისა და მღვდლის მიხეილ თარხნიშვილის დახმარებით მიიღო ნ. ჯანელიძემ კათოლიკური აღმსარებლობა, განათლება და შემდგომ გერმანიაში გააგრძელა ცხოვრება. იგი მალე გერმანიის ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე გახდა, დაარსა გამომცემლობა და გერმანიაში ქართული კულტურის პოპულარიზაციას უწყობდა ხელს. "ვეფხისტყაოსნის" თარგმანისათვის 1984 წელს ნიკოლოზ ჯანელიძემ პაპ იოანე-პავლე II-ის მადლობაც დაიმსახურა [მარჯანიშვილი მ. ჯანესი-ქართველი ემიგრანტი. 2016,. 41].

ამ ფაქტს, თავად ნიკოლოზ ჯანელიძე ამგვარად იხსენებს: „რომის პაპმა, აი, მადლობის წერილიც მოგვწერა. რომის პაპს ვთხოვეთ საშობაო და სააღდგომო ღღესასწაულებზე მისალმების დროს ქართულ ენაზეც მისალმებოდა ქრისტეს მორწმუნეებს. რომის პაპმა ჩვენი სურვილი შეგვისრულა და ქართულ ენაზეც ესალმება ვატიკანის ქრისტიანებს". დაუღალავი ღვაწლისათვის და საქართველო-გერმანიის მეგობრობაში შეტანილი წვლილისათვის 1983 წელს ნიკოლოზ ჯანელიძე, პირველი ქართველთა შორის, ალბერტ შვეიცერის სახელობის მშვიდობის მედლის ლაურეატი გახდა. მედალი, მის მეორე სამშობლო, გერმანიის ქალაქ იტცეჰოეში რომის პაპის წარმომადგენელმა პირადად გადასცა. [მარჯანიშვილი მ. ჯანესი-ქართველი ემიგრანტი,. 2016,. 42].

მეორე მსოფლიო ომის შედეგად ქართული ემიგრაციის მეორე ტალღაშიც იყვნენ ის კათოლიკეებიც, რომლებმაც, ბედის უკუღმართობის გამო, ვერ შეძლეს სამშობლოში დაბრუნება. ბევრი მათგანი წარმატებულ საქმიანობას ეწეოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების სურვილს მუდამ გულით ატარებდა. საბჭოთა რეჟიმის დროს - ეს შეუძლებელი იყო. ამიტომ, უცხოეთში ცდილობდნენ საქმით გამოდგომოდნენ თავის სამშობლოს.

მერე მსოფლიო ომის შემდგომ, საბჭოეთში რელიგიის მიმართ პოლიტიკა შეიცვალა. ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მიმართული ომი - სამამულო, საყოველთაო და წმინდა ომად გამოცხადდა. მოსახლეობის ყველა ფენის დასარაზმავად რელიგიურ ორგანიზაციებსაც მიეცათ საშუალება მორწმუნეებისათვის საერთო მტრის წინააღმდეგ თავგანწირვისაკენ მოეწოდებინათ. თავის მხრივ, ეკლესიები თავისი დანაზოგით უანგაროდ ეხმარებოდნენ ფრონტს. სტალინის ბრძანებით, 1943 წელს რელიგიების საქმეთა საბჭო იქმნება, რომელსაც დაევალა - სეკულარულ მთავრობასა და კანონგარეშე დარჩენილ რელიგიურ ორგანიზაციებს შორის შუამავალი გამხდარიყო. ომის შემდგომ კი დაიწყო რელიგიური ორგანიზაციების ოფიციალური რეგისტრაცია. საარქივო მასალების თანახმად, ამ რეგისტრაციით, 1946 წელს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში - 53 მართლმადიდებელი ეკლესია, 4 სომხური სამოციქულო ეკლესიის ტაძარი, 22 სინაგოგა, 2 მეჩეთი, ერთი მოქმედი კათოლიკე ტაძარი თბილისში, წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა, და ერთიც რეგისტრირებული, მაგრამ, ფაქტიურად, არამოქმედი სოფელ სხვილის კათოლიკე ეკლესია იყო. ასევე, საარქივო მასალებიდან ირკვევა ისიც, რომ სამხრეთ საქართველოს სოფლებში, სადაც კათოლიკური აღმსარებლობის მოსახლეობა სახლობდა, საბჭოთა კანონმდებლობით აკრძალვის მიუხედავად, ნახევრად ლეგალურად მოქმედებდნენ რელიგიური საკრებულოები. მორწმუნე კათოლიკეები (უმთავრესად ქალები), გვიან ღამით, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თვლემდნენ, დაკეტილ და კოლმეურნეობის საწყობად გადაქცეულ ტაძრებში ფარულად შედიოდნენ და სავარდის ლოცვებს ასრულებდნენ. ტაძრიდან გადამალულ ლურდის ღვთისმშობლის ქანდაკებას ოჯახებში მორიგეობით გადააბრძანებდნენ და მთელი ღამე ლოცულობდნენ. ლოცვებში ხშირად ბავშვებიც და მამაკაცებიც იღებდნენ მონაწილეობას [ბარდაველიძე ნ. კათოლიკური ეკლესია საქართველოში, მოკლე ქრონოლოგიური ინფორმაცია, კრებ. "რელიგია და საზოგადოება" N 3,. 2004,. 65].

პატრი კონსტანტინე საფარიშვილი, რომელიც 1936 წელს პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მართალია, საქართველოშო დაბრუნდა, მაგრამ მას თბილისში ცხოვრება და მღვდელმსახურება აკრძალული ჰქონდა. პატრი კონსტანტინე, თბილისიდან 200-ოდე კილომეტრში მდებარე, საკურორტო ქალაქ ბორჯომში დასახლდა და ფოტოგრაფობას მიჰყო ხელი. მას საცხოვრებლად ეს ადგილი შემთხვევით არ აურჩევია. ბორჯომიდან 20-დე კილომეტრში, საბჭოთა პერიოდში, საგულდაგულოდ დახურულ სასაზღვრო ზონაში, კათოლიკეებით დასახლებული

სოფლები მდებარეობდა. კვირაობით, ადგილობრივი ავტობუსებით, ბორჯომში ვითომ ექსკურსიაზე ჩამოსული მორწმუნეები ფოტოს გადასაღებად მიდიოდნენ პატრ კონსტანტინესთან. ის კი, თავის ფოტო-ატელიეში, ფირების გასამჟღავნებელ მცირე ოთახში, ფარულად მღვდელმსახურებას ეწეოდა. ასწავლიდა კატეხიზმოს, ნათლავდა ბავშვებს, იღებდა აღსარებებს და აზიარებდა მორწმუნეებს. კოსტანტინე საფარიშვილი 1958 წელს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ცნობილი მეცნიერისა და მკვლევრის, კათოლიკე მღვდლის - მიქაელ თამარაშვილის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე მიიწვიეს. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც საქართველოში მიქაელ თამარაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმი ჩატარდა. მართალია, ის, რომ მიქაელ თამარაშვილი კათოლიკე მღვდელმსახური იყო - ოფიციალურად არავის გამოუცხადებია; სასულიერი პირის, მითუმეტესს, კათოლიკეს და ვატიკანში მოღვაწის ხსენებაც და ხსოვნისადმი მიძღვნილი რაიმე სახის ღონისძიების ჩატარება, საბჭოური ცენზურის მოთხოვნათა გათვალისწინებით, იკრძალებოდა. მიუხედავად ამისა, ქართველმა ისტორიკოსებმა ცენზურისათვის თვალის ახვევა შეძლეს და დიდი მამულიშვილსა და მეცნიერის ხსოვნას - სათანადო პატივი მიაგეს. კონფერენციაზე დამსწრეთაგან, ყველამ როდი იცოდა, რომ მათ წინაშე მოხსენებით გამოვიდა "ყოფილი" კათოლიკე მღვდელი, რომელსაც რომში 1909-1910 წლებში სწავლისას, კათოლიკე მღვდელ მიქაელ თამარაშვილთან პირადი მეგობრობა აკავშირებდა.

„დათბობიდან" ახალ რეპრესიამდე

50-იანი წლების ბოლოს, ე.წ. „დათბობის პერიოდს", 60-იანი წლების დასაწყისის მკაცრი ანტირელიგიური პოლიტიკა ჩაენაცვლა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პირველი მდივნის, ახირებული და არაპროგნოზირებადი ნ. ხრუშჩოვის მოულოდნელი გადაწყვეტილებით, ანტირელიგიური რეპრესიების ტალღამ გადაუარა მთელ ქვეყანას. რამდენიმე დღეში, სტალინის ეპოქაში რეგისტრირებული 15 ათასი მოქმედი რელიგიური ორგანიზაციიდან, 10 ათასი დაიკეტა. რელიგიური ნივთები და ხატები განადგურდა. მედიაში კვლავ ანტირელიგიური კამპანია დაიწყო. განსაკუთრებული სისასტიკით კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებს ავიწროებდნენ. საბჭოთა სახელმწიფოს ლიდერი ფიქრობდა რომ 80-იან წლებში ქვეყანაში აღარ უნდა ყოფილიყვნენ არც მორწმუნეები და არც რელიგიური ორგანიზაციები. თუმცა, სულ ორიოდე წელიწადში, კრემლის შიდა გადატრიალების შედეგად თავად ნიკიტა ხრუშჩოვის ჩანაცვლება მოხდა და ქვეყანას ახალი ლიდერი – ლეონიდ ბრეჟნევი მოევლინა. მისი მმართველობის წლები 'უძრაობის' წლებად მოინათლა.

საქართველოში ეკლესიის პერსპექტივა 60-იანი წლების დასაწყისში მეტად სავალალო იყო. ხრუშჩოვის წინასწარმეტყველება – 80-იანი წლების დასაწყისში

საბჭოთა კავშირში რელიგია აღარ იარსებებსო – შესაძლოა, ქართველი მართლმადიდებლების მიმართ, ახდენილიყო კიდეც, ვინაიდან ყველა ლოგიკით, 70-იანი წლებისათვის, საქართველოში აღარც ერთი ქართველი მართლმადიდებელი მსახური ცოცხალი აღარ იქნებოდა, ხოლო მღვდლების გარეშე დარჩენილ ტაძრებს, ხელისუფლების მხრიდან, დახურვა ემუქრებოდა. შემდგომ, ყველაზე უკეთესი პერსპექტივა, ყოფილი ტაძრების თეატრად ან კიდევ მხატვრების სახელოსნოდ გადაკეთება იყო. შეიძლება, ზოგ ეკლესიაში, პურის ქარხანა ან კოლმეურნეობების საწყობები გაეხსნათ. ბოლშევიკების ფანტაზია იქამდეც კი მიდიოდა, რომ თბილისის ერთ-ერთ ტაძარში აბანოც კი აამოქმედეს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ბოლშევიკებს ყოფილ ტაძრებში ათეიზმის მუზეუმები არ მოუწყვიათ, როგორც ეს რუსეთსა და უკრაინაში მოხდა.

უძრაობის ეპოქა

ბრეჟნევის მმართველობის ხანა, საბჭოთა კავშირში, "უძრაობის ეპოქის" სახელითაა ცნობილია. ამ ოცწლეულში, ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში, მართლაც, არაფერი სერიოზული არ ხდებოდა. მსგავსი სტაგნაციით გამოირჩეოდა საეკლესიო ცხოვრებაც. რელიგიების საქმეთა საბჭო თავის ყოველწლიურ ანგარიშში ქვეყნის პარტიულ ხელისუფლებას ანუგეშებდა, რომ საეკლესიო ცხოვრება კანონის ფარგლებში მიმდინარეობდა და მორწმუნეთა რაოდენობა თუ არ კლებულობდა, არც მატულობდა. და, რაც მთავარია, სასულიერო პირებისა და მორწმუნეების მხრიდან რელიგიური კულტების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის უხეშ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. მღვდელმსახურებისთვის საფრთხობელას არა უშიშროების სამსახური, არამედ საფინანსო ინსპექტორი შეადგენდა, რომელიც მკაცრად აკონტროლებდა საკულტო რიტუალების აღსრულებიდან შემოსულ შემოსავლებს. საეკლესიო მსახურებაში არასრულწლოვნების მონაწილეობა და კატეხიზაციების ჩატარება აკრძალული იყო, რაც კათოლიკური ეკლესიებისათვის ერთგვარ პრობლემად იქცა. მაგრამ, რაც მთავარია, ამ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, კანონდამრღვევს აღარ აპატიმრებდნენ და არც ასახლებდნენ. უბრალოდ, ჯარიმას გამოუწერდნენ. მაქსიმუმი სასჯელი მღვლისათვის - რეგისტარციის საბუთის ჩამორთმევა იყო. თუმცა დამნაშავე, რამდენიმე წლით, ანტისაბჭოთა პროპაგანდისათვის საპატიმროშიც ხვდებოდა. მაგალითად, ანტისაბჭოთა ქადაგებების ბრალდებით, 1980-იანი წლებისათვის ლიტვის რესპუბლიკაში 100-მდე სასულიერო პირი იმყოფებოდა საპატიმროში. [ტელეგადაცემა „ვზგლიადი"1988წ.

რაც შეეხება საქართველოს, თითქმის 50 წლის მანძილზე, მკაცრი მეთვალყურეობის პირობებში, ერთადერთი ოფიციალურად მოქმედი მღვდელი - ემანუელ ვარდიძე და კიდევ ერთი მონაზონი, დედა მარია, რომელიც საერო პირის სტატუსით ცხოვრობდა ეკლესიის სიახლოვეს და ოფიციალურად დამლაგებლად

იყო გაფორმებული, ეწეოდა მსახურებას. 1930-იანი წლებიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირში კათოლიკური მონასტრების ფუნქციონირება აკრძალეს და ბერ-მონაზვნები რეპრესიების ქვეშ მოაქციეს, მრავალი მონაზონი არალეგალურად ეწეოდა თავის მისიას, ტაძრებში, უმთავრესად, დამლაგებლებად მუშაობდნენ. ასე ახერხებდნენ თავის აღთქმების დაცვასაც და მოვალეობის აღსრულებასაც. ისინი მღვდლებს მორწმუნეთა კატეხიზაციაში ეხმარებოდნენ და თავიანთი სიმბოლური ხელფასით თავიც გაქონდათ.

„უძრაობის პერიოდის" კათოლიკური ყოფა - საკუთარი თავის, არსებული მრევლისა და ტაძრის შენარჩუნებისკენ მიმართული ქმედება იყო. არაფერი მნიშვნელოვანი იმხანად არც ხდებოდა და არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ვერც მოხდებოდა.

შედარებითი გამოცოცხლება 1975 წლიდან შეიმჩნევა - მას შემდეგ, როდესაც საბჭოთა კავშირმა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შემაჯამებელ აქტს, ე.წ. ჰელსინკის დეკლარაციას ხელი მოაწერა. ჰელსინკის აქტის ხელმოწერის შემდგომ იწყება ადამიანის უფლებების, მათ შორის სინდისის, თავისუფლების დაცვისათვის სამართლებრივი ბრძოლა. სსრკ-ში ჩნდებიან დისიდენტები. თუმცა, ამაზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ.

1966 წელს პატრი ემანუელ ვარდიძე გარდაიცვალა. ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ კონსტანტინე საფარიშვილისთვის ნება მიეცა წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში წინამძღვრად გაეგრძელებინა მსახურება, ვინაიდან იგი, მთელ კავკასიაში, ერთადერთი კათოლიკე მღვდელმსახური იყო, რომელსაც ასაკის გამო, ისედაც გადაადგილების პრობლემა ჰქონდა და გამუდმებით სთხოვდა სამრევლო საბჭოს - ვიკარიუსი მღვდლის დაშვება ოფიციალურად მოეთხოვათ ხელისუფლებისაგან. ახალი მღვდლის გამოძებნა რამდენიმე მიზეზის გამო საკმაოდ რთული პრობლემა იყო: პირველი ის, რომ საქართველოდან არ იყვნენ სასულიერო განათლების მიღების მსურველები. ლიტვაში მოქმედი კაუნასის სასულიერო სემინარია ძირითადად საკუთარი რესპუბლიკის სამრევლოების დაკმაყოფილებით იყო დაკავებული. ლატვიის დაუგავპილსის სასულიერო სემინარიის გამოშვებული კადრები კი საბჭოეთის მრავალრიცხოვან კათოლიკურ სამრევლოებს ვერ წვდებოდა. ახალგაზრდა მღვდლები, როგორც წესი, იმ რეგიონებში ბრუნდებოდნენ, საიდანაც სასწავლებლად იყვნენ წარგზავნილები. ანგარიშგასაწევი იყო სუბიექტური გარემოებაც: ახალგაზრდა მღვდლებს, როგორც წესი, სურთ ნაცნობ და დიდ სამრევლოში წინამძღვრად განწესება და არა უცნობ, მცირერიცხოვან სამრევლოში და თან - ვიკარიუსად. ახალი მღვდელმსახურის მიღებას თვით სამრევლოებიც ძალიან ფრთხილად ეკიდებოდნენ. ვინ იცის, იქნებ ეს ახალგაზრდა მღვდელი რაღაც პრივილეგიების სანაცვლოდ, ხელისუფლებასთან ფარულ გარიგებაში იმყოფებოდა?! ერთ სიტყვით, დიდი ხნის ძიების შედეგად, 1960-იანი წლების ბოლოსათვის თბილისის მოქმედ კათოლიკურ ვიკარიუსის გამოძებნა მოხერხდა. ახალგაზრდა მღვდელმა იან სნეჟინსკიმ მალევე შესძლო საქართველოს

მრავალეთნიკური კათოლიკური მრევლის ნდობის, სიყვარულის მოპოვება და შეძლებისდაგვარად გააქტიურა პასტორალური საქმიანობა.

პატრ იანის ინიციატივით, 1970-იანი წლებიდან, კვირის რიგითი ლოცვები მრევლის ეროვნული ენების მიხედვით ტარდებოდა - გერმანულ, პოლონურ, ასირიულ, სომხურ, ქართულ ენებზე. ხოლო საკვირაო წირვა რუსულ და ლათინურ ენაზე, ორჯერ აღევლინებოდა. იანვრის თვეში ქრისტიანთა ერთობის ლოცვის კვირეულის ჩატარების ტრადიციაც დამკვიდრდა.

ახალი ტალღა ანუ გამოღვიძების დასაწყისი

1978 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა არა მარტო კათოლიკური ეკლესიის წინსვლისათვის, არამედ საბჭოთა კავშირისათვისაც და მთელი მსოფლიოსთვისაც. კრაკოვის არქიეპისკოპოსი, კარდინალი კაროლ ვოიტილა 264-ე პაპი ხდება, რომელიც ნიშნად იმისა, რომ გააგრძელებს იოანე XXIII-სა და პავლე VI-ის საქმეს, ერთგული იქნება ვატიკანის II მსოფლიო კრების სულისკვეთებისა, პაპობის სახელად ირჩევს – იოანე-პავლეს.

იოანე-პავლე II-ის პირველი გზავნილი, რკინის ფარდის აღმოსავლეთით მყოფი მრავალმილიონი კათოლიკესადმი იქნება მისი ისტორიული ფრაზა - **„ნუ გეშინიათ!"** პაპის ამ მოწოდებამ არნახული ძალა შთაბერა კომუნისტური რეჟიმების წნეხის ქვეშ მყოფ კათოლიკეებს. მათ, ვინც რწმენის და ეკლესიის ერთგულების გამო, ათწლეულები იტანდნენ გადასახლებებს, მუდმივი თვალთვალს, შეურაცხყოფასა და დევნას. რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა შეიძლება თავისუფლების დაკარგვად თუ არა, სამსახურიდან გათავისუფლების ფასად დასჯდომოდათ.

კაროლ ვოიტილას რომის პაპად არჩევისა და მისი მოწოდების „ნუ გეშინიათ!" შემდგომ, მთელ აღმოსავლეთ ევროპაში, კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტი გაიზარდა. საბჭოთა კავშირში, ამ მოვლენას, ეთნიკური პოლონელების ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება მოჰყვა. სამაგალითოდ ის ფაქტიც საკმარისია, რომ მღვდელმა იან სნეჟინსკიმ, რომელიც უკრაინაში იყო დაბადებული, სადაც ეთნიკურ პოლონელების ასიმილაცია სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილს შეადგენდა, საბჭოთა პასპორტში ცვლილება შეიტანა - რუსულის ნაცვლად, პოლონური ფორმით შეიცვალა სახელიც, მამის სახელიც და გრაფაში ეროვნება - უკრაინელის ნაცვლად, პოლონელი ჩაიწერა. (უკრაინისგან ან რუსეთისგან განსხვავებით საქართველოში არც არასდროს ყოფილა ანტიპოლონური ან ანტიკათოლიკური განწყობები) [ბარდაველიძე ნ. კათოლიკური ეკლესია საქართველოში, კრებ. "რელიგია და საზოგადოება" №3,. 2004,. 64].

1980- იანები

მსოფლიოში არაერთგვაროვანი პროცესები ვითარდება: ფიდელ კასტრო არაორდინალურ ნაბიჯებს დგამს და პოლიტპატიმრებს უშვებს; ამერიკელები 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს ბოიკოტს უცხადებენ; ავღანეთის ომი ფართო მასშტაბებს იძენს; ათასობით საბჭოთა სამხედრო მოსამსახურის მსხვერპლი ფარულ დრტვინვას უდებს სათავეს და ყველაზე მთავარი – აშშ-ს პრეზიდენტი ხდება რონალდ რეიგანი, რომელიც თეთრ სახლში მისვლისთანავე, მის მიერ „ბოროტების იმპერიად“ მონათლულ საბჭოთა იმპერიის ნგრევას მეთოდურად იწყებს. ამ პერიოდს ემთხვევა საქართველოს დისიდენტური მოძრაობის გამოცოცხლება.

მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1980-იანი წლების დასაწყისში, ახალციხეში, სასაზღვრო ზონის მახლობლად, იხსნება წმ. მარინეს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. ქართული ეკლესიის გახსნას მართლმადიდებლებიც და კათოლიკენიც ერთად ხარობდნენ. ეს მოვლენა მნიშვნელოვანი პრეცენდენტია იმისა, რომ მორწმუნეთა აქტიურობით საბჭოური უძრაობის ხანაში ახალი ტაძრების ამოქმედება გახდა შესაძლებელი.

სწორედ, ამ რთულ პერიოდში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთი პრეზიდენტი ხდება, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლას.

80-იანი წლებიდან ილია II არაერთ ეკლესიას ესტუმრა, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი, მაინც, ვატიკანში, იოანე პავლე II-სთან ვიზიტი იყო. მსოფლიო პრესის ფურცლები (ცხადია, საბჭოთა პრესის გარდა) ორი მღვდელმთავრის გულთბილ შეხვედრას აშუქებდა. ყველა ექსპერტი ერთხმად აღნიშნავდა, რომ იოანე-პავლე II-ს არც ერთი სტუმარი ასე გულითადი სიყვარულით არ მიუღია და არც არავინ გამოუცილებია ვატიკანის რეზიდენციის კიბეებამდე, როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. [ბარდაველიძე ნ. სიკეთის მოტანა შეუძლია,. გაზ. „თბილისი”, 1989 7დეკ. 7].

1985 წელს იოანე-პავლე II გამოსცემს თავის ცნობილ ენციკლიკას “Slavorum Apostoli” („სლავების მოციქულები”), რომელიც სლავთა განმანათლებლის, წმ. მეთოდეს აღსრულების 1100 წლისთავს მიეძღვნა. ენციკლიკაში ხაზგასმულია, რომ აღმოსავლეთ ევროპის განმანათლებელი წმინდანების - წმ. კირილესა და წმ. მეთოდეს ისტორიული მისია კონსტანტინოპოლის პატრიარქისა და რომის პაპის კურთხევით განხორციელდა და, რომ რომის კათოლიკე ეკლესიის წვლილი “ყოველთა სლავთა” გაქრისტიანებაში უდავოა. სწორედ ამიტომ, წმინდანები - კირილე და მეთოდე, წმ. ბენედიქტე ნურჩიელთან ერთად ევროპის მფარველებად გვევლინებიან. ეს იდეა აღმოსავლურ-დასავლური ეკუმენიზმის და ორი ეკლესიის ერთიანობის საფუძვლად იქცა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის

საპატრიარქომ სრულიად საპირისპიროდ აღიქვა იოანე-პავლე II-ის ამ ენციკლიკის იდეა.

მოსკოვის საპატრიარქოს დიდი უკმაყოფილება გამოიწვია პაპის სურვილმა, 1985 წლის ივლისში მოელოცა წმ. მეთოდეს საფლავი მორავიაში (იმდროინდელი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა). მოსკოვის საპატრიარქოს დაჟინებული მოთხოვნით სსრკ-ს მთავრობამ აიძულა ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლება უარი ეთქვათ პაპისათვის ვიზის გაცემაზე. რუსეთის მასმედიამ სულ მალე, რომის პაპის კრიტიკის ახალი აგრესიული კამპანია წამოიწყო, ხოლო რუსეთის ეკლესიამ - წმ. მეთოდეს 1100 წლისთავისადმი დაგეგმილი საზეიმო ღონისძიებები გახმაურების გარეშე, უფერულად აღნიშნა. ალბათ, აღარ ისურვეს კათოლიკეთა მიერ ევროპის მფარველად შერაცხული წმინდანისადმი დიდი ყურადღების გამოჩენა. ამავე დროს, დასავლეთ უკრაინაში, ბერძნული წესის კათოლიკე მორწმუნეები აქტიურად იწყებენ XX საუკუნის 40-იან წლებში ჩამორთმეული და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიისათვის გადაცემული ტაძრების დაბრუნებისათვის ბრძოლას. ყოველივე ეს კი საბჭოთა ხელისუფლებისა და მოსკოვის საპატრიარქოს ანტიკათოლიკურ განწყობას აძლიერებს. მოსკოვის ანტიკათოლიკური განწყობის გავლენა მოკავშირე რესპუბლიკების ხელისუფლების წარმომადგენლებზეც აისახებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, ისტორიულად, კათოლიკური ეკლესიის და კათოლიკეების მიმართ დადებითი განწყობა იყო, მოსკოვის გავლენით, ადგილობრივი ხელისუფლება მორწმუნეთა აქტივობებს მკაცრად ზღუდავდა [ბარდაველიძე ნ. კათოლიკური ეკლესია საქართველოში, კრებ. "რელიგია და საზოგადოება" № 3,. 2004,. 65].

საქართველოს მოსახლეობა, 1985-86 წლებში, ბრეჟნევის ეპოქის „უძრაობის" მდგომარეობიდან ჯერ გამოსული არაა, ალბათ იმ მიზეზით, რომ გორბაჩოვის ექსპერიმენტებს ეჭვით უყურებდნენ. მოსალოდნელ სიახლეების მოახლოებას თბილისში უფრო გრძნობდნენ, ვიდრე პერიფერიებში და გამოღვიძების ტალღაც - დედაქალაქიდან დაიწყო.

სამხრეთ საქართველოში 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, ყველა არსებული კათოლიკური სატაძრო ნაგებობა დასუფთავებული და მოვლილი იყო. კოლმეურნეობის საწყობების კვალიც აღარ ჩანდა. მორწმუნეება მათი ნელ-ნელა გარემონტება დაიწყეს. ფაქტიურად, მორწმუნეები იკრიბებოდნენ, ლოცულობდნენ და საეკლესიო დღესასწაულებსაც ხვდებოდნენ. ხელისუფლება ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა. ამას სამართლის ენაზე -„არარეგისტრირებული, მაგრამ ფაქტიურად მოქმედი რელიგიური გაერთიანებები" ერქვა. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ამგვარი სტატუსით, მხოლოდ კათოლიკური ყოფილი ტაძრები მოიხსენიებოდა, რადგან სხვა კონფესიებს მსგავსი აქტიობა არც გააჩნდათ. მართალია არალეგალურად მოქმედი პროტესტანტული საკრებულოებიც არსებობდნენ, მაგრამ მათ სამლოცველო ნაგებობები არ გააჩნდათ და მორიგეობით ამა თუ იმ მორწმუნის ბინაზე ფარულად იკრიბებოდნენ.

1986 წელს, თბილისში საქმიანი ვიზიტით ჩამოსული საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს თავჯდომარე კონსტანტინ ხარჩევი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს გორბაჩოვის „ახალი კურსიდან" გამომდინარე აცხადებს, რომ „მორწმუნეები ისეთივე საბჭოთა მოქალაქეები არიან, როგორც სხვები და რომ, უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ეკლესია იქნება და არამორწმუნეებსა და მორწმუნეებს ერთად მოგვიწევს ცხოვრება". ეს განცხადება ხელისუფლებისათვის ზუსტი გზავნილი იყო: რომ შეეცვალათ პოლიტიკა რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებაში და რომ, კანონდარღვევით მოქმედ სამლოცველოებს სჯობს სამართლებრივ სივრცეში მოქმედი რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანება. მართალია, საბჭოთა ნომენკლატურისათვის, რომელთათვისაც ყველაზე მიღებელი და ძნელად წარმოსათქმელი ცნება პლურალიზმია - ეს რთული გასაგები იყო. მართლაც, საჯაროობისაგან განსხვავებით, საბჭოთა ბიუროკრატიამ შეხედულებათა პლურალიზმი ვერასდროს ვერ გაითავისა. კრემლი აღარ მალავდა, რომ 1988 წელს საზეიმოდ აპირებდა რუსეთის მონათვლის 1000 წლისთავის აღნიშვნას. თუ ყველა ამ ინფორმაციას შევაჯერებთ ცხადია, რელიგიური ორგანიზაციების მიმართ განხორციელებული პოლიტიკა მართლაც ახალ ფაზაში შედიოდა და დრო იყო აქტიურობისა [ბარდაველიძე ნ. კათოლიკური ეკლესია საქართველოში, კრებ. "რელიგია და საზოგადოება" №3. 2004,. 65].

პატრ იან სნეჟინსკის პირადად ვთხოვე ორგანიზება გაეწია პროვინციებში მორწმუნეებისათვის, რათა მათ კანონის ფარგლებში მოეთხოვათ მათი კონსტიტუციური უფლება - რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება. მითუმეტეს, რომ 1986 წლისათვის გორბაჩოვის „პერესტროიკის" კურსი მოუწოდებდა საბჭოთა მოქალაქეებს მათი კონსტიტუციური უფლების აღსრულებისაკენ. მართლაც, საბჭოთა კანონმდებლობა სრულიადაც არ ზღუდავდა რელიგიური ორგანიზაციების დაფუძნებას, მხოლოდ ამ კანონმდებლობის შესახებ არც არავინ იყო სრულად ინფორმირებული. რელიგიური ჯგუფის ან საკრებულოს რეგისტრაციისა და ადრე ჩამორთმეული სატაძრო ნაგებობის დაბრუნების მექანიზმი ფართო მასებისთვის გასაიდუმლოებული თუ არა, ცნობილი ნამდვილად არ იყო. 10 მორწმუნეს შეეძლო რელიგიური ჯგუფის რეგისტრაცია, ხოლო 20 მორწმუნის ხელმოწერა სავსებით საკმარისი იყო, რათა რაიონულ ხელისუფლებას რელიგიური ორგანიზაციის (საკრებულოს) რეგისტრაციის მსვლელობისათვის გზა მიეცა; შემდგომ კი, სატაძრო ნაგებობაც უსასყიდლოდ გადაეცათ მუდმივ სარგებლობაში. ამ მოთხოვნას, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს ბიუროკრატიულ აპარატი რამდენიმე თვის განმავლობაში დააკმაყოფილებდა. ოღონდ, ადგილობრივი ხელისუფლება თავს იკავებდა რეგისტრაციაზე თანხმობის გაცემაზე. ადგილობრივ მოხელეებს სამართლიანად ეშინოდათ ახალი რელიგიური ჯგუფის ან სამრევლოს გახნის, რადგან კომუნისტური პარტიის მხრიდან საყვედური შეიძლება მიეღოთ, "ანტირელიგიური საქმიანობის ჩაშლისათვის".

გასული საუკუნის 70-იანი წლებისათვის, საქართველოს გასაბჭოებამდე მოქმედი 2700 მართლმადიდებლური ტაძარ-ეკლესიიდან, მხოლოდ ოთხი ათეული მოქმედებდა (ისიც არასისტემატურად) და ხუთი მოხუცი მღვდელმთავარი იყო დარჩენილი. თბილისში მოქმედი 11 ეკლესიიდან ნაწილში მსახურება ძველ სლავურ ენაზე მიმდინარეობდა და იმ ტაძრების მღვდელმსახურები რუსები იყვნენ. მათთვის ქართული ეკლესია რაღაც ფორმალურ სტრუქტურას წარმოადგენდა. მის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტიც, რომ ამ მღვდლებმა ქართული არ იცოდნენ და რაც მთავარია, არც აინტერესებდათ მისი შესწავლა.

რამდენიმე ათეული სომხური ეკლესიის ნაცვლად, ასევე, მოქმედებდა ოთხი ტაძარი; თითქმის ორ ასეულზე მეტი – ერთი ადაპტირებული მეჩეთი თბილისში და სუნიტური მეჩეთი ბათუმში; ასევე რამდენიმე ბაპტისტური და რუს მოლოკანთა და დუხობორთა სამლოცველოები; შედარებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ იუდეველებს. მათ, 60 ათას ადამიანზე 22 მოქმედი სინაგოგა გააჩნდათ, რაც 1930-იან წლებში მოქმედი სინაგოგების ნახევარზე მეტს წარმოადგენდა და ებრაელებით კომპაქტურად დასახლებულ ყოველ ქალაქსა თუ დაბაში მოქმედებდა.

როგორც უკვე აღვნიშნე, 50 კათოლიკური ეკლესიის ნაცვლად ორი ტაძარი მოქმედებდა – თბილისსა და ახალციხეში. ორ ტაძარზე მხოლოდ ერთი მღვდელმსახური იყო, რომელსაც თბილისიდან გასვლაც კი აკრძალული ჰქონდა და კიდევ ერთი არალეგალურად მცხოვრები მონაზონი.

მაგრამ ერთი მნიშვნელვანი ფაქტორი არსებობდა, რომელიც კათოლიკურ მრევლს დანარჩენი მორწმუნეებისაგან გამოარჩევდა: მიუხედავათ იმისა, რომ მღვდელმსახურების გარეშე დარჩენილი ტაძრები დაკეტილი იყო, საბჭოთა პროპაგანდა ყოველმხრივ უპირისპირდებოდა კათოლიკეებს და მათ „ვატიკანის აგენტებს" უწოდებდნენ, სამხრეთ საქართველოს იმ სოფლებში, სადაც კათოლიკური აღმსარებლობის მორწმუნეები სახლობდნენ (იმის მიუხედავად, ლათინურ წესს მიეკუთვნებოდნენ ისინი თუ სომხურს), თითქმის ყველამ შეინარჩუნა თავისი რწმენა, კათოლიკური ტრადიციები. განსაკუთრებით მტკიცე რწმენით ქალბატონები გამოირჩეოდნენ, რომლებიც ფარულად თუ საჯაროდ ადასტურებდნენ თავის კათოლიკურ რწმენას. „კოლხოზებში" აუცილებელი და მომქანცველი შრომიდან თავისუფალ დროს, ოჯახში თუ გაუქმებულ ტაძრებში, საეკლესიო რიტუალებს ასრულებდნენ, განსაკუთრებულ ყურადღებას კი სავარდის ლოცვებს უთმობდნენ. თამამად უნდა ითქვას, რომ სავარდის ლოცვის ერთად შესრულების ტრადიციამ 50 წლიანი რეპრესიებისა და საეკლესიო ცხოვრების წყვეტის მიუხედავად, საქართველოში მცხოვრებ ქრისტიანებს კათოლიკური იდენტობა შეანარჩუნებინა.

1975 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირმა ჰელსინკის დასკვნით აქტს ხელი მოაწერა და ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობა აღიარა, საბჭოთა კავშირში დისიდენტური ჯგუფები გაჩნდა, რომლებმაც თავიანთ მიზნად, საბჭოთა რეჟიმის მიერ ადამიანის უფლებების, მათ შორის სინდისის თავისუფლების, დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა დაისახეს. სულ მალე, საქართველოშიც

ყალიბდება დისიდენტური მოძრაობა, რომლის ლიდერები საბჭოთა რეჟიმის მხრიდან სინდისის თავისუფლების დარღვევების შესახებ მოპოვებულ ინფორმაციებს მღვდელ იან სნეჟინსკისთან უცხოეთიდან სტუმრად ჩამოსულ სასულიერო პირებს გადასცემდნენ. თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში წმიდა წირვას ხშირად სტუმრობდნენ არა მხოლოდ დისიდენტები, არამედ კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების წარმომადგენლები, რომელთაც ამბიონიდან თავისუფალი სიტყვის მოსმენა სურდათ. ცხადია, არც ხელისუფლების წარმომადგენლებს ეძინათ და საბჭოთა კანონმდებლობის დარღვევისათვის, ტაძრის წინამძღვარი არაერთხელ დაუჯარიმებიათ. თუმცა, მათ ვერ მოახერხეს, რომ არასასურველი მღვდლისათვის საქმიანობა შეეჩერებინათ. თბილისელი კათოლიკეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორი ათწლეულის მანძილზე, მიუხედავად სამართალდამცველების დიდი მცდელობებისა, ვერც ერთი მორწმუნის გადაბირება და თავიანთ სამსახურში ჩაყენება ვერ შესძლეს. პატრ იანის ხასიათის სიმტკიცის და გაბედულების დასახასიათებლად, ერთ შემთხვევას გავიხსენებ: პირველი ფაქტი 1986 წელს მოხდა, როდესაც თბილისში საბჭოთა კავშირის რელიგიების საქმეთა საბჭოს მაშინდელი თავჯდომარე - ხარჩევი ჩამოვიდა. იგი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა, მითითებები მისცა - თუ რელიგიურ ორგანიზაციებთან, „პერესტროიკის" პოლიტიკიდან გამომდინარე, როგორ უნდა წარემართათ მუშაობა; შემდეგ ძირითადი კონფესიები მოინახულა; მოსკოველ სტუმარს ყველგან დიდი მოწიწებითა და რიდით ხვდებოდნენ. იგი კათოლიკე ეკლესიასაც ესტუმრა. თანმხლებ მოხელეებთან ერთად, ტაძარი დაათვალიერა და წინამძღვარს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. პასუხად პატრ იანმა გაბრაზებული სახით საჩვენებელი თითი დაუქნია. დაბნეულ ხარჩევს არაფერი უთქვამს, ისე გამოვიდა ტაძრიდან. უხმოდ გამოყვნენ, კიდევ უფრო დაბნეული, თანმხლები პირები. მეორე დღეს ცნობისმოყვარეობამ მძლია და პატერ იანს მისი აღშფოთების მიზეზი ვკითხე. „ეგ არა არის წესიერი კაცი, ასე მკითხა აღსარებაზე მორწმუნეები რას გეუბნებიანო" – მისი პასუხი ასეთი იყო. მერე სულ ვფიქრობდი, განა კიდევ რამდენი მართალი მღვდელია, რომელსაც ექნება გამბედაობა ქვეყანაში ყველაზე დიდ მოხელეს ასე პრინციპულად უპასუხოს-თქო [ბარდაველიძე ნ. მოგონებები პატერ იანზე, ჟურ. „საბა". 2012., №7., 17].

1988 წელს, გორბაჩოვისეული „პერესტრიოკის" ზენიტში, თბილისში აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ე.წ. „მეგობრობის ხიდების" ერთ-ერთი ეტაპი ტარდებოდა. ფორუმი ეძღვნებოდა რწმენის თავისუფლებას. შეხვედრის ორგანიზებისათვის თბილისში მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი, მიტროპოლიტი იუვენალი ჩამოვიდა. შეკრიბეს რელიგიების საქმეთა განყოფილებაში ყველა კონფესიის წარმომადგენელი. მოსკოველი მეუფე საეროებსაც და სასულიეროებსაც, სერიოზული და მკაცრი სახით, სხვადასხვა დავალებას აძლევს. აშკარად იგრძნობა, რომ ის ყველაფრის ხელმძღვანელი იყო. შემოდის პატრი იანი. უცებ შეიცვალა მეუფე, გაიბადრა,

მოლბა, ღიმილით შეეგება კათოლიკე მღვდელს და თხოვნაზე გადავიდა - ამერიკა-საბჭოეთის საზეიმო შეხვედრაა და ძალიან გთხოვთ, ამჯერად, უკრაინელი ბერძნული წესის კათოლიკეების პრობლემას ნუ დააყენებთ, ეს ის ფორმატი არ არისო. გადაცემის შემდეგ, რამდენიც გინდა გვაკრიტიკეთო. გაეღიმა პატერ იანს - მე ჩემი ეპისკოპოსის რწმუნება მაქვს მონაწილეობაზე და მას, ამ პრობლემაზე არც უთქვამს, ისაუბრეო. [იქვე,. 2012. №7,. 18].

საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა თავის პიკს 1989 წლიდან აღწევს. 9 აპრილს, თბილისში, მთავრობის სასახლის წინ გამართული მშვიდობიანი მანიფესტაცია მოსკოვიდან გამოგზავნილმა შინაგანი ჯარის ნაწილებმა დაარბია, რასაც 19 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამ სისხლიანმა ანგარიშსწორებამ მსოფლიო დაარწმუნა, რომ „პერესტრიოკისა" და „გლასტნოსის" ფასადს მიღმა, საბჭოური რეჟიმი ძველი მეთოდებით ძალაუფლების შენარჩუნებას მაინც ცდილობდა.

1989 წელი ასევე მნიშვნელოვანია მსოფლიოსა და კათოლიკური ეკლესიისათვის, როგორც საბჭოთა სისტემის რღვევის დასაწყისი. თავისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თეოლოგიური წიგნის - „შესავალი ქრისტიანობაში"- 2000 წლის გამოცემის წინათქმაში, მომავალი პაპი ბენედიქტ XVI, იმჟამად კი რწმენის კონგრეგაციის თავმჯდომარე, კარდინალი იოზეფ რატცინგერი წერს: „1989 წელმა ევროპაში სოციალისტური რეჟიმის მოულოდნელი ნგრევა მოიტანა, რომელმაც განადგურებულ მიწათა და დასახიჩრებულ სულთა სავალალო მემკვიდრეობა დატოვა. ვინც ელოდა, რომ ქრისტიანული ხარების ახალი დრო დადგა, მოტყუვდა. მიუხედავად იმისა, რომ მთელ მსოფლიოში მორწმუნე ქრისტიანთა საერთო რაოდენობა არ არის მცირე, ქრისტიანობამ მაინც ვერ მოახერხა ამ ისტორიულ ჟამს, თავი ეპოქალურ ალტერნატივად წარმოეჩინა. მარქსისტული მოძღვრება, სრულიად სხვადასხვა ინსტრუმენტული ვარიაციებით, მიიჩნეოდა როგორც ერთადერთი ეთიკურად მოტივირებული და ამავდროულად მომავლისაკენ მეცნიერული მსოფლმხედველობის თანხმიერი გზის მაჩვენებელი. ამიტომ 1989 წლის შოკის შემდეგაც, ის (მარქსიზმი) უკვალოდ არ გამქრალა" [იოზეფ რატცინგერი. შესავალი ქრისტიანობაში,. 2010,. 11].

9 აპრილის მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეთა დარბევის დროს, ქიმიური აირით მოწამლულთა დასახმარებლად და სანუგეშებლად, 1989 წლის ივნისში, ცნობილი მხატვრის - ზურაბ წერეთლის ინიციატივით, მოსკოვში ვიზიტად მყოფი დედა ტერეზა - თბილისს ესტუმრა. ნობელის პრემიის ლაურეატის და თავისი უანგარო ქველმოქმედებით მსოფლიოში სახელგანთქმული მონაზვნის სტუმრობა ქართული საზოგადოების ეროვნული სულისკვეთების აღიარება და სოლიდარობის ჟესტი იყო. ასევე, საქართველოს შესახებ იმხანად არსებული ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევის საქმეში, საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. სიონის საპატრიარქო ტაძარში, დედა ტერეზა დაესწრო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ აღვლენილ ღვთისმსახურებას. უწმინდესმა ილია II-მ დედა ტერეზა ორდენით დააჯილდოვა. წირვის დამთავრების შემდეგ, ეროვნული

მოძრაობის ლიდერები - მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია დედა ტერეზას შეხვდნენ და მასთან სამახსოვრო ფოტო გადაიღეს.

თბილისში ვიზიტისას დედა ტერეზამ თავისი საქველმოქმედო ორდენის ოთხი მონაზონი დატოვა. ფაქტიურად, 1989 წლის ივნისიდან, თბილისში, ფუნქციონირება პირველმა საქველმოქმედო ორგანიზაციამ დაიწყო. დედა ტერეზას ორდენის გავლენით, სულ მალე, თბილისში საერო საქველმოქმედო ორგანიზაცია „კათარზისი" დაფუძნდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დედა ტერეზას "მოწყალების ორდენი" პირველი საქველმოქმედო ორგანიზაცია და, ამავე დროს, პირველი კათოლიკური ორდენია საქართველოს უახლეს ისტორიაში.

დედა ტერეზას ორდენის მონაზვნებს, სხვადასხვა დროს, თბილისში ვიზიტად მყოფი უცხოელი სტუმრები. 1991 წელს დედა ტერეზას დებს, წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივანი კარდინალი აგოსტინო კაზაროლი (გარდ. 1998 წ.), ხოლო 1994 წელს, პაპის აღმოსავლეთის ეკლესიების კონგრეგაციის პრეფექტი კარდინალი აკილე სილვესტრინი სტუმრობდნენ. 1999 წლის 8 ნოემბერს ქალაქის ერთ-ერთ ძველ უბან ავლაბარში, მოწყალების სახლის გახსნას თავად რომის პაპი - ოანე-პავლე II დაესწრო.

სიმბოლური გახლდათ რომის პაპის ჟესტიც, რომელმაც თბილისში ვიზიტის დროს, სწორედ დედა ტერეზას ორდენის მოწყალების სახლში გაათია ღამე.

გარდამავალი პერიოდის სირთულეები (1987-1990)

1987 წლიდან მორწმუნეთა გააქტიურება იწყება. სოფლის მორწმუნეები სადაც კი მოქმედებდა საკრებულოები, განცხადებებით მიმართავენ ხელისუფლებას - მათი რეგისტრაციის შესახებ. ადგილობრივი ხელისუფლება ერთგვარი სიფრთხილით ეკიდება ამ განცხადებებს და სამოქმედოდ "დროის გაყვანის" ტაქტიკას ირჩევს. ამასთანავე, თავი იჩინა ერთმა სერიოზულმა პრობლემაც: კათოლიკე მღვდელმსახურები, რომლებიც მორწმუნეებს უნდა მოეწვიათ მათთვის გადაცემულ ტაძრებში, ფიზიკურად არ არსებობდნენ. კანონმდებლობით, ერთ რაიონში რეგისტრირებულ მღვდელმსახურს არ ჰქონდა უფლება საკულტო საქმიანობა სხვა რაიონში აღესრულებინა. დაიწყო მღვდლებზე მოთხოვნა. საბჭოთა კავშირში მოქმედი სემინარიები, იმდროინდელი სემინარისტების რაოდენობის გათვალისწინებით, ვერანაირად ვერ დააკმაყოფილებდნენ ერთბაშად გაჩენილ ვაკანსიებს. გაუთვითცნობიერებისა და ზედაპირულად მიდგომის პრობლემამ იჩინა თავი. ათეისტურ გარემოში აღზრდილი ადგილობრივი ხელმძღვანელობა კონფესიურ განსხვავებულობასა და თავისებურობებს ვერ უმკლავდებოდა.

ამასობაში, ძალიან მომძლავრდა და გააქტიურდა მართლმადიდებელი სასულიერო ფენა და მრევლი. პლურალიზმის დეფიციტით, საბჭოური მონოიდეოლოგიითა თუ მონოპარტიულობით აღზრდილ თაობას გულწრფელად

ეჯროდა, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს ერთი კონფესიის წიაღში მოაქცევდა. ამ მიზნით, კათოლიკე მორწმუნეების გადმობირებასა და მათზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებასაც ჰქონდა ადგილი. ნაციონალური იდეით შეპყრობილების ერთ-ერთი ლოზუნგი გახლდათ - „ერთი ერი, ერთი აღმსარებლობა".

1989 წლის აპრილის ანტისაბჭოთა გამოსვლების აზვირთების ფონზე, კიდევ ერთ სერიოზულ ბარიერად, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების განწყობა იქცა. სახელისუფლო და პარტიული ლიდერები მიამიტურად ფიქრობდნენ, რომ თუ დომინანტურ ეკლესიას გადასცემდნენ კათოლიკეთა სატაძრო ნაგებობებს, ამით ეროვნული მოძრაობაც მოიგებდა. შედეგი კი სავალალო აღმოჩნდა - მორწმუნეთა შორის უნდობლობა და დაპირისპირება.

მაგალითისთვის: კათოლიკური მისია ქ. გორში XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან მუდმივად ფუნქციონირებდა. 1829 მისიამ ახალი ტაძარი ააგო, რომელიც 1937 წელს - მორწმუნეებს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩამოართვა. უტაძროდ დარჩენილი მორწმუნეები ფარულად იკრიბებოდნენ ბინებში და ზოგჯერ, თბილისიდან მათ, ასევე ფარულად, მოძღვარიც სტუმრობდა და აზიარებდა. 1987 წელს გორელმა კათოლიკეებმა რელიგიების საქმეთა საბჭოს განცხადებით მიმართეს. საბჭო არ იყო ფაქტიურად მოქმედი საკრებულოს რეგისტრაციის წინააღმდეგი, მითუმეტეს, რომ ქალაქში სატაძრო ნაგებობა იყო. რელიგიების საქმეთა საბჭომ რეკომენდაციით მიმართა ქალაქ გორის ხელმძღვანელობას - კათოლიკეთა საკრებულო რეგისტრაციაში გაეტარებინათ. თავის მხრივ, ადგილობრივი ხელისუფლება კათოლიკეთა დაშინებით ცდილობდა, რათა მათ რეგისტრაციაზე უარი ეთქვათ. საკითხის განხილვა იმდენ ხანს გააჭიანურეს, რომ ამასობაში, მართლმადიდებელმა მრევლმაც საკრებულოს რეგისტრაცია მოითხოვა და კათოლიკეთა ტაძარი ხელისუფლებამაც მათ მიაკუთვნა. ანალოგიური ვითარება შეიქმნა ქალაქ ქუთაისსა და ბათუმშიც. ქუთაისის საქალაქო საბჭომ, ქალაქში მართლმადიდებელი პატრიარქის ვიზიტის დროს, მართლმადიდებელ მრევლს კათოლიკე ტაძრის მთელი კომპლექსი გადასცა.

1980-იანი წლების ბოლოს ნელა, მაგრამ წართმეული ტაძრების დაბრუნების პროცესი მაინც დაიწყო. განხორციელდა სოფელ ტურცხის (1989), არლის (1989), ხიზაბავრის და კიდევ რამდენიმე სომხურ-კათოლიკური ტაძრის დაბრუნება კათოლიკეებისთვის. 1989 წელს, მრევლს დაბა ვალეს კათოლიკური ტაძარი გადაეცა. 1990 წელს, რელიგიების საბჭომ რეგისტრაციაში გაატარა - სოფ. ივლიტას ტაძარი (თუმცა, ივლიტა ეს განსაკუთრებული შემთხვევაა). ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ რელიგიური საკრებულოს საშუალებით შესრულებული ერთ-ერთი ბოლო, ოფიციალური რეგისტრაცია. საქართველო, 1990-იანი წლების დასაწყისში, ანტისაბჭოური გამოსვლების გააქტიურებით, ფაქტიურად, საბჭოთა სამართლებრივი სივრციდან გამოვიდა. 1991 წელს, იმჟამინდელ პოლიტიკურ განწყობილებების ფეხის ხმას აყოლილმა მოსახლეობამ სოფელ ივლიტაში საკმაოდ კურიოზული გადაწყვეტილება მიიღეს. მოხდა ასეთი

ფაქტი: მეზობელი სოფლის მღვდელი იოსებ კორნაშევსკი პერიოდულად ივლიტას ტაძარში ატარებდა წირვა-ლოცვებს. ჩატარდა სოფლის კრება, რომელზეც იმ დროისთვის რელიგიურ-კონფესიური თვალსაზრისით გაუთვითცნობიერებელმა და გულუბრყვილო ადამიანებმა, რომლებსაც მართლაც სჯეროდათ თავისი ნოვაციის წარმატებისა, დაადგინეს - რომ, სანამ სოფელს პერსონალურად არ ეყოლებოდა ქართველი მღვდელი, მანამ დროებით ღვთისმსახურება მართლმადიდებელ მღვდელს აღესრულებინა. დღეს, კათოლიკე მორწმუნეებს აქვთ საშუალება იქ კათოლიკური წესით ილოცონ, ოღონდ მღვდლის გარეშე. მთელ სამხრეთ კავკასიაში ეს მართლაც უნიკალური შემთხვევაა – ივლიტა ამ მხრივ განსაკუთრებული ტაძარია.

დასკვნის მაგივრად

ცხადია, 1991 წელი საეტაპო წლად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში მოქმედი კათოლიკური ეკლესიისათვის. ამ წლის გაზაფხულზე, თბილისში "ნეოკატეხუმენალური" საკრებულო დაფუძნდა. აგვისტოში კი პოლონეთში პაპის ვიზიტთან დაკავშირებით, პირველი მომლოცველობა განხორციელდა და ვარშავის სტადიონზე გამართული მსახურების დროს, ორმა ახალგაზრდამ მიიღო პაპის კურთხევა - შედგომოდნენ მღვდელმსახურის პასუხსაგებ გზას. პატრ იან სნეჟინსკის მონდომებით, პატრი ადამ ოხალი გამოთქვამს სურვილს საქართველოში მისიით ჩამოსვლაზე. უკვე, ორი ათეული წელი მამა ადამი წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის წინამძღვარია. აღსანიშნავია, რომ 1992 წელს წმინდა საყდარმა საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო და დესპანი მოავლინა - არქიეპისკოპოსი ჟან-პოლ გობელი.

მიუხედავად სიმცირისა, კათოლიკე მრევლი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს კულტურასა და ისტორიაში. საუკუნეების მანძილზე, კათოლიკე მისიონერებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხის შესახებ ფასდაუდებელი ისტორიული და ეთნოლოგიური მასალა შემოგვინახეს. ისინი ექიმები და მხატვრები იყვნენ, თავისი განათლებითა და სულიერებით იზიდავდნენ მეფე-მთავრებსა თუ სასულიერო იერარქებს. მათ ყველაზე მეტად ენდობოდნენ საქართველოს მეფეები, ანდობდნენ მნიშვნელოვან დიპლომატიურ მიმოწერას; როდესაც ჩვენს ქვეყანასა და ევროპას შორის ერთიანობის აღგენა და დაახლოება უკვე რეალობად იქცა, ისინი იყვნენ პირველი დესპანები ქრისტიანულ ევროპასა და მტრებით გარშემორტყმულ საქართველოს შორის. განსაკუთრებული მადლიერება გვიპყრობს ქრისტეს რწმენისათვის თავგანწირული იმ ათეულობით კათოლიკე მღვდლისადმი, რომლებიც შუა საუკუნეებისა თუ ახალი დროის ძნელბედობის ჟამს, კეთილი მწყემსივით თავს დებდნენ პატარა საქართველოსთვის. ქვეყნისთვის, რომელიც მტრულ გარემოში მედგრად ინარჩუნებდა მაცხოვრის რწმენას და მის ეკლესიას.

წერილი მსურს დავასრულო 2016 წლის 30 ოქტომბერს, პაპ ფრანცისკეს თბილისში ვიზიტის, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის დროს წარმოთქმული სიტყვებით: „საქართველოში კათოლიკე ეკლესიას საუკუნეების მანძილზე შეჰქონდა თავისი დიდი წვლილი საზოგადოების განვითარების ყველა სფეროში. ვიმედოვნებ, რომ იგი კვლავაც შეიტანს თავის ბუნებრივ წვლილს ქართული საზოგადოების ზრდაში, ჩვენი საერთო ქრისტიანული ტრადიციების დამოწმების, უპოვართა სასიკეთოდ გაწეული ძალისხმევის გზით და უძველეს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და ქვეყნის სხვა რელიგიურ საკრებულოებთან განახლებული დიალოგისა და განმტკიცებული ურთიერთობების მეშვეობით” [პაპის ვიზიტი საქართველოში, ჟურ. „საბა”: N10 (250),. 2016..6].

P.S. მახსოვს 1985 წელს, როდესაც თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის წინამძღვარს ვკითხე, თუ რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი იმ მოცემულ ეტაპზე, კათოლიკე ეკლესიისათვის საქართველოში, მან დაუფიქრებლად მიპასუხა: „ახალი კათოლიკე მღვდლები”. მართლაც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა მისი სიტყვების სიმართლე. პოსტსაბჭოთა გარდამავალ ეტაპზე, როდესაც ხელახლა დაიწყო შემობრუნება მოსახლეობამ ეკლესიისაკენ, რომ ყოფილიყვნენ საკმაო რაოდენებით სასულიერო პირები, საქართველოში გაფანტული კათოლიკური საკრებულოები, მწყემსის გარეშე არ აღმოჩნდებოდნენ. იმ ტაძრებსაც, რომლებიც გასული საუკუნის 80-90 იან წლებში, სხვა კონფესიას გადაეცა, ეს ბედი არ ეწეოდა. და 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, სამხრეთ კავკასიაში ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციას თითქმის ნულიდან არ მოუწევდა თავისი საქმიანობის დაწყება.

1993 წელს, როდესაც წმინდა საყდრის ნუნციუსი არქიეპისკოპოსი ჟან-პოლ გობელი შეუდგა თავის საქმიანობას საქართველოში, პირველი რაც მან გააკეთა ეს იყო სამოციქულო ადმინისტრაციის ჩამოყალიბება და ზრუნვა სასულიერო პირების მოწვევისათვის. ერთ-ერთი პირველთაგანნი, ვინც გამოეხმაურენ არქიეპისკოპოსის ამ მოწვევას გახლდნენ ახალგაზრდა მღვდლები, ქალაქ ვერონადან, წმ. სტიმატინთა კონგრეგაციის წევრები მამა ჯუზეპე პაზოტო და მამა გაბრიელე ბრაგანტინი. რომლებმაც მალევე შეისწავლეს ქართული ენა და 1994 წლიდან შეუდგნენ დასავლეთ საქართველოში წმინდა მისიის აღსრულებას. 1996 წელს მამა ჯუზეპე პაზოტოს, ნუნციუსმა სამოციქულო ადმინისტრაციის მართვაც დაავალა. ამ პერიოდიდან მოყოლებული სამოციქულო ადმინისტრაციამ მისი დაუზარელი მმართველის ხელმძღვანელობით მრავალი საქმე ითავა, რათა სამრევლოს საქმიანობა გამოეცოცხლებინა და გაეძლიერებინა. პირველ რიგში მოხდა 1937 წელს ჩამორთმეული წმ. მარიამის ზეცად აღყვანების ტაძრის საფუძვლიანი რესტავრაცია. 1999 წელს არქიეპისკოპოს ჟოვანი ბატისტა რემ ახლად აკურთხა ტაძარი, რომელიც კათედრალად იქცა. იმავე წლის ნოემბერში თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა პაპმა იოანე-პავლე II-მ ეპისკოპოსობა

უბოძა მამა ჯუზეპე პაზოტოს. ხოლო ეპისკოპოსად ხელდასხმის ცერემონია კი შედგა 2000 წლის 6 იანვარს, რომში წმ. პატრეს ტაძარში... ამით აღსრულდა მრავალსაუკუნოვანი სურვილი საქართველოს კათოლიკე მრევლისა, რომ თბილისში კვლავ ყოფილიყო ეპისკოპოსის კათედრა.

სამოციქულო ადმინისტრატორის მწყემსმთავრობით, მთელი სამღვდელოებისა და ლათინური წესის კათოლიკეთა ერთიანი ძალისხმევით აღდგინეს დანგრეული ტაძრები, სადაც არ იყო საეკლესიო ნაგებობები - აღაშენეს ახლები. თუმცა მორწმუნეებისათვის მოუშუშებელ ტკივილად რჩება ის 5 სატაძრო ნაგებობა, რომელის საბჭოთა სისტემის ნგრევის დროინდელ ქაოსში, სხვა კონფესიის მიერ იქნა დაკავებული.

თუმცა ეკლესიათშორისი გლობალური ურთიერთობების ფონზე, უფრო მნიშვნელოვანია აღმოსავლეთის ეკლესიებსა და წმინდა საყდარს შორის ქრისტიანული ძმური ურთიერთობის აღდგენა ვიდრე ნაგებობებისთვის დაპირისპირება. ამ კონტექსტში ალბათ ყველაზე სწორ პოზიციას გამოხატავს სამხრეთ კავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორის ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტო, როდესაც აღნიშნავს, რომ **„ეკლესია ქვები არ არის, ეკლესია მორწმუნე ადამიანთა საკრებულოა, მაცხოვრის რწმენით აღსავსე გულების საკრებულო და მისი წართმევა შეუძლებელია. ამიტომ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რა არის უფრო მთავარია, ქვები თუ ადამიანები".[ჟურ. „საბა", 2010. N9].**

ეს წერილი საქართველოში კათოლიკე ეკლესიის - მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულების გაცოცხლების ერთგვარი მცდელობაა, რათა ევროპელ მკითხველს გააცნოს საქართველოში კათოლიკე ეკლესიის უახლესი ისტორია, მისი ძნელბედობით აღსავსე ე. წ. საბჭოური პერიოდი. საერთოდ ძალზე ძნელია უახლესი ისტორიის კვლევა და ანალიზი, როდესაც ამ ისტორიის პროცესის მონაწილეები ცოცხლები არიან და ყველა მათგანს თავისი სუბიექტური შეხედულება გააჩნია, ამა თუ იმ ფაქტთან თუ მოვლენასთან დაკავშირებით. მაგრამ ამგვარი კვლევების წარმოება უაღრესად აუცილებელი და მნიშვნელოვანია. ნებისმიერი ინფორმაცია, შემდგომ შეუცვლელ ისტორიულ წყაროდ იქცევა და მათ გარეშე მომავალი მკვლევარები ძნელად შექმნიან მართალ ისტორიას, რიგითი ადამიანები კი, აღარ აღმოჩნდებიან გაურკვევლობისა და ყალბი მითების გარემოცვაში. დღეს ზოგიერთები ცდილობენ დადებით კონტექსტში წარმოაჩინონ საბჭოური ეპოქა, ვითომდა სოციალური დაცულობის, თანასწორობისა და მშრომელთა კეთილდღეობაზე მზრუნველი ტოტალიტარული რეჟიმი. მაგრამ ამ დროს გვერდს უვლიან ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებს, რითაც გაჯერებული იყო მოქალაქეების ყოველდღიური ცხოვრება საბჭოთა კავშირი. და ამ 70-იანი წლიანი ტყვეობის დროს, ადამიანებს არც რწმენის, არც სინდისის, არც სიტყვის თავისუფლების დაცვის არანაირი გარანტია არ გააჩნდათ. საუკუნეების მანძილზე მათი წინაპრების მიერ ნაგები ეკლესია-მონასტრები მათ თვალწინ ინგრეოდა ან არადანიშნულებით გამოიყენებოდა. ნადგურდებოდა და

იძარცვებოდა კულტურული მემკვიდრეობა. რეპრესიებს განიცდიდნენ სასულიერო პირები და მორწმუნეები და ეს ყოველივე საერთ|ო-სახალხო კეთილდღეობაზე ზრუნვით ინიღბებოდა.

მეოცე საუკუნეში კათოლიკე ეკლესიამ საქართველოში უდიდესი რყევები განიცადა. არასდროს ასე მძიმე და დრამატული, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მავალი არ ყოფილა მისი არსებობა. და ამავე დროს ასეთი იმედით, რწმენით და სიყვარულით აღსავსე. და სწორედ ამ შემართებამ და წმინდა საყდრის თანადგომის იმედმა, გადაატანინა საქართველოს მცირერიცხოვან მრევლს ესოდენი სოციალური გაჭირვება, კონფესიური ზეწოლა და პოლიტიკური რეპრესიები. დღეს, როგორც არასდროს, ისეთი ძლიერი, იმედით შეჰყურებს იგი მომავალს. და ზუსტად ქართველი კათოლიკეების ამ შემართებაზე გააკეთა აქცენტი, 2016 წლის პირველ ოქტომბერს, თბილისში თავისი ქადაგების დროს პაპმა ფრანციკემ.

ისტორიული ვიზიტის კვალდაკვალ

წმინდანდ შერაცხული პაპის იოანე-პავლე II-ის მოღვაწეობაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისადმი განხორციელებულმა პოლიტიკურმა, და არა მხოლოდ, საქმიანობამ, მისმა აქტიურმა „ოსტპოლიტიკურმა" კურსმა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არადემოკრატიული რეჟიმების შერყევაში. დამკვიდრდა კიდეც პაპის, ამ აღმოსავლური აქტიობის აღმნიშვნელი ტერმინიც - „იოანე-პავლე II-ის ოსტპოლიტიკური კურსი". პონტიფიკობის ოთხი წლის მანძილზე ამჟამინდელი პაპი ფრანცისკე, თავის საერთაშორისო და ეკლესიათშორისო საქმიანობით, საკმაოდ აქტიურ და მნიშვნელოვან ქმედით ნაბიჯებს ანხორციელებს და ვფიქრობთ უკვე საკმაოდ ნათლად გამოიკვეთა მისი პოლიტიკის ორიენტირები, და ამ ფართომასშტაბიან საქმიანობაში შესაძლოა პაპის ოსტპოლიტიკური ვექტორების დანახვაც.

2013 წელს (არჩევის პირველივე წელსვე) ჟურნალმა „ TIME"-მა, პაპი ფრანცისკეს, წლის ყველაზე გავლენიან ადამიანთა სიაში მესამე ადგილი მიაკუთვნა. **„ეს არის ძალიან იშვიათი, რომ აქამდე ყველასათვის უცნობმა ადამიანმა, ასეთი მოკლე დროის განმავლობაში, შეძლო მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ყურადღების მიპყრობა - ახალგაზრდებისა და მოხუცების, მორწმუნეებისა და ცინიკოსების**", - განაცხადა ინტერვიუში BBC-ის მთავარმა რედაქტორმა ნენსი გიბსმა.[6]

2016 წელს პაპი ფრანცისკე ჟურნალ „Forbes"-ის მსოფლიო გავლენიან ადამიანთა სიაში მეხუთე ადგილს იმკვიდრებს. პაპ ფრანცისკეს უპირველეს ყოვლისა როგორც თავმდაბალ, გულმოწყალე, უპოვართა და სნეულთა თანამდგომ, მშვიდობისმყოფელ, გახსნილ და არსებული სტერეოტიპების მსხვრევის გამო, ახალგაზრდების საყვარელ პიროვნებად მოიაზრებენ. თუმცა ამასთანავე პაპი ფრანცისკე საკმაოდ წარმატებულ დიპლომატს და პოლიტიკურ მოღვაწეს წარმოადგენს. მისი პაპობის დროს, მისი აქტიური მონაწილეობით, განხორციელდა ვატიკანსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების უფრო მაღალ ხარისხში აყვანა. კუბასთან ვატიკანის დაახლოება და აშშ-სა და კუბას შორის ნახევარ საუკუნოვანი ინტერვალის შემდგომ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა. და რაც მთვარია, პაპი ფრანცისკე არის რომის ეკლესიის ის მეთაური, რომელმაც პირველად ისტორიაში, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთა შეხვედრა და ერთობლივი დოკუმენტის ხელმოწერა განახორციელა. აქვე ავღნიშნავ, რომ მიუხედავათ თავისი დიდი მცდელობისა და

[6] WWW.MediaMall.ge

სსრკ-ის პოპულარული ლიდერის მ. გორბაჩოვის სურვილისა, პაპმა იოანე-პავლე II-მ ვერ შესძლო რუსეთის ეკლესიის საჭეთმყრობელთან შეხვედრა.

პაპ ფრანცისკეს მიერ 2016 წლის 13 თებერვალს ჰავანის აეროპორტში, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილთან შეხვედრა, მაშინვე მოინათლა ათასწლეულის მოვლენად. თუმცა უნდა გავიხსენოთ, რომ კათოლიკე და მართლმადიდებელი უპირველესი მწყემსმთავრების ათასწლეულის პირველი შეხვედრა 1967 წელს შედგა, როდესაც რომის პაპი პავლე VI ესტუმრა მსოფლიო პატრიარქ ათანაგორას, მაგრამ რუსეთის პატრიარქისა და პაპის შეხვედრა მართლაც პირველია. [7]

13 თებერვალს, კუბაზე, ჰავანის ხოსე მარტის საერთაშორისო აეროპორტში, შედგა რომის წმიდა სამოციქულო ეკლესიის მეთაურის, პაპ ფრანცისკესა და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის ეკლესიის პატრიარქის, კირილეს ოფიციალური შეხვედრა. ეს ვიზიტი, უაღრესად გასაიდუმლოებულად, ორი წლის განმავლობაში იგეგმებოდა და მის შესახებ მსოფლიომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მხოლოდ თებერვალში შეიტყო. რომისა და მოსკოვის ეპისკოპოსებმა გულთბილად, სამგზის ამბორით მოიკითხეს ერთმანეთი და ჩვეულებრივ, დიპლომატიური პროტოკოლით გათვალისწინებულზე უფრო თბილ, მეგობრულ ატმოსფეროში გააგრძელეს საუბარი.

მსოფლიოს მასმედიის ყურადღების ცენტრში აღმოჩენილმა შეხვედრამ იმ კვირას გადაფარა ყველა გლობალური მოვლენა. მიმომხილველთა უმრავლესობა დადებითად აფასებდა ამ ვიზიტს, თუმცა დასავლეთის პრესაში საკმაოდ იყო ნეგატიური და ირონიული კომენტარებიც. ცალსახად პოზიტიურად და დიდმნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტად იქნა შეფასებული ეს შეხვედრა რუსეთის მედიაში. გასაოცარი იყო საქართველოს მედიისა და საეკლესიო წრეების სრული ინდიფერენტული დამოკიდებულება პაპისა და მოსკოვის პატრიარქის შეხვედრისადმი და მათ მიერ ზარ-ზეიმით ხელმოწერილი დოკუმენტის მიმართ. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ტელევიზია „ახალი საქართველო", რომელმაც ამ შეხვედრის ანალიზს, 19 თებერვალს, ერთ საათიანი ეთერი დაუთმო;

ამ ისტორიული შეხვედრის შედეგი გახლავთ პაპის და პატრიარქის ოცდაათ პუნქტიანი ერთობლივი განცხადება. მართალია, ამ ერთობლივ ტექსტში არაფერია ნათქვამი დოგმატურ საკითხებზე, ანუ იმაზე, რაც თიშავს ორ ეკლესიას ერთმანეთისაგან, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან აღმოსავლეთის ეკლესიათა ქრისტინული თემი ჯერ არ არის მზად საღვთისმეტყველო დიალოგისა და ეკლესიური დაახლოებისათვის. ამ პროცესის

[7] ნ. ბარდაველიძე. ჰავანის ისტორიული შეხვედრის შუქ-ჩრდილები, ჟურ. „სიბა", 3. (243). 2016. გვ.16.

დაჩქარება უცილობლად გამოიწვევს ახალ ერესებსა და სქიზმებს, განსაკუთრებით რუსეთის ქრისტიანებში, რომლებიც დიდი სენსიტიურობით გამოირჩევიან. ჰავანის ვიზიტი, ეს არის ორი, მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი და მრავალრიცხოვანი მრევლის მომცველი, ეკლესიის მწყემსმთავართა პირველი შეხვედრა და მისი მთავარი შედეგი ის არის, რომ შეხვედრა შედგა და მხარეებმა შეძლეს ერთობლივ ტექსტზე შეთანხმება; გამოხატეს სურვილი, ითანამშრომლონ ქრისტიანთა კეთილდღეობისათვის, გააგრძელონ ორ ეკლესიას შორის დიალოგი, არ დაუშვან ქრისტიანული ფასეულობებისა და ტრადიციების იგნორირება, რასაც, სამწუხაროდ, ადგილი აქვს ლიბერალურ ევროპაში. [8]

შემდგომ პაპ ფრანცისკე, სამხრეთ კავკასიური ვიზიტის დროს, ამ პრინციპს ერთგულად მიჰყვება, რომ ისაუბრონ მხოლოდ იმაზე, რაც აერთიანებს ეკლესიებს და თავი აარიდონ მწვავე დოგმატური თუ სხვა პრობლემების წამოწევას. მართალია უმცირესობების წარმომადგენლებს მოლოდინი ჰქონდათ, რომ პაპი მათ პრობლემებსაც წამოწევდა, მაგრამ ოფიციალური ვატიკანის საერთაშორისო და ეკლესიათშორისო პრინციპი გახლავთ მუდმივი დიალოგის და სამშვიდობო, კეთილმეგობრული, ნდობაზე, თანასწორობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის დამყარება სახელმწიფოებთან და რელიგიურ კონფესიებთან. დიალოგი კი დაპირისპირებისა და პრობლემების გააქტიურებით არ მყარდება. სავარაუდო იყო, რომ პაპისა და მოსკოვის პატრიარქის ამ შეხვედრის ფონზე, კიდევ უფრო უნდა დამთბარიყო ურთიერთობა საქართველოს სამოციქულო ეკლესიასა და წმინდა საყდარს შორის. ოფიციალურ ნარატივის დონეზე ეს ასეც მოხდა, თუმცა რიგითი მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომ, პოპულარულ დონეებზე კი ეკლესიათშორის ურთიერთობებს არაფერი სასიკეთო არ დატყობია.

რომის პაპის ვიზიტი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა, როგორც პოლიტიკური და სულიერი თვალსაზრისით, ასევე მასპინძელი ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟის, მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოხვედრის კუთხით. პაპების უცხოეთში ვიზიტები მთელი წლით ადრე იგეგმება, მრავალი ფორმალური, საოქმო დეტალების დაზუსტებითა და შეთანხმების შედეგად. საქართველოს პრეზიდენტისა და კათალიკოს-პატრიარქის თხოვნით, და პაპის უშუალო სურვილის მიხედვით, დაიგეგმა მიმდინარე წლის ვიზიტი საქართველოში. თუმცა იყო სხვა, არანაკლებ საგულისხმო, საერთაშორისო მნიშვნელობის ნიუანსები, რომელთა გათვალისწინებაც წინ უძღოდა პაპ ფრანცისკეს ვიზიტს საქართველოში.

პაპი ფრანცისკე განსხვავებული იმიჯის პონტიფექსი და სახელმწიფო ლიდერია. მისი პრიორიტეტი ამქვეყნიური პრობლემებით, გაჭირვებითა და სნეულებით გატანჯული ადამიანების თანადგომა, საომარი კონფლიქტების გამო

[8] ნ. ბარდაველიძე. ჰავანის ისტორიული შეხვედრის შუქ-ჩრდილები, ჟურ. „საბა”, 3. (243). 2016. გვ.17.

დევნილთა შემწეობა და გამხნევებაა. ამიტომაც მისი ვიზიტები არ იგეგმება წარმატებულ და მდიდარ ქვეყნებში. პაპი მსოფლიოს ცხელ წერტილებს სტუმრობს, სადაც განსაცდელის წინაშე დარჩენილთა გამხნევებას და მათთვის ლოცვით შეწევნას ცდილობს.. ამ მოწოდების ერთგული პაპი, თავისი არჩევის დღიდან, დღენიადაგ ამ მისიის შესრულებისთვის იღვწის.

ამ მიზნის განხორციელების რეალურობაში გამოვლენაა პაპის ვიზიტები დევნილთა ბანაკებში ლამპედუზოსა და ლესბოსზე, ისრაელში და თურქეთში. პაპის დიდი სურვილი იყო, ჩასულიყო და მშვიდობის დამყარებისათვის შეეწყო ხელი სირია-ერაყის საომარი კონფლიქტის ზონაში. პონტიფექსის განზრახვას, სტუმრებოდა ახლო აღმოსავლეთის ამ ცხელ რეგიონს, მრავალი პოლიტიკური მიზეზის გამო, დღეისათვის გადაულახავი წინააღმდეგობები შეხვდა. თუმცა პონტიფექსი მაინც აქტიურად არის ჩაბმული კონფლიქტის მსხვერპლთათვის ქმედითი დახმარების აღმოჩენის პროცესში.

2016 წლის დასაწყისში, კიდევ ერთმა მიძინებულმა - მთიანი ყარაბაღის საომარმა კოფლიქტმა, კვლავ შეგვახსენა თავი. სომხებსა და აზერბაიჯანლებს შორის მშვიდობის დამყარებისათვის ხელშეწყობა, სამხედრო კონფლიქტის გამო დაზარალებულთა თანადგომა მიმდინარე წლის ახალი პრიორიტეტი გახდა პაპ ფრანცისკესთვის. სწორედ სამხრეთ კავკასიის დაპირისპირებულ ქვეყნებში ჩასვლა და მშვიდობისათვის ლოცვა გახდა აქ პაპის ვიზიტის დაგეგმვის მიზეზი. ვინაიდან, სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინებით, შეუძლებელია ორ დაპირისპირებულ ქვეყანაში ერთიანი ვიზიტის განხორციელება, გადაწყდა, პაპის ვიზიტი ორ ეტაპად გაყოფილიყო. პირველი - ივლისის თვეში (25-27.06.2016) სომხეთში; ხოლო მეორე აზერბაიჯანში - შემოდგომაზე.

საქართველოში ვიზიტიც მეორე ეტაპზე დაიგეგმა, სადაც პაპის სტუმრობა, ოფიციალურ მოწვევებთან ერთად, გადაწყდა იმ გარემოებით, რომ პონტიფესს სურდა ჩასულიყო დაპირისპირებულ სახელმწიფოებში და ხელი შეეწყო მშვიდობის პროცესისათვის. ხოლო სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნიდან, ორში ვიზიტი და მესამის გამოტოვება დიპლომატიური თვალთახედვით არაკორექტულია, მით უმეტეს, რომ საქართველოში კათოლიკე მრევლი, როგორც ლათინური, ასევე სომხური და ასირიულ-ქალდეური, საუკუნეებია, რაც მშვიდობიანად ბინადრობს და ერთაშორისი თანაცხოვრების მაგალითს აძლევს მთელ რეგიონს.

საქართველოში პაპის ვიზიტის ფარგლებში, თბილისის ასირიულ-კათოლიკურ ტაძარში დაიგეგმა უზენაესი პონტიფექსის შეხვედრა ასირიულ-ქალდეური წესის პატრიარქ მარ-საქოსთან, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან სპეციალურად ჩამოფრინდებოდა ფრანცისკესთან შესახვედრად. ეს ორი მღვდელმთავარის პირველი შეხვედრა იქნებოდა და ამ მხრივაც თბილისში რომის პაპის ვიზიტს კიდევ ერთი ისტორიული მისიაც დაეკისრებოდა.

2016 წლის 30 სექტემბერს, საქართველოში სტუმრობით დაიწყო პაპ ფრანცისკეს სამხრეთ კავკასიური ტურნე მეორე ნაწილი. უმაღლესი პონტიფექსის სავარაუდო ვიზიტის შესახებ საუბარი ჯერ კიდევ 2015 წელს დაიწყო, როდესაც ვატიკანში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი (2015 წლის 9-10 აპრილი). ხოლო მანამდე, 2014 წლის სექტემბერში (13-16 სექტემბერი), საგარეო საქმეთა მინისტრის მოწვევით, საქართველოში იმყოფებოდა წმიდა საყდრის სახელმწიფოებთან ურთიერთობის მდივანი, მთავარეპისკოპოსი დომინიკ მამბერტი, რომელიც შეხვდა სახელმწიფოს პირველ პირებს: პრეზიდენტს, პრემიერ–მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს. იგი ასევე შეხვდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს, ილია II–ს. ოდნავ მოგვიანებით, საქართველოში იმყოფებოდა ვატიკანის ქრისტიანთა ხელშეწყობის პაპის კომისიის მდივანი, კარდინალი კურტ კოხი.

თბილისში პაპ ფრანცისკეს ვიზიტი უაღრესად გადატვირთული გრაფიკით წარიმართა, შეხვედრები პრეზიდენტის, კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენციებში, კათოლიკურ საკრებულოებში, და წმ. წირვა ათასობით მორწმუნისთვის, რომელსაც, კათოლიკე მრევლთან ერთად, სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ... და მაინც, ყველაზე განსაკუთრებული, თავისი მნიშვნელობითა და სიმბოლური დატვირთვით, გახლდათ მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში გამართული რომის პაპისა და საქართველოს პატრიარქის შეხვედრა.

პაპის საქართველოში ვიზიტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილმა დაგმო ეს ვიზიტი და მისი ჩაშლით იმუქრებოდა. რადიკალმა ჯგუფებმა პაპის ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე, 21 სექტემბერს, ვატიკანის საელჩოს წინ ე.წ. ლოცვითი აქცია მოაწყვეს, სადაც მათ მიერ გამზადებულ ბანერებზე პაპი ერეტიკოსად იყო მოხსენიებული, ისინი აცხადებდნენ, რომ პაპი საქართველოში არ იქნებოდა თბილად მიღებული. აქციაზე ბევრი ხალხი არ იყო, თუმცა ეს მოვლენა მაინც აისახა საერთაშორისო პრესაში. სამწუხაროდ, საპატრიარქომ ამ მოვლენაზე არ გააკეთა მყისიერი კომენტარი, მან მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ (28.09.2016) გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ საპატრიარქო გმობდა ასეთი სახის აქციებს, რომ რომის პაპი მოწვეული იყო პატრიარქისა და სახელმწიფოს პრეზიდენტის მიერ და რომ საპატრიარქო პატივისცემით მიესალმება სტუმარს და იმედოვნებს, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავებასა და რეგიონში მშვიდობას. ამავე განცხადების ბოლოს კი იკითხებოდა: „შევნიშნავთ იმასაც, რომ ჩვენსა და რომის კათოლიკე ეკლესიას შორის შუა საუკუნეებიდან შეწყვეტილია ლოცვით-ევქარისტიული კავშირი; და ვიდრე არსებობს დოგმატური სხვაობები, საეკლესიო სამართლის მიხედვით, მართლმადიდებელი მორწმუნეები არ იღებენ მონაწილეობას მათ მსახურებაში“.

მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი შეთანხმებით პაპის წირვას უნდა დასწრებოდა მართლმადიდებელი სასულიერო პირების ჯგუფი, ამ განცხადებით აშკარა იყო, რომ მათგან არავინ დაესწრებოდა წმ. წირვას; ამით, საპატრიარქომ ასევე ირიბად მოუწოდა თავის მრევლს, რომ პაპის წირვაზე დასწრება არ იყო მათთვის რეკომენდებული.

პაპის ვიზიტის პირველი დღე

პაპის რიგით მე-16 სამოციქულო ვიზიტი 30 სექტემბერს დღის 3.00 საათზე დაიწყო, როდესაც იგი შოთა რუსთაველის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჩამოფრინდა. აქ მას მიეგებნენ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, მეუღლესთან ერთად, საქართველოს პატრიარქი ილია II, წარმომადგენლები საქართველოს მთავრობიდან და საქართველოს საპატრიარქოდან, კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორი ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, სასულიერო პირებთან და მრევლთან ერთად. საჰაერო ლაინერიდან გადმოსვლის შემდგომ პირველივე ჟესტი, რაც პაპმა გააკეთა, ეს იყო საქართველოს პატრიარქის ჯვარზე მთხვევა, ეს მომენტი, შეიძლება ითქვას, დღის მოვლენად იქცა სოციალურ ქსელში.

გეგმის მიხედვით, პირველი ოფიციალური შეხვედრა გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის სამთავრობო რეზიდენციაში. პირისპირ შეხვედრის შემდეგ, პრეზიდენტმა და რომის პაპმა პრეზიდენტის სასახლეში სამასამდე მოწვეულ სტუმარს - აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, საპატრიარქოს და სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებს სიტყვით მიმართეს.

პრეზიდენტმა მიმართვაში მადლობა გადაუხადა პაპს თანადგომისათვის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერისათვის, განსაკუთრებით 2008 წლის რუსეთ–საქართველოს კონფლიქტის დროს. მან ხაზი გაუსვა საქართველო–ვატიკანის ურთიერთობის საუკუნოვან ტრადიციებს და აღნიშნა, რომ პირველი ვიზიტი ვატიკანიდან საქართველოში XII საუკუნეში შედგა და მას შემდეგ ამ ორ ქვეყანას შორის კულტურული და პოლიტიკური კავშირები ჩამოყალიბდა, გაიხსენა 1629 წელს პირველი ბეჭდური წიგნი ქართულ ენაზე, რომელიც კათოლიკე მისიონერების მიერ გამოიცა და სულხან–საბა ორბელიანის ღვაწლი. პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპაციასა და მოსახლეობის 15%-ის დევნილობაში ყოფნაზე და რომ ამ პრობლემის მოგვარებისათვის საქართველოს მთავრობა მუშაობს არა კონფრონტაციის გზით, არამედ დიალოგითა და მშვიდობით. პრეზიდენტმა ბოლოს იმედი გამოთქვა, რომ პაპის ვიზიტი გააძლიერებს არა მხოლოდ ვატიკანისა და საქართველოს თანამშრომლობას,

არამედ იქნება მძლავრი გზავნილი ჩვენს რეგიონში უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად!”

თავის საპასუხო გამოსვლაში ფრანცისკემ მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტსა და პატრიარქს მოწვევისა და ქართველი ერის სახელით თბილი დახვედრისათვის. პაპმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს, როგორც მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყანას, თავისი გამორჩეული ადგილი უნდა ეკავოს ევროპული ცივილიზაციის წიაღში. პაპმა საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო ყოველთვის იყო ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, „ხიდი, რომელიც ხალხებს აკავშირებს და ურთიერთობას უადვილებს, ხიდი, რომელმაც საუკუნეების მანძილზე შესაძლებელი გახადა განსხვავებულ სამყაროთა შორის როგორც სავაჭრო ურთიერთობები, ასევე დიალოგი და აზრთა თუ გამოცდილებათა გაცვლა-გამოცვლა. თქვენი ეროვნული ჰიმნიც ხომ ამაყად გვიცხადებს: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა, განათებული მთა-ბარი წილნაყარია ღმერთთანა”. სამშობლო მართლაც ხატია, მეობას რომ გვიყალიბებს, იერსახეს გვანიჭებს და ისტორიას გვისახავს,“ – აღნიშნა პაპმა.

წმიდა მამამ ასევე ისაუბრა საქართველოს დამოუკიდებლობის კვლავ მოპოვებიდან 25 წლის განმავლობაში მიღწეულ წარმატებებზე და იმ დიდ მსხვერპლზე, რომელიც ქართველმა ხალხმა გაიღო ნანატრი თავისუფლების დასაცავად. მან საქართველოს უსურვა მშვიდობისა და განვითარების გზაზე საზოგადოების ყველა წევრის ხელიხელჩაკიდებული სიარული, რათა შეიქმნას სტაბილური, სამართლიანი და კანონისადმი პატივისცემით აღსავსე გარემო, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოების ზრდას და ყველასათვის ხელსაყრელი შესაძლებლობების შექმნას. ამისათვის კი, როგორც პაპმა აღნიშნა, არსებობს წინაპირობაც: „ესაა რეგიონის ერებსა და სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობა. საამისოდ კი აუცილებელია მათ შორის ურთიერთპატივისცემის განმტკიცება, რაც უცილობლად გულისხმობს თითოეული მათგანის სუვერენული უფლებების პატივისცემას და მათთვის ანგარიშის გაწევას საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. ხანგრძლივი და ჭეშმარიტი მშვიდობისაკენ მიმავალი გზის გასაკვალად კი იმის შეგნებაა საჭირო, რომ სახელმწიფოთა შორის სამართლიანი და სტაბილური ურთიერთობის დასამყარებლად აუცილებელი პრინციპები ქვეყნებს შორის კონკრეტულ, მოწესრიგებულ და მშვიდობიან თანაარსებობას უნდა ემსახურებოდეს... აუცილებელია, რომ ყველა ჩვენგანის გულში უპირველესი ადგილი ეკავოს ადამიანის ბედს, ამ სიტყვის კონკრეტული გაგებით, მოთმინება და ძალისხმევა არ დავიშუროთ, რათა უთანხმოება ძალადობაში არ გადაიზარდოს. ნებისმიერი განსხვავებულობა – ეთნიკური, ენობრივი, პოლიტიკური თუ რელიგიური – უნდა იქცეს არა წარმოშობილ უთანხმოებათა დაპირისპირებასა და გაუთავებელ ტრაგედიაში გადაზრდის

საბაბად, არამედ, რაც სავსებით შესაძლებელია, ურთიერთგამდიდრების წყაროდ და საყოველთაო სიკეთედ. საამისოდ კი, ყოველ ადამიანს უნდა შეეძლოს საკუთარი სპეციფიკურობის სრულად და სასიკეთოდ გამოყენება, რისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებლობა უნდა მიეცეს მშვიდობიანად იცხოვროს საკუთარ მიწაზე. . ვისურვებდი, რომ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე პირებმა განსაკუთრებით გაითავისონ ამ ადამიანების მდგომარეობა, ეძიონ მათი პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული გზები, თუნდაც გადაუჭრელი პოლიტიკური საკითხების პირობებშიც კი. აქ საჭიროა შორსმჭვრეტელობა და სიმტკიცე, რათა განვსაზღვროთ თუ რაში მდგომარეობს ჭეშმარიტი სიკეთე ხალხთათვის და გაბედულად და გონიერებით მივყვეთ მას. ამავე დროს, მუდამ თვალწინ უნდა გვედგას ტანჯული ადამიანი, რათა თავდაჯერებით ვიაროთ მშვიდობის მშენებლობის ძნელად სავალ, მაგრამ მიმზიდველ და გამათავისუფლებელ გზაზე".

მიმართვის დასასრულს პაპმა დასძინა, რომ საქართველოში კათოლიკე ეკლესიას საუკუნეების მანძილზე შეჰქონდა თავისი დიდი წვლილი საზოგადოების განვითარების ყველა სფეროში და სურვილი აქვს კიდევ დიდი წვლილი შეიტანოს ქვეყნის კეთილდღეობასა და მშვიდობაში. „ვიმედოვნებ, რომ იგი კვლავაც შეიტანს თავის ბუნებრივ წვლილს ქართული საზოგადოების ზრდაში, ჩვენი საერთო ქრისტიანული ტრადიციების დამოწმების, უპოვართა სასიკეთოდ გაწეული ძალისხმევის გზით და უძველეს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და ქვეყნის სხვა რელიგიურ საკრებულოებთან განახლებული დიალოგისა და განმტკიცებული ურთიერთობების მეშვეობით".

საზოგადოების ნაწილი ელოდა, რომ პაპი აშკარად გააკეთებდა განცხადებას რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასა და დევნილებზე, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვატიკანი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და პაპ ფრანცისკეს, ასევე მისი წინამორბედი პაპის ბენედიქტე XVI-ის დიდ დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერენ მხარს.

პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ პაპი საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ მიიღო საპატრიარქოში, სადაც ორივე ეკლესიის იერარქმა წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა.

პატრიარქის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, პაპმა საკმაოდ ვრცელი სიტყვით მიმართა დამსწრეებს:

... ჩემთვის დიდი სიხარული და განსაკუთრებული მადლია შევხვდე თქვენს უწმიდესობასა და უნეტარესობას, ღრმადპატივცემულ მიტროპოლიტებს,

მთავარეპისკოპოსებსა და ეპისკოპოსებს, წმიდა სინოდის წევრებს. მივესალმები ბატონ პრემიერ-მინისტრს და მეცნიერებისა და კულტურის სფეროების გამოჩენილ წარმომადგენლებს.

თქვენო უწმიდესობავ, თქვენ გადაფურცლეთ ახალი გვერდი ურთიერთობებისა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და კათოლიკე ეკლესიას შორის, როცა აღასრულეთ საქართველოს პატრიარქის პირველი ისტორიული ვიზიტი ვატიკანში. მაშინ თქვენ და რომის ეპისკოპოსმა მშვიდობის ამბორი მიაგეთ ერთურთს და შეჰპირდით, რომ ილოცებდით ერთმანეთისთვის. ამგვარად, გაძლიერდა ის მნიშვნელოვანი კავშირები, რომლებიც ჩვენს შორის არსებობდა ქრისტიანობის პირველივე საუკუნეებიდან. ეს კავშირები განვითარდა და კვლავაც რჩება ურთიერთპატივისცემისა და გულითად ურთიერთობად. ამის ნათელი დასტურია აქ ჩემი წარგზავნილებისა თუ წარმომადგენლების თბილი მიღება, ქართველ მართლმადიდებელთა მიერ გაწეული სასწავლო და კვლევითი საქმიანობა ვატიკანის არქივებსა და პონტიფიკალურ უნივერსიტეტებში, მართლმადიდებლური საკრებულოს არსებობა რომში, ჩემი ეპარქიის ერთ-ერთ ეკლესიაში და ადგილობრივ კათოლიკურ საკრებულოსთან თანამშრომლობა, განსაკუთრებით კულტურის სფეროში.”

როგორც დაგეგმილი იყო დღის მესამე შეხვედრა თბილისის სიმონ ბარ-საბას სახელობის ასირო–ქალდეური წესის კათოლიკურ ეკლესიაში შედგა, სადაც პაპი შეხვდა ბაღდადიდან (ერაყი) საგანგებოდ ჩამოსულ სტუმარებს, ბაბილონის ქალდეველთა პატრიარქ ბარ ლუის საკოს, წმინდა სინოდის თორმეტ წევრს, საქართველოში მკვიდრ და ევროპის, ამერიკისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ასირო-ქალდეური წესის კათოლიკე სასულიერო პირებსა და მრევლის წევრებს. ერაყის ქალდეური ეკლესია 21-ე საუკუნეში მოწამეთა ეკლესიად არის შერაცხული, ქრისტიანობისათვის წამებულ იმ ასეულობით მორწმუნის გამო. პაპი არამეულ ენაზე მიესალმა ტაძარში შეკრებილ მორწმუნეებს და მათთან ერთად ილოცა სირიასა და ერაყში მცხოვრები ხალხისათვის, ვისთვისაც ომი, ძალადობა, რელიგიური და ეთნიკური ნიშნით დევნა ყოველდღიურობად იქცა. ამ ფონზე ჩამოსული სტუმრების გაოგნება გამოიწვია ტაძრის წინ გამართულმა, პაპის ვიზიტის საპროტესტო აქციამ.

ასირიულ-ქალდეური ტაძრიდან გამოსულმა პაპმა მშვიდობის სიმბოლო, მტრედი გაუშვა. მან ასევე აკურთხა მისი ვიზიტის საპროტესტოდ შეკრებილებიც. ამ შეხვედრით მოხდა ერთგვარი კომპენსირება პაპის ამ ეტაპზე განუხორციელებელი სურვილისა, ერაყში ადგილობრივ ქრისტიანებთან ერთად ელოცა მშვიდობისათვის. ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედებების და ქრისტიანთა მასობრივი დევნის გამო ათასობით მორწმუნე და ღვთისმსახური იძულებულია უკვე მერამდენენ, სხვადასხვა ქვეყნებს შეაფაროს თავი. მაგალითად საქართველოში რომის

ეკლესიასთან ერთიანობაში მყოფი ასირიელები, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოსახლდნენ.

პაპ ფრანცისკეს საზეიმო წირვა თბილისში

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს თბილისში პირველ ოქტომბერს საზეიმო წირვის დროს წარმოთქმული პაპ ფრანცისკეს ქადაგება. შემდგომ ყველა ექსპერტი საგანგებოთ გაანალიზებს ამ ქადაგების შინაარსა და მასში გაჟღერებულ გზავნილებს და ყველა ერთხმად აღნიშნავს ქადაგების ტექსტის ღრმა შინაარს ქართული თემის კარგ გააზრებას და სწორ აქცენტებს..

„თქვენი მშვენიერი ქვეყნის მდიდარ საგანძურში გამორჩეული ადგილი უკავია იმ დიდ ფასეულობას, რომელსაც ქალი ჰქვია. როგორც ყრმა იესოს წმიდა ტერეზა წერდა, რომელსაც დღეს მოვიხსენიებთ, "ღმერთი გაცილებით მეტ ქალს უყვარს, ვიდრე მამაკაცს" (ავტობიოგრაფიული ნაწერები, ხელნაწერი,VI). საქართველოში უამრავი ბებია და დედაა, რომლებიც კვლავაც ინახავენ და გადასცემენ ქართულ მიწაზე წმიდა ნინოს მიერ დათესილ რწმენას, და ღვთაებრივი ნუგეშის მაცოცხლებელი წყალი მიაქვთ უამრავ გაუდაბურებულ და მტრულ ვითარებაში.

პაპ ფრანცისკეს ეს ქადაგება ცხადია, მხოლოდ თბილისის სტადიონზე შეკრებილ 7 ათასიან მრევლს არ შეეხებოდა. როგორც ყოველთვის პაპის ჰომილიები მთელი კათოლიკური სამყაროსადმი არის მიმართული. პრობლემა საკუთარ ნაჭუჭში, საკრებულოსა თუ სამრევლოში ჩაკეტვისა თვითიზოლაციისა მწვავე პრობლემად რჩება ყველა ადგილობრივი ეკლესიისათვის. ეს არის პრობლემა რომელიც ყველა ქვეყნის ქრისტანთა უმთავრეს გამოწვევად რჩება. თბილისურ ქადაგებაშიც პაპმა ყურადღება გაამახვილა, ქალის და დედის განუზომლად დიდ როლზე, ასევე ნუგეშისცემაზე. ქადაგების ძირითადი ქვაკუთხედი გახდა ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები, რომელის სიტყვის ლიტურგიის საკითხავში იყო მოცემული „ როგორც დედა ანუგეშებს შვილს, ისე განუგეშებთ მეც" (ესაია 66, 13.).

ნუგეშისცემა გახდა მთავარი გზავნილი პაპის ჰომილიის პირველი ნაწილისა. ნუგეშისცემა ცხადია ყოველ ადამიანს ესაწიროება და ყველა მოელის იყოს ნუგეშცემული, მაგრამ განსაკუთრებით აქტუალური არის ნუგიშისცემა შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთათვის, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქცეულთათვის, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის.

„ნუგეშისცემა, რომელიც ცხოვრების ორომტრიალში მყოფთ ასე გვჭირდება, სწორედ ესაა - ჩვენს გულში დავანებული ღმერთი. მისი ყოფნა ჩვენში არის წყარო ჭეშმარიტი ნუგეშისა, ჩვენში რომ ისადგურებს, ბოროტისაგან გვიხსნის,

სიმშვიდითა და სიხარულით გვავსებს. ამიტომაც, ნუგეშის მსურველთ გვმართებს ჩვენს ცხოვრებაში შემოვუშვათ უფალი; და თუ გვსურს უფალი ჩვენში დამკვიდრდეს, კარი უნდა გავუღოთ მას და გარეთ არ ვამყოფოთ. ნუგეშის კარი მუდამ ღია უნდა გვქონდეს, რადგან იესოს იქიდან სჩვევია შემოსვლა. ასეთი კარია: სახარება, რომელსაც ყოველდღე ვკითხულობთ და მუდამ თან დაგვაქვს, ლოცვა სიჩუმესა და თაყვანისცემაში, აღსარება, ევქარისტია. სწორედ ამ კართა საშუალებით შემოდის ჩვენში უფალი და ყოველ საგანს ახლებურ გემოს ანიჭებს. ხოლო თუ გულის კარი დაკეტილია, აღარც უფლის ნათელი აღწევს და სიბნელეში ვრჩებით. შედეგად, ვვარდებით პესიმიზმში, ვეგუებით წარუმატებლობას, აღარ გვჯერა, რომ რამე შეიცვლება. ბოლოს კი ჩვენსავე სევდაში ვიძირებით, შფოთვის ჯურღმულებში ვიკეტებით, საკუთარ თავში ვმარტოვდებით. მაგრამ ნუგეშის კარს თუ გავაღებთ, იქიდან უფლის სინათლე შემოიჭრება!”

მეორე მთავარი გზავნილი პაპისა გახლდათ უბრალოება. თავის სიტყვების დასადასტურებლად აქ პაპმა მაგალითები სახარებიდან მოიტანა თუ როგორ ცხადდება დიდი სასწაულები უბრალოებით და მოკრძალებით, სიწრფელით და სისადავით. აქ პაპმა პარალელი ბავშვებთან გაავლო, ბავშვებთან რომლებიცუბრალოებაზე საუბრისას პაპმა მნიშვნელოვანი გზავნილი გაუგზავნა კავკასიის კათოლიკურ საკრებულოებს – ისინიც ხომ მცირე რიცხოვანი და ბავშვებივით სუსტები არიან და ამ სისუსტეშია მათი ძლიერებაც. პაპმა პაპმა ისევ დაიმოწმა წმინდა ტერეზა და საქართველოს მცირე რიცხოვანი კათოლიკური მრევლი, რომელიც ქველმოქმედებაზე და სწავლა-განათლებაზეა მუდამ ორიენტირებული შეადარა „მამის მკლავებში მინებებულ და უშფოთველად მიზინებულ პატარა ბავშვის ნდობას” და ისევ წმ. ტერეზას სიტყვებით დამოწმებით პაპმა შეახსენა მორწმუნეებს, რომ „იესო არ ითხოვს საგმირო საქმეებს, არამედ მხოლოდ მინებებას და მადლიერემას”. როდესაც ვაანალიზებთ პაპის ქადაგების ამ ნაწილს უმთავრესი შეგონება ქართველი და კავკასიელი კათოლიკეებისთვის არის ის რომ გული არ უნდა გაიტეხონ იმ გარემოებით, რაც მათ მცირე რიცხოვნობით გამოწვეულ პრობლემებს, სიძნელეებს, ზოგჯერ დისკრიმინაციულ ან არაადეკვატურ დამოკიდებულებას აწყდებიან ხელისუფლების, დომინანტი ეკლესიების ან საზოგადოების მხრიდან. კონფესიურობა არ არის პოლიტიკური მიკუთვნება არ ეკლესია არის პოლიტიკური პარტია, რომელიც ხელისუფლებისა და მისი წევრების მატერიალური მდგომარტეობის გაუმჯობესებისათვის ირწვის. ეკლესია მარადიული ფასეულობების დამკვიდრებისა და დაცვისთვის არის მოწოდებული და სულთა ხსნისათვის იღწვის. თუმცა დემოკრატიულმა და სოლიდარულმა საზოგადოებამ უნდა იზრუნოს უმცირესობათა უფლებების განუხრელი დაცვისათვის. აქვე ის გარემოებაცაა გასათვალისწინებელი, რომ კავკასიაში კათოლიკეების ნაწილი სრულიადაც არ აღიქვამს თავს უმცირესობად, პირიქით ისინი ისტორიულად თავს ევროპულ საგანმანათლებლო-კულტურული ფასეულობათა დამცველ, საზოგადოების ღირსეულ, გამორჩეულ ფენად თვლიან

თავს. პაპის გზავნილი უბრალოების შესახებ ამ მენტალობის ადამიანთა შეგონებაცაა რათა ამპარტავნების ხიბლმა არ აცდუნოს ისინი.

ქადაგება პაპმა წმინდა ტერეზას სიტყვებით დაასრულა და შეახსენა საზოგადოებას, რომ „სიყვარული გულის სიღრმეში არ უნდა იკეტებოდეს". ის რომ ნუგეშისცემა და სიყვარული გაზიარებულ უნდა იქნეს ყველასადმი, არის პაპი ცხოვრების კრედო და ეს არის მისი გზავნილი არა მხოლოდ საქართველოს, სამხრეთ კავკასიისადმი არამედ მთელი სამყაროსადმი. „ მაშ, ვითხოვოთ დღეს, ყველამ ერთად, მადლი უბრალო გულისა, რომელსაც სწამს და ცოცხლობს სიყვარულის თვინიერი ძალით; ვითხოვოთ, რომ უშფოთველად და სრულად მივენდოთ ღმერთის გულმოწყალებას" .

პაპმა წირვის დასრულებისას დამსწრეებს მისთვის ლოცვა სთხოვა და თავის მხრივ, თვითონაც დაჰპირდა, რომ მოიხსენიებდა მათ თავის ლოცვებში. მადლობის ნიშნად ქართულად წარმოთქვა „დიდი მადლობა".

წირვის დასრულებიდან რამდენიმე საათში პაპი თბილისის ზეცად აღყვანების კათოლიკურ კათედრალში შეხვდა ბერმონაზვნებსა და სამრევლო საბჭოების წარმომადგენლებს.

შეხვედრაზე პაპი თავისი გამოსვლა ერთი ამბავის გაიხსენებით დაიწყო, რომელიც სომხეთში ვიზიტის დროს შეემთხვა. გიუმრიში, როდესაც იგი ადგილობრივ ეპისკოპოსებთან ერთად მანქანიდან გადმოვიდა ხალხთან შესახვედრად, დაინახა ერთი მოხუცებული, ოთხმოც წელს გადაცილებული ქალბატონი, რომელიც მათკენ ცდილობდა წამოსვლას, პაპმა იგრძნო ამ ქალბატონის დიდი სურვილი მიახლებოდა პეტრეს მემკვიდრეს და თავად მივიდა მასთან. აღმოჩნდა, რომ ეს ქალბატონი იყო საქართველოში მცხოვრები, ეროვნებით სომეხი, რომელსაც 8 საათი ემგზავრა ავტობუსით, იმისათვის რომ პაპი ენახა. პაპი აღაფრთოვანა ქალბატონის ქმედებამ. მეორე დღეს, როდესაც გიუმრიდან ერევანში წავიდნენ, პაპმა ეს ქალბატონი კვლავ შენიშნა, მასთან მივიდა და ჰკითხა, თუ რისთვის იყო ჩასული. ქალბატონისაგან მან მოისმინა, რომ მას კვლავ უნდოდა ენახა პეტრეს მემკვიდრე. პაპისთვის ეს ქალბატონი იქცა ამ მოგზაურობიდან ერთ–ერთ დასამახსოვრებელ ეპიზოდად. საქართველოს კათოლიკური სამრევლოების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე პაპმა ეს ამბავი მტკიცე რწმენის ნიმუშად მოიყვანა.

რწმენის სიმტკიცეზე საუბრისას, პაპმა აღნიშნა: „რწმენაში სიმტკიცე ნიშნავს მიიღო ეს რწმენა სხვისგან, შეინახო და შემდეგ სხვას გადასცე", იმას, რასაც აკეთებდნენ ჩვენი ბებიები, დედები. „მოციქული პავლე, როდესაც ესაუბრებოდა თავის საყვარელ მოწაფეს, ტიმოთეს, ეუბნებოდა, რომ მტკიცედ შეენახა ის რწმენა, რომელიც მიიღო დედისა და ბებიისაგან. ვინაიდან ეს არის გზა, რომელიც უნდა

გავიაროთ, მივიღოთ, დავამუშაოთ და შემდეგ სხვას მივცეთ. ხე ვერ იარსებებს ფესვების გარეშე, რწმენა, რომელსაც არ აქვს ფესვები, დედაში, ბებიაში არ იზრდება. რწმენა, რომელიც მე მომეცა, უნდა გავცე სხვაზე, „ჩემს შვილებზე," ასეთი რწმენა იზრდება. მნიშვნელოვანია, რომ არ დავივიწყოთ იმ ქალის სურათი, ვინაიდან ეს არის ქართველი ქალის ხატი, რომელიც განთქმულია თავისი რწმენის სიმტკიცით".

რაც შეეხება ოჯახის თემას, „ბიბლია გვეუბნება, რომ ღმერთმა შექმნა ქალი და კაცი თავის ხატად. როდესაც ისინი ერთმანეთს უერთდებიან, ხდებიან ღვთის ხატი. და როდესაც დგება ოჯახის დანგრევის საკითხი, იცით, ვინ ზღავს ამისათვის? ბუნებრივია, წყვილი, მაგრამ ასევე ზღავს ღმერთიც. როდესაც ოჯახი, ერთი სხეული იხლიჩება, ზიანდება ღვთის ხატი, გარდა ამისა, ამისათვის ზღავენ ბავშვები. თქვენ არ იცით, როგორ იტანჯებიან ბავშვები, როდესაც ხედავენ კონფლიქტს ოჯახში, ყველაფერი უნდა გააკეთოთ, რომ გადაარჩინოთ ოჯახი. ნორმალურია ქორწინების დროს კამათი, მაგრამ თუ ნამდვილი სიყვარულია, მაშინვე მშვიდობა ისადგურებს. ვურჩევდი ოჯახებს, შეგიძლიათ იკამათოთ რამდენიც გინდათ, მაგრამ ის დღე არ დასრულდეს შერიგების გარეშე, რადგან ცივი ომი, თუ მეორე დღეს გაგრძელდა, უფრო საშიშია. რამდენი ოჯახი გადარჩენილა დანგრევას, როდესაც კონფლიქტის შემდეგ ქმარი ცოლს უბრალოდ ლოყაზე მოფერებია. ... მე რომ მეკითხა ცოლ-ქმრისათვის: გიყვართ ერთმანეთი? - პასუხი იქნებოდა: დიახ. როდესაც რომელიმე მხარე რაღაც კარგს აკეთებს, ამ დროს შეგიძლიათ მადლობა უთხრათ? ან კიდევ, თუ ვინმე რამე შეურაცხმყოფელს აკეთებს, შეგიძლიათ მოუბოდიშოთ? ან კიდევ, როდესაც საერთო ჩანაფიქრი გაქვთ, ვთქვათ, ერთად გსურთ გაატაროთ ერთი დღე სოფელში, ამ დროს ეკითხებით მეორეს, რა აზრისაა? ამისათვის გვაქვს სამი ოქროს სიტყვა: შეგიძლია, მადლობა და ბოდიში. თუ ეს სიტყვები ხშირად იქნება ოჯახში წარმოთქმული, ეს ოჯახი წინ წავა".

პაპი ასევე შეეხო ეკუმენიზმის საკითხს, „არასოდეს იკამათო, ეს საკითხი დავუთმოთ თეოლოგებს, რომლებიც დოგმატურ საკითხებზე უკეთ საუბრობენ, და როგორ უნდა მოვიქცე ჩემს მართლმადიდებელ მეგობრებთან და მეზობლებთან, ძალდატანებით უნდა მოვაქციოთ ისინი? ეს არის ძალიან დიდი ცოდვა, რომელსაც პროზელიტიზმი ჰქვია. არასოდეს არ უნდა გავწიოთ პროზელიტიზმი მართლმადიდებლებთან, ისინი ჩვენი დები და ძმები არიან, იესო ქრისტეს მოწაფეები. ჩვენ ვაღიარებთ მამას, ძეს და სულიწმიდას, და ღვთისმშობელ მარიამს. გასული რთული საუკუნეების გამო, არ განვსაჯოთ ერთმანეთი, ვიმეგობროთ, ერთად ვიაროთ და პატივი ვცეთ ერთმანეთს, ერთად გავწიოთ ქველმოქმედება - ეს არის ეკუმენიზმი".[9]

[9] საბა, N 10(250),გვ.10.

შეხვედრის დასასრულს, პაპმა აკურთხა ქვა, რომელიც რუსთავის ტაძრის საძირკველში დაიდება.

პაპისა და პატრიარქის შეხვედრა სვეტიცხოველში

1999 წელს, სვეტიცხოველში წმიდა პაპის იოანე-პავლე II-ისა და კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის შეხვედრას და ერთობლივი დოკუმენტის ხელმოწერა იყო ძალზე ამაღელვებელი და ერთგვარად საეტაპო შეხვედრა, რომელსაც შემდგომ დიდი ემოციითა და სითბოთი იხსენებდა როგორც იოანე-პავლე II, ასევე ილია II-ც. ასევე 2016 წლის 1 ოქტომბერს პაპ ფრანცისკესა და კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის შეხვედრა შეიძლება ითქვას საეტაპო გახლავთ ვატიკანისა და საქართველოს საპატრიარქოს ურთიერთობებში.

სვეტიცხოველში პაპის სტუმრობამდე კარგა ხნით ადრე იწყეს მოწვეულმა სტუმრებმა თავმოყრა. ათასამდე სპეციალური საშვი საპატრიარქომ გაანაწილა მთავრობის, მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების, შემოქმედებითი კავშირების, დიპლომატიური კორპუსის, მედიის და, ზოგადად, ბომონდის წარმომადგენლებზე.

პაპის ვიზიტის და განსაკუთრებით მისი სვეტიცხოველში არშეშვების მომხრეთა ჯგუფი, რომელიც ჩამოსვლის დღიდან აპროტესტებდა ამ ვიზიტს, მიუხედავად მათი მხრიდან არაერთგზის მოწოდებისა და რეიტინგზე ორიენტირებული ტელეეთერებით ამ მოწოდების გადაცემისა, არც პროტესტის მომხრეთა რაოდენობით გაიზარდა და არც მართლმადიდებელი სასულიერო პირებიდან ან მორწმუნეებიდან ვინმე შეერთებია მათ. ეკლესიის იზოლაციის მხარდამჭერები არც სვეტიცხოველის ეზოში შეუშვეს და შეხვედრაზე მოწვეულთა მხრიდან სავსებით სამართლიან, უარყოფით დამოკიდებულებას იმსახურებდნენ.

შეხვედრის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე სვეტიცხოველში მობრძანდა პატრიარქი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი გიორგი კვირიკაშვილი. ისინი ტაძრის შესასვლელში ელოდნენ მაღალ სტუმარს, მაგრამ რადგანაც პაპის დელეგაცია 20 წუთით აგვიანებდა, მასპინძლები ტაძარში შევიდნენ და იქ დაცული სიწმინდეები მოილოცეს. მცხეთაში პაპის დელეგაციის შემოსვლისთანავე სვეტიცხოვლის ყველა ზარი ახმიანდა, პატრიარქი და პრემიერ-მინისტრი სვეტიცხოვლის ტაძრის წინ ელოდნენ ფრანცისკეს და გულთბილი მისალმების შემდგომ ერთად შემოუძღვნენ პაპს მრავალჟამიერით აგუგუნებულ ტაძარში. პატრიარქმა და პაპმა ერთად დაანთეს სანთლები მაცხოვრის ხატთან, პირჯვარი გადაისახეს და გულში მცირე ლოცვაც წარმოთქვეს... შემდგომ საკურთხევლის წინ დადგმულ სავარძლებში დაბრძანდნენ.

მისი უწმიდესობა ილია II მიესალმა პაპ ფრანცისკეს, პრემიერ-მინისტრსა და დამსწრე საზოგადოებას. პატრიარქმა თავის მიმართვაში ხაზი გაუსვა სვეტიცხოვლის ისტორიულ და რელიგიურ მნიშვნელობას საქართველოსა და ზოგადად ქრისტიანობისათვის, ქართველთა ქრისტესადმი რწმენისა და ქრისტიანული ტრადიციებისადმი ერთგულებას და სიმტკიცეს. მისალმების ბოლოს პატრიარქმა ხაზი გაუსვა თავის დიდ პატივისცემასა და ძმურ სიყვარულს პაპ ფრანცისკეს მიმართ და ამ პატივისცემის ნიშნად სამახსოვრო საჩუქარი გადასცა ძვირფას სტუმარს.

თავის საპასუხო სიტყვაში პაპმა მადლობა შესწირა უფალს, რომელმაც მისცა შესაძლებლობა, ქართულ მიწაზე მომლოცველობის დასასრულს, ლოცვაში ჩაღრმავებულიყო ამ წმინდა ტაძარში; მადლობა გადაუხადა საქართველოს პატრიარქს მასპინძლობისათვის და რწმენის ამაღელვებელი დამოწმებისა და ქართველი ხალხის კეთილი გულისათვის.

პაპმა ფრანცისკემ მისთვის დამახასიათებელი უშუალობით, დიპლომატიური ნორმებისა და კლიშეებისაგან თავისუფალი გულითადი სიტყვებით, გამოხატა თავისი დამოკიდებულება საქართველოსადმი. პაპმა ხაზი გაუსვა თანხმობის, გახსნილობის, ინტეგრაციისა და ღიაობის აუცილებლობას, ასევე, ისაუბრა რა ქრისტეს კვართის განუყოფლობაზე, აქცენტი გააკეთა იმ სამწუხარო ფაქტზე, რაც ეკლესიის დანაწევრებით გამოიხატება. "უფლის მაგალითისამებრ, ძმური ქრისტიანული სულისკვეთებით აღვსილებმა, ვიღვაწოთ გულწრფელი სიყვარულის, დანაწევრებული ქრისტეს სხეულის გამთლიანებისათვის".

პაპმა, სიტყვის დასასრულს, იმედი გამოთქვა, რომ დაპირისპირებებს მოევლება, წინააღმდეგობანი დაიძლევა, რომ „არასოდეს არ უნდა ვიუაროთ შეხვედრა და საუბარი, უნდა შევინარჩუნოთ და გავაუმჯობესოთ უკვე არსებული". ასევე, პაპმა ხაზი გაუსვა, რომ „მიუხედავად ჩვენი თავისებურებებისა და კულტურული განსხვავებებისა, მოწოდებულნი ვართ, ვიყოთ ერთნი ქრისტე იესოში და წინა პლანზე წამოვწიოთ არა მონათლულთა შორის არსებული უთანხმოებანი და დაყოფანი, არამედ ის, რაც გვაერთიანებს. და რაც გვაერთიანებს, უფრო ბევრია, ვიდრე ის, რაც გვაშორებს".

პაპი შეეხო ქართული ენის კეთილშობილებას, რომელსაც ქრისტიანული ცხოვრების სილამაზესთან მივყავართ, „რომელიც ნათელმოსილი, ასეთივედ დარჩება, თუ სიკეთის ნათელს შეინარჩუნებს; თუ, საკუთარი ფესვების ერთგული, არ აჰყვება კარჩაკეტილობის ცდუნებას, არამედ იქნება მიღებისა და სწავლისადმი განწყობილი, რათა გაბრწყინდეს იმით, რაც მშვენიერი და ჭეშმარიტია, რათა ერთურთის თანადგომით გავიზარდოთ სიკეთეში. ვილოცებ, რათა განმტკიცდეთ ყოველივე იმის ძიებაში, რაც დაგვაახლოებს, შეგვარიგებს და გაგვაერთიანებს, „რაითა ყოველნი ერთ იყვნენ."

მისალმების შემდეგ პაპმა სამახსოვრო საჩუქარი გადასცა ილია II-ს. მაღალი სტუმრის პატივსაცემად საქართველოში მცხოვრებმა მართლმადიდებელმა ასირიელებმა ასურულ ენაზე აღავლინეს გალობა. ამ გულში ჩამწვდომი გალობის ჰანგებმა გულგრილი არ დატოვა არავინ, ხოლო უზენაეს მღვდელმთავრებს ცრემლიც კი მოჰგვარა.

თბილისის ასირიულ-ქალდეურ ტაძარში გამართული შეხვედრით და სვეტიცხოველში აღვლენილი ასირიული გალობით პაპმა ერთგვარად, ნაწილობრივ მაინც დაიკმაყოფილა თავისი სურვილი, ერაყის მიწაზე შეხვედროდა ასურელ ქრისტიანებს.

საგალობლებისა და სამღვდელმთავრო ზარების რეკვის, დამსწრე საზოგადოების სულიერად ამაღლებული განწყობის ფონზე, პაპმა და პატრიარქმა დატოვეს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. ამაღელვებელი იყო ორი ეკლესიის მწყემსმთავართა კიდევ ერთი გულთბილი და ქრისტესმიერი სიყვარულით აღვსილი დამშვიდობება. პაპი და პატრიარქი შეპირდნენ ერთმანეთს, რომ ილოცებენ ერთურთისათვის. „მე ვნახე ღმერთის კაცი", - ამგვარად გაიხსენებს ორიოდე დღის შემდგომ, ბაქოდან რომში მგზავრობის დროს გამართულ საჰაერო პრესკონფერენციაზე, პაპი ფრანცისკე ილია II-ს.

2 ოქტომბერს, პაპი ფრანცისკე, კავკასიური ტურნეს ფარგლებში, აზერბაიჯანში გაემგზავრა. აეროპორტში წმიდა მამა საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს პატრიარქმა გააცილეს.

აზერბაიჯანში, სადაც კათოლიკე მრევლი დაახლოებით შვიდასამდეა, მათ შორის, სამასამდე ეროვნებით აზერბაიჯანელი, პაპმა ათი საათი დაჰყო. ვიზიტის ფარგლებში, მან წირვა აღასრულა ქალწული მარიამის უმანკოდ ჩასახვის რომის კათოლიკურ ტაძარში, სადაც მან შეკრებილ მრევლს მცირე, თუმცა ღმერთის თვალში ძალიან ძვირფასი სამრევლო უწოდა. წმ. წირვის შემდეგ პაპი მიიღო პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, რომელმაც ამ შეხვედრას ისტორიული უწოდა. „თქვენი ვიზიტი აზერბაიჯანში ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც აზერბაიჯანისა და ვატიკანის ურთიერთობის გასაღრმავებლად, ასევე ცივილიზაციებს შორის დიალოგისათვის, აზერბაიჯანში სხვადასხვა კონფესიის ადამიანი ცხოვრობს მეგობრულად, როგორც ერთი ოჯახი", - აღნიშნა ალიევმა მისასალმებელ სიტყვაში. პაპმა ალიევთან შეხვედრისას ინტერრელიგიურ დიალოგსა და ტოლერანტობაზე ისაუბრა.

შემდეგ პაპი შეხვდა სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს ჰეიდარ ალიევის სახელობის მეჩეთში, სადაც დაგმო ღმერთის სახელით ფუნდამენტალიზმის გამართლება. „ნუღარასოდეს იქნება ძალადობა ღმერთის სახელით! ღმერთი არ შეიძლება გამოვიყენოთ პირადი ინტერესებისათვის ან ეგოისტური მიზნებისათვის;

შეუძლებელია, მისი სახელით გავამართლოთ ფუნდამენტალიზმი, იმპერიალიზმი ან კოლონიალიზმი“, - მიმართა პაპმა იქ შეკრებილ მუსლიმებს, ქრისტიანებს, იუდეველებსა და სხვა აღმსარებლობის პირებს.

პაპი ასევე შეხვდა მთავარ მუფთის და გამოსამშვიდობებელი საღამოს შემდეგ დატოვა აზერბაიჯანი.

სიმბოლოები

პაპის ვიზიტი დატვირტული იყო სხვადასხვა სიმბოლოებით რომლების საქართველოს კათოლიკეების, უფრო კონკრეტულად კი საორგანიზაციო ჯგუფის წევრების მიერ იქნა მოფიქრებული და განხორციელებული. კერძოდ კი: პაპის თეთრი სამოსი (კაზულა) და ანაფორაც, რომლითაც პაპი წირვაზე იყო შემოსილი, ქუთაისელმა მქარგავმა ქალებმა, მათი უმრავლესობა მართლმადიდებელია, შეარჩიეს და მოქარგეს. მასზე ამოქარგული იყო ქართული ქრისტიანული ტრადიციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშნები. უფლის ჯვარი, შემდგარი ოთხი პატარა ჯვრისაგან (როგორც ქართულ დროშაზეა), და ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს ჯვარი. წმ. ნინოს ოთხი ჯვრის გამოყენებით შეიქმნა წმ. ანდრიას ჯვრის ფორმა. პაპის თავსაბურავზე (ტიარა) ამოქარგულ იქნა მცხეთის ჯვრის რელიეფი „ჯვრის ამაღლება”. საკურთხეველზე დადგმული იყო რევოლუციებსა და რეპრესიებს გადარჩენილი თითბრის ჯვარი, რომელიც ერთ-ერთმა მორწმუნემ შესწირა ეკლესიას. ჩალკე აღნიშვნის ღირსია რუსთავის სამრევლოს კარიბჭე , რომელიც მომავალში ამ ქალაქში ააგებულ ტაძარს დაამშვენებს. პაპს საქართველოს კათოლიკე მრევლის სახელით საჩუქრად გადასცეს მე-19 საუკუნის დასაწყისში კათოლიკეების მიერ პეტერბურგში ქართულად დაბეჭდილი სახარება. ეს ის პერიოდის როდესაც საქართველოში ქართულე ენა იდევნებოდა. სევე პაპს უსახსოვრესსაქართველოში კატოლიკური ეკლესიის ცხოვრების ამსახველი ფოტოალბომი, მ. თამარაშვილის პორტრეტი და საქართველოში მ. ლუიჯი მონტოვანის მიერ მომზდებული იტალიურ-ლათინურ-ქართული ლექსიკონი. წირვისთვის მომზადებულ სცენის თავზე კი ეკიდა დიდი ჯვარი, რომელიც თავდაპირველად გორის კათოლიკურ ეკლესიის ინტერიერს ამშვენებდა, შემდგომ გორის მუზეუმს და 90-იან წლებში გორის კათოლიკურ საკრებულოს გადაეცა. საკურთხეველთან აღმართული იყო მაცხოვრის ქანდაკება რომელიც ახალციხის სახელმწიფო მუზეუმმა რამოდენიმე დღით ათხოვა პაპის ვიზიტის საორგანიზაციო ჯგუფს.

ვიზიტის მოლოდინები და შეფასებები

პაპის მთავარი გზავნილი საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიისთავის არის მშვიდობა, რაც მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს პირველი მადლია. ასევე საქართველოს კათოლიკეთათვის ძირითად გზავნილად შეიძლება ჩაითვალოს პაპის ქადაგებაში გაჟღერებული სიტყვები „საქართველოს პატარა და ძვირფასო მრევლო, რომელმაც თავი შესწირე ქველმოქმედებასა და სწავლებას, მიიღე კეთილი მწყემსის გამხნევება, მიენდე მას, ვინც მხრებით გატარებს და ნუგეშს გცემს".

მოლოდინებიდან ყველაზე მთავარი გახლდათ პაპის მხრიდან რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა პრობლემებზე ყურადღების გამახვილება, წართმეულ კათოლიკური ტაძრების შესახებ მკვეთრი განცხადებების გაკეთება.. სირიულ-ქალდეური კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები მოელოდნენ პაპთან პირისპირ შეხვედრისას საკუთარი პრობლემების წარმოჩენას. ასევე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები ფიქრობდნენ, როგორც 1999 წელს, ახლაც მოხდებოდა მათი შეხვედრა პაპთან. მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილი შიშობდა პაპის ვიზიტი პროკათოლიკურ განწყობის გაძლიერებას შეუწყობდა ხელს ხოლო მართლმადიდებელთა შეურიგებელი ფრთა იმედოვნებდა პაპი ჩაეთრიათ მწვავე და უაზრო კონფესიურ დიალოგში. პრორუსული და ანტირუსული ძალები იმედოვნებდნენ პაპის მკვეთრი განცხადებების ფონზე საკუთარი რეიტინგის აწევას, ან გენოციდის შესახებ ნებისმიერი სახის მოსაზრების გამოთქმას, ანტიქრისტიანული ძალები ალბათ იმედოვნებდნენ პაპ ფრანცისკეს, წინამორბედი ბენედიქტე XVI მსგავსად, რაიმე რეაქციული ფრაზა წამოცდებოდა და მერე ამაზე მძაფრ განცხადებების გაკეთების საშუალება მიეცემოდათ.

კეთილისმყოფელთა თუ არაკეთილისმყოფელთა არც ერთი მოლოდინი არ გამართლდა. პაპი ფრანცისკე ბევრად უფრო ბრძენი, გამოცდილი და წინდახედულია და დიპლომატიური უზუსტობები და შეცდომები არ უშვებს. და არ უშვებს არა იმიტომ, რომ დიპლომატიური ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს, არამედ იმ მიზეზით, რომ თავისი უბრალოებით, სიმართლით და გულისხმიერების წყალობით, ყოველთვის სწორ აქცენტებს აკეთებს. პაპის ყოველი საჯარო გამოსვლა, ჰომილია თუ უბრალო რეპლიკა ყოველთვის არის ზუსტი, ღრმა შინაარსის, რომლის სიღრმეში ჩაწვდომა დაფიქრებასა და ანალიზს მოითხოვს. სამხრეთ კავკასიური ვიზიტისას, მისი გამოსვლები იყო ძალიან თბილი, კეთილგანწყობილი, თუმცა მათ მიღმა პრინციპული ტონი აშკარად შეინიშნება. ამ შემთხვევაში ქართული ანდაზა კარგ მთქმელსა და გამგონეზე, ნამდვილად უპრიანია.

რაც შეეხება პაპ ფრანცისკეს დამოკიდებულებას და დაპირისპირებული მხარეების მიმართ, შეიძლება ამგვარად განვსაზღვროთ, რომ პაპი პოზიცია არ არის განსაჯოს მტყუან-მართალი კონფლიქტურ სიტიაციებში, ვინაიდან საფუძველი ყოველთვის არის რეგიონალური პირველობისათვის და ძალაუფლებისათვის ბრძოლა, რომელსაც ფრანცისკე ამაო პრეტენზიას უწოდებს.

წავიდა პაპი და დავრჩით ჩვენ ჩვენი პრობლემების პირისპირ, თუმცა ამ ვიზიტმა ახალი ფურცელი გადაშალა საქართველოს კათოლიკეთა ცხოვრებაში, იმედია, ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს ქრისტიანული სულისკვეთების განმტკიცებას. ერთი რეალური შედეგი კი სახეზეა: ზოგიერთი პოლიტოლოგის სიტყვას თუ დავესესხებით, საქართველო, რომელიც ბოლო ხანს გაქრა საერთაშორისო რადარებიდან, პაპის ვიზიტის დროს მსოფლიო მედიის ყურადღების ეპიცენტრში აღმოჩნდა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიათა შორის ურთიერთობებშიც კიდევ ერთი ნათელი ფურცელი ჩაიწერა, რომელიც სამომავლოდ აუცილებლად გამოიღებს კეთილ ნაყოფს; მხოლოდ ამისთვის ლოცვა, სიკეთისკენ სვლა, სასოება და სიყვარული უნდა მოვიმარჯვოთ. და გვახსოვდეს სვეტიცხოველში წარმოთქმული პაპის სიტყვები: „რაც გვაერთიანებს, უფრო ბევრია, ვიდრე ის, რაც გვაშორებს. . . განვმტკიცდეთ ყოველივე იმის ძიებაში, რაც დაგვაახლოებს, შეგვარიგებს და გაგვაერთიანებს".

დასკვნის მაგივრად

ცნობილმა პუბლიცისტმა და ვატიკანის პოლიტიკის ექსპერტმა ანდრეა გალიადურჩიმ, რომელიც თან ახლადა პაპ ფრანცისკეს კავკასიურ ტურნეში, ამ ვიზიტს რობერტს ძემეკისის გახმაურებული ფილმების „უკან მომავალში" ასოციაციით უწოდა - „მოგზაურობა „უკან მომავალში". მიგგვაჩნია, რომ საინტერესო იქნება პაპის თანმხლები ექსპერტის მოსაზრებები კავკასიური ვიზიტის შესახებ.

ანდრეა გალიარდუჩი ოთხ მიზეზს გამოყოფს, რომელთა გათვალისწინებითაც პაპის კავკასიური ტურნე „უკან მომავალში" მოგზაურობაა.

პაპის კავკასიურ ვიზიტში და ა. გალიარდუჩის ციტირებას თუ მოვახდენთ „კავკასია, ეს არის ის მიწა, რეგიონი, სადაც ისტორია ითვლის არა საუკუნეებს, არამედ ათასწლეულებს. უძველესი ისტორიის მქონე აღმოსავლეთის ეს ქვეყნები შესაძლოა ახლო მომავალში კათოლიკური სამყაროსთვის გამოწვევად იქცეს". „უკან მომავალში" მოგზაურობის **პირველი მიზეზი** ა. გალიარდუჩის აზრით უკავშირდება ეკუმენურ დიალოგს.

„სომხეთი და საქართველო უძველესი ქრისტიანული ტრადიციის მქონე ქვეყნებია. ორივე ეკლესიას აქვს ძლიერი, დამოუკიდებელი ისტორიული ფესვები. ორივე ავტოკეფალიური, სომხური სამოციქულო და ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, წარმოადგენს ეკუმენური დიალოგისათვის უზარმაზარ გამოწვევას. სომხურმა სამოციქულო ეკლესიამ აირჩია ერთგვარი ჩაკეტილობის ფორმა, რომელსაც მისივე მიმდევრები მონოფიზიტობას უწოდებენ. გარდა იმისა, რომ დოქტრინალური საზღვრები მასსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის დარღვეულია, რჩება კიდევ ერთი გარემოება: ეს არის პეტრეს პრიმატი. მოციქულების - თადეოზისა და ბართლომეს მიერ დაფუძნებული სომხური სამოციქულო ეკლესია თავის კათოლიკოსს ისეთივე ავტორიტეტის მქონედ აღიარებს, როგორიც პაპს აქვს. პაპის პრიმატი ყოველთვის რთულად გადასალახ ბარიერად რჩება ეკუმენურ დიალოგში".

მიუხედავად ამისა, კათოლიკე ეკლესიის მხრიდან მრავალჯერ იყო გადადგმული შერიგების ნაბიჯები, დაწყებული იოანე პავლე მეორის 1995 წლის ენციკლიკიდან „Ut Unum Sint", და 2007 წლის რავენას დოკუმენტით, შემდეგ უკვე 2016 წლის კიეტის დოკუმენტით გამოხატული. უკანასკნელი ორი დოკუმენტი მიღებულ იქნა კათოლიკურ–მართლმადიდებლური თეოლოგიური დიალოგის ერთობლივი კომიტეტის შეხვედრებზე, რომლებიც უკვე თოთხმეტჯერ გაიმართა (ყოველ ორ წელიწადში ერთი შეხვედრა). ბოლო შეხვედრა შედგა ერთი თვის წინ, კიეტიში, რომელზეც მიღებული დოკუმენტი ეხება პაპის პრიმატსა და სინოდალურობას, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ სცნო. ზოგადად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან არ ყოფილა დათმობა პაპის პრიმატის საკითხზე, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ისინი აღიარებენ ჭეშმარიტ რწმენას – მიუხედავად ამისა, გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს დიალოგის ფორმით. საუბარი ძირითადად ფოკუსირებულია მარგინალურ საკითხებზე, რომლებსაც აქვთ ექსტრემალური შედეგები. მაგალითად: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არასოდეს მონაწილეობს სხვა რელიგიის ღვთისმსახურებაში, გარდა მართლმადიდებლურისა. ეს, თავის მხრივ, იწვევს არამართლმადიდებლების გადანათვლას. მაგალითად, თუ კათოლიკეს სურს დაქორწინდეს მართლმადიდებელზე, კათოლიკე, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაინათლოს, ვინაიდან კათოლიკური ნათლობა არ არის მიჩნეული სრულფასოვან ნათლობად. ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ არაერთხელ დააყენა ეს საკითხი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს. იგი თვლის, რომ ის გარემოება, როცა კათოლიკური ნათლობა არ არის მიჩნეული სრულფასოვნად, ნიშნავს, თითქოს კათოლიკე არ იყოს ქრისტიანი, ვინაიდან ქრისტიანად ყოფნა სწორედ ნათლობიდან მომდინარეობს: მოუნათლავი პიროვნება, რომელსაც სწამს ქრისტე, არის კათაკმეველი (კატეხუმენი), სანამ ის მოინათლება. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ლოგიკით, პაპიც შეიძლება არ ჩავთვალოთ ქრისტიანად.

მეორე მიზეზი, თუ რატომ იყო კავკასიაში პაპის ვიზიტი მოგზაურობა „უკან მომავალში“. თეოლოგიური ჩაკეტილობა საქართველოში სათავეს ახლო წარსულში, საბჭოთა პერიოდიდან იღებს. საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ, რუსეთში განათლებამიღებულმა მართლმადიდებელმა თეოლოგებმა დაიწყეს საქართველოში „ექსკლუზიური მართლმადიდებლობის“ დაფუძნება. ეს თეოლოგია შეაჩერა პატრიარქ ილია II–ის კათოლიკურ სამყაროსთან დაახლოების მცდელობამ 1980 წელს; საბჭოთა პერიოდის განმავლობაში, იგი იყო პირველი ქართველი მართლმადიდებელი პატრიარქი, რომელიც ეწვია პაპს ვატიკანში.

ილია II–ის დიალოგის სურვილი დადასტურდა პაპის ამჟამინდელი ვიზიტის დროს, როდესაც პატრიარქმა უმასპინძლა პაპს. მან თავად გააცილა პაპი აეროპორტში, რაც საკმაოდ იშვიათობაა მისი მხრიდან. პატრიარქი არის საზოგადო პირი, რომელიც ქართველი ხალხის ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობს და ამ ჟესტით მან მისცა მათ გარკვეული ნიშანი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პრესრელიზიც, რომელიც საპატრიარქომ პაპის ვიზიტამდე გაავრცელა, გამამხნევებელ ტონს შეიცავდა: საპატრიარქო კიდევ ერთხელ აცხადებდა, რომ მართლმადიდებლები არ მიიღებდნენ პაპის წირვაში მონაწილეობას, თუმცა, ამავე დროს, ემიჯნებოდნენ ზოგიერთი ულტრა–ტრადიციონალი მართლმადიდებლის მიერ გამართულ საპროტესტო აქციებს.

თუმცა, ეს მართლმადიდებლური სამყარო, რომელიც რუსული თეოლოგიის დიდ გავლენას განიცდის, არის ის სამყარო, რომელთანაც წმ. საყდარმა უნდა იურთიერთოს. პატრიარქ ბართლომეს ქმედებები, რომელიც, როგორც მსოფლიო პატრიარქი, დაუღალავად მუშაობს, რათა იყოს ხიდი ქრისტიანულ კონფესიებს შორის, არ არის ერთადერთი ყურადსაღები ფაქტი მართლმადიდებლურ სამყაროში. ასევე, მხედველობაში მისაღებია რუსული მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც უდიდესი მართლმადიდებელი ეკლესიაა მსოფლიოში სიდიდის მიხედვით.

ანდრეა გალიარდუჩის აზრით არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება რომ „პაპ ფრანცისკეს შეხვედრა პატრიარქ კირილესთან არის წინგადადგმული ნაბიჯი, საიდანაც შეიძლება რაღაცის დაწყება. თუმცა, წმიდა საყდრის დათმობა აღმოსავლური წესის კათოლიკეების საკითხზე, რომელთაც მართლმადიდებლები მოიხსენიებენ როგორც უნიატებს, განსაკუთრებით უკრაინის შემთხვევაში, გარკვეულწილად სახიფათოა”. მოგვიანებით, პაპმა დააბალანსა ეს დათმობა უკრაინის მისამართით გაკეთებული განცხადებებით. რუსული მხარე ცდილობს, ეს საკითხი პოლიტიკურ ჭრილში განიხილოს, რაც კარგად ჩანს რუსეთის საპატრიარქოს პრესრელიზში, რომელიც გამოიცა კიეტის შეხვედრის შემდეგ, სადაც იგი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს უკრაინის საკითხს. ეს პრობლემა რომელიც არსებობს რუსეთის ეკლესიასა და უკრაინულ უნიატურ (ბერძნულ-კათოლიკურ) ეკლესიას შორის უკვე საუკენეებს ითვლის და გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ახალი ძალიად ამოქმედდა.

იმ რეალობიდან გამომდინარე, რომ აღმოსავლურ- მართლმადიდებლური სამყარო თავადაა დაყოფილი ადგილობრივ ავტოკეფალურ ეკლესიებად, ასევე აღიარების მომლოდინე ეკლესიებად, მაგ. უკრაინის, რამდენად რეალურია ეკლესიათშორისი, ეკუმენური დიალოგი სხვა კონფესიებს შორის? ა. გალიარდიჩის აზრით ამ მომენტისათვის, ეს შესაძლებელია მხოლოდ პრაგმატულ საკითხებზე საუბრით, და **ეს არის მესამე მიზეზი,** რომელიც ახასიათებს პაპ ფრანცისკეს ვიზიტს კავკასიაში, როგორც მოგზაურობას „უკან მომავალში". თავისთავად ცხადია, რომ ეს დოქტრინალური საკითხები ვერ გადაწყდება მოკლე პერიოდში, თუმცა, შესაძლებელია, ქრისტიანულმა ეკლესიებმა ითანამშრომლონ ოჯახის, სიცოცხლის და ქველმოქმედების საკითხების ირგვლივ.

სწორედ ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ საქართველოში კათოლიკე ეკლესია დიდ ყურადღებას აქცევს საქველმოქმედო საქმიანობას. შემთხვევითი არაა, რომ პაპმა ფრანცისკემ, საბერძნეთში ვიზიტისას, პატრიარქ ბართლომესთან და საბერძნეთის კათოლიკოს–პატრიარქთან ერთად, მოინახულა კუნძულ ლესბოსზე მდებარე ლტოლვილთა ბანაკი. შემთხვევით არ აურჩევიათ პაპ ფრანცისკესა და პატრიარქ კირილეს ერთობლივი დეკლარაციის ცენტრალურ თემად - ოჯახების დაცვა და სიცოცხლე. ეს საკითხები არსებითია ეკუმენური დიალოგისათვის, რომლებიც განმტკიცებულია სხვა მოვლენებით. ზუსტად პაპის ვიზიტის შემდეგ, ანგლიკანური ეკლესიის პირველი პირი, ჯასტინ ველბი ეწვია რომს და მონაწილეობა მიიღო პაპის მიერ წმ. გრიგორის ბაზილიკაში აღვლენილ მწუხრის ლოცვაში. პაპმა და ანგლიკანების პრიმასმა გამოსცეს ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც არ მალავს დოქტრინალურ განსხვავებებს, თუმცა ხაზს უსვამს „ერთად ლოცვის" აუცილებლობას. ლოცვა და ვალდებულება ეს არის პაპ ფრანცისკეს ორი გასაღები ეკუმენიზმისათვის.

ამ ფუნდამენტური საკითხების ირგვლივ გაერთიანებულ ყველა ქრისტიანულ კონფესიას შეუძლია დაძლიოს თანამედროვეობის დიდი საკითხები, ევროპული გამოწვევებით დაწყებული. არსებითია თემა, თითქოს ევროპა მოსწყდა თავის ქრისტიანულ ფესვებს, თითქოს იდეოლოგიები დაიბადა ევროპის გარეთ და მოგვიანებით განვითარდა სხვა კონტინენტებზე. რაც არ უნდა ითქვას, ევროპა კვლავ რჩება ცივილიზაციის აკვნად.

ევროპის აღმოსავლეთიდან, ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან, მომდინარეობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც ეკლესიამ უნდა დაძლიოს: ეს არის ისლამი. ა. გალიარდუჩის აზრით დიალოგი ისლამთან, ეს არის **მეოთხე მიზეზი**, თუ რატომ წარმოადგენს პაპ ფრანცისკეს ვიზიტი კავკასიაში მომავლის ყველა გამოწვევას, ერთად აღებულს.

აზერბაიჯანი არის მჭიდროდ დასახლებული შიიტური მუსლიმური ქვეყანა, სადაც კათოლიკეთა რიცხვი რამდენიმე ასეულია. აზერბაიჯანი, ასევე, ცნობილია

რელიგიური თავისუფლების შეზღუდვებით, განსაკუთრებით სუნიტი ისლამის წარმომადგენლების მიმართ. თუმცა, აქვე ვხვდებით ინტენსიურ დიალოგს კათოლიკე უმცირესობასთან, რომელიც ვატიკანის დიპლომატიის დამსახურებაა.

ცხადია, წმ. საყდარი აწარმოებს ღია დიალოგს ისლამთან, რაც კარგად ჩანს ურთიერთობების ხელახლა წამოწყებაში ქაიროს ალ–აჟარის მეჩეთთან, რომელიც, ამავდროულად, არის სუნიტური ისლამის ბასტიონი. სუნიტური ისლამი ამ ბოლო დროს საინტერესოდ ვითარდება: სუნნას წევრები, გროზნოში გამართულ შეხვედრაზე, იყვნენ პირველები ისლამურ სამყაროში, რომლებმაც დაადასტურეს მათი სრულიად გამიჯვნა ვაჰაბისტური ისლამისაგან, რომლის მიმდევრებად ძირითადად ექსტრემისტები გვხდებიან'. [10]

ასე რომ იტალიელი ექსპერტის აზრით და მის მოსაზრებას სხვა ანალიტიკოსებიც იზიარებენ, პაპ ფრანცისკეს 2016 წლის ვიზიტი სამხრეთ კავკასიაში სრულიადაც არ არის უბრალო რეგიონალურ-კონფესიური მასშტაბის მოვლენა. ეს ვიზიტი მისგან გამომდინარე საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგებით, რომლებიც როგოც ახლო ისევე შორეულ პერსპექტივაში შეგვახსენებენ თავს. კათოლიკე ეკლესიის სამომავლო პრიორიტეტები, რაც ეკლესიისგან დამოუკიდებლად თავად ცხოვრებამ მოიტანა, დადებით შედეგებს მოუტანენ საზოგადოებას რომელიც ახალ-ახალი პრობლემების წინაშე პირისპირ რჩება და გამოსავალს არც თუ იშვიათად ისევ ეკლესიისგან ელის.

ისლამთან, ქრისტიანულ კონფესიებთან დიალოგი, ეკლესიათშორისი ურთიერთობები იყო და კვლავაც დარჩება მთავარი პრიორიტეტები წმინდა საყდრისათვის 21 საუკუნეში. ასკვნის ანდრეა გალიარდუჩი და მისი ეს მოსაზრებები ნამდვილად ასახავენ იმ რეალობასა და გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას წმინდა საყდარი, კათოლიკე ეკლესია, და შესაძლოა მთელი ქრისტიანული სამყაროც

[10] Andrea Galiarduci. /www.mondayvaticano.com./ თარგმნა შორენა პარუნაშვილმა

რელიგიური ტოლერანტობა საქართველოში
(მითი და რეალობა)

საქართველოში, ტოლერანტობაზე საუბრისას, იმის დასამტკიცებლად თუ ისტორიულად როგორი რჯულშემწყნარებლები ვიყავით, მაგალითად მოჰყავთ თბილისის ერთ უბანში აღმართული სხვადასხვა კონფესიებისა და რელიგიების საკულტო ნაგებობები. თუმცა არავინ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, თუ რა ფაქტორებმა გამოიწვია კონფესიური სიჭრელე და ცხადია, არც სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები ახსენდებათ, სადაც რელიგიური უმცირესობების უფლებების დარღვევის არაერთი ფაქტია მოყვანილი ან თუნდაც რელიგიური უმცირესობების რამდენი წარმომადგენელია დასაქმებული ქვეყნის ხელისუფლებაში. ორიოდე წლის წინ, სოციოლოგიისა და რელიგიათმცოდნეობის სპეციალობის მოხალისე სტუდენტების დახმარებით ჩატარებულმა სოციალურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ თბილისის სტუდენტთა 90%-ზე მეტმა, ვერ დაასახელა რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ვერც ერთი ცნობილი ქართველი.

როდესაც რელიგიურ შემწყნარებლობასა და სხვადასხვა კონფესიათა ჰარმონიულ თანაარსებობაზე ვსაუბრობთ, არც ის ფაქტი უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ სხვადასხვა ეთნიკურ–რელიგიური ჯგუფებით დასახლებულ ქალაქებში, განსხვავებულ კონფესიათა საკულტო ნაგებობების კომპაქტური არსებობა, ჩვეულებრივი მოვლენაა და არანაირ გამსაკუთრებულობას არ წარმოადგენს. იმიტომ, რომ მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში ქვეყნის ხელისუფლება ზრუნავს თავის მოქალაქეების უფლებების დაცვაზე, ხოლო აღმსარებლობის თავისუფლების დაცვა სახელმწიფოს უმთავრეს ინტერესს უნდა წარმოადგენს. რელიგიური შეუწყნარებლობა, რელიგიურ უმცირესობათა დევნა–შევიწროება რადიკალიზმისა და ფუნდამეტალიზმის გამოვლენაა და მას ცივილიზირებულ საზოგადოებაში ადგილი არ აქვს. იგი მხოლოდ მარგინალური ჯგუფების არსენალში რჩება, ისიც განსაზღვრული დროით.

რელიგიურ ტოლერანტობაზე მსჯელობისას უნდა გვახსოვდეს, რომ ადრეულ ეპოქებში ტოლერანტობა არა ეთიკური ნორმებით, განათლებით ან სეკულარულობით იყო ნაკარნახევი, არამედ პრაქტიკული მოსაზრებებით. საზოგადოება ზოგჯერ იძულებული იყო აეტანა სხვა რელიგიების თანაარსებობა, ვინაიდან არ შეეძლო წინ აღდგომოდა ამ მოვლენას, უფრო ხშირად კი მერკანტელური მოსაზრებებით ხუჭავდა თვალს.

საქართველოში, რომელიც საბჭოთა სივრცეში ტოლერანტობის შედარებით მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა, გასული საუკუნის 80–იანი წლების დამლევს გახშირდა შეუწყნარებლობის გამოვლენის ფაქტები რელიგიური უმცირესობების მიმართ, რაც საბჭოური სისტემის რღვევასთან დაკავშირებული პროცესებით იყო განპირობებული.

საბჭოურ პეროდში, რელიგიური ანტაგონიზმი და ქსენოფობია დაკონსერვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. რეჟიმის მოშლამ კი გამოიწვია ფარული პროცესის

გააქტიურება. ეთნიკური ნაციონალიზმის აღზევების პირობებში ერთიანობის, კოლექტივიზმის შეგრძნების სურვილი აიძულებდა მოსახლეობას დაპირისპირებოდა ყოველგვარ განსხვავებულობას, თვით უბრალო ინდივიდუალობის გამოვლენასაც კი. რელიგიური უმცირესობები საფრთხეებად ჩაითვალა, ხოლო საბჭოური მონოიდეოლოგიით აღზრდილი თაობამ, ყოველგვარი პლურალიზმის გამოვლენა უცილობელ საფრთხედ აღიქვა.

დომინანტი ეკლესიის მიდგომა სხვადასხვა კონფესიისადმი თავის ისტორიულ პარადიგმებიდან მომდინარეობს, სამაგალითოდ მხოლოდ ერთს განვიხილავთ. ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, მოსკოვის საპატრიარქოდან განსხვავებით, ისტორიულად ყოველთვის პოზიტიური დამოკიდებულება ჰქონდა რომის კათოლიკე ეკლესიისადმი. თუმცა, საბჭოთა პერიოდში რუსეთის სასულიერო სასწავლებლებში განათლება მიღებულ მღვდელმსახურებს რუსული ანტიკათოლიკობა გადმოჰყვათ. კიდევ ერთმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმაც ითამაშა ნეგატიური როლი. საბჭოურ პერიოდში დახურული საეკლესიო ნაგებობები სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა. საბჭოთა მოხელეებმა რომლებმაც 80–იანი წლების დამლევს იგრძნეს პოლიტიკური აღსასრული, ცოდვათა ერთგვარი გამოსყიდვისა თუ პოლიტიკური დივიდენდების დაგროვების მიზნით გადაწყვიტეს, რომ ყოფილი კათოლიკური საეკლესიო ნაგებობები, ყველაზე გავლენიანი რელიგიური გაერთიანებისათვის სმე–სათვის გადაეცათ. თავიან ამ საქციელს გამართლებას უძებნიდენ იმ არგუმეტებით, რომ მთავარი იყო ქართული ეკლესიის ამოქმედება და ტაძრის კონფესიურ კუთვნილებას არანაირ ყურადებას არ აქცევდნენ. საბჭოთა მოხელეთათვის მეორე არგუმენტი იყო იმ პერიოდის საქართველოში კათოლიკე სამღვდელოების არარსებობა.

გასული საუკუნის 90–იანი წლების რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტებიდან, განსაკუთრებით რეზონანსული გახლდათ 1991 წელს სახელმწიფოს მიერ კათოლიკურ კონფესიაზე რეგისტრირებული სამლოცველოს დაკავება მართლმადიდებელი მრევლის მიერ, ახალციხის რაიონის სოფელ ივლიტაში, კათოლური ეკლესიის მომლოცველთა დარბევა კახეთში, იმავე პერიოდში, ახალციხის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში პედაგოგმა რელიგიური ნიშნით გამოწვეული აგრესიის საფუძველზე დაწყებითი კლასის მოსწავლეს პირდაპირი მნიშვნელობით ყური აახია.

თუმცა არც სხვა კონფესიების წარმომადგენლებს ადგათ კარგი დღე. 2003 წელს დაარბიეს თბილისის ბაპტისტური კათედრალი, ფიზიკურად გაუსწორდნენ შეკრებილ მორწმუნეებს, დაწვეს ბაპტისტური სამლოცველო ლაგოდეხის რაიონში. შემდგომ 2005 წელს, ეს სამლოცველო, აშშ-ს ელჩმა რიჩარდ მაილსმა პირადი ხარჯით აღადგინა. არაერთხელ დაწვეს სხვადასხვა კონფესიათა წარმომადგენლების კუთვნილი რელიგიური ლიტერატურა. კრიშნას ცნობიერების მიმდევრების, იეჰოვას მოწმეების, ქარიზმატული საკრებულოების მორწმუნეთა ჯგუფების დარბევებმა მასობრივი ხასიათი მიიღო. გასული საუკუნის 90-იანი წლების საერთო განუკითხაობის ფონზე ქართულმა საზოგადოების ერთმა ნაწილმა დაივიწყა ისტორიულად არსებული რჯულთშემწყნარებლობის ტრადიცია.

არა და საქართველოში, ისევე როგორც მთელ აღმოსავლეთში, რჯულშემწყნარებლობას ხანგძლივი ისტორია აქვს. როდესაც კომერციულ ან თუნდაც პოლიტიკურ კეთილდღეობაზე ვსაუბრობთ ამგვარი მიდგომის საუკეთესო მაგალითი გვაქვს მე–12 საუკუნის საქართველოში, როდესაც თბილისი შემოერთების შემდგომ, დავით აღმაშენებელმა, მანამდე წარმოუდგენელი თავისუფლება მიანიჭა უკვე მის ქვეშემრდომად ქცეული ქალაქის მუსლიმ მოსახლეობას, რომლის მხარდაჭერა აუცილებელი იყო საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ–ეკონომიკური სიძლიერისთვის. დავით IV-ის მიერ თბილისელი მუსლიმებისათვის ბოძებულ შეღავათებში უმნიშვნელოვანესი გახლდათ მათ საცხოვრებელ უბნებში, მათი ცხოვრების წესებით ჰარამად დადგენილი ცხოველების ყოლის ან მათი ხორცით ვაჭრობის აკრძალვა. თავისი პატივისცემისა და კეთილგანწყობის გამოლენის მიზნით, მეფე პარასკევის ნამაზებსაც ესწრებოდა თბილისის მეჩეთებში. ანალოგიური პოლიტიკურ–ეკონომიკური თვალსაზრისით იყო ნაკარნახევი ხუთი საუკუნის შემდგომ ირანის შაჰის აბას პირველის მიერ ისპაჰანში, მისივე ბრძანებით გადასახლებულ სომხებისათვის, რელიგიური თავისუფლების მინიჭება. შაჰი თავისი კეთილი დამოკიდებულების საჯაროდ დემონსტრირებისათვის, კვირაობით ისპაჰანის სომხურ ტაძარში საკვირაო წირვებსაც ესწრებოდა.

ამავე პრაქტიკული მიზნებით ნაკარნახევი რჯულშემწყნარებლობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენენ ოსმალეთის სულთნები - მეჰმედ მეორე ფატიჰი, რომელმაც კონსტანტინოპოლის აღების შემდგომ ქრისტიანულ კონფესიებს მიანიჭა თავისუფლება და კანონით იცავდა მათი წევრების უფლებებს, ასევე სულეიმან პირველი, რომელმაც ევროპიდან დევნილ სეფარდ იუდევლებს ოსმალეთში დასახლებისა და თავისუფალი საქმიანობის უფლება მისცა.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ქართლ–კახეთის მეფე ერეკლე მეორე, რომლის მეფობა რჯულშემწყნარებლობის სანიმუშო მაგალითია. პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, ერეკლე მეორე მე–18 საუკუნის 60–იანი წლებიდან სხვადასხვა სახის მატერიალურ–ფინანსური შეღავათების სანაცვლოდ, მეზობელი ქვეყნებიდან, ქართლ–კახეთში მუდმივ საცხოვრებლად იწვევდა: მუსლიმ და ქრისტიან ანატოლიელ ბერძნებს, ლათინური და სომხური წესის კათოლიკეებს, სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრებს. ერეკლეს დროს ქართლის ქალაქების მოსახლეობის უმრავლესობა არაქართველი და სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენელი იყო, მაგრამ სწორი ტოლერანტული პოლიტიკის შედეგად ქალაქებში მცირე რელიგიური დაპირისპირებებს, მასობრივი ხასიათი არასოდეს მიუღია. პირიქით ეთნიკურ–რელიგიური კუთხით განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებში, დამოკიდებულება ქართული სახელმწიფოებრიობის მიმართ სამაგალითო იყო. მაგალითად როდესაც 1812 წელს, ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულმა კახეთის აჯანყებამ იფეთქა, რუსეთის ხელისუფლების მცდელობებისა და მოსყიდვების მიუხედავად, ბორჩალოს მუსლიმმა მოსახლეობამ უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღოთ კახელთა წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ოპერაციებში. მათ თავისი უარი ახსნეს ერეკლე II-სა და ბაგრატიონთა დინასტიისადმი დადებული ერთგულების ფიცით. თუმცა ზუსტად ამ აჯანყების დროს, ქართლის თავად–აზნაურობას ეს ფიცი

დავიწყებული ჰქონდა და აქტიურად ეხმარებოდნენ რუს სამხედროებს აჯანყებულ კახელეთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს, ბოლო ორი ათწლეულმა საგრძნობლად დააჩქარა საზოგადოების, ძირითადად ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილის დასავლური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ მარკერებზე გადასვლის პროცესი. სწორედ ამიტომაც რელიგიური რადიკალიზმის, შეუწყნარებლობის გამოვლენის ფაქტებს მყისიერად უპირისპირდება საზოგადოების ის ნაწილი, ვისთვისაც სწორედ დასავლური ფასეულობები არის წარმმართველი. ეს პროტესტები ადეკვატური ხდება იმ აქციებისა, რომელთაც მიმართავენ რადიკალურად განწყობილი ჯგუფები. სოციალურ ქსელებში წამოწყებული არატულერანტული, ქსენოფობიური, სიძულვილის ენის მატარებელ განცხადებებს, მყისვე ფარავს მათი გამანეიტრალებელი პასუხები, ხოლო ,,ქართული მარშის" საპირისპიროდ, გაიმართა მისი პარალელური აქცია, რომელმაც მასშტაბით გადაფარა რადიკალთა გამოსვლა. ყოველივე ეს გვარწმუნებს, რომ რელიგიურ ძალადობას, რელიგიური უმცირესობების შევიწროებას, საქართველოში მომავალი არ აქვს. ყოველივე ამის დამადასტურებელ არგუმენტად შეიძლება მოვიყვანოთ კონკრეტული ფაქტები, მაგალითად ბათუმში მუსლიმმა მორწმუნეებმა შესძლეს ახალი მეჩეთის აშენების უფლების მოპოვება და მშენებარე მეჩეთში ლოცვები მიმდინარეობს. რუსთავში კათოლიკე მორწმუნეებმა მრავაწლიანი წინააღმდეგობის შემდეგ მიიღეს სამლოცველოს აგების ნებართვა, თუმცა არა იმ ადგილზე სადაც ითხოვდნენ, მაგრამ კომპრომისი განხორციელდა. და რაც მთავარია რელიგიურ უმცირესობათა ყოველ შევიწროების ფაქტს, ცხადია თუ ის გახდა საჯარო, სოციალურ სივრცეში სოლიდარობისა და თანაგრძნობის მძლავრი მხარდაჭერა მოჰყვება. სწორად ამ აქტიობაში ჩანს საზოგადოების დამოკიდებულება რელიგიური შემწყნარებლობისადმი. ხოლო რაც შეეხება რელიგიურ უმცირესობათა ლეგიტიმური უფლებების დაცვას, ამისათვის არსებობენ სახელმწიფო სამსახურები და პირველ რიგში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოწოდებულია დაიცვას და უზენაეს ხელისუფლებამდე მიიტანოს რელიგიურ ორგანიზაციათა სატკივარი. იმის მტკიცება, რომ რელიგიურ უმცირესობათა უფლებები არ ირღვევა, ან მომავალში არ დაირღვევა, მიამიტობა იქნება, მაგრამ საზოგადოების, მედიისა და ხელისუფლების მზაობითა და შეთანხმებული მოქმედებით შესაძლებელი იქნება ამ პრობლემის მინიმუმამდე დაყვანა. ხოლო რაც შეეხება ციფრებს უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში საქართველოში მოქმედი რელიგიური კონფესიების საკულტო ნაგებობების რაოდენობა საშუალოდ 10-ჯერ, ზოგიერთის კი 20-ჯერ ან 30-ჯერაც კი გაიზარდა.

როდესაც მოსახლეობის ტოლერანტობის გამოვლენის ხარისხზე ვაანალიზებთ, გასათვალისწინებელია ერთი სუბიექტური ფაქტორი - დომინანტობის შეგრძნება. მაგალითად, უდიდესი კონტრასტია არაქრისტიანი, ან არამართლმადიდებელი მოსახლეობის გარემოცვაში მოქმედი მართლმადიდებლური ტაძარების წინამძღვართა ნარატივსა და მართლმადებელურ გარემოცვაში მყოფ წინამძღვართა ნარატივს შორის. დომინანტურ გარემოში მყოფ სასულიერო პირთ ლექსიკა ხშირად მათდა უნებურადაც,

შეცავს შეუწყნარებლობის ელემენტებს, რაც შესაძლოა აგრესიისაკენ მოწოდებად იქნას აღქმული მრევლის აქტიურ წევრებში. ამ შემთხვევაში როგორც წესი დომინანტურობის შეგრძნება, პირდაპირ პროპორციულია არატოლერანტული პოზიციისა, რაც სამწუხაროდ აისახება მრევლის წევრებზეც.

და ბოლოს, სტატიის დასაწყისში ნახსენები თბილისის ისტორიული პოლიკონფესიურობითა და გამორჩეული ტოლერანტობით თავისმოწონების დროს, კითხვა დავუსვათ ჩვენს თავს: როდის არის აგებული ეს საკულტო ნაგებობები, რატომ ინგრევა უპატრონობით ქალაქის ცენტრში არა ერთი არამართლმადიდებლური ტაძარი, საბჭოთა რეჟიმის დანგრევიდან 26 წლის შემდეგაც, ანტირელიგიური რეპრესიების დროს ჩამორთმეული რამდენი საკულტო ნაგებობა გამოიყენება არადანიშნულებისამებრ და ბოლოს, რამდენი ახალი ტაძარ-ეკლესია თუ მეჩეთი აშენდა ჩვენს დღეებში? დამერწმუნეთ როცა ამ კითხვას დავსვამთ, თავმოსაწონები ბევრი არაფერი იქნება.

არ ინდომო შენი თვისტომის სახლი

კათოლიკე ეკლესია საქართველოში- მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულების ქრონიკა

საქართველოში დასავლური ანუ ლათინური წესის რომის კათოლიკე ეკლესია XIII საუკუნიდან, უფრო ზუსტად კი 1240 წლიდან, მეტ–ნაკლები აქტიურობით, უწყვეტად მოქმედებს. XIV–XVI საუკუნეებში თბილისში კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრაც არსებობდა და თბილელი მწყემსმთავარი, საკმაოდ ვრცელ რეგიონს უწევდა ხელმძღვანელობას. გიორგი ბრწყინვალის მიერ აქტიური თხოვნებით და შუამდგომლობის გათვალისწინებით, პაპმა იოანე XXII-მ კურთხევა გასცა და 1328 წლის 9 აგვისტოს საგანგებო ბულით საპორტო ქალაქ სმირნიდან (დღევანდელი იზმირი) თბილისში გადმოეტანათ კათედრა. პირველი ეპისკოპოსად დომენიკელთა ორდენის წევრი და 1318 წლიდან საქართველოში მოღვაწე, იოანე ფლორენციელი დაამტკიცეს. (მწყემსმთავრობდა1329–1348 წლებში).

1329– 1507 წლებში, საეპისკოპოსო კათედრას თანმიმდევრობით სულ13 ეპისკოპოსი მართავდა. ,,ეს ფაქტი, რომ თითქმის 180 წლის განმავლობაში არსებობდა თბილისის კათოლიკეთა საეპისკოპოსო ცხადად მეტყველებს იმაზე, რომ კათოლიკეთა მისიონერების მოღვაწეობას ამ ხნის მანძილზე უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ქართველთა შორის ბევრმა საერო თუ სასულიერო პირმა მიიღო კათოლიკობა. ქართველი მესვეურები სრულ თავისუფლებას აძლევდნენ მისონერებს კათოლიკური სარწმუნოების გასავრცელებლად. ამის შედეგი იყო ის, რომ თბილისის კათოლიკურ ეკლესიას ჰყავდა საკუთარი ეპისკოპოსები, რომლებიც ნიადაგ პაპების შეუნელებელი ყურადღების ცენტრში იყვნენ”.[11]

გიორგი ბრწყინვალის მიერ პაპის დაყოლიება და თბილისში კათოლიკური კათედრის დაფუძნება დღევანდელი გადასახედიდან ევროკავშირში ინტეგრაციის ტოლფას მოვლენად უნდა ჩავთვალოდ და ეს ფაქტი გიორგი ბრწყინვალის მართლაც ბრწყინვალე დიპლომატიური პოლიტიკის კიდევ ერთი საუკუთესო მაგალითია.

XIX – XX საუკუნეები

XIX საკუნეში კათოლიკეთა რაოდენობა შედარებით სწრაფად იზრდება, რაც ერთის მხრივ ევროპელთა იძულებითი თუ ნებაყოფლობითი ჩამოსახლების შედეგია, ხოლო მეორეს მხრივ 1829 წელს, რუსეთის იმპერიის მიერ, ოსმალეთის იმპერიის

[11] მ. პაპაშვილი, საქართველო–რომის ურთიერთობა, თბილისი, 1994 წ. გვ.99.

შემადგენლობაში მყოფი სამცხე–ჯავახეთის მიწების, თბილისის გუბერნიისათვის მიერთება წარმოადგენს. 1878 წლის შემდეგ შემოერთებული ტაო–კლარჯეთის ტერიტორიაზე საკმაო რაოდენობის კათოლიკური აღმსარებლობის მორწმუნეები სახლობდნენ.

კავკასიაში, 1897 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღრიცხვის თანახმად, კათოლიკური თემის (ლათინური წესის), რიცხოვნობა 20 ათასს შეადგენს, 1912 წლისათვის ეს რაოდენობა საკმაოდ სწრაფად გაზრდილა და უკვე 30 ათასია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით ამდენივე იქნებოდა სომხურ–კათოლიკური წესის მორწმუნეც. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანაში, საქართველომ რამდენიმე ათასი კათოლიკური სარწმუნოების ლტოლვილი შეიფარა (რუსეთიდან გერმანელები და ირან–ოსმალეთიდან ასირო–ქალდეური წესის კათოლიკეები). სხვადასხვა მონაცემებით საბჭოთა პერიოდში ამიერკავკასიაში კათოლიკეებისა და კრიპტო კათოლიკეების რიცხოვნება 50 ათასიდან 100 ათასის ფარგლებში უნდა ყოფილიყო. ყველა მოქმედი საკრებულოების რაოდენობაც 50–მდე იყო, დაახლოებით ამდენივე იყო მღვდელმსახურთა რაოდენობაც. მჭიდრო კავშირი არსებობდა ქართველთა სტამბულის კათოლიკურ სავანესთან. ამ სავანეში მოქმედ სასწავლებელში ხდებოდა ქართულ ენაზე სასულიერო განათლების მიღებაც. XIX მეორე ნახევრიდან 1907 წლამდე საფრანგეთში, ქალაქ მონთობანში მოქმედებდა ქართული კათოლიკური სავანე.[12]

ქართველ კათოლიკეთა წინააღმდეგ რეპრესიები 1921 წლიდანვე, საკმაოდ მკაცრად ხორციელდება. ბოლშევიკებს, შემდგომ კი საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურებს ყველაზე შეურიგებელი დამოკიდებულება სწორედ კათოლიკური ეკლესიის მამართ გააჩნდათ. ამის მიზეზი კი რამდენიმეა: რუსეთში კათოლიკეთა ძირითადი ბირთვს, პოლონელები და ლიტველები წარმოადგენდნენ, გასაბჭოების შემდგომ კი ორივე ამ ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და საბჭოთა კავშირის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ საკმაოდ არამეგობრულ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ. რუსი ბოლშევიკების ანტიკათოლიკურ დამოკიდებულებას სწორედ ,,პანური პოლონეთის " მიმართ არსებული ანტიპოლონური დამოკიდებულება ამძაფრებდა. მეორე და ასევე მნიშვნელოვანი ანტაგონიზმი განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ სხვა კონფესიებისაგან განსხვავებით, რომელთა იერარქიული ცენტრებიც საბჭოთა

[12] საფრანგეთში ქართველ კათოლიკეთა მოღვაწეობით დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს პროფესორ მანანა ჯავახიშვილის მონოგრაფიას ,, მონთობანის ქართველ კათოლიკეთა სავანე",თბილისი, 2009 წ.

კავშირის ტერიტორიაზე მდებარეობდა და მათი სასულიერო ლიდერებიც საბჭოთა მოქალაქეებს წარმოადგენდნენ, (ე.ი. მეტნაკლებად მართულები იყვნენ), რომის კათოლიკე ეკლესიის ცენტრი საბჭოთა კავშირიდან შორს ვატიკანში მდებარეობდა და ეპისკოპოსების დანიშვნასაც, რომის პაპები სხვა ქვეყნის მთავრობებს, (მითუმეტეს მტრულად განწყობილი სახელმწიფოსი), არ უთანხმებენ. ასე რომ გასულ საუკუნეში არა თუ მხოლოდ სსრკ–ის, არამედ აშშ–ის და ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ხელისუფლებაც საკმაოდ უნდობლად იყო განწყობილი წმინდა საყდრის მიმართ. სტალინი, მას შემდეგ რაც ნება დართო აღედგინათ მოსკოვის საპატრიარქო და მას საეკლესო ქონების ნაწილიც დაუბრუნა, ხოლო 1946 წლიდან რელიგიების საბჭოც შექმნა, არ იყო წინააღმდეგი ვატიკანთანაც მოეგვარებინა ურთიერთობები და მოსკოვში საბჭოთა კავშირის კარდინალიც დაესვათ. ცხადია კარდინალი საბჭოთა მოქალაქე და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მხარდამჭერი უნდა ყოფილიყო. ასევე ვატიკანს, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სასაზღვრო გადანაწილების შესაბამისად, უნდა შეეცვალა კათოლიკური ეპარქიების საზღვრები. საბჭოთა ბელადის ამ სურვილსაც ვატიკანი მტკიცედ დაუპირისპირდა. დაპირისპირების შედეგი კი საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან გაიზარდა კათოლიკეთა მამართ მტრული დამოკიდებულება, თავის ჯავრს საბჭოთა ლიდერები და რიგითი მოხელეები კათოლიკური ეკლესიის სასულიერო პირებზე და რიგით მორწმუნეებზე ანთხევდნენ. და თუ საქართველოში, შუა საუკუნეებშიც, ცარიზმის ეპოქაშიც და დემოკრატიული რესპუბლიკის დროსაც, საერონიც და სასულიერონიც, კათოლიკურ ეკლესიას და წმინდა საყდარს იმედით შეჰყურებდნენ, საბჭოთა იდეოლოგიის გავლენით, სასოება უკვე უნდობლობით შეიცვალა. ,,ვატიკანის აგენტი" – ეს უკვე ხრუშოვის დროინდელი საბჭოურ–პროპაგანდისტული კლიშეა რომელიც საკმაოდ დაილექა მავანთა აზროვნებაში.

XX საუკუნის 30–იანი წლების ბოლოსათვის, საქართველოში არსებული ლათინური წესის 30 საკრებულოდან, დაკეტვას მხოლოდ თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა და სოფელ სხვილისის ტაძარი გადაურჩა. დანარჩენი სატაძრო ნაგებობები მუშათა და გლეხთა სახალხო დეპუტატების საბჭოების რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების ბალანსზე გადაიყვანეს და არამიზნობრივად, სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულებით იყენებდნენ. [13]

[13] ახალციხის რაიონში სოფელ სხვილისში მუსლიმ მესხებთან ერთად, სომხურ–კათოლიკური წესის მორწმუნეებიც სახლობდენ. სხვილისელების ტოლერანტობაზე ნათლად მეტყველებდა ის ფაქტი რომ ორი საკულტო ნაგებობა ერთ ეზოში იყო განთავსებული. 1944 წელს მუსლიმი მესხების გასახლების შემდგომ, მეჩეთი დაანგრიეს, ხოლო 1937 წლიდან მღვდლის გარეშე დარჩენილ ტაძარში კათოლიკე მორწმუნეები აგრძელებდნენ სისტემატურ თავშეყრას და ლოცვებს. 1946 წლიდან საბჭოთა კავშირის

როგორც ავღნიშნეთ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სტალინმა საკმაოდ ფართო შეღავათები მისცა იმ რელიგიურ გაერთიანებებს, რომელთა იერარქიული ცენტრები სსრკ–ს ტერიტორიაზე ფუნქციონირებდნენ. განხორციელდა სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური ორგანიზაციებისა და კულტის მსახურთა რეგისტრაცია. ნგრევა–ექსპროპრიაციას გადარჩენილ ტაძარ–ეკლესიათა დიდი ნაწილი კვლავ დაუბრუნეს მორწმუნეებს. მაგალითად მოსკოვის მართლმადიდებელ ეკლესიას, რუსეთისა და უკრაინის ტაძრების რეგისტრაციის შემდგომ, 15 ათასი მოქმედი რელიგიური გაერთიანება დაუფიქსირდა, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას 53 ტაძარი. თუმცა ეს პრივილეგიები არ გავრცელდა ზოგიერთ ,,ურჩ კონფესიაზე" და უპირველეს ყოვლისა კათოლიკეებზე. საბჭოთა ხელისუფლებამ აკრძალა კათოლიკური მონასტრების მოქმედება, ლათინური წესის გარდა სრულიად გააუქმა მანამდე მოქმედი სომხურ–კათოლიკური და ასირიულ–ქალდეური ეკლესიები. 1946 წლის რეგისტრაციიით საქართველოში რომის–კათოლიკე ეკლესიის ორი ტაძარი გატარდა რეგისტრაციაში: თბილისის მ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარი და ახალციხის სოფელ სხვილისის ღვთისმშობლის ტაძარი, რომელის მრევლიც თავს წესის კათოლიკეებს მიაკუთვნებდა.[14]

საბჭოურ სამართლებრივ სივრცეში გასული საუკუნის 50–იანი წლებიდან ჩნდება ახალი ცნება – არარეგისტრირებული, მაგრამ ფაქტობრივად მოქმედი რელიგიური გაერთიანება. ამგვარად იმ საკრებულოებს მოიხსენიებდნენ, რომლებიც ხელისუფალთა რეკრესიების მიუხედავად, სისტემატურად აგრძელებდნენ შეკრებასა და რელიგიური რიტუალების აღსრულებას.

საბჭოთა საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ რელიგიების საქმეთა საბჭოში გადაგზავნილ წლიურ ანგარიშებში, წლიდან–წლამდე სისტემატურად ფიგურირებდნენ ქართველ და სომეხ კათოლიკეთა არარეგისტრირებული რელიგიური ჯგუფები, რომლებიც მოქმედებდნენ სამხრეთ საქართველოს რეგიონში: ადიგენის რაიონში –სოფლები არალი და უდე; ახალციხეში – ვალე, ივლიტა, აბათხევი, წინუბანი, ნაოხრები, წყალთბილა, ასპინძაში – ხიზაბავრა და ვარგავი, ახალქალაქის რაიონში – ბავრა, ტურცხი, ხულგუმო, კართიკამი,

---

რელიგიების საქმეთა საბჭოს დადგენილებით, ანულირება გაუკეთდა სომხურ–კათოლიკურ წესს და სხვილისის ტაძარი რეგისტრაციაში გატარდა როგორც რომის–კათოლიკური ეკლესია.

[14] საქართველოში გარდა მართლმადიდებელი და კათოლიკე ეკლესიისა სახელმწიფო რეგისტრაცია მიეცათ: სომეხთა სამოციქულო ეკლესიის 4 ტაძარს, 2 მეჩეთს, ბაპტისტთა, დუხობორთა და მოლოკანთა სამლოცველო სახლებს და 22 სინაგოგას. ამ ჩამონათვალიდან ჩანს, რომ რეგისტრაციასა არა რაოდენობის არამედ მრევლის აქტიურობის გათვალისწინებით ანაჭებდნენ.

ბოგდანოვკის რაიონში – ეშტია. აი, არასრული ჩამონათვალი სამცხე–ჯავახეთის სოფლებისა, სადაც საბჭოთა რეპრესიების დროსაც მოქმედებდნენ კათოლიკური საკრებულოები.

1987–1991 წლებში საქართველოში კათოლიკე მრევლისათვის ჩამორთმეული 5 ტაძარი ხელისუფლებამ, მიეხედავად ეთნიკურად ქართველი კათოლიკე მრევლის არაერთგზის მოთხოვნისა, მართლმადიდებლებს გადასცა. ამ მოვლენიდან საკმაო ხანი გავიდა, მაგრამ ტაძრების ჩამორთმევითა და უსამართლობით გამოწვეული ტკივილი არათუ მინელდა, არამედ უფრო გამძაფრდა და მასშტაბური გახდა. მთელ მსოფლიოში გახმაურდა 90–იან წლებში ჩადენილი განუკითხაობისა და უსამართლობის შემთხვევები. ეს ფაქტები, ცხადია, ჩრდილს აყენებს ჩვენი ქვეყნის და პირველ ყოვლისა კი ქართული სამოციქულო ეკლესიის საერთაშორისო იმიჯს. მითუმეტეს, რომ კათოლიკე ეკლესია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც კი ამის სურვილი და საჭიროებაა, წირვა–ლოცვათა ჩასატარებლად, ქართველ მართლმადიდებელ მღვდლებს უანგაროდ უთმობს კათოლიკურ ტაძრებს.

უდე

უდე ადიგენის რაიონის უდიდესი სოფელია. უდეს ცენტრში უმოქმედოდ დარჩენილი მართლმადიდებლური ტაძრის სიახლოვეს 1904–1906 წლებში კათოლიკე და მუსლიმი ქართველების თანამშრომლობით აიგო სოფლის კვალობაზე საკმაოდ გრანდიოზული ტაძარი. უდელთა ეს გასაოცარი თანადგომა აღიბეჭდა კიდეც ტაძრის პერანგზე ამოკვეთილი ლაპიდარული წარწერით, რომელიც მომავალ თაობებს შეახსენებს ერთიანობის ეპრეცენდეტო ფაქტს, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა ქრისტიანებსა და მუსლიმებს ერთად მიეღოთ მონაწილეობა ეკლესიის აგებაში.

„უდეს არის კათოლიკენი 2120 სული მშენებელი ამა საყდრისა, მაჰმადიანები 520 სული ტომით ქართველნი. ღვთისმშობელო შენ გწირამთ ჩვენ შრომასა.“

გასული საუკუნის 30–იან წლებში კათოლიკე მღვდელმსახური დააპატიმრეს, ხოლო ტაძარი კოლმეურნეობის საწყობად აქციეს. უდელი მორწმუნეები ღამღამობით ფარულად ლოცულობდნენ ტაძრის შენობაში დარჩენილ ლურდის ღვთისმშობლის ქანდაკების წინაშე. ასევე ფარულად ლურდის ღვთისმშობლის ქანდაკება მორიგეობით ოჯახებში გადაჰქონდათ და იქ მორწმუნეები სავარდის ლოცვებს უძღვნიდნენ. გასული საუკუნის 70 წლების ბოლოს, ტაძარი რომელიც უკვე

ფორმალურად სოფლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს წარმოადგენდა, მოსახლეობამ დაასუფთავა, თითბერის ფურცლებით გადახურა და კვლავ გაგრძელდა ფარული უცხო თვალისთვის ლოცვები. 80–იანი წლებში უდელმა კათოლიკეებმა არაერთგზის მიმართეს ხელისუფლებას მათი რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციისა და საეკლესიო ნაგებობის დაბრუნების მოთხოვნით.

1986 წელს, რელიგიების საქმეთა საბჭოს რეკომენდაციით, ხელისუფლებამ თანხმობა გამოთქვა რეგისტრაციაში გაეტარებინა უდეს კათოლიკური რელიგიური საზოგადოება, მუდმივ უსასყიდლო მფლობელობაში სატაძრო ნაგებობის გადაცემის უფლებით. თუმცა წარმოიშვა მოკლე დროში გადაუჭრელი სიძნელე – არ იყო კათოლიკე მღვდელი რომელიც წინამძღვრობას გაუწევდა ახლად რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებას. დღევანდელი გადასახედიდან გულუბრყვილოდ გვეჩვენება საბჭოური მენტალობის ადამიანთა ახირება, რომ აუცილებლად ეთნიკურად ქართველი კათოლიკე მღვდელი გაემწესებინათ მათ ეკლესიაში. იმ დროს ეთნიკურად ქართველი კი არა და საერთოდ კათოლიკე წესის მღვდლის მოძიება საბჭოთა კავშირიში, სადაც ქრონიკული დეფიციტი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, კათოლიკე სასულიერო პირები სანთლით უნდა მოგეძებნა. მღვდლების ეს ნაკლებობა კი განპირობებული იყო შემდეგი ლოგიკური ვითარებით: ჯერ ახალგაზრდას სურვილი უნდა გასჩენოდა ცელებატის ვითარებაში მღვდლობაზე და მთელ საბჭოეთში მოქმედ ორა–ორ სემინარიაში ჩარიცხულიყო, სადაც ორმხრივი უმკაცრესი ლიმიტი იყო დაწესებული; შემდგომ ახალნაკურთ მღვდელს, უნდა გამოეთქვა სურვილი მოცემულ ეკლესიაში მსახურებაზე, უნდა მის ეპისკოპოს მიეცა ამაზე თანხმობა, თანხმობა უნდა მიეცათ ხელისუფლების წარმომადგენლებს. პრობლემას ართულებდა ის გარემოებაც, რომ სოფელი უდე სასაზღვრო ზონაში მდებარეობდა და იქ თბილისიდან სასულიერო პირისამართალდამცველი სტრუქტურების ნებართვის გარეშე დროებითაც კი ვერ ჩავიდოდა. ხელისუფლება ნებას დართავდა იმ შემთხვევაში, თუ სასულიერო პირი არ იყო ანტისაბჭოთა იდეოლოგიის გამტარებელი. იმხანად კი კათოლიკე სამღვდელოების დიდი უმრავლესობა ხელისუფლებასთან გარკვეულ კონფლიქტში იმყოფებოდა და მათ ,,ვატიკანის აგენტებად'' მოიაზრებდნენ, ხოლო თუ ხელისუფლება ნდობას უცხადებდა სასულიერო პირს, მაშინ შესაძლოა სხვა სასულიერო პირები გამოუცხადებდნენ ბოიკოტს. ასევე არსებობდა ერთგვარი ფარული ქიშპი ლიტველ და ეთნიკურად პოლონელ სამღვდელოებას შორის. მაგალითად საქართველოში ზოგი მოხელე ფიქრობდა, რომ თუ ახალი მღვდელი ლიტვიდან ჩამოვიდოდა, მაშინ ლიტვის კარდინალი მას დახმარებას გაუწევდა ეკლესიის მოწყობაში, თუმცა ადგილობრივ პოლონელ მღვდლებს, რომლებიც რიგის კურიის იურისდიქციაში

იყვნენ არ სურდათ სხვა იურისდიქციის ლიტველი კოლეგის ჩამოსვლა. ერთი სიტყვით ღია თუ ფარული პრობლემები მრავლად იყო, ადგილობრივი მოსახლეობა კი ნაცვლად დიპლომატიური ნაბიჯებისა და კომპრომისისა, ჯიუტად მოითხოვდა ეთნიკურად ქართველ მღვდელს. ამ მოთხოვნამ კი შექმნა სხვა პრობლემები, დრო გადიოდა და ,,პერასტროიკას'' სხვა კონფესიებმაც აუწყვეს ფეხი და ეკლესიათშორისი ურთიერთობები ეკლესიათშორისი კონკურენციით შეიცვალა.

სოფელ უდეს კონკრეტულ მაგალითზე, როდესაც კათოლიკეთა საკრებულოს ტაძარი არ გადასცეს, მხოლოდ ხელისუფლების დადანაშაულება სწორი არ არის. პირველ რიგში ეს გამოუცდელობის, არაკომპეტენტურობის, გულობრყვილობის ბრალია. პირიქით, თავდაპირ რველ ეტაპზე, უდის ეკლესიის რეგისტრაციის სურვილი ხელისუფლებიდან უფრო იყო, მაგრამ შემდგომ სხვა ძალებიც ჩაებნენ და უდის მორწმუნეებმა, რომლებზეც მთელი პასუხისმგებლობის ლომის წილი მოდიოდა, ვერ აუღეს ალღო წარმოქმნილ პროცესებს. თუმცა ამ მწარე მაგალითის შემდგომ, კათოლიკე მორწმუნეები და მათი გულშემატკივრები შეცდომებს უკვე ნაკლებად უშვებდნენ.

1986 წელს ხელისუფლება, როგორც რესპუბლიკური ასევე ადგილობრივი, შეთნხმდა, რომ სოფელ უდეში ეკლესია ამოქმედებული, მანამდე რაიონში იურიდიულად არანაირი რელიგიური საზოგადოებს არ ფუნქციონირებდა. ვინაიდან კათოლიკე მღვდელმსახური ვერ გამოიძებნა, ხელისუფლება იმაზეც დათანხმდა, რომ ქართველ მართლმადიდებელ მღვდელს მიეღო კათოლიკობა ან ,,დაჩქარებული წესით'' მოემზადებინათ ქართველი კათოლიკე მღვდელი. დღეს ირონიას იწვევს სასულიერო სფეროსადმი, ამგვარი საბჭოურ–სტახანოვური მიდგომები, მაგრამ იმხანად მსგავსი დამკვრელური რეჟიმით, პრობლემების მოსაგვარებლად, მოხელეებიც და რიგითი ადამიანებიც საკმაოდ სერიოზულად იყვნენ განწყობილი.

მთელმა ამ გაუგებრობებმა და უამრავმა მიწერ–მოწერამ ის შედეგი გამოღო, რომ უდეში მართლმადიდებელი მღვდელი ჩავიდა, რომელმაც დაარწმუნა მორწმენეთა ნაწილი, რომ კათოლიკური წესით ჩაატარებდა მსახურებას. ამ შეპირებით დაიმედებული მორწმუნეები დათანხმდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსით გაეტარებინათ თავიანთი საკრებულო. პრობლემამ ეკლესიის გახსნის პირველივე დღეებიდან იჩინა თავი, კათილიკური წესის მომხრეებზე გაძლიერდა ფსიქოლოგიური ზეწოლა და საბოლოოდ სოფელი კონფესიური ითვალსაზრისით ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაიყო.

განვლილი სამი ათწლეულის მანძილზე უდელმა კათოლიკეებმა სამი სამლოცველო ააგეს, ორი სოფელში და ერთიც იალაღზე, მაგრამ ეს სამლოცველოები ვერ იტევს ყველა მორწმუნეს და ისინი თავიანთი წინაპრების მიერ აგებული ტაძრის დაბრუნებას კვლავ ითხოვენ. მითუმეტეს, რომ უდეში არსებობს შუასაუკუნეებში აგებული მართლმადიბლური სატაძრო ნაგებობა.

გორი

გორში ქალაქის ციტადელის სიახლოვეს კათოლიკე სასულიერო პირებს ტაძრის ასაგებად მიწის ნაკვეთი ჯერ კიდევ თეიმურაზ I-მა უბოძა მადლიერების ნიშნად, ირანიდან ქართლში ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების ჩამოსვენებისათვის. 1632 წელს წმ. ნინოს ხსენების დღეს, ახლად აგებულ ტაძარში პირველი წირვა აღავლინა დონ პიეტრო ავიტაბილემ.[15] ძნელბედობის გამო კათოლიკე მღვდლებს გორის დატოვება მოუხდათ, ტაძარი კი მართლმადიდებალთა ხელში გადავიდა. შემდგომ როდესაც გორში კვლავ განახლდა კათოლიკური მისიონი, სასულიერო პირებს ახალი სამლოცველოს აგება მოუწიათ.

XIX საუკუნის დასაწყისში გორელ კათოლიკეთა დიდი მეცადინეობითა და ძალისხმევით, მათი დიდი ნაწილი შეძლებულ მრეწველებს წარმოადგენდნენ, დაიწყო ქალაქში ყველაზე გრანდიოზული ტაძრის მშენებლობა. 1820 წელისათვის ტაძარი რომელიც დღესაც ამშვენებს ქალაქს, საზეიმოდ ეკურთხა. XX საუკუნის დამდეგს, გორის კათოლიკური ტაძარის წინამძღვრი გახლდათ, ცნობილი საზოგადო მოღვაწე დონ დომენიკე პაწაძე (მუღაშაშვილი). იგი გახლდათ ჟურნალ ,,ჯვარი ვაზისას'' დამფუძნებელი და ქართველ კათოლიკეთა და მარლთმადიდებელთა შორის ურთიერთობის განმტკიცებისათვის დაუღალავი მებრძოლი. ეროვნული საქმიანობისათვის დონ დომენიკე 1911 წელს ვერაგულად მოკლეს, დაკრძალულია ტაძრის ეზოში სხვა კათოლიკე სასულიერო პირებთან ერთად.

ბოლშევიკური დიქტატურის დამყარების შემდგომ, 1921 წელის 26 მაისს, ტაძრის იმდროინდელი წინამძღვარი მამა კონსტანტინე საფარიშვილი, რომელიც იმავდროულად საერო სასწავლებლის პედაგოგიც იყო, დემოკრატიული საქართველოს დროშით ხელში გაუძღვა მოსწავლე– ახალგაზრდებს ქალაქის ქუჩებში და დამოუკიდებლობის მიტინგს შეუერთდა. რის გამოც იგი ჯერ დააპატიმრეს ხოლო შემდგომ სოლოვკის განსაკუთრებული რეჟიმის ბანაკში გადაასახლეს.

[15] Г. Жордания, З. Гамезардашвили, «Римско-Католическая Миссия и Грузия», Релация № 29 ст. 464, и Релация №30 ст. 474.

გასული საუკუნის 30–იან წლებში მოძღვრის გარეშე დარჩენილი გორის კათოლიკური ტაძარი რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით დახურეს და შენობა სახელმწიფო ბალანსზე აიყვანეს. ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაში დარჩენილ სატაძზე არავინ ზრუნავდა. XX საუკუნის 70–იან წლებში საკულტო ნაგებობა გორის კომკავშირის ქალაქკომმა ახალგაზრდულ ცენტრას გადასცა და იქ წლების განმავლობაში დისკოთეკა ფუნქციონირებდა. ,,პერესტორიკის დაწყების შემდგომ, მორწმუნეთა დაჟინებული მოთხოვნების გათვალისწინებით დისკოთეკა გაუქმდა თუმცა კანონიერი მფლობელებისათვის ტაძრის დაბრუნებას ხელისუფლება არ აპირებდა.

გორში კათოლიკურ საკრებულოს არც არასდროს შეუწყვეტია არსებობა და ფარულად მუდამ ფუნქციონირებდა. თბილისიდან კათოლიკე მღვდელი იან სნეჟინსკი პერიოდულად ჩადიოდა გორში და მორწმუნეთა ბინებში აღასრულებდა წირვას და სხვა რიტუალებს.

გორის კათოლიკე მრევლი სისტემატურად ითხოვდა რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციას. 1987 წლიდან გორელი კათოლიკეების მოთხოვნა უფრო დაჟინებული ხდება. მიუხედავათ იმისა, რომ რელიგიების საქმეთა საბჭო არ იყო წინააღმდეგი გორში კათოლიკური ეკლესიის ამოქმედებისა, გორის საქალაქო აღმასკომი სრულიად დაუსაბუთებლად, კანონის დარღვევით, ჯიუტად აფერხებდა კათოლიკეთა რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციას. სავარაუდოთ სატაძრო ნაგებობის გადაცემა არ უნდოდათ, რაც რეგისტრაციის აუცილებელი თანმდევი პროცედურა გახლდათ.

1989 წლიდან გორელ კათოლიკეებზე, განსაკუთრებით კი მათზე ვინც აქტიურად ითხოვდა ეკლესიის გახსნას, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ფსიქოლოგიურ ზეწოლას აძლიერებენ, კათოლიკეებს ლამის ერისა და მართლმადიდებლობის ღალატში ადანაშაულებდნენ. რელიგიების აბჭოსაგან არაერთგზის გადაგზავნილ მოთხოვნას კათოლიკეთა რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ კი უპასუხოდ ტოვებდნენ. შემდგომ კი საქალაქო აღმასკომმა თვითნებური გადაწყვეტილებით, სრულიად მოულოდნელად კათოლიკური სატაძრო ნაგებობა მართლმადიდებელთა მრევლს გადასცა. მოტივაცია ნათელი იყო, პარტიულ და საბჭოთა ფუნქციონერებს ეროვნული მოძრაობის თვალში ღირსეულ მამულიშვილებად უნდოდათ თავის წარმოჩენა.

90–იან წლებში უკვე ყოფილ კათოლიკურ ტაძარში სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა, რომლის მიზანიც კათოლიკური კვალის წაშლა გახლდათ. გადაიღება

ფრესკები. ცვლილება შევიდა არქიტექტურაში, განადგურდა კათოლიკეთა საფლავები. პარალელურად გრძელდებოდა კათოლიკეთა დაშინება და შეურაწყოფა. წლების მანძილზე არ დაკმაყოფილდა კათოლიკეთა თხოვნა მიეცად მათთვის ახალი ტაძრის აგების უფლება.

მიუხედავად ადგილობრივი ხელისუფლების ზეწოლისა გორის კათოლიკური საკრებულო ფუნქციონირებს ქალაქის ცენტრში ე.წ. ფრანგთა უბანში შეწირულობებით აგებულ სამლოცველო სახლში, რომელის ისევე როგორც წართმეული ტაძარი, წმინდა ოჯახის სახელზეა ნაკურთხი. აქვე განთავსდა წმინდა იოსების ქალწულთა ორდენის მისია და საქველმოქმედო საზოგადოება კარიტასის ადგილობრივი წარმომადგენლობა. გორის მუნიციპალიტეტში, ქალაქიდან 15–ოდე კილომეტრით დაშორებულ სოფელ ახალხიზაში, ასევე აიგო სამლოცველო სახლი, ფუნქციონირებს კარიტასის ოფისი.

ქუთაისი

ქალაქ ქუთაისში კათოლიკური ტაძრები XVII საუკუნიდან იგება. XIX საუკუნის დასაწყისში იმერეთის უკანასკნელმა მეფემ სოლომონ II–მ თავისი წერილობითი ბრძანებით ქუთათურ კათოლიკეებს უბოძა მიწის ნაკვეთი ეკლესიის ასაგებად. მეფეს ეტყობა გული უგრძნობდა, რომ შესაძლოა ვინმეს კათოლიკეთა აგებული ტაძრის მითვისებუ განეზრახა, რაც მანამდეც არაერთგზის მომხდარა და ამიტომ იმ ძნელბედობის დროს საკუთარ ძალაუფლებას ვეღარ ენდობოდა და ღვთის რისხვითაც ემუქრება იმ უკეთურებსთ ვინც გაბედავს ქუთაისელ კათოლიკეთა ტაძრის მიტაცებას.

ქუთაისი კათოლიკური ტაძრის მშენებლობა რამდენიმე ეტაკად მიმდინარეობდა, XIX საუკუნის პირველ ათწლეულში ქუთაისელი კათოლიკეების ჯერ მცირე ზომის ტაძარს აგებენ, 1819 წელს, ამ ადგილას ქვის ეკლესიას ჩაეყარა საფუძველი. 1826 წლიდან იწყება დიდი, განსხვავებული არქიტექტურული ფორმების მქონე ტაძრის მშენებლობა. ქუთათურები, რომელთა შორის იმხანად უკვე მრავლად იყვნენ შეძლებული მრეწველებიც, ცდილობენ, რომ ტაძარი გამორჩეული ყოფილიყო. ტაძრის მშენებლობას მღვდელ დონ დიმიტრი თუმანიშვილის კურთხევით ხელმძღვანელობდნენ ძმები ელისაშვილები. ერთ ხანს შეწყვეტილი მშენებლობა 1846 წელს წინამძღვრის დონ ანტონ გლახაშვილის ინიციატივით განახლდა. 1856 წელს მშენებლობა ქუთაისის საგუბერნიო არქიტექტორის ვასილიევის ახალი პროექტით გაგრძელდა. 1862 წელს ტაძარი წმინდა ქალწულ მარიამის უბიწოდ ჩასახვის სახელზე ეკურთხა. როგორც ყველა სხვა კათოლიკურ ტაძარს, ქუთაისის ეკლესიასაც

გარს საკმაოდ მოზრდილი ბაღი ერტყა, იქვე იყო აღმართული ორსართულიანი შენობა საკვირაო სკოლისათვის. სხვათაშორის სწორედ ამ ტაძარში ეზიარა მუსიკას ზაქარია ფალიაშვილი, მისი მამა ტაძრის ორგანისტი გახლდათ

1937 წელს მუშათა და გლეხთა სახალხო დეპუტატთა ქუთისის აღმასკომის გადაწყვეტილებით, კათოლიკე მრევლს ჩამიერთვა ტაძარი, ხოლო მის წინამძღვარს დონ დამიანე სააკაშვილს მღვდემსახურება აეკრძალა. თავად სატაძრო ნაგებობა, მისი ინტერიერი, დამხმარე ნაგებობა და ბაღი შედარებით უვნებლად გადარჩა. 1971 წელს, ზაქარია ფალიაშვილის მე–100 წლისთავთან დაკავშირებით ფართო მასშტაბიან საიუბილეო მზადების ფარგლებში პავლე თუმანიშვილის ინიციატივით მოხდა ქუთაისი ტაძრის რესტავრაცია და იქ საორგანო მუსიკის დარბაზად აქციეს. რაც საბჭოთა უძრაობის პერიოდში კათოლიკური ტაძრის გადარჩენის უკეთესი საშუალება არ არსებობდა.

1988 წლიდან ქუთაისელი კათოლიკე მორწმუნეები მათი რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციისა და მათთვის წინაპრების მიერ აგებული ტაძრის დაბრუნების მოთხოვნით, არაერთგზის მიმართავენ განცხადებებით ადგილობრივ და რესპუბლიკურ ხელისუფლებას, თუმცა სულ ამაოდ. ქუთაისი საქალაქო ხელისუფლება ერთ წელიწადს მეტ ხანს განიხილავდა კათოლიკეთა კონსტიტუციერ მოთხოვნას და ამ პერიოდში უფრო დროს გაყვანის ტაქტიკას და მორწმუნეთა ფსიქოლოგიურ ზეწოლას მიმართავდნენ, ვიდრე საკითხის ჯეროვან შესწავლას. 1989 წელს კი უკვე ქუთაისელმა მართლმადიდებლებმაც მოითხოვეს ყოფილი კათოლიკური ტაძრის მათთვის გადაცემა და ქალაქის მესვეურებმაც კონიუქტურის გათვალისწინებით პატრიაქის ქუთაისში ვიზიტის დროს მარლთმადიდებელი ეკლესიის უმაღლეს იერაქს საჩუქარი გაუკეთეს და ყოფილი კათოლიკური ტაძარი გადასცეს. ამ ფაქტის შესახებ კი ქუთაისელმა კათოლიკეებმა მხოლოდ მას შემდეგ შეიტყვეს რაც ტაძრიდან სასწრაფო წესით დასაჯდომი მერხები გამოყარეს და ორგანის დემონტაჟი დაიწყეს.

სატაძრო ნაგებობის დარჩენილ ქუთათურ კათოლიკეთა მდგომარეობას ის გარემოებაც ართულებს, რომ მიუხადავად მრავალი თხოვნისა არ აძლევენ ნებართვას საკუთარი თანხებით ააგონ ახალი ტაძარი,იყო შეთავაზებაც, რომ ისტორიული ტაძრის დაბრუნების სანაცვლოდ ახალ ბევრად უფრო დიდ ტაძარს აუგებდნენ მარლთმადიდებელ მრევლს, იყო თხოვნა მიწის ნაკვეთის გამოყოფაზეც. ქუთაისი ხელისუფლებას თანამოქალაქე კათოლიკეები მხოლოდ მაშინ ახსენდება როდესაც უცხოელ სტუმრებთან თავისმოწონება უნდათ თავიანთი ტოლერანტობით.

თითქმის მეოთხედია საუკუნეა რაც ქუთაისში მრევლი საკვირაო ღვთისმსახურებაზე სტიგმელთა კონგრეგაციის რეზიდენციაში განთავსებულ სამლოცველო სახლში იკრიბება. აქვე მდებარეობს საქველმოქმედო ორგანიზაციები: INER-GEORGIA და კარიტასის რეგიონული ფილიალი. ამ ორგანიზაციებში რამდენიმე ათეული მართლმადიდებელია დასაქმებული.

ბათუმი

XIX საუკუნეში ბათუმში ახალციხიდან გადმოსულ კათოლიკეთა მცირერიცხოვანი თემი სახლობდა, 1878 წლის შემდგომ რაც აჭარა დადასამშობლოს დაუბრუნდა, ბათუმში კათოლიკეთა რიცხვი სწრაფად იზრდება. მალე სომხური წესის კათოლიკეებმა ააგეს თავიანთი სამლოცველო. 1896 წელს ლათინური წესის ქართველმა კათოლიკეებმა უცხოეთის საკონსულოების აქტიური მხარდაჭერით, შესძლეს რუსეთის ხელისუფლებისაგან ტაძრის აგების ნებართვის მიღება.

ბათუმის კათოლიკური ტაძრის მშენებლობას 1897 წელს ჩაეყარა საფუძველი და უკვე 1903 წელს საზეიმოდ ეკურთხა. ტაძრის ასაგებად ტერიტორია ქალაქგარეთ შეირჩა. მწერალი დავით კლდიაშვილი, რომელიც რუსეთის არმიის ოფიცერი გახლდათ და იმხანად ბათუმის გარნიზონში მსახურობდა, წერდა: ,, იქ სადაც ახლა კათოლიკეთა ეკლესისს, იყო განიერი ტბა, სავსე გარეული ფრინველებით და იქ იცოდნენ ხოლმე სანადიროდ გასვლა მონადირეებმა. ტბის გადაღმა დასავლეთისაკენ მისდევდა უდაბური ტყე''. სწორედ ამ უდაბურ ადგილას ბათუმელმა კათოლიკეებმა დიდი თხოვნის შემდეგ მიიღეს 400 საჟენი მიწის ფართობი, ხოლო კიდევ 200 საჟენი თავიანთი შეგროვილი თანხით შეიძინეს. ცნობილმა ქართველმა მრეწველმა და მეცენატმა სტეფანე ზუბალაშვილმა ტაძრის ასაგებათ 15 ათასი მანეთი გამოყო და უცხოელი ოსტატებიც მიოიწვია. მალე ღვთისმშობლის სახელზე ნაკურთხი ბათუმის კათოლიკური ტაძარი მთელი ქალაქის და მახარის მშვენებად იქცა.

ტაძრის ფასადი დამშვენებულია წმ. ანდრიასა და წმ. ნინოს სკულპტურებით, მარმარილოს დიდ ფილაზე ამოკვეთილი წარწერა გვამცნობს ქტიტორის გადაწყვეტილებას: **,,ტაძარი ესე, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა მარიამისა, თვისის ზღუდითურთ, ავაგე მე, სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა, საცხოვნებლად სულისა ჩემისა, მშობელთა და დათა ჩემთასა''.**

ტაძარმა დაახლოებით მესამე საუკუნე იარსება, გასული საუკუნის 30–იანი წლების რეპრესიების დროს დააპატიმრეს იქ მოღვაწე სასულიერო პირები, ხოლო სატაძრო ნაგებობა არამიზნობრივი დანიშნულებით გამოიყენებოდა.

1988 წელს ბათუმელ კათოლიკეთა ერთმა ჯგუფმა დაახლოებით 25 მორწმუნემ, თხოვნით მიმართა საქართველოს მთავრობას (ვინაიდან ადგილობრივი ხელისუფლება წინააღმდეგი იყო ეკლესიის ამოქმედებისა), რეგისტრაციაში გაეტარებინათ მათი საკრებულო და დაებრუნებინათ ყოფილი საეკლესიო ნაგებობა – წმ. მარიამ ღვთისმშობლის ტაძარი.

ბათუმში, ისევე როგორც მანამდე გორსა და ქუთაისში, ვითარება ნაცნობი სცენარით განვითარდა. ხელისუფლებას შეაფერხა ტაძრის რეგისტრაციის საკითხი, შემდგომ გაჩნდა მართლმადიდებელი მრევლის თხოვნაც და ხელისუფალთა იმ ჯგუფს ვისაც კატეგორიულად არ სურდა კათოლიკეთათვის ტაძრის გადაცემა და თავიანთ უარს მრევლის სიმცირით ასაბუთებდნენ, (თუმცა კათოლიკე მრევლის რაოდენობა ბევრად მეტი იყო რასაც საბჭოთა კანონმდებლობა ითვალისწინებდა). სწორედ ამ დროს რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა ღია წერილი რომელსაც ხელს მეცნიერებისა და ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლები აწერდნენ. წერილში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ხელისუფლებას გამოეჩინა გონიერება, არ დაეძაბა ურთიერთობა მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის, დროებით შეეჩერებინა ტაძრის გადაცემის პროცესი, ჩაეტერებინა სარესტავრაციო სამუშაოები და ვითარების განმუხტვამდე ქალაქის საერთო კულტურული ინტერესების დასაკმაყოფილებლად გამოეყენებინა იგი. ამ წერილმა დროებით დააცხრო ვნაბათ ღელვა ბათუმის ტაძრის ირგვლით. რამდენი თვის შემდგომ კი სახელმწიფოს მიერ რესტავრირებული სატაძრო ნაგებობა საკმაოდ ოპერატიულადჟ და ფარულად ახლად შექმნილ მართლმადიდებელმრევლს გადასცეს. გულგატეხილ აჭარისა და გურიის კათოლიკე მორწმუნეებს წლები დასჭირდათ, სანამ ახალი ტაძრის ასაგებად ნებართვას მიიღებდენენ. დღეს ბათუმში თანამედროვე არქიტექტურული სახის მქონე კათოლიკური ტაძარია, რომელიც ადგილობრივ მრევლთთან ერთად მრავალრიცხოვან დამსვენებელს და ბათუმის სტუმარს მასპინძლობს. ტაძრის წინამძღვარი მამა გაბრიელე ბრაგანტინი არც სამლოცველოს არმქონე ბათუმელ პროტესტანტ მორწმენეებს ტოვებს გულნაკლულებს და საშუალებას აძლევს გარკვეულ დროს ჩაატარონ ლოცვები. ტაძართან მოქმედებს საქველმოქმედო ორგანიზაციები: კარიტასი, უპოვართა სახლი, კულტურის ცენტრი.

ივლიტა

ივლიტა პატარა, მაგრამ საკმაოდ დიდი ისტორიის მქონე სოფელია მთელს სამცხე–ჯავახეთში. იგი ქალაქ ახალციხიდან სულ რაღაც ორიოდე კილომეტრში მდებარეობს. სოფლის განაპირას, ციცაბო კლდეზე მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესიაა, უბრალო ქვით ნაგები, არქიტექტურული თვალსაზრისით არაფრით გამორჩეული,

თუმცა სოფლის სახელი სწორედ ამ მცირე ტაძრის არსებობით არის სახელგანთქმული. ივლიტის ეკლესიას სასწაულმოქმედ ძალას მიაწერენ და მთელი სამხრეთ საქართველოს კათოლიკეები როგორც ლათინური ასევე სომხური წესისა, სისტემატურად მოილოცავდნენ და თაყვანს სცემდნენ ამ ტაძარს. ივლიტაში სადაც ეკლესია 30–იანი წლებიდან ოფიციალურად აღარ ფუნქციონირებდა, რელიგიური რიტუალების შესარულებლად მეზობელ სოფელ სხვილისიდან იწვევდნენ მღვდელ იოსებ კორნაშევსკის.

გასული საუკუნის 80–იან წლების მიწურულს, როდესაც მესხეთში ეკლესიები ამოქმედდა, ივლიტის მოსახლეობამაც გადაწყვიტა ოფიციალურად აემოქმედებინათ თავიანთი ტაძარი. ეს ერთის მხრის ამის დიდი საჭიროებას ივლიტელები ვერ ხედავდნენ, რადგან ტაძარი ფაქტიურად მოქმედი იყო, ქართველი იდა სომეხი მორწმენეები დაუბრკოლებრივ შედიოდნენ სალოცავად, სწორავდნენ ნივთებს, ანთებდნენ სანთლებს, ასრულებდნენ სავარდის ლოცვებს, ოღონდაც საბჭოთა კანონმდებლობის სასულიერო პირებს ეკრძალებოდათ არარეგისტრირებულ ტაძარში წირვა–ლოცვის აღვლენა ან სხვა რიტუალების ჩატარება.

1989 წელს სოფელ ივლიტის მორწმუნე კათოლიკეთა რელიგიური საზოგადოება (საბჭოთა კანონმდებლობით ამგვარად მოიხსენიებოდა მორწმუნეთა საკრებულო), საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რელიგიების საქმეთა საბჭომ რეგისტრაციაში გაატარა ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრასა და ახალციხის რაიონის სოფელ ივლიტას კათოლიკური საკრებულოები. ეს გახლდათ ფაქტიურად ბოლო რეგისტრაცია, მომდევნო წლიდან ეკლესიათა რეგისტრაციას სრული ქაოსის ვითარებაში არც არავინ აკეთებდა. რეგისტრაციის საბუთის გადაცემის შემდგომ მღვდელი იოსებ კორნაშევსკი ერთ ხანს სისტემატურად ანხორციელებდა ავლიტაში წინამძღვრის ფუნქციას და ქართულ ენაზე ასრულებდა მსახურებას. მღვდლის მისვლის შემდგომ ერთმა უხერხულმა პრობლემამ იჩინა თავი, არარეგისტრირებულ ტაძარში ცალკეული პირები თვითნებურად ყიდნენ შინნაკეთ სანთელს მ. იოსები კი ტაძარში ყოველგვარი ვაჭრობის წინააღმდეგი იყო, ასევა მას სურდა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მიტოვებული ტაძარს კათოლიკური სახე დაებრუნებინა, წარმართული რიტუალები და ნივთების შეწირვებიც გაეუქმებინა, ცალკეულ პიროვნებებს კი ეს არ აწყობდათ.

1991 წელს, იმჟამინდელი პოლიტიკური განწყობების ფეხის ხმას აყოლილი ივლიტის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა საეართო კრება ჩაატარა და ამ კრებაზე ერთობ

კურიოზული გადაწყვეტილება მიიღეს: სანამ ქართველი კათოლიკე მღვდელი არ ეყოლებოდა სოფელს, მანამ სოფლის ეკლესიაში მართლმადიდებელ მღვდელს აღერულებინა ღვთისმსახურება. სავარაუდოდ იკვეთებოდა ადგილობრივი პრეფექტის, რომელიც დიმინანტი ეკლესიის სასულიერო პირი გახლდათ დაინტერესებაც.

1999 წლამდე ივლიტელთა სურვილით მართლაც მართლმადიდებელი მღვდელი ასრულებდა მსახურებას ამ ერთგვარ ინტერკონფესიურ ტაძარში. ცოტა არ იყოს გაუგებარია კონფესიურად რა მსახურება იყო ეს, თუმცა მოსახლეობა პროტესტას არ გამოთქვამდა. მაგრამ 1999 წელს მართლმადიდებელბმა მოძღვარმა ივლიტის ტაძრის რეკონსტრუქცია წამოიწყო, რაც სრულიად ბუნებრივი განზრახვა გახლდათ. თუმცა ამ რეკონსტრუქციას კათოლიკური წარსულის განადგურებაც მოჰყვა, ბეტონის საფარქვეშ მოჰყვა კათოლიკე მღვდლების საფლავის ქვები, ღვთისმსახურებასაც გამოკვეთილად კონფესიური სახე მიეცა. ცხადია მესხეთის კათოლიკეებში ეგზომ პოპულარულ ერთობლივად სავარდის ლოცვების პრაქტიკასაც აღარ დაუშვებდნენ. სოფელში აღმსარებლობის ნიადაგზე უკვე აშკარა დაპირისპირებამაც იჩინა თავი. სამცხე–ჯავახეთში ქართველი კათოლიკე სასულიერო პირების დაბრუნებამ და ივლიტის მეზობელ სოფლებში მათმა მსახურებამ, ივლიტელებს სურვილი აღუძრა კათოლიკური საკრებულოს აღდგენისა (ეკლესია ხომ თავის დროზე ისედაც კათოლიკურად იყო რეგისტრირებული), და კათოლიკური რიტუალების ჩატარებისა, რასაც ცხადია სავსებით ლეგიტიმურად მართლმადიდებელი მღვდელი კრძალავდა. ამ მცირერიცხოვან სოფელში სადაც საკმაოდ ჰარმონიულად ცხოვრობდნენ შერეული აღმსარებლობის ოჯახები, კონფესიურმა დაპირისპირებებმა იჩინა თავი და ერთმანეთს გადაჰკიდა მეზობლები, ოჯახის წევრები, ასაკოვნებიც და მცირეწლოვნები.

2007 წლის 3 მარტს, ივლიტელებმა სოფლის საერთო კრება მოიწვიეს. კრებაზე ორივე კონფესიის სასულიერო იერარქები და სახალხო დამცველი იყვნენ მოწვეულნი. საგანგებო შეკრების მიზანს ივლიტის ტაძრის კუთვნილების საკითხში სიცხადის შეტანა წარმოადგენდა.

სოფლის კრებას კავკასიაში კათოლიკე ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრატორი, სახალხო დამცველის სამსახურის თანამშრომელი და თავისუფლების ინსტიტუტის წევრებიც დაესწრნენ. კრებაზე ივლიტის 120 მკვიდრი შეიკრიბა, მათ შორის იყვნენ მართლმადიდებელი მრევლის წარმომადგენლები და მათი მოძღვარი. მათ თავიდან შემტევი პოზიცია დაიკავეს, მაგრამ მხარდაჭერა ვერ პოვეს და დემონსტრატიულად დატოვეს კრება. კენჭისყრაში 79 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მათგან ერთმა თავი

შეიკავა, ერთი ბიულეტინი გაუქმდა, კრების 77 წევრმა კი ივლიტის ტაძრის კათოლიკეთა საკრებულოსათვის დაბრუნებას მისცა ხმა.[16]

საკითხის მშვიდობიანი მოგვარებისათვის შემდგომ შეიქმნა მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა ერთობლივი კომისია. საბოლოოდ კი ივლიტელები შეთანხმდნენ, რომ ტაძარში ცალკე კუთხე გამოეყოფოდათ კათოლიკე მორწმუნეება ლოცვისათვის. ადგილი მართლაც ტგამოიყო სადაც პაპის სურათი და კათოლიკურ წესზე შესრულებული ჯვარცმა, ხატები და კათოლიკე წმინდანთა ილუსტრაციები გამოიფინა. კათოლიკე მღვდელს უფლება არ მიეცა ტაძარში შესვლისა და ეს მოთხოვნა წლებია ყოველგვარი გადაცდომის გარეშე დაცულია. ტაძრის მეზობლად სადაც ადრე კათოლიკე მღვდელმსახური ცხოვრობდა მოეწყო კათოლიკური სამლოცველო სადაც კვირაში ერთხელ აღევლინება ლათინური წესის წმ. წირვა.

ივლიტის მაგალითი იმედს გვაძლევს, რომ ურთიერთგაგებით, ურთიერთთანაგრძნობით და სიყვარულით, რისი დეფიციტიც სამწუხაროდ ბოლო წლებში მთელ ქვეყანაში ძალზედ საგრძნობია, მაგრამ მაინც მონდომების შემთხვევაში, შესაძლებელია კომპრომისი გამონახვა. აქ ამ პატარა ტაძარში მორწმუნეებმა მიაგნეს სიყვარულის გზას, ეს ალბათ იშვიათი გამონაკლისია სადაც ერთ ტაძარში ორი, ლათინური წესის კათოლიკური და ქართულ–მართლმადიდებლური კუთხე მოეწყო და სადაც თავისი რიტუალების დაცვით ლოცულობენ ქრისტიანები.

და ბოლოს, როდესაც ჩამორთმეულ, სხვისთვის გადაცემულ ტაძრებზე ვსაუბრობთ და რეპრესიების მომწყობთა მოტივაციაზე ვაანალიზებთ, ცხადია მათ კათოლიკე ეკლესიის შეზღუდვა უნდოდათ მაგრამ გავლიმა საუკუნემ დაადასტურა, რომ საქართველოში კათოლიკე ეკლესის ღრმა სულიერი და კულტურული ფესვები აქვს და მისი ამოძირკვის მცდელობები შედეგს ვერ მოიტანს. ყველა იმ დასახლებაში სადაც ი გასული საუკუნის 30–იან წლებში დაიხურა და დაინგრა კათოლიკური სამლოცველოები დღეეს კვლავ ფუნქციონირებენ საკრებულოები და მათი მიუხედავათ შეზღუდვებისა იგება ახალი ტაძრები და იმ დასახლებულ პუნქტებშიც სადაც გასულ საუკუნეებში არ ყოფილა კათოლიკე ეკლესია. ეკლესიათშორისი გლობალური ურთიერთობების ფონზე, უფრო მნიშვნელოვანია აღმოსავლეთის ეკლესიებსა და წმინდა საყდარს შორის ქრისტიანული ძმური ურთიერთობის აღდგენა ვიდრე ნაგებობებისთვის დაპირისპირება. და ალბათ სწორედ ყველაზე

[16] ნ. ბარდაველიძე, არ ინდომო შენი თვისტომის სახლი, ჟურნ. სოლიდარობა, 3(12)07.გვ.42.

ზუსტად ამ ვითარებას მიესადაგება მეუფე ჯეზეპეს მიერ ერთ–ერთი ქადაგებისას ნათქვამი სიტყვები:

და ამ კონტექსტში ალბათ ყველაზე სწორ პოზიციას გამოხატავს სამხრეთ კავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორის ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტო, როდესაც აღნიშნავს, რომ ,,ეკლესია ქვები არ არის, ეკლესია მორწმუნე ადამიანთა საკრებულოა, მაცხოვრის რწმენით აღსავსე გულების საკრებულო და მისი წართმევა შეუძლებელია. ამიტომ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რა არის უფრო მთავარია, ქვები თუ ადამიანები”.[17]

[17] ჟურ. „საბა”,N9, 2010.

ეკლესიათშორისი თანამშრომლობის ფურცლები -

ლუთერული და კათოლიკური ეკლესიები საქართველოში

საქართველოში ლათინური წესის კათოლიკურ ეკლესიის არსებობა 800 წელს ითვლის, ზუსტად 200 წლის წინ კი საქართველოში ლუთერული ეკლესიაც დაფუძნდა. თბილისის ცენტრალურ უბანში, ერთმანეთის სიხლოვეს, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, თითქმის ერთდროულად, წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულების სახელზე, იგება როგორც კათოლიკური ასევე ლუთერული ტაძრები. ამ უბანში (დღევანდელი ჩუღურეთის მუნიციპალიტეტი), მრავლად ცხოვრობდნენ როგორც ლუთერული ასევე კათოლიკური აღმსარებლობის მიმდევარი ეთნიკურ გერმანელები. გერმანელთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ და რამდენიმე ათეულ ათასს აღწევდა. კათოლიკე მღვდელ კონსტანტინე საფარიშვილის მოგონებიდან ვიგებთ, რომ როდესაც ის თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში გერმანულ ენაზე ქადაგებდა, იმდენი ადამიანი იყრიდა თავს რომ ტაძრის წინა ქუჩაც ხალხით იყო საცსე. მის მოსასმენად ლუთერანი გერმანელებიც მოდიოდნენ. კონსტანტინე საფარაშვილსაც და იმანუელ ვარდიძესაც პირადული მეგობრობა აკავშირებდათ ლუთერან პასტორებთანაც. ენობრივი ბარიერის არ არსებობა, ერთნაირ რეპრესიულ ვითარებაში ყოფნა, (საბჭოთა ხელისუფლება კათოლიკე და ლუთერან სასულიერო პირებს უცხოეთის ჯაშუშებად მოიზრებდა), ერთმანეთთან მეზობლობა, როგორც თბილისში ასევე ბორჯომში, ხელს უწყობდა კათოლიკე და ლუთერან სასულიერო პირებს შორის მეგობრულ ურთიერთობას.

ცხადია თბილისში შედარებით მცირე ლოკაციაზე ბინადარ ლუთერან და კათოლიკე გერმანელებს შორის არსებობდა მრავალმხრივი ყოფითი ურთიერთობები. საბჭოთა პერიოდში კონფესიურად შერეული ოჯახები უკვე იშვიათობას აღარ წარმოადგენდა.შერეულ ოჯახებს ქმნიდნენ როგორც ერთი ეთნოსის წარმომადგენლები ასევე სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები.

ლუთერული და კათოლიკური კონფესიის წარმომადგენლებს შორის მეგობრულ ურთიერთობებს ხელს უწყობდა სასულიერო პირებს შორის არსებული კეთილმეგობრული დამოკიდებულება და ასევე 40-იან წლებამდე თბილისის მოსახლეობაში არსებული აშკარად გამოხატული გერმანოფილური დამოკიდებულება. ამ პერიოდისათვის თბილისის ტერიტირიაზე არსებობდა ორი გერმანული დასახლება ნოი-ტიფლისი (ჩუღურეთში) და ალექსანდერდორფი (დიდუბეში). ეს გახლდათ ლუთერანული დასახლებები საკმაოდ იყვნენ კათოლიკე გერმანელებით თბილისში და მის გარეუბნებში.

გასული საუკუნის 30-იან წლების მეორე ნახევრიდან, მასობრივი ანტირელიგიური რეპრესიების, რომელიც უმთავრესად კათოლიკური და ლუთერული ეკლესიების წინააღმდეგ იყო მიმართული, შემდგომ კი საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ომის დაწყებით გამოწვეული, გერმანელთა ტოტალური გასახლების შემდგომ, ეს ურთიერთობები შეწყდა. საქართველოში და სრულიად კავკასიაში დაიხურა ყველა ლუთერული ტაძარი, რეპრესირებული იქნა ყველა მღვდელმსახური. კათოლიკური ტაძრებიდან მთელ კავკასიაში მოქმედი დარჩა თბილისის და ახალციხის რაიონის სოფელ სხვილისის კათოლიკური ტაძარი. მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, შესაძლებელი გახდა ჯერ თბილისში, შემდგომ კი საქართველოს სხვადასხვა რაიონში აღდგენილიყო დახურული ლუთერული სამლოცველოები და კათოლიკური ტაძრები.

1991 წელს საქართველოში ლუთერული ეკლესიის ხელახალი დაბადება იწყება. ამ წელსვე დაარსდა საქართველოს გერმანელთა ასოციაცია ,,აინუნგი", რომელშიც ათას ხუთასი ადამიანი გაერთიანდა. 1991 წლის სექტემბერში შეიკრიბა ოცდაათ კაციანი ჯგუფი, რომელსაც მეშვიდე დღის ადვენტისტების მქადაგებლის იოჰან დრეილინგის ბიბლიურ სკოლაში სურდა მონაწილეობის მიღება. მალე ამ რუსულენოვანი ჯგუფის რაოდენობამ ორასს მიაღწია, 1993 წელს, დრეილინგების გერმანიაში წასვლის შემდგომ, მქადაგებლის ფუნქცია ჰარი აზიმოვმა ჩაიბარა, ის პასტორად აკურთხეს. 1991 წლის შემოდგომაზე თბილისში ლუთერული მრევლის არსებობის შესახებ შეიტყო ზაარბრიუკენის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროფესორმა გერტ ჰუმელმა, იგი წლების განმავლობაში თანამშრომლობდა თბილისის უნივერსიტეტთან და სტუდენტურ გაცვლით პროგრამას ხელმძღვანელობდა. (ტ.კოპალეიშვილი, პროტესტანტული ეკლესიები საქართველოში, ბათუმი, 2014).

სწორედ გერტ ჰუმელის სახელს უკავშირდება სამხრეთ კავკასიაში ლუთერული ეკლესიის აღორძინება. მის მიერ პირველი ღვთისმსახურების ჩატარების შემდგომ დაახლოებით ორმოცდაათი ადამიანი მოინათლა. სამრევლოები შეიქმნა რუსთავში, ბოლნისსა და გარდაბანში. პასტორი ჰუმელი წელიწადში ორჯერ ჩამოდიოდა და მის მსახურებებზე ორასამდე ადამიანი იკრიბებოდა, პირველივე წელსვე დაახლოებით ორას ორმოცდაათამდე ადამიანი მოინათლა. ეს იყო რელიგიური აღორძინების პერიოდი პოსტსაბჭოთა საქართველოში. ამ პერიოდს ემთხვევა კათოლიკური და სხვა კონფესიების საკრებულოების გამოცოცხლებაც. ამ რელიგიურმა გამოცოცხლებამ, გერტ ჰუმელს გადააწყვეტინა, პენსიაზე გასვლის შემდგომ თბილისში გადმოსახლებულიყო და საკუთარი თანხებითა და მეგობრების დახმარებით ეკლესია აეშენებინა. მას გვერდით დაუდგა გერმანიის საელჩოც.(გ.აუგუსტი, საქართველოში გერმანელების 200 წლიანი ცხოვრების საკითხები, თბილისი2018. გვ.8.).

1995 წლის 25 სექტემბერს საზეიმოდ იკურთხა თბილისის შერიგების ლუთერული ტაძრის მშენებლობა, 1997 წელს ტაძრის მშენებლობა უკვე დასრულებული იყო. 26 ოქტომბერს,

რეფორმაციის დღესასწაულის წინ, შერიგების ტაძარი საზეიმოდ გაიხსნა. 1998 წელს კი დოქტორი გერტ ჰუმელი არჩეულ იქნა სამხრეთ კავკასიის ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსად. ამით შეიძლება ითქვას, რომ დასრულდა ჩვენს ქვეყანაში ლუთერული ეკლესიის ხელახალი ფორმირების ეტაპი. ეპისკოპოსი გერტ ჰუმელი თავიდანვე გახსნილი, მეგობრული დამოკიდებულება დაამყარა საქართველოში მოქმედ ეკლესიების მწყემსმთავრებთან, ცდილობდა, რომ ახლადაღორძინებულ ლუთერულ ეკლესიას თანამშრომლობა ჰქონოდა მართლმადიდებლებთან, კათოლიკეებთან, პროტესტანტებთან. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. განსაკუთრეებული თბილი ეკლესიათშორისი და ჰუმანიტარულ-სოციალური ურთიერთობა დამყარდა კათოლიკურ ეკლესიასთან. ჰუმანიტარულ-სოციალური მსახურება ასევე პრიორიტეტია კათოლიკე ეკლესიისათვის, რომელიც ამ კუთხით ფართომასშტაბიან პროექტებს ,,საქართველოს კარიტასის'' წმ. კამილოსა და დედა ტერეზას ორდენების მისიების საშუალებით ანხორციელებს. მთავარი რაც ამ ლუთერული და კათოლიკური ეკლესიების მიერ განხორციელებულ პროექტებს და აქტიობებს აერთიანებს, არის ამ ორი ეკლესიის მკაცრად განსაზღვრული პოზიცია - არა პროზელიტიზმს.

საქართველოში მოქმედი ლუთერული და კათოლიკური ეკლესიების მღვდელმსახურთა ეკლესიათშორის დამოკიდებულებას ნათლად ასახავს საქართველოში ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსის ჰანს კიდერლენდის ერთ-ერთი ინტერვიუ, რომლის ამონარიდს გთავაზობთ: **დავამთავრე ბონში თეოლოგიური კოლეჯი, რომლის მფლობელები იყვნენ იეზუიტები. როდესაც მამა გახდა გერმანიის ელჩი პარიზში, განვაგრძე სწავლა პარიზის, იეზუიტურ სასწავლებელში. პარიზშიც და ბონშიც მე ვგრძნობდი თავს უმცირესობაში, რადგანაც ვიყავი ლუთერანი, ერთადერთი პროტესტანტი რომაულ–კათოლიკურ გარემოში. ახლაც, აქ საქართველოშიც წარმოვადგენ უმცირესობას მართლმადიდებლურ გარემოში. ყოველთვის მქონდა იმის შეგრძნება, რომ ჩვენ ყველანი ვართ ქრისტიანები და არასდროს დამიყვია მეგობრები, როგორც კათოლიკები, პროტესტანტები, ლუთერანები. თუკი შევედრები ჯუზეპე პაზოტოს, ძალიან შევრცხვები, რადგან ის კარგად საუბრობს ქართულად და მე მხოლოდ ელემენტარული სიტყვები ვიცი. პაზოტო კარგი ნიმუშია იმ ეპისკოპოსისა, რომელსაც უნდა სხვა ქვეყანაში მოღვაწეობა.** (http://www.ttimes.ge/archives/66964)

საქართველოში ლუთერული ეკლესია თავის სოციალურ მსახურებას დიაკონური საზოგადოების მეშვეობით ახორციელებს, რომელიც 1999 წელს შეიქმნა. იოჰან-ბერნჰარდ-სალტეტის სახელობის მოხუცთა თავშესაფარს, ეკლესიას გახსნილი აქვს ასევე ორი სასადილო, რომელთა ბენეფიციარების საერთო რაოდენობა 120-ია. ლუთერულ დიაკონური სამსახური დახმარებას უწევს ყველა შეჭირვებულს მიუხედავად მათი კონფესიური მიკუთვნებულობისა. მათი ბენეფიციარები არიან კათოლიკეებიც და მათ არავინ სთხოვს

კონფესიის შეცვლას. ანალოგიურად პრინციპით მოქმედებს გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან კათოლიკური ეკლესიაც. თბილისის კათოლიკურ კათედრალშიც სხვადასხვა რელიგიისა და აღმსარებლობია ბენეფიციარები არიან და მათ არავინ სთხოვს კონფესიის შეცვლას. პირიქით ,,საქართველოს კარიტასისა'' და ვატიკანის საელჩოს დაფინანსებით თბილისის კარიტასის ცენტრში მართლმადიდებელი ბენეფიციარებისათვის მართლმადიდებლური ტაძარიც აიგო და შემდეგ საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა კეთილი ნების გამოხატულებად.

საქართველოში მოქმედმა ლუთერულმა და კათოლიკურმა ეკლესიებმა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდანვე დაამყარეს ერთმანეთთან როგორც ეკლესიათშორისი, ასევე ჰუმანიტარულ-სოციალური თანამშრომლობითი ურთიერთობა. ხოლო 2000 წელს, თბილისში, ოთხი ეკლესიის წარმომადგენლებამა: რომის კათოლიკური, სომხური სამოციქულო, ლუთერულ-ევანგელური და ევანგელურ-ბაპტისტური, მართლმადიდებელი სამღვდელოთა თანამონაწილეობით შექმნეს სამუშაო ჯგუფი რომელსაც უნდა მოემზადებინა და ჩაეტარებინა ყოველწლიური ინტეკონფესიური შეხვედრები და ორგანიზაცია გაეწია ერთიანობის ლოცვების ჩატარებას.

უკვე 18 წელია სისტემატურად, იანვრის თვეში, აღნიშნული ოთხი ეკლესია მორიგეობით უთმობს თავის კათედრალურ ტაძრებს ქრისტიანული ერთობისადმი მიძღვნილ ლოცვებს.

ამ თანამშრომლობამ ხელი შეუწყო ლუთერული და კათოლიკე საკრებულოების დაახლოებას. შეიძლება თეოლოგიური თვალსაზრისით ეს ორი ეკლესია უფრო შორსა დგას ერთმანეთისაგან ვიდრე აღმოსავლური ეკლესიები, მაგრამ ამ ორი ეკლესიის მრევლი მენტალურად და კულტურული ტრადიციების თვალსაზრისით, უფრო ახლოს არის ერთმანეთთან, რაც თავის მხრივ ნაკლებ ბარიერებს წარმოშობს ინტერკონფესიურ ურთიერთობაში.

როდესაც 1517, ავგუსტინელთა ორდენის მღვდელ-მონაზონმა, ცნობილმა თეოლოგმა დოქტორმა მარტინ ლუთერმა ვიტენბერგის ტაძრის კარებზე გამოაკრა თავისი 95 თეზისი, რომლებშიც რეფორმების გატარების სურვილი იყო ასახული. იგი სრულიადაც არ ფიქრობდა დაპირისპირებოდა კათოლიკე ეკლესიას, მაგრამ ვითარება სულ სხვანაირად სულ სხვანაირად წარიმართა ლუთერი, თავისდაუნებურად, რეფორმაციულ-პროტესტანტული ეკლესიის ფუძემდებლად მოგვევლინა და მალე, ევროპა მრავალი ქრისტიანული დენომინაციის დაპირისპირების არეალად იქცა.. ,,მე ჩავწვდი ჩემს თეოლოგიას არა ერთ საათში, არამედ დიდი ფიქრისა და თანდათანობითი ჩაღმავების შემდეგ. მისკენ მიბიძგა ეჭვებმა და ცდუნებებმა, რომელიც მაწვალებდა ვარჯიშის გარეშე ვერაფერს ისწავლი. ეს არა აქვთ ფანატიკოსებს და მეამბოხეებს. მათ არ ჰყავთ მეტოქე, რომელიც მათ შეეკამათება, ანუ

ეშმაკი, რომელიც ბევრს გვასწავლის. წერდა ხუთი საუკუნის წინ იმ ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე, ბიბლიის გერმანულ ენაზე მთარგმელი და ახალი თეოლოგიის შემქმნელი მარტინ ლუთერი და მის მიერ 500 წლის წინ დაწერილ შეგონებას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.(ჰ. ფაუსტელი,დოქტორი მარტინ ლუთერი, თბილისი, 2008.გვ.34.).

ერთია მხრივ კათოლიკურ ეკლესიაში დიალოგისკენ მზაობის არქონამ პირველ ეტაპზე, მართალი ტრიდენტის კრებაზე კათოლიკე ეკლესიამ თვითრეფორმაცია დაიწყო მაგრამ უკვე საკმაოდ გვიან იყო ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნება. მეორეს პროტესტანტულმა მოძრაობამ, რეფორმაციამ განხეთქილება და ნაციონალიზმის ჩასახვამ, დაპირისპირება შეიტანა ქრისტიანულ სამყაროში. მართალია ევროპის ხალხებს მიეცათ საშუალება ეროვნულ ენებზე წაეკითხათ ბიბლია, მაგრამ დაპირისპირებამ ევროპის სახელმწიფოებს შორის ხელი გაუხსნა გარეშე მტრებს ექსპანსია დაეწყოთ ქრისტიანული ქვეყნების წინააღმდეგ. თავის ბოლოდროინდელ წერილებში მარტინ ლუთერი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის იდეას ატარებს. ლეთერმა კარგად გაიაზრა თუ რა საშირშოების მომტანი იყო ზოგადად ქრისტიანული ევროპისათვის რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ევროპის პროტესტანტულ წრეებში ჩაისახა ქრისტიანული ერთიანობისაკენ მიმართული მოძრაობა, რომელმაც მოგვიანებით თავისი განვითარება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში ჰპოვა. რომელიც დღეს ათეულობით პროტესტანტულ, არაქალკედონურ და ქალკედონურ ეკლესიას აერთიანებს.

კათოლიკური ეკლესია XX საუკუნის დასაწყისში ეკუმენიზმთან მიმართებაში საკმაოდ ცივი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. კათოლიკეების არგუმენტი ამგვარი იყო: რადგან ყველა ეკლესია თუ (დენომინაცია) ქრისტეს საყოველთაო ეკლესიას გამოეყო, ხოლო საყოველთაო ეკლესია მხოლოდ რომის კათოლიკე ეკლესიაა, ამიტომ თუ ქრისტიანებს სურთ ერთიანობის აღდგენა, ისინი უნდა გაერთიანდნენ მხოლოდ წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის წიაღში, რომის პაპის მწყემსმთავრობით. (Pawłowski, katechizm katolicki, Ryga, wydawnictwo Rezenkne 1992).

ანალოგიური პოზიცია გააჩნდათ აღმოსავლურ ეკლესიებსაც რომელთა მესვეურებიც აცხადებდნენ, რომ მხოლოდ მართლმადიდებლები არიან ქრისტეს საყოველთაო ეკლესიის ჭეშმარიტი მემკვიდრეები, თუმცა მართლმადიდებელთა გავლენა შედარებით სუსტი იყო და ისინი საჭიროებდნენ საერთაშორისო მასშტაბის ფორუმების მხარდაჭერას. რომის ეკლესიას კი პროტესტანტულ ალიანსთან თანამშრომლობის არანაირი საჭიროება არ ჰქონდა. იმ ხანად ამ თანამშრომლობის პერსპექტივები ჰორიზონტზეც კი არ ისახებოდა. ასე რომ, რომის კათოლიკე ეკლესია თავდაპირველად

სრულებით უგულვებელყოფდა ყოველგვარ ეკუმენურ წამოწყებას და მკვეთრად ემიჯნებოდა მას.

და მაინც, 1909 წელს რომის პაპი, პიუს X გამოდის ქრისტიანთა ერთიანობის მოწოდებით, რათაა ყოველწლიურად 18-დან 25 იანვრამდე ჩატარდეს ქრისტიანთა ერთობისადმი მიძღვნილი საყოველთაო ლოცვები.

ზუსტად ნახევარი საუკუნის შემდგომ 1961 წელს, რეფორმატორი პაპი იოანე XXIII ვატიკანის მეორე კრების მოწვევას, სწორედ ამ თარიღს დაამთხვევს.

რომის პაპმა, იოანე XXIII-მ ვატიკანის II მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილება სწორედ ქრისტიანთა ერთობისათვის მოწოდებული ყოველწლიური ლოცვის დაწესების 50-ე წლისთავს დააემთხვია. რეფორმატორმა პაპმა მსოფლიო კრების მოწვევის შესახებ სწორედ 1963 წლის 25 იანვარს აუწყა კათოლიკურ სამყაროს.

`საშინელი სამსჯავროს უკანასკნელ საათს, _ წერდა იოანე XXIII, _ **ყოველმა ადამიანმა უნდა უპასუხოს კითხვას, ხელს უწყობდა თუ არა ქრისტიანთა ერთობას, ლოცულობდა თუ არა იგი, იღვწოდა თუ არა ამისათვის, განიცდიდა თუ არა ამ ერთობის მძაფრ მოთხოვნილებებს, აიღო თუ არა მან თავის თავზე პასუხისმგებლობა მოქცეულიყო ბრძნულად და უბრალოდ, ყოფილიყო მომთმენი და წინდახედული და განახორციელა თუ არა მან ცხოვრებაში სიყვარულის კეთილი სწრაფვები~.** (Breviario De la Cristiano Ritta Latina, Cita del Vaticano,1990.).

კათოლიკური ეკლესიის დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა იოანე XXIII_ისა და პავლე VI_ის პონტიფიკობის დროიდან. ვატიკანის მეორე მსოფლიო კრებამ მიიღო სპეციალური დეკრეტი ,,ეკუმენობის შესახებ". დოკუმენტის მომზადებაზე მუშაობდნენ ფრანგი, ბელგიელი და ჰოლანდიელი ღვთისმეტყველები, ანუ იმ ქვეყნების წარმომადგენლები, სადაც მრავალი ასწლეულის მანძილზე არსებობდა კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის შედარებით კეთილგანწყობილი და საქმიანი თანამშრომლობა.

დოკუმენტი გამოქვეყნდა 1964 წლის 21 ნოემბერს, ვატიკანის II მსოფლიო კრების III სესიაზე. დოკუმენტში ხაზგასმული იყო, რომ ეკუმენური მოძრაობა ,,განყოფილ ძმათა" შორის არის სულიწმიდის ნაკარნახევი. ასევე სხვა აღმსარებლობების მიმდევრები აღიარებულნი არიან როგორც ,,ძმები უფალში", და რომ ისინი ,,სამართლიანად ატარებენ ქრისტიანის სახელს" (ეკუმენიზმი, 3.) დადგენილებამ სასურველად ჩათვალა, რომ ,,კათოლიკეებმა ილოცონ გაყოფილ ძმებთან ერთად", რომ ღვთისმეტყველება უნდა ისწავლებოდეს ეკუმენური თვალსაზრისით (ეკუმენიზმი 10), და ყველა ქრისტიანთან თანამშრომლობდეს სოციალურ ცხოვრებაში (იქვე,12). (ვატიკანის II კრება, ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა, თბილისი 2006წ.).

ცივი ომისა და ატომური დაპირისპირებისა და ხანაში, ვატიკანის მეორე კრებაზე მიღებულმა დადგენილებებმა ხელი შეუწყო ეკლესიათშორისი ურთიერთობების გაუმჯობესებას. ამ ინიციატივამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსოფლიო ომის შედეგად გაღრმავებული ეთნიკური დაპირისპირების აღმოფხვრაში, ქსენოფობიის დაძლევაში, ხელი შეუწყო ევროპის ქვეყნებს ერთიანი თანამეგობრობის განმტკიცებაში. რათა ევროპელებს შესძლებოდათ მახვილები გადაეჭედათ სახნისებად ისე, როგორც ამას ესაია წინასწარმეტყველებდა.

საბჭოთა პერიოდში, კათოლიკური ეკლესია საქართველოში ტრადიციულად, ყოველი წლის 18-25 იანვარს, ატარებდა ქრისტიანთა ერთობისადმი მიძღვნილ ლოცვებს. ლოცვის კვირეულს, მართალია, მეტად შეზღუდული ფორმატით. შესაძლოა, თვით მრევლის ნაწილსაც გააზრებული არ ჰქონდა ამ ლოცვების მნიშვნელობა და, ცხადია, მასში არც სხვა ქრისტიანულ დენომინაციათა წევრები იღებდნენ მონაწილეობას, რადგან ფართო მასშტაბის შეხვედრის ორგანიზებისათვის ხელისუფლების ნებართვა იყო აუცილებელი. მაგრამ ლოცვები აღევლინებოდა და მორწმუნეები და მცირერიცხოვანი სტუმრებიც სიამოვნებით იღებდნენ მასში მონაწილეობას. (ნ.ბარდაველიძე, ეკუმენიზმის საზღვრები, ჟურ. ,,დიალოგი”, N1-2. 2008.).

ქრისტიანთა ერთიანობისადმი მიძღვნი ლოცვათა ორგანიზებამ ახალი მასშტაბები XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოსთვის მიიღო, როდესაც თბილისში ქრისტიანულ ეკლესიათა სამუშაო ჯგუფი შეიქმნა.

ამ სამუშაო ჯგუფის დამფუძნებლები არიან: კათოლიკე ეკლესიის სამოციქულო მმართველობა კავკასიაში, ევანგელურ-ლუთერული ეკლესია საქართველოში, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია და სომხური სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია. სამუშაო ჯგუფში გაწევრიანება და თანამშრომლობა ყველა ქრისტიანული ეკლესიისათვის მისაწვდომია, ამისათვის მხოლოდ სურვილი და კეთილი ნებაა საჭირო.

ქრისტიანულ ეკლესიათა სამუშაო ჯგუფის ერთიანი ძალისხმევით ქრისტიანთა ერთიანობისათვის აღვლენილი ტრადიციული ლოცვის საზღვრები გასცდა ერთი კონფესიის საზღვრებს და თბილისში მოქმედი ზემოთ დასახელებული კონფესიების ეკლესიები მორიგეობით მასპინძლობენ ერთიანობის ლოცვაში მონაწილე მრავალრიცხოვან მორწმუნეებს. ამ ლოცვებში ინდივიდუალურად სისტემატურად მონაწილეობენ მართლმადიდებელი მღვდელმსახურები და მორწმუნეები, ასევე, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ქრისტიანთა ერთობა, `ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება~.

ქრისტიანთა ერთობის ლოცვისადმი კათოლიკური და ლუთერული ეკლესიების მღვდელმთავართა დამოკიდებულების წარმოჩენისათვის, გთავაზობთ მათი ინტერვიუებიდან მცირე ამონარიდს – წმინდა საყდრის დესპანი სამხრეთ კავკასიაში, არქიეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი: ყოველთვის ვმონაწილეობ ეკუმენურ ლოცვებში. დამერწმუნეთ ამ ლოცვებს, ისევე როგორც ქრისტიანთა ერთიანობისადმი მიმართულ სხვა აქტიობებს, დიდი პერსპექტივა გააჩნია.

საქართველოში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსი ჰანს-იოახიმ კიდერლენი: მე დარწმუნებული ვარ რომ ასეთი საერთო ლოცვები ძალიან მნიშვნელოვანია. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველ ლოცვას აქვს დიდი ძალა და კონკრეტულად ეკუმენურ ლოცვასაც აქვს პერპექტივა.

მ. პიერ დიუმულენი: როდესაც ადამიანების ერთიანობაზე ვსაუბრობთ უნდა გავმიჯნოთ არსი თუ რას ემსახურება ეს ერთიანობა. თუ ეს ერთიანობა არის თვითმიზანი და ადამიანური ამბიციის გამოვლინება, როგორიც იყო ბაბილონის გოდოლის მშენებლობისას, ეს არ არის კარგი. მაგრამ არის ერთიანობა იესო ქრისტეში, ანუ სულიწმიდის ერთიანობა. ეს სულ სხვაა. სული წმიდით აღვსილი მოციქულები ამოწმებდნენ და სახვადასხვა ენებზე მოსაუბრე ადამიანები იგებდნენ მათ სიტყვას, ეს არის ქრისტიანული ერთიანობა. ეკუმენურ ლოცვაც ასეა, მისი მიზანი ქრისტიანთა შორის ურთიერთგაგების დამყარებაა. აბა რას გავს როდესაც პალესტინაში მცხოვრები არაქრისტიანები შეჰყურებენ თუ როგორ ცალ-ცაკე არიან იქაური ქროსტიანები: კათოლიკეები, მარონიტები, მართლმადიდებლები, პროტესტანტები. . . რა მაგალითს ვაძლევთ მათ ჩვენი გათიშულობით? ეკუმენიზმი არ ნიშნავს, რომ ყველა კონფესია მექანიკურად უნდა გაერთიანდეს, მაგრამ ეს არის ერთიანობა და სიყვარული ქრისტეში.. ეს არ არის ბაბილობის გოდოლი, ეს არის სულთმოფენობის ერთიანობა. (ნ.ბარდაველიძე, ,,და ამის მოწმენი ხართ თქვენ", ლოცვა ქრისტიანთა ერთობისათვის, ჟურ. ,,საბა" N2/ 2010. გვ.14–15.).

ასევე ქრისტიანთა ყოველწლიური ერთობლივი ლოცვების მნიშვნელობის ანალიზისას, ვფიქრობთ მნიშვნელოვანი არის ცნობილი რუსი ფილოსოფოსის ვლადიმერ სოლოვიოვის დამოწმება. ამ მოაზროვნემ რომელიც რუს თეოლოგებიდან შეიძლება ითქვას გამორჩეული ადგილი უკავია როგორც აღმოსავლურ ასევე დასავლურ საზოგადოებაში, და მისი შეხედულებებს დიდ ყურადღებას უთმობენ როგორც მგზნებარი, ასევე ლიბერალური შეხედულების მართლმადიდებელი, კათოლიკე და პროტესტანტი მკვლევარები, ასევე ათეისტურ-აგნოსტიკური მსოფლმხედველობის მეცნიერები. ,,კაცობრიობის თავისუფალი გაერთიანება ქრისტეს ეკლესიასი არის მიზანი ქრისტიანული პოლიტიკისა. ეს მიზანი ვერ იქნება მიღწეული, სანამ თვით პირველი სახე საყოველთაო ერთობისა დედამიწაზე –ხილული ეკლესია – გაყოფილია. წერს თავის სტატიაში ვ. სოლოვიოვი, ამიტომ პირველი ამოცანა ქრისტიანული პოლიტიკისა არის საეკლესიო ერთობის აღდგენა. მაგრამ იმისთვის რომ ეს საქმე – საეკლესიო საზოგადოებათა გაერთიანება – ქრისტიანული პოლიტიკის საქმე გახდეს,

იგი უშუალოდ უნდა გამომდინარეობდეს რელიგიურ-ზნეობრივი ზრახვებიდან და ამ ზრახვებით ხელმძღვანელობდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, მიზანი საეკლესიო საზოგადოებათა სულიერი ერთობა უნდა იყოს. ყველაფერი დანარჩენი კი მხოლოდ ამ მიზნის მიღწევას უნდა ემსახურებოდეს.

ქრისტიანობიდან ლიბერალური ჰუმანიზმის წარმოშობამ და მერე შემწყნარებლობისა და კომპრომისის, ანუ ლიბერალური ეთიკასთან შეხებამ, ქრისტიანობა თანდათანობით მიიყვანა კაცობრიობის სრული იძულებითი ევანგელიზაციის გეგმის უარყოფამდე, რისი მცდელობაც მრავალი საუკუნის მანძილზე არსებობდა. ტოლერანტობის ლიბერალური იდეა,, განამტკიცებს შესაძლო თანაცხოვრებას იმასთან, რასაც ადამიანი არ იზიარებს. ეს საკმაოდ ცვალებადი, მაგრამ არც თუ ისე სუსტი მორალური კონცეფციაა: ის აღიარებს, განსხვავებულის არსებობასა და კანონიერებას, მაგრამ, ამავე დროს, მისი არსებობით გამოწვეულ განცდებსაც. ტოლერანტობა ადამიანური არჩევანის ნაყოფია. არაა გამორიცხული, ის ბუნებაში ან ღვრთაებრივ განგებაში იყოს ჩადებული, ოღონდ ისე, რომ ადამიანს არჩევანის თავისუფლება დაუტოვოს. (ვ. სოლოვიოვი, ეკლესიათა გაერთიანების საერთო საფუძველი, საგანგებო ჩანართი, ჟურ. ,,საბა" N2. 2010. გვ.10–11.).

ეკლესიათშორისი ურთიერთიერთობები, ეკლესიის საკრებულოებს შორის დამეგობრება, სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთი სახეა. რელიგიურ ორგანიზაციებს შორის დამყარებული კონტაქტები ხშირ შემთხვევაში უფრო ხანგძლივი და მყარია და საკმაოდ პოზიტიური შედეგების მომტანია, ვიდრე პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის არსებული დროებითი თანამშრომლობა. და ამ თანამშრომლობას აქვს მრავალმხრივ სასარგებლო პერსპექტივები კონკრეტულად როგორც კათოლიკე და ლუთერანი მრევლისთვის, ასევე დომინანტ და უმცირესობათა ეკლესიებისადმი, აქედან გამომდინარე კი სრულიად საქართველოსათვის.

და კიდევ ერთი სფერო ლუთერულ და კათოლიკე ეკლესიათა თანამშრომლობისა ეს მედია სფეროა. ორივე ეკლესია აქვს თავისი ეპარქიული პერიოდული ბეჭდური გამოცემები რომელიც ყველა საკრებულოში ვრცელდება და მორწმუნეთა ინფორმირების მთავარ კონფესიურ წყაროს წარმოადგენს. ამ გამოცემებში ყოველთვის ქვეყნდებოდა ინფორმაციები ორი ეკლესიის ერთობლივი აქტიობების შესახებ.

ბოლო ხანს ლუთერულ და კათოლიკურ ეკლესიებში დამკვიდრდა კარგი ტრადიცია, უფრო ვრცლად გააცნონ მკითხველს მეგობარი ეკლესიის ცხოვრება, საერთო ისტორიის ამსახველი ამბები. მაგ. მიმდინარე წელს კათოლიკურმა ჟურნალმა ,,საბამ" ორი ვრცელი წერილი მიუძღვნა ლუთერულ ეკლესიას, ასევე ლუთერულ ეკლესიის მაცნეში გამოქვეყნდა კათოლიკური ეკლესიის შესახებ პუბლიკაცია. ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსის დოქტორ მარკუს შოხის პირადი მოწვევით ,,საბას" კორესპოდენტი მიწვეულ იქნა ლუთერულ ტაძარში, სადაც მრევლის წევრებთან შედგა შეხვედრა. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფ-ტის სტუდენტები რელიგიათმცოდნეობის კურსის გავლის დროს ესწრებიან მსახურებებს ლუთერუილ ეკლესიაში, მონაწილეობენ ერთობლივ ღონისძიებებში.

გასულ წელს კათოლიკური მრევლის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა საქართველოში ლუთერული ეკლესიის დაფუძნების 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებში, დაესწრენ ეპისკოპოს ჰ. კიდერლენის მიერ დაწერილი პიესის – ,,შვაბეთის მიწებიდან კავკასიის მთებისაკენ", პრემიერებს თბილისსა და ბოლნისში. აღსანიშნავია ისიც, რომ ლუთერანი სტუდენტები სწავლობდნენ სულხან-საბას უნივერსიტეტში. ლუთერული და კათოლიკური ეკლესიების ძალისხმევით ჩატარდა რამდენიმე საერთაშორისო თეოლოგიური სიმპოზიუმი, გამოიცა სიმოზიუმზე წაკითხულ მოხსენებათა კრებული. ამ ტრადიციას შენახვა და გაგრძელება სჭირდება.

ლუთერული ეკლესიის საზეიმო მსახურებებში სისტემატურად მონაწილებს სამოციქულო ადმინისტრატორი ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, სხვა კათოლიკე მღვდემსახურები, ლათინური და ასირიული კათოლიკური ეკლესიების მგალობელთა გუნდები, წმინდა საყდრის ელჩი კავკასიაში არქიეპისკოპოსი ჟოზე ბეტენკური. 2018 წლის 6 ოქტომბერს, რუსთავში ახლად აგებული ,,ღვთიური გულმოწყალების'' კათოლიკური ტაძრის კურთხევაში მონაწილეობდა ლუთერული ეკლესიის ახლად არჩეული ეპისკოპოსი მარკუს შოხი.

ასე რომ საქართველოში მოქმედი კათოლიკური და ევანგელურ ლუთერული ეკლესიები, თავიანთ მრავალეროვან მრევლთან ერთად, ქრისტიანულ სიყვარულის მაგალითს აძლევენ ქვეყნის ყველა რელიგიურ გაერთიანებას და მოქალაქეს. ამის დასადასტურებლად კარგად მეტყველებს ევანგელურ–ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსის ჰანს კიდერლენის სიტყვები: **ვფიქრობ, ჩვენს ეკლესიას აქვს დიდი მისია–საქართველოს გააცნოს ევროპა. იმის თქმა, რომ ევროპაში არ არის მორალი, ეთიკა, რომ იქ ქრისტიანული ღირებულებები არ არსებობს არასწორია, რადგან მთელი ევროპის კანონმდებლობა დაფუძნებულია ქრისტიანულ ღირებულებებსა და ეთიკაზე. ქართველებმა ბევრი უნდა გაიგონ ევროპის შესახებ. ლუთერანული მრწამსი ყოველთვის იყო დაფუძნებული განათლებაზე და ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია ვითამაშოთ მნიშვნელოვანი როლი საქართველოს ევროპასთან დაახლოვებაში. ამიტომ ჩვენი ლუთერული ეკლესია თავის ქრისტიანულ მოვალეობად მიიჩნევს იყოს იქ, სადაც ყველაზე მეტად არის საჭირო მისი ყოფნა. ჩვენი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოციალურ პროექტებს შეუძლია გააერთიანონ სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენლები მადლიან საქმიანობაში და, მიუხედავად ყველა განსხვავებისა, ერთიანი ვიყოთ ღვთის და მოყვასის მსახურებაში".** (http://www.ttimes.ge/archives/66964.)

ანალოგიური პოზია და აქტიობები აქვს კათოლიკე ეკლესიასაც და ამ ორი ჭეშმარიტად ევროპული სულისკვეთების ეკლესიის ძალისხმევას მეტი ხელშეწყობა და გამოყენა სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან, რათა უფრო გაადვილდეს ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესი. ვთვლი რომ ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურები, საერთაშორისო კუთხით წარმოებულ საქმიანობაში, უფრო ეფექტურად და ინტენსიურად უნდა იყენებდნენ კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების პოტენციალს. მათ აქტიობებს მეტი ნდობა და წარმატება ექნებოდათ თუ საერთაშორისო შეხვედრების დროს დელეგაციებში ჩართავდნენ კათოლიკური და ლუთერული ეკლესიების მღვდელმთავრებსაც. ამის

მაგალითი გვაქვს ევროპის ქვეყნებში. ამის თვალსაჩინო მაგალითიც გვაქვს, რომის პაპ ბენედიქტესთან ჩვენი ქვეყნის მეთაურის შეხვედრის შემდგომ, ლათინური ამერიკის ქვეყნებმა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მიმართ არაღიარების პოლიტიკას დაუჭერეს მხარი. ვფიქრობ გერმანიასთან წარმოებულ მოლაპარაკებებში შესაძლებელი იყო ლუთერული ეკლესიის ავტორიტეტის გამოყენებაც.

დასკვნის სახით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მოქმედ ევანგელურ-ლუთერულ და ლათინური წესის კათოლიკურ ეკლესიებს, ბოლო ათწლეულებში, მათი მწყემსმთავრების მონდომებით, ჩამოუყალიბდათ თანამშრომლობის მდიდარი ტრადიცია და რაც თავისი სულისკვეთებით სრულად პასუხობს როგორც ვატიკანის მეორე კრების მოწოდებას, ქრისტიანული ერთიანობის შესახებ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, პირველ რიგში კი ევროკავშირის სულისკვეთებას. ამ პოტენციალს სახელმწიფოს მხრიდან მეტი დაფასება და ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოყენება სჭირდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვატიკანის II კრება, ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა, თბილისი 2006წ.
2. აღმოსავლეთ–დასავლური ქრისტიანული ჟურნალი ,,დიალოგი'', თბილისი, 2008.
3. საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის 200 წლის იუბილე, თბილისი 2017წ.
4. ჟურნ. ,,საბა" საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე.2007,2010, 2018წ.წ.
5. ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის მაცნე 09.2018.
6. გ.აუგუსტი, საქართველოში გერმანელების 200 წლიანი ცხოვრების საკითხები, თბილისი 2018.
7. ტ. კოპალეიშვილი, პროტესტანტული ეკლესიები საქართველოში, ბათუმი, 2014.
8. ჰ. ფაუსტელი,დოქტორი მარტინ ლუთერი, თბილისი, 2008.
9. Breviario De la Cristiano Ritta Latina, Cita del Vaticano,1990.
10. Pawłowski I, katechizm katolicki, Ryga, wydawnictwo Rezenkne 1992.
11. http://www.ttimes.ge/archives/66964

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების100 წელი

და კათოლიკე ეკლესია

საქართველოს ურთიერთობას წმინდა საყდართან მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. საქართველოს მეფე–მთავრებს რომის პაპებთან, ურთიერთნდობაზე აგებული მჭიდრო ურთიერთობები გააჩნდათ. ასე იყო ყოველთვის და ეს ისტორიული ფაქტებით არის დასაბუთებული. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია-ოკუპაციამ ზუსტად ისევე დააზარალა და გააუქმა საქართველოში კათოლიკე ეკლესია, როგორც სახელმწიფო და მართლმადიდებლური საეკლესიო ინსტიტუტები. თუმცა, ქართველი კათოლიკეების ერთმა ნაწილმა, შესძლო ეროვნული და რელიგიური თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად ემიგრაციაში გაეგრძელებინა საქმიანობა. სტამბულის ქართულმა სავანემ, რომლის დაარსების 160 წლისთავს მალე ვიზეიმებთ, მისი დამაარსებლების ეროვნული და ამავე დროს ზოგადსაკაცობრიო მსოფლმხედველობის წყალობით, შექმნეს სულიერებისა და კულტურის ცენტრი, რომლის ირგვლივაც თავს იყრიდნენ როგორც კათოლიკეები, ასევე მართლმადიდებელი და მუსლიმი ქართველები, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ სავანის მთავარი ტაძრის საკურთხევლიც, რომელსაც სვეტიცხოვლისა და წმ. პეტრეს კათოლიკური ბაზილიკის გამოსახულებები ამშვენებს, სიმბოლურად აღმოსავლური და დასავლური ეკლესიების ერთიანობას წარმოგვიჩენს.

ქრისტიანული ერთიანობის ამ გამოხატულებით, ქართველმა კათოლიკეებმა ზუსტად ერთი საუკუნით გაასწრეს ვატიკანის მეორე მსოფლიო კრების სულისკვეთებას. სტამბულის კულტურის სავანე, თავისი განსაკუთრებული სტატუსითა და ცხოვრების წესით, ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობის მედროშედ, უცხოეთში არსებულ პატარა საქართველოდ იქცა.

იტალიელი დიპლომატი ევგენიო დალეჯიო თავის წიგნში ,,ქართველები კონსტანტინოპოლში“ წერს: ,,სტამბოლის სავანე არის არამარტო სასულიერო დაწესებულება, არამედ ამასთან ერთად არის პოლიტიკურიც, რამდენადაც სარწმუნოება და პოლიტიკა ერთიმეორეს შეკავშირებული არიან. ამ სავანის მღვდლები დასაწყისიდან დღემდე არ დაერიდნენ თავიანთი საზოგადოების არსებობის განსაცდელში ჩაგდებას და განმსჭვალულებმა დიდებულ მომავლის რწმენით, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა, მათ ეს სავანე გადააქციეს ეროვნულ კერად''.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდანვე, საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები ცდილობდნენ განესაზღვრად დამოკიდებულება ომის შემდგომი საგარეო პოლიტიკისადმი. მემარჯვენე ეროვნულ პარტიების ლიდერებმა რომლებიც ემიგრაციაში იმყოფებოდნენ, 1914 წელსვე ჟენევაში ჩამოაყალიბეს ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი", რომელიც ჯერ ბერლინში, ხოლო შემდგომ სტამბულში აგრძელებს საქმიანობას. სწორედ ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" ლიდერების ერთ-ერთ შტაბბინად იქცა სტამბულის კათოლიკური სავანე. აქვე დაიდო ბინა ,,ქართული ლეგიონის კომიტეტმაც". გაწეული დახმარებისათვის ,,ქართულმა ლეგიონმა", თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვა ტაძრის წინამძღვარი პიო ბალიძე და მღვდელი შალვა ვარდიძე

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ბიძგი მისცა საქართველოში კათოლიკური სამრევლოების ეროვნული პოზიციის აღდგენა-გამტკიცებას. ქართველმა კათოლიკეებმა ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, 1917 წლის აპრილში, ბათუმში ჩაატარეს თავიანთი ყრილობა და აღადგინეს ცარიზმის მიერ 1844 წელს ჩამორთმეული დამოუკიდებლობა. წმინდა საყდარმა გაითვალისწინა საქართველოს კათოლიკების ეს მოთხოვნა და აქტიურად დაიწყო საქართველოს კათოლიკური ადმინისტრაციის იურიდიულად გაფორმების პროცესი. რომელიც სამწუხაროდ საბჭოთა ოკუპაციამ შეაჩერა და მისი ოფიციალური აღდგენა მხოლოდ 1992 წელს, ვატიკანსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდგომ განხორციელდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს, კათოლიკური აღმსარებლობის მიმდევრები, იმთავითვე ჩაებნენ დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობის პროცესში, მსახურობდნენ შეიარაღებულ ძალებში, აქტიურად იყვნენ ჩართულები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებში. 1918–19 წლებში სამხრეთ საქართველოში პროოსმალურად განწყობილი ბეგ–აღალარების ნაწილმა შეიარაღებული აქციები წამოიწყო, მუსლიმური საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ნაწილების ჩასვლამდე, ქართველი და სომეხი კათოლიკეები იარაღით ხელში აქტიურად ჩაებნენ ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის დაცვისათვის ბრძოლაში და რეგულარული ჯარების მოსვლამდე შეინარჩუნეს ქალაქი ახალციხე.

კათოლიკეთა თემი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში. საქართველოში ხომ მრეწველთა უდიდესი ნაწილი, სწორედ კათოლიკური თემის წევრი გახლდათ და მათ საუკუნეების მანძილზე ფართო ეკონომიკური კავშირები გააჩნდათ ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების

მრეწველებთან. კათოლიკე მრეწველებს რაფიელ დანიბეგაშვილს და ზუბალაშვილების დინასტიის წარმომადგენლებს არაერთი გამოკვლევა და წიგნი მიეძღვნა.

ქართველი კათოლიკეები გამორჩეულნი იყვნენ მეცნიერების, განათლებისა და ხელოვნების სფეროშიც. დამოუკიდებელი საქართველოს და გასაბჭოების შემდგომ, საბჭოთა საქართველოს ისტორიაშიც, კათოლიკეებმა თავისი გამორჩეული როლი ითამაშეს. კათოლიკეები იყვნენ: პეტრე მელიქიშვილი – თბილისის პირველი უნივერსიტეტის რექტორი, იოსებ ოცხელი – ქუთაისის ქართული გიმნაზიისა და ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის დამარსებელი, ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი, ზაქარია ფალიაშვილი, პეტრე ოცხელი – ქართული სცენოგრაფიული სკოლის დამაარსებული, მხატვარი რომელმაც ათწლეულებით გაასწრო თავის ეპოქას, კათოლიკე იყო პროფესორი სიმონ ყაუხჩიშილი – საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართული ბიზანტინოლოგიური სკოლის დამაარსებელი, კათოლიკე გახლდათ ცნობილი ქიმიკოსი ვიქტორ კოკოჩაშვილი. კათოლიკური მრევლის აქტიური წევრი ცნობილი ინჟინერი, საქართველოს პირველი შრომის გმირი – გიორგი თუმანიშვილი.

ქართველი კათოლიკეები წარმატებით მოღვაწეობდნენ უცხოეთშიც და თავიანთი საქმიანობით სახელი გაუთქვეს საქართველოს. დიდი აღიარება მოიპოვა ევროპაში მოღვაწე მხატვარმა ფელიქს ვარლამიშვილმა და მეცნიერ–მკვლევარმა მამა მიხეილ თარხნიშვილმა, მისი სამეცნიერო დამსახურებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ლიტურგიული ტექსტების დამუშავება და გამოცემა, იტალიის წიგნთსაცავებში დაცული ქართული წყაროების აღმოჩენა და გამოქვეყნება, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების თარგმნა და გამოქვეყნება. განსაკუთრებით გამოსაყოფია მისი გამოკვლევა პალესტინაში V საუკუნის სამონასტრო კომპლექსის ქართული წარწერების შესახებ, რომელიც იტალიელმა არქეოლოგმა და იეზუიტმა მღვდლელმა ვირჯილიო კორბომ აღმოაჩინა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დასავლეთ გერმანიაში ქართული კულტურის პოპულარიზაციას ეწეოდა ნიკოლოზ ჯანელიძე. საქართველო–გერმანიის მეგობრობაში შეტანილი წვლილისათვის 1983 წელს ნიკოლოზ ჯანელიძე, პირველი ქართველთა შორის, ალბერტ შვეიცერის სახელობის მშვიდობის მედლის ლაურეატი გახდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1921 წელს, ემიგრაციაში გახიზნული საქართველოს მთავრობა, (თავის ოჯახებთან და თანმხლებ პირებთან ერთად დაახლოებით 600 კაცი), ასევე მთელი ქართული საგანძური, სტამბულის კათოლიკურმა სავანემ შეიფარა. სავანის მამები ეხმარებოდნენ მათ საჭირო დოკუმენტებისა და საფრანგეთის ვიზების გაფორმებაში. უცხოეთში ემიგრირებული ქართველი პოლიტიკოსები საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ცდილობდნენ გამოეყენებინათ კათოლიკური

ეკლესიის დიდი ავტორიტეტი. ლტოლვილი მთავრობის წევრები, ემიგრაციაში ყოფნისას, წმინდა საყდართან ურთიერთობას განაგრძობდნენ და კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდნენ, რაც ევროპის სახელმწიფოთა დახმარების მტკიცე გარანტად მიაჩნდათ. საქართველოს არქივში დაცულია მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ყოფილი თავდაცვის მინისტრის ნოე რამიშვილის მიერ საქართველოში არალეგალურად მოქმედი მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი გამოგზავნილი დირექტივა, საიდანაც ირკვევა, რომ პარიზში მყოფი მენშევიკი ლიდერები, ვატიკანთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული და რომში საკუთარი წარმომადგენელიც კი ჰყოლიათ. ამავე საარქივო მასალიდან ირკვევა, რომ ,,ნ. რამიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართული ეკლესიის მეთაურები ფიქრობდნენ რომთან კავშირზე. იგი თხოულობდა ყოველნაირი ცნობის მიწოდებას, რაც ეკლესიას შეეხებოდა და მიიჩნევდა, რომ ევროპაში ამას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა".

გასაბჭოების შემდგომ, წმინდა საყდრის სამოციქულო ადმინისტრატორის მაღალი ფუნქცია მღვდელ იმანუელ ვარდიძეს დაეკისრა, რომელიც წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულების სახელობის თბილისის ტაძრის წინამძღვარი გახლდათ. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ,,ვარდიძე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამერიკის, გერმანიის და იტალიის საკონსულოებთან თბილისში. მათი დახმარებით მან შესძლო საქველმოქმედო საქმიანობის გაშლა, სკოლების, ბავშვთა სახლებისა და უსახლკაროთა თავშესაფრების გახსნა". საბჭოთა რეჟიმის მიერ მღვდელი ე. ვარდიძე 6–ჯერ იყო დაპატიმრებული სხვადასხვა ვადით.

კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი, 1924 წელს მიხაკო წერეთელი ლონდონში ასრულებს თავის ,,გილგამეშიანის'' თარგმანს და მას სტამბოლის კათოლიკური სავანის სტამბაში ბეჭდავს.

გასაბჭოების შემდგომ, განსაკუთრებით კი 30–იან წლებში, კათოლიკურმა ეკლესიამ უდიდესი ზარალი ნახა. ყველა სასულიერო პირი იქნა რეპრესირებული, დახვრეტას გადაურჩნენ ისინი, ვინც 20-იან წლებში იყვნენ დაპატიმრებულები და მღვდლობა შეჩერებულები. აიკრძალა ასირო-ქალდეული და სომხურ-კათოლიკური წესის საკრებულოები, ბერ-მონაზვნული ორდენები და კონგრეგაციები, ერთის გარდა, დაიხურა ყველა მოქმედი ტაძარი.

მეორე მსოფლიო ომის დროს კათოლიკები, პირნათლად იხდიდნენ მოქალაქეობრივ ვალს სახელმწიფოს წინაშე, იბრძოდნენ ომის ფრონტებზე და თავდაუზოგავად შრომობდნენ ზურგში. სამცხე–ჯავახეთის მკაცრი კლიმატის მიუხედავად წლის განმავლობაში სამ მოსავალს იღებდნენ. ღამ–ღამობით კი ფარულად ასრულებდნენ სავარდის ლოცვებს კოლმეურნეობის საწყობებად გადაქცეულ ტაძრებში.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, მთელს კავკასიაში ერთად–ერთი მოქმედი თბილისის წმინდა პეტრე და პავლე მოციქულთა ტაძარი – რჩებოდა იმედისა და სულიერების კერად, ათეულობით ათასი ქართველი, სომეხი, პოლონელი, გერმანელი, უკრაინელი, ასირიელი კათოლიკე მორწმუნისათვის.

გასული საუკუნის 80–იანი წლებიდან ნელ–ნელა გამოცოცხლებას იწყებს ურთიერთობა წმინდა საყდართან, 1980 წლის 5-6 ივნისს საქრთველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II ეწვია უწმიდესი პაპს იოანე–პავლე II–ს, ამ ვიზიტმა ხელი შეუწყო ეკლესიათშორისი თანამშრომლობის პერსპექტივებს. 1987 წელს, როდესაც თურქულ პრესაში გაჟონა ინფორმაციამ, სტამბულის ქართულ კათოლიკური სავანის პრობლემების შესახებ, საქართველოს ხელისუფლება თხოვნით მიმართავს თბილისის კათოლიკური ტაძრის წინამძღვარს, დახმარების აღმოჩენის მიზნით, ეშუამდგომლა სტამბულის კათოლიკურ მისიასთან. 1989 წელის, ივნისში დამოუკიდებლობის გზაზე მყოფი საქართველოსათვის საერთაშორისო თანადგომის აღმოჩენის მისიით, თბილისს ესტუმრა ნობელის პრემიის ლაურეატი, მოწყალების ორდენის დამარსებელი დედა ტერეზა კალკუტელი. დედა ტერეზა დაესწრო მსახურებას სიონის ტაძარში, შეხვდა ეროვნული მოძრაობის ლიდერებს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას. 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ თბილისს ესტუმრა და დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი საქართველოს მხარდაჭერა გამოხატა ვატიკანის სახელმწიფო მდივანმა კარდინალმა აგოსტინო კაზაროლიმ.

1992 წელს ვატიკანი იყო რიგით მერვე სახელმწიფო რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და აღიარებიდან სულ მალე დააფუძნა თბილისში თავისი სადესპანო, რომელიც იურისდიქციით მთელ სამხრეთ კავკასიას მოიცავს. ამავე პერიოდიდან კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაცია ,,კარიტასი'' ფართო მასშტაბის საქველმოქმედო საქმიანობას შლის საქართველოში. გასული საუკუნის 90–იან წლებში ,,კარიტასისა '' და სხვა კათოლიკური ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილი ასეულობით ტონა ჰუმანიტარული ტვირთი, სამოქალაქო ომისა და ეკონომიკური კრიზისის გამო უმძიმეს ვითარებაში ჩავარდნილი მოსახლეობისათვის ჰაერივით აუცილებელი იყო. ხოლო 1996 წლიდან კი ნაძალადევის რაიონში, სოციალურად დაუცველი მისახლეობისათვის ამოქმედდა წმინდა კამილოს ორდენის სამედიცინო პოლიამბულატორია. წმინდა საყდრის სადესპანოს დაფინანსებით ათეულობით ახალგაზრდა გაიგზავნა სასწავლებლად უცხოეთის უნივერსიტეტებში. ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა. ,,საქართველოს კარიტასი'' წლების მანძილზე ზრუნავს უსახლკარო ბავშვების რეაბილიტაციისათვის. ვინაიდან იბენეფიციარების უდიდესი ნაწილი მართლმადიდებელია, მათთვის ,,კარიტასის'' დაფინანსებით ნაძალადევი რაიონში აიგო და საქართველოს საპატრიარქოს საჩუქრად გადაეცა სატაძრო ნაგებობა. საქართველოს და განსაკუთრებით მესხეთის მიმართ თავისი უანგარო დახმარებით გამოირჩეოდა სტამბულში მცხოვრებ კათოლიკეთა თემის თავკაცი სიმონ ზაზაძე. დღეს ამ ტრადიციას აგრძელებს მისი ქალიშვილი პაოლინა ზაზაძე, მისი ფინანსური დახმარებით

მიმდინარე წელს, პირველად გამოიცა უცხოეთში დაცული და მეცნიერთათვის უცნობი, ქართველ კათოლიკეთა მოღვაწეობას ამსახველი ისტორიული დოკუმენტები.

და კიდევ ერთი სფერო რომელიც შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. 90–იან წლებში საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მრავალმა კათოლიკე სამხედრო მოსამსახურემ გამოიჩინა თავი. რიგითებთან ერთად ათეულობით ოფიცერი ეწეოდა სამხედრო სამსახურს და მათ შორის ორს გენერლის მაღალი წოდება მიენიჭა.

2008 წლის აგვიტოს ომის დაწყებისთანავე, რომის პაპი ბენედიქტე XVI მკაცრად აკრიტიკებდა რუსეთის აგრესიას და მოუწოდებდა მათ მთავრობას შეეწყვიტა აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. აგვისტოს თვეში პაპმა სამი მიმართვა გააკეთა საქართველოში მშვიდობის დასაცავად და ლტოლვილთა დასაბრუნებლად. მარტო აგვისტოს თვეში, მხოლოდ იტალიის ეპისკოპოსებმა მილიონი ევროს შემოწირულობა გამოგზავნეს გორის რეგიონში ლტოლვილთა დასახმარებლად. ჰუმანიტარულმა დახმარებებმა შემდგომ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო.

პაპ ბენედიქტეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ 2010 წლიდან, ლათინური ამერიკის სახელმწიფოებმა, რუსეთის ზეწოლის მიუხედავად, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების არაღიარების პოლიტიკას დაუჭირეს მხარი.

საქართველოსადმი საერთაშორისო მხარდაჭერისა და სოლიდარობის აქტად უნდა ჩაითვალოს რომის პაპების ვიზიტები საქართველოში 1999 და 2016 წლებში. ეს ვიზიტები ისტორიული მნიშვნელობისაა, რადგან ორივე პაპისთვის ეს იყო პირველი სტუმრობა პოსტსაბჭოთა სივრცეში და ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას.

წერილი მსურს დავასრულო 2016 წლის 30 ოქტომბერს, პაპ ფრანცისკეს მიერ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის დროს წარმოთქმული სიტყვებით: **,,საქართველოში კათოლიკე ეკლესიას საუკუნეების მანძილზე შეჰქონდა თავისი დიდი წვლილი საზოგადოების განვითარების ყველა სფეროში. ვიმედოვნებ, რომ იგი კვლავაც შეიტანს თავის ბუნებრივ წვლილს ქართული საზოგადოების ზრდაში, ჩვენი საერთო ქრისტიანული ტრადიციების დამოწმების, უპოვართა სასიკეთოდ გაწეული ძალისხმევის გზით და უძველეს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და ქვეყნის სხვა რელიგიურ საკრებულოებთან განახლებული დიალოგისა და განმტკიცებული ურთიერთობების მეშვეობით”** .

სარჩევი

უბრალოდ კათოლიკური 4

მ. თამარაშვილი და საქართველოში რომაულ–კათოლიკური აღმსარებლობის
მრევლის პოპულაციის კვლევა 12
საქართველო-რომის ურთიერთობათა მატიანის უცნობი ფურცლები ანუ ერეკლე II და
კათოლიკური მისიის აღდგენა თბილისში 35

სტამბულის ქართული სავანე ანუ „პატარა საქართველო” უცხოეთში 40

კათოლიკური ეკლესია 1921-1991 წლებში 45

ისტორიული ვიზიტის კვალდაკვალ 74
რელიგიური ტოლერანტობა საქართველოში 97

არ ინდომო შენი თვისტომის სახლი 102

ეკლესიათშორისი თანამშრომლობის ფურცლები - ლუთერული და კათოლიკური

ეკლესიები საქართველოში 119

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წელი და კათოლიკე ეკლესია 130